

**საქართველოს განათლების მეცნიერებათა
აკადემია**

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„უნივერსიტეტების ახალი მისია“

29 აპრილი, 2023, საქართველო, თბილისი

**ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA
INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE**

“NEW MISSION OF UNIVERSITIES”

29 APRIL, 2023, GEORGIA, TBILISI

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

ზურაბ ხონელიძე – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ლია მენთეშაშვილი – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ლუბა ბიბილეიშვილი – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი

იმერი ბასილაძე – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ინდირა ძაგანია – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ვაჟა გიგაური – პედაგოგიკის დოქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

მამული ბუჭუხიშვილი – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

გელა ცაავა – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ივანა პეტკოვა – პლოვდის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

სარედაქციო საბჭო

ნათელა ვასაძე – აკადემიკოსი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი

ზურაბ ხონელიძე – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ლია მენთეშაშვილი – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ლუბა ბიბილეიშვილი – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი

თემურ ჯაგოდნიშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

მაია ახვლედიანი – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ყარამან ფალავა – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

მერაბ ბერიძე – ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

იაგორ ბალანჩივაძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ლია ახალაძე – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ვაჟა დანელია – სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ლუდმილა ბეჟენარუ – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, უცხოენებისა და ლიტერატურის კათედრის დოცენტი

ISBN 978-9941-508-07-3

ORGANIZING COMMITTEE OF THE CONFERENCE

Zurab Khonelidze – Professor, President of the Academy of Educational Sciences of Georgia, Rector of Sokhumi State University.

Lia Menteshashvili - Vice-president of the Academy of Educational Sciences of Georgia, Professor

Luba Bibileishvili - Professor, Academician-Secretary of the Academy of Educational Sciences of Georgia

Imeri Basiladze – Professor of Kutaisi Akaki Tsereteli State University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Indira Dzagania - Professor Sokhumi State University, Vice-President of the Georgian Academy of Education

Vaja Gigauri – Doctor of Pedagogy, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Mamuli Buchukhishvili - Professor of Kutaisi Akaki Tsereteli State University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Gela Tsaava - Associate Professor Sokhumi State University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Irena Petkova - Assistant Professor Plovdiv University

EDITORIAL BOARD

Natela Vasadze – Academician, Honorary President of the Georgian Academy of Education.

Zurab Khonelidze – Professor, President of the Academy of Educational Sciences of Georgia, Rector of Sokhumi State University.

Lia Menteshashvili - Vice-president of the Academy of Educational Sciences of Georgia, Professor

Luba Bibileishvili - Professor, Academician-Secretary of the Academy of Educational Sciences of Georgia

Temur Jagodnishvili - Professor of Georgian Technical University, , Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Maia Akhvlediani – Associate Professor of Kutaisi Akaki Tsereteli State University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Karaman Pagava - Professor of Tbilisi State Medical University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Merab Beridze - Professor of Samtskhe-Javakheti State University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Igor Balanchivadze - Associate Professor of Kutaisi Akaki Tsereteli State University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Lia Akhaladze - Associate Professor Sokhumi State University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Vaja Danelia - Doctor of Social Sciences, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Ludmila Beczhenaru – Doctor of Philology Sciences, Romania, Iasi

შინაარსი

ზურაბ ხონელიძე – უნივერსიტეტების ახალი მისია	8
თემურ ჯაგოდნიშვილი – ქართული საუნივერსიტეტო განათლების პრობლემები.....	12
იმერი ბასილაძე, შალვა კირთაძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც რეგიონალური სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული კომპლექსი (გამონვევები და პერსპექტივები)	16
ნათელა მალაკელიძე პედაგოგის მომზადებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები	23
ომარ ცხადაძე, ნათელა კაკაურიძე – ტურიზმის როლი გლობალიზებულ სამყაროში	27
გიორგი ბერძულიშვილი – მათემატიკის მასწავლებლების მოსამზადებელ საუნივერსიტეტო კურიკულუმებში საძიებო მათემატიკური ამოცანების სწავლების ჩართვის აუცილებლობის შესახებ	33
ყარამან ფალავა – უნივერსიტეტი თანამედროვე ეტაპზე. ძირითადი გამონვევები	42
ვლადიმერ ადუიშვილი – მათემატიკის სწავლების სირთულეების დაძლევა დაწყებით საფეხურზე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით	50
ბაკურ ბაკურაძე, გიორგი ბრეგაძე – განტოლების ამოხსნის ერთი სპეციალური ხერხის სწავლება უმაღლესი სკოლის მათემატიკის სპეციალობის სტუდენტებთან	57
გიორგი ბრეგაძე, ბაკურ ბაკურაძე – ანალოგიის და განზოგადების გამოყენება საძიებო ამოცანების ამოხსნისას მათემატიკის სასკოლო კურსში	63
იაგორ ბალანჩივაძე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი განათლება“ მნიშვნელობა	71
ნოდარ ბარამიძე – სწავლის განწყობის შემუშავების დღევანდელი პრობლემები	77
ნანა ონიანი-სალინაძე სიმრავლეთა თეორიის და მათემატიკური ლოგიკის ელემენტების გამოყენებით დაწყებით კლასებში ამოცანების ამოხსნის ზოგიერთი მეთოდური თავისებურება.....	83
გელა ცაავა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია. ბრძოლა აღიარებისა და ინტერნაციონალიზაციისათვის	90
მამული ბუჭუხიშვილი მოსწავლეთა ინდივიდუალური და ჯგუფური აზროვნების ორგანიზების ერთი ხერხის შესახებ	95
მაია ახვლედიანი, ლალი აბდალაძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების პროგრამის გამოცდილება და დღევანდელი გამონვევები.....	99
თეიმურაზ გიორგაძე ედუარდ ბონოს კრიტიკული აზროვნების მეთოდის შესახებ	104
მერაბ მალრაძე განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო კურსის განწყობის თეორიაზე დაფუძნების საკითხისათვის	108
ნინო ყანჩელი, ნინო ჭოხონელიძე სწავლებისა და სწავლის პროცესის გაუმჯობესების თანამედროვე ფაქტორები	116
მერაბ ბერიძე, მაკა ბერიძე ღირებულებების გააზრება უნივერსიტეტის მისიის კონტექსტში.....	121

ვაჟა დანელია საუნივერსიტეტო განათლების ზოგიერთი ასპექტი უმალლესი სკოლის მისიის ისტორიისა და გლობალიზაციის ეპოქაში.....	129
კახა კვაშილავა - ქართულენოვანი განათლების პრობლემა ოკუპირებულ გალის რაიონში ..	134
ლალი ბოჭორიშვილი, მანანა თოფურია, კონსტანტინე თელია საუნივერსიტეტო სწავლების მომავალი, სურვილები და შესაძლებლობები	140
ლელა თავდგირიძე, ნატო შეროზია, დალი დობორჯგინიძე მასწავლებლის მომზადების პროგრამები და უნივერსიტეტის მისია (ბსუ-ს მაგალითზე).....	146
ლიუდმილა ბეჟენარუ, იულიან მოგა პროფესიული პედაგოგიური განათლება რუმინეთში.....	152
ჟანა ტოლისბაევა კულტურის აღზრდა, როგორც ალტერნატიული განათლების იდეა თანამედროვე შემოქმედებით უნივერსიტეტებში	158
ირენა კუდლინსკა, ნატალია მოსპანი პანდემიის შემდგომი სწავლების სტრატეგიები პედაგოგიური და მთარგმნელობითი სპეციალობებისათვის	164
ივანა პეტკოვა ლიტერატურული ტექსტის შესწავლის ერთი შესაძლო სტრატეგია	168
ინდირა ძაგანია, მარინე აროშიძე საქართველოს უნივერსიტეტების მისია საზოგადოებრივი განვითარების სტრატეგიული ორიენტირების ჩრდილში.....	174
ფილიპ სიკორა, პრზემისლავ ზიოლკოვსკი უმალლესი განათლების ინსტიტუტების (უნივერსიტეტი) შეცნობა (აღქმა) როგორც სოციალური პასუხისმგებლობა და დაქირავებული ორგანიზაციები.....	180
ავთანდილ ასათიანი საუნივერსიტეტო განათლება თანამედროვე გამონწვევების პირისპირ.....	199

CONTENT

Zurab Khonelidze – New mission of Universities.....	8
Temur Jagodnishvili – Problems of Georgian university education	12
Imeri Basiladze, Shalva Kirtadze – Akaki Tsereteli State University, as a Regional Scientific, Educational and Cultural Complex (challenges and prospects)	16
Natela Maglakelidze The Actual Problems of Teachers Training	23
Omari Tskhadadze, Natela Kakauridze – The role of tourism in a globalized world	27
Giorgi Berdzulishvili – On the necessity of including the teaching of searching math tasks in the university curricula for mathematics teacher training.....	33
Karaman Pagava - University at the modern stage. Key challenges	42
Vladimir Adeishvili – Overcoming the difficulties of teaching mathematics at the primary level using information and communication technologies	50
Bakur Bakuradze, Giorgi Bregadze – Teaching A Special Way Of Equation Solving For High School Maths Students	57
Giorgi Bregadze, Bakur Bakuradze Using Analogy And Generalization Of Solving The Exploratory Sums In School Curriculum.....	63
Iagor Balanchivadze The importance of the undergraduate educational program "Preschool Education".....	71
Nodar Baramidze – Today's Problems of Forming a Learning Set	77
Nana Oniani-Saginadze Some methodological features of solving tasks in elementary grades using elements of set theory and mathematical logic	83
GELA TSAAVA Mission of Abkhazian State University. Struggle for Recognition and Internationalization.....	90
Mamuli Buchukhishvili About one way of organizing individual and group thinking of students	95
Maia Akhvlediani , Lali Abdaladze Experience and current challenges of the 60-credit teacher training program of Akaki Tsereteli State University Pedagogical Faculty	99
Teimuraz Giorgadze About Edward de Bono's method of critical thinking	104
Merab Maghradze For the Issue of Basing Learning Course of Education Psychology on the Theory of Set	108
Nino Kancheli, Nino Chokhnelidze Contemporary Factors of Enhancing Teaching and Learning Process	116
Merab Beridze, Maka Beridze Understanding values in the context of the university's mission	121
Vaja Danelia Some aspects of university education in the era high school mission of history and globalization.....	129

Kakha kvashilava , The Problem of Georgian Language Education in the Occupied Gali Region	134
Lali Bochorishvili, Manana Topuria, Konstantin Telia The future, disires, and possibilities of University teaching	140
Lela Tavdgiridze, Nato Sherozia, Dali Dobordginidze Teacher Training Programs and the Mission of the University	146
Ludmila Bejenaru, Julian Moga - Formation of the system of professional teacher education in Romania.....	152
Janna Tolisbaeva Cultivation of culture as an idea of alternative education in modern creative universities	158
Irena Kudlinska, Natalia Mospan Post-pandemic Teaching Strategies for the Pedagogical and Translation Studies Specialties	164
Ivana Petkova On one possible strategy for studying the literary text.....	168
Indira Dzagania, Mirina Aroshidze The mission of Georgian universities in the light of strategic guidelines for social development.....	174
Filip Sikora, Przemysław Ziolkowski Higher education institution (university) perceived as a socially responsible and engaged organization.....	180
Avtandil Asatiani University education in the face of modern challenges.....	199

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს განათლების მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი
საქართველოს, თბილისი

უნივერსიტეტის ახალი მისია

პოსტსაბჭოთა ეპოქა წინააღმდეგობებით სავსე აღმოჩნდა, აუცილებელი გახდა საზოგადოებისთვის ახალი იდეებისა და კონცეფციების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობდა მუდმივად ცვალებად სამყაროში ჩვენი ქვეყნის ადგილის დამკვიდრებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ტრანსფორმაციას. პოსტსაბჭოთა ეპოქაში დაგროვილი პრობლემები არც უნივერსიტეტისთვის აღმოჩნდა უცხო. აუცილებელი გახდა უნივერსიტეტში ეპოქის შესაბამისი სიახლეების შეტანა და მისთვის ახალი მისიის მინიჭება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ვერ გადაურჩა თავსმოხვეულ ე.წ. ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებს, რომელთა ტრაგიკულად მძიმე შედეგები დღესაც აისახება ქართულ სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე, ქართულმა უნივერსიტეტებმა შეძლო თავის გადარჩენა და უმძიმესი წლების გადატანა.

ქართველი ერისა და სახელმწიფოს წინაშე დღეს დგას გამოწვევა – საქართველოს ერთიანობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხო, გარანტირებული მომავლის უზრუნველყოფის უპირველეს ამოცანად ვაღიაროთ ე.წ. ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები. მისი დაძლევა რეალობის პრაგმატული გააზრებით მოითხოვს:

ა) შეიცვალოს ქვეყანაში 1993 წლიდან დღემდე გადაუჭრელი პრობლემის – კონფლიქტისადმი დამოკიდებულება, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების მხრიდან;

ბ) ვაღიაროთ, რომ კონფლიქტის გაჭიანურების მიზეზი არის არა დარეგულირების შესაძლებლობის არარსებობა, არამედ, ჩვენი „დაფარულობა“ – ვერ ვხედავთ გზას და მივდივართ სხვა მიმართულებით;

გ) გავაცოცხლოთ კონფლიქტის თემა, რომელიც, სწორი მიდგომის შემთხვევაში, არა თუ დამატებითი სირთულეების გაჩენით, ჩიხურ მდგომარეობაში მოაქცევს ქვეყანას, არამედ, პირიქით, იგი უკვე არსებული ჩიხიდან გამოსვლის იმ შენიღბულ შესაძლებლობად უნდა განვიხილოთ, რომელიც საქართველოს სრულფასოვან სახელმწიფოდ გარდაქმნის ახალ გზაზე გაიყვანს.

სწორედ ამ აზრის რეალიზაციის მცდელობას წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომი – „**უნივერსიტეტის ახალი მისია**“, რომელიც არა მხოლოდ თეორიული დატვირთვის, არამედ, პრაქტიკული ღირებულების მატარებელია (არაფერია კარგ თეორიაზე პრაქტიკული). რეალურად, აჩენს შესაძლებლობას, პოლიტიკური წესების დაცვით, სიღრმისეული ცვლილება შევიტანოთ ჩვენს აზროვნებაში, უსარგებლო ინსტრუმენტის – უსასრულო, მოდური და არა საგნობრივი ლანძღვის ნაცვლად, სხვა ერებთან და ქვეყნებთან მშვიდობიანი თანაარსებობით, შევქმნათ ახალი ნარატივი, სასურველისკენ შევცვალოთ არსებული მოცემულობა და, შესაბამისად, ქართული სახელმწიფოს ბედი – მისი მომავალი.

ნაშრომში წარმოდგენილია განათლების პოლიტიკის ახალი მიმართულება – „საუნივერსიტეტო დიპლომატია“, როგორც უნივერსიტეტის განახლებული მისია, მშვიდობის მშენებლობის თანამედროვე ფორმა, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ახალი სახეობა.

საუნივერსიტეტო დიპლომატია ცხადყოფს, რომ:

- ✓ საქართველოს სუვერენიტეტისა და ერთიანობის უპირველესი პრობლემის – კონფლიქტების მოგვარების გზა არის მშვიდობიანი და გადის ჰუმანიზმზე დაფუძნებულ საყოველთაო ღირებულებებზე: განათლებაზე, მის უმაღლეს მწვერვალზე – მეცნიერებაზე და საზოგადოების ყველაზე ჯანსაღ, მოტივირებულ და პრაგმატულად მოაზროვნე ნაწილზე – ახალგაზრდობაზე. ცხადია, სამივე კომპონენტი ერთად თავს იყრის და მშვიდობიანად თანაარსებობს მხოლოდ თავისუფალ საუნივერსიტეტო სივრცეში. თუმცა, სამწუხაროდ, თანამედროვე პირობებში უნივერსიტეტი, რომელსაც განგებამ, ძირითად საგანმანათლებლო ფუნქციასთან ერთად, სამშვიდობო პროცესის ინდიკატორის შესაძლებლობა მისცა, ბოლომდე არ აღმოჩნდა ადეკვატური დროსთან მიმართებაში, ვერ გააცნობიერა საკუთარი ისტორიული პასუხისმგებლობა;
- ✓ საუნივერსიტეტო იდეა კრიზისს განიცდის, თუმცა, უნივერსიტეტს, როგორც უნივერსალურ მოდელს, მისი განუსაზღვრელი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, აქვს შიდა რესურსი, დაასაბუთოს თავისი სიცოცხლისუნარიანობა, შეძლოს კონფლიქტების რეგულირების არჩეული – სამშვიდობო სტრატეგიის პოლიტიკური ველის საუნივერსიტეტო რესურსით შევსება და აქტიურად ჩაერთოს, მეტიც, იქცეს სამშვიდობო პროცესის ეპიცენტრად. საქართველოს მაგალითზე, ვგულისხმობთ, არა ზოგადად უნივერსიტეტს, არამედ, განსაკუთრებით, ქვეყნის ბედის თანაზიარ „პოლიტიკის მსხვერპლს“, აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელ ცოცხალ ორგანიზმს – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს. უნივერსიტეტს, რომელიც სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე (მსგავსი ბედის მსოფლიოში რამდენიმე „დევენილი უნივერსიტეტია“), აჩენს შესაძლებლობას, კონფლიქტში შესვლის ან ერის ისედაც დეფიციტური ენერჯის კონფლიქტის შედეგებთან ბრძოლისკენ მიმართვის ნაცვლად (წარსულისგან განსხვავებით), უნივერსიტეტის თავისუფალ აკადემიურ სივრცეში მხოლოდ თემის შემოტანითა და არა საუსანივერსიტეტო რესურსის გაერთიანებით, კონფლიქტით დაინტერესებულ სუბიექტებთან, უპირველესად, ხელისუფლებასთან (ასევე, სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და „მხარეებთან“) მეცნიერულ-ჰუმანიტური დიალოგის გაჩენით კონფლიქტის მიზეზების დადგენასა და პრობლემის რეალურ დარეგულირებას მოემსახუროს;
- ✓ მიზნის რეალიზაციამ უნივერსიტეტისგან არა მხოლოდ ტრანსფორმაცია, არამედ, ხარისხობრივად ახალი ცოდნის – ახალი სიცოცხლის წარმოქმნა მოითხოვა. ამან კი, დამატებითი, არასაუნივერსიტეტო რესურსის სახით, მეორე აუცილებელი, ასევე, მხოლოდ მშვიდობიანი ხასიათის მატარებელი სუბიექტის – დიპლომატიის, როგორც მოლაპარაკების მეცნიერებისა და ურთიერთობის ხელოვნების მოძიება და მასთან შერწყმა განაპირობა.

ორი თავსებადი თვისობრიობის – უნივერსიტეტისა და დიპლომატიის ერთობამ ჩამოაყალიბა ჩვენი ახალი ხედვა – ახალი პარადიგმა: „თეორიიდან ქმედებისკენ“, შექმნა საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის არა კლასიკური, ან ფორმალური, არამედ, სრულიად ახალი სახეობა – „საუნივერსიტეტო დიპლომატია“, როგორც კონფლიქტის (არ ვგულისხმობთ მხოლოდ ეთნო-პოლიტიკურსა და არც საქართველოს კონფლიქტებს) დამარეგულირებელი სისტემის შემქმნელი, და არა მსახური, თავისთავადობა – მშვიდობის უზრუნველყოფის ახალი ორიგინალური საშუალება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზურაბ ხონელიძე. მშვიდობის ქართული პარადიგმა, თბილისი, 2021
2. ზურაბ ხონელიძე. საუნივერსიტეტო დიპლომატია, თბილისი 2013.

NEW MISSION OF UNIVERSITIES

The post-Soviet era turned out to be full of contradictions, it became necessary to offer new ideas and concepts to society, which would contribute to the establishment of our country's place in the constantly changing world and the transformation of public life. The problems accumulated in the post-Soviet era were not alien to the university either. It became necessary to bring the innovations relevant to the era to the university and to give it a new mission. Nevertheless, Georgian universities were able to survive and overcome the most difficult years.

It is a fact that the highly intellectual Georgian nation and the Georgian state are faced with a challenge: to ensure unity, prosperity, and a secure, guaranteed future of Georgia. To reach these goals, the primary task is the resolution of the so-called ethno-political conflicts. Using the way of pragmatic reasoning, the achievement of this goal demands the following:

a). Change the attitude toward the conflict in Abkhazia, which has remained unresolved since 1993, by first of all changing the governmental attitude.

b). Recognize that the reason for procrastinating on a solution to the conflict is not because of a lack of a proposed prospect of settlement, but because our blurred vision and the fact that we do not see the proper way of executing this settlement.

c). Revive the dialogue surrounding the Abkhazia conflict. This dialogue, if approached correctly, will not put the country in deadlock by heaping additional difficulties on to it; on the contrary, it will be rendered as a latent opportunity to break the existing deadlock, which will lead to a new path forward in transforming Georgia into a full-fledged state.

It is exactly this idea, born of the inner need and the attempt of its realization, that makes the present work, Georgian Paradigm of Peace, not only a theoretical work, but one which has practical value (nothing is more practicable than a good theory). In fact, by way of following the political rules, it creates the possibility of making a profound change in our thinking about peaceful coexistence with other nations and countries. This is also a chance to create a new and more desirable narrative, to change the existing given and, consequently, to alter the Georgian state, its fate, and, ultimately, its future.

The paper presents a new direction of education policy: "University Diplomacy" as a renovated mission of the university, a modern form of peacebuilding, and a new type of International Relations and diplomacy.

University Diplomacy makes clear that:

- ✓ The way to resolve the main problem of Georgia's sovereignty and unity – conflict – is peaceful and utilizes universal values based on humanism: education, science (education's highest achievement), and the healthiest, most motivated and pragmatic part of society – the youth. Clearly, all three components come together and coexist peacefully only in a free university space. Unfortunately, however, in the modern world, the university, which, along with its basic

educational function, is an indicator of the peace process, has not adequately developed from its origins to properly situate itself in the greater society, and has failed to realize its historical responsibility.

- ✓ The idea of the university is in crisis, however. The university, as a universal model, due to its great possibilities, has the internal resources to prove its viability, and is able to fill the political field of the peace strategy with more university resources, actively involve the political field, and, moreover, transform itself into the epicenter of the peace process. By the example of Georgia, we mean not the university in general, but the Sokhumi State University in particular the “victim of politics” - that shares the fate of the country, the living organism that connects Abkhazia with the rest of Georgia. The University, issuing from its strategic importance (there are several “refugee universities” in the world with a similar fate) has the opportunity to simply bring into the academic space the theme in question, to unify the non-university community, and to establish a scientific-humanistic dialogue with the parties of the conflict—first and foremost, the government (along with civil society, international organizations, and “parties”), to determine the causes of the conflict and to propose a real settlement of the problem instead of entering the conflict or using the nation’s already-deficient energy on fighting the consequences of the conflict.
- ✓ To achieve the goal of peacebuilding, the work of the university must encompass not only the transformation, but also the creation of qualitatively new knowledge – new life. This knowledge will lead to the search for and merging of the university with the second essential subject (the only peaceful one) of diplomacy, as the science of negotiation and the art of communication.

The coupling of two compatible entities – university and diplomacy – has created a new paradigm: “from theory to action.” This paradigm is neither a mere formality nor a recasting of a classical model of diplomacy, but a completely new kind of international relations. University Diplomacy is a conflict-regulatory system (not just of ethno-political or indigenous conflicts) that does not merely service or critique the field of International Relations, but stands on its own as a new means of ensuring peace.

References:

1. Zurab Khonelidze. Georgian Paradigm of Peace, Tbilisi, 2021.
2. Zurab Khonelidze. University Diplomacy, Tbilisi 2013.

ქართული საუნივერსიტეტო განათლების პრობლემები

ქართული საუნივერსიტეტო განათლება საუკუნეზე ცოტა მეტ დროს ითვლის. პირველი ქართული უნივერსიტეტი, როგორც ცნობილია, თბილისში 1918 წლის 26 იანვარს (ძველი სტილით) გაიხსნა, ამით აღსდგა ჩვენში განათლების ისტორიული სახელმწიფოებრივი ტრადიციები. ქართველებით აღსავსე ეპოქაში უნივერსიტეტის გახსნა სწორედ ამ ტრადიციების ძალუმი შეგრძნებით გახდა შესაძლებელი. ქართველ საზოგადოებაში ღრმად იყო გაცნობიერებული განათლების მნიშვნელობა და ეს ბრწყინვალედ აისახა იმჟამად ქართველი ხალხის სულიერი მამის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის კირიონ მეორის სიტყვაში, რომელიც ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღეს წარმოთქვა. მან ბრძანა: „განათლებით ირჩევა კაცი კაცისაგან. იგი ფასდაუდებელი საუნჯეა, რომლის შექმნას ბევრი დრო, მოთმინება და ცდა უნდა. განათლებას ფასი და მნიშვნელობა მხოლოდ მაშინა აქვს, როცა მას რიგიანად გამოვიყენებთ“.

ჩვენმა წინაპრებმა შესანიშნავად უწყოდნენ, რომ „ერი და ქვეყანა, რომელსაც უნივერსიტეტი, უმაღლესი საგანმანათლებლო კერა არ აქვს, ვერ მიიჩნევა სრულყოფილად“.

კაცობრიობის ისტორიამ არაერთგზის ცხადყო, რომ განათლების სისტემას ემყარება ეროვნული ცნობიერება და მისი დანგრევა ერის დაქცევას იწვევს... ისიც არაერთგზის დაგვანახა, რომ ერის განადგურებისათვის აუცილებელი არ არის ომები და მეხთატეხა. საამისოდ საკმარისია განათლების სტანდარტების დაწევა და მოსწავლეების ცულლუტობაზე თვალის დახუჭვა.

ისიც კარგადაა ცნობილი, რომ განათლების (განათლებულობას) ეპოქის სულისკვეთება განსაზღვრავს და მისი საკუთრივი შინაარსიც ამ სულისკვეთებასთან შესაბამისობაში იკითხება.

პრაგმატიზმით გამორჩეულ ჩვენს ეპოქაში უნივერსიტეტი, განსაკუთრებით სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვერ მისცემს თავს ისეთი ფუფუნების უფლებას, რომ განათლება (ცოდნა) მხოლოდ შემეცნების პროცესის მიზნით, აუდიტორიისთვის, ანუ თავისთავადი (თვითმიზნური) განათლებულობისათვის გასცეს. მთავარი გახდა თანამედროვეობის მოთხოვნილებათა სიმალის პრაქტიკოსი პროფესიონალის მომზადება, მისთვის თეორიული განათლების გაღრმავების პერსპექტივის შექმნა და უზრუნველყოფა უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად (პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო საფეხურები); ამას გარდა, საგანმანათლებლო პროგრამებში თეორიული აკადემიურ კურსებთან შედარებით პრაქტიკული (ინჟინირინგული ან გამოყენებითი) საგნების სწავლება.

ამავე მიზანს დაექვემდებარა საუნივერსიტეტო და საბჭოთა ეპოქისდროინდელი აკადემიური საინსტიტუტო ცოდნათა დაახლოება, შერწყმა.

საბჭოთა საქართველოს განათლება (ფართო გაგებით) და მეცნიერება ერთმანეთისაგან განასხვავებდა აკადემიურ და საუნივერსიტეტო მეცნიერებებს. ახალი ცოდნის საძიებო კვლევები წარმოებდა უმაღლეს სკოლებში და მეცნიერებათა აკადემიისა და სამინისტროებისა თუ უწყებათა დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და ცენტრებში. განსხვავება მათ შორის მდგომარეობდა მოპოვებული ახალი ცოდნის პრაქტიკული რეალიზების ფორმებში. საუნივერსიტეტო მეცნიერების მონაპოვარი სასემინარო, ლაბორატორიული და პრაქტიკულ მეცადინეობებში ჩართვის (ტრადიციულ მეცადინეობებში ჩართვის (ტრადიციულ ცოდნასთან შერწყმით) გზით პოულობდა მიზნობრივ რეალიზებას.

აკადემიური მეცნიერების კვლევების შედეგების რეალიზებისათვის კი იქმნებოდა საშუაშაველო სა-
მეცნიერო ცენტრები. მათ მიზანს შეადგენდა თეორიული კვლევებით მიღებული ცოდნის პრაქტიკაში
გამოყენების გზების ძიება.

ახალი ცოდნის გამოყენების თვალსაზრისით საუნივერსიტეტო მეცნიერებას უპირატესობა ჰქონ-
და აკადემიურთან შედარებით, თუმცა გამოყენებითი ასპექტები მაინცა და მაინც მასშტაბური არ იყო,
ერთი კონკრეტული სკოლის სივრცით შემოიფარგლებოდა. ამის მიუხედავად, მეცნიერებათა აკადე-
მიის დაქვემდებარებაში არსებული პროფილური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გადაცემა
უნივერსიტეტებისათვის, რაც ჩვენში ამ ორი ათწლეულის წინ განხორციელდა, უდავოდ პროგრესუ-
ლი ნაბიჯი იყო.

აღნიშნულით შესაძლებელი გახდა მეცნიერთა ჩართულობის უზრუნველყოფა, ერთი მხრივ, სას-
ნაველო პროცესში, მეორე მხრივ, მეცნიერულ კვლევებში. ამ გზით მოხერხდებოდა მეცნიერული ძა-
ლების ოპტიმიზება, გარკვეული პარალელიზმების აღმოფხვრა (იგულისხმება ერთ პრობლემაზე რამ-
დენიმე მეცნიერის ან მეცნიერთა ჯგუფის მუშაობა, რაც ყოველთვის არაა გამართლებული, უპირვე-
ლეს ყოვლისა, ფინანსური თვალსაზრისით). უდავოა, რომ უფრო გამართლებულია კვლევითი ინსტი-
ტუტის მეცნიერის ჩართულობა შესაბამისი პროფილის საუნივერსიტეტო სასწავლო დეპარტამენტის
სასწავლო პროცესში.

მოცემულ ეტაპზე, სამწუხაროდ, ამგვარი ჩართულობა ნაკლებად არის უზრუნველყოფილი. მეცნი-
ერებათა აკადემიის ყოფილი პროფილური ინსტიტუტები ნაკლებად არიან ჩართულები საუნივერსი-
ტეტო სასწავლო პროცესში და დიდი პოტენციალი გამოუყენებელი რჩება. ამის გამო მწვავე პრობლე-
მად გვევლინება მეცნიერული და თეორიული კვლევების შედეგების ინჟინირინგის, ანუ პრაქტიკაში
გამოყენების ეფექტიანობის გზების ძიება. ამ პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, მაგალითად,
საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოცი-
ალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მზადდება სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომე-
ლიც მოამზადებს მეცნიერების კონკრეტული მიმართულების ახალი ცოდნის პრაქტიკაში ეფექტური
რეალიზებისა და პიარის მკვლევრებს. ამ გზით გადაწყდება საუნივერსიტეტო ახალი ცოდნის ეფექ-
ტურად „გაყიდვის“ პრობლემაც.

ახალი ცოდნის შექმნა კი თანამედროვე უნივერსიტეტის მისიის მნიშვნელოვანი მდგენელია. ამ
ცოდნის შექმნის ერთ-ერთ ეფექტურ გზას ამჟამად კვლევითი კლასტერების შექმნა წარმოადგენს. ამ
გზით წყდება სხვადასხვა მეცნიერული მიმართულების, დარგების ერთობლივი მიზნობრივი კვლევე-
ბით თვისებრივად და ხარისხობრივად ახალი ცოდნის შექმნის ამოცანები, რაც პირდაპირ შეესაბამება
თანამედროვეობის გლობალისტურ სულისკვეთებას.

ქართული უმაღლესი სკოლა თვით საბჭოთა კავშირის დაშლამდეც, განსაკუთრებით ბოლო ათწ-
ლეულებში, ეროვნული სულისკვეთების დეფიციტს ნამდვილად არ განიცდიდა, მეტიც, ეროვნული
მოძრაობის ცენტრის როლს ასრულებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საუნივერსიტეტო სივრცე დაცლი-
ლი იყო საბჭოური იდეოლოგიისაგან. ეს კეთილისმყოფელი ვითარება სამწუხაროდ, არ იქნა გამოყე-
ნებული ქართული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის დასამკვიდრებლად, თანამედროვე სამყაროში
ქართული სახელმწიფოს მისიის გასაცნობიერებლად საუნივერსიტეტო აკადემიურ დონეზე. ამისათ-
ვის საჭირო იყო ცალკე საგნად შემოგველო ეროვნული მისიის სწავლება, რაც შეასრულებდამთავარი
ორიენტირის ფუნქციას მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირებაში. ეს დიდმნიშვნელოვანი ამო-
ცანა ვერ გადაწყდა და ეს ჩვენი უმაღლესი განათლების დიდ ნაკლს წარმოადგენს. ამის გამოა, რომ
დღეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მისიის გაცნობიერებას მთლიანად ჩაენაცვლა ევრო-ატლანტი-
კური სივრცის გლობალისტური კულტურული ელემენტების სწავლება, რაც არც თუ იშვიათად უცხოა
ქართული კულტურული ცნობიერებისათვის.

აღნიშნულის ერთი გამოვლენაა საუნივერსიტეტო აკადემიური სივრცის დარგობრივი (ფუნქციუ-
რი) ენის ლექსიკა-ფრაზეოლოგია. აკადემიური სივრცე საერთოდ კონსერვატიულია, სიახლეებს გო-

ნივრული სიფრთხილით ეკიდება და ეს გარემოება უპირველესად ტერმინოლოგიასა და ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში ვლინდება.

ქართული საგანმანათლებლო სივრცის დარგობრივი ენა ამჟამად მნიშვნელოვნად შეიცვალა. დამკვიდრდა ევროატლანტიკური სივრცის აკადემიური ტერმინოლოგია და ლექსიკა-ფრაზეოლოგია. ამაში საგანგაშო, ერთი შეხედვით, არაფერია, რადგან ეს ეროვნული ენის სიცოცხლისუნარიანობის ერთ პირობასაც წარმოადგენს.

საყურადღებო და ანგარიშგასანევი ამ შემთხვევაში უცხო ლექსიკა-ფრაზეოლოგიის გამოყენების მართებულობის დაცვაა – გამოყენება საკუთარი ლექსიკური ერთეულის არქონის შემთხვევაში, რაც, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად ირღვევა. თუ საუნივერსიტეტო-აკადემიური (და საერთოდ საჯარო) სივრცის დარგობრივი ენა, მისი ლექსიკა-ფრაზეოლოგია დროის სულისკვეთებასთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს, ფორმირების პროცესშია, იგი ჩვენი ეროვნული ენის ლექსიკა-ფრაზეოლოგიას უნდა დაემყაროს ტერმინოლოგიით გონივრული გამდიდრების საფუძველზე.

მართალია, ევრო-ატლანტიკური აკადემიური სივრცის ტერმინოლოგიით, ლექსიკა-ფრაზეოლოგიით გატაცება გააადვილებს ქართველი სტუდენტების მობილობასა და ინტეგრირებას უცხოეთის სასწავლო, სამეცნიერო, კულტურულ ცენტრებში, ხელს შეუწყობს მათს შრომით დასაქმებას, მაგრამ, სამწუხაროდ, წაახალისებს უცხოეთში მიგრირების პროცესებს, რაც რიცხობრივად მცირე ქვეყნებისათვის სახელმწიფოებრივად ვერ იქნება მომგებიანი.

ამ შემთხვევაში, მართალია, თავის სიტყვას ამბობს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის შრომითი მონყოლის-დასაქმების პრობლემაც, მაგრამ მომავლის პერსპექტივებზე ბუნებრივი გათვლით მაინც იმ საგანმანათლებლო პოლიტიკას უნდა დავემყაროთ, რაც დიპლომირებული სპეციალისტის მომზადებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ ეროვნული კულტურული ცნობიერებით გამორჩეული პროფესიონალის, მოქალაქის, მოღვაწის.

ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამებში, თუნდაც თავისუფალი და არჩევითი სასწავლო კურსების ფორმატში, მიზანშეწონილია ზოგადი განათლების – ნიგნიერების განმსაზღვრელი საგნების (მაგ., ისტორიის, ეროვნული კულტურის, კულტუროლოგიის, მსოფლიო ისტორიის...) შეტანა; ნიგნიერების უპირატესობის უზრუნველყოფა ინფორმირებულობაზე, რაც თანამედროვე განათლების უმწვავესი პრობლემაა. უკვე ჩვენი თანადროულობა ცხადყოფს იმ ცთომილების სავალალო შედეგებს, როდესაც ერთმანეთთან აიგივებენ ინფორმირებულობას და განათლება-ნიგნიერებას, როცა ივინყებენ, რომ ინფორმაციის ფლობა არ ნიშნავს ცოდნა-განათლებას და ნიგნიერებას.

ნიგნიერების პრობლემასთან პირდაპირ კავშირშია სწავლა-სწავლების პროცესების განუყოფლობა, რადგან ფუნდამენტური, ჭეშმარიტი ცოდნა ამ ცოდნის სხვისთვის გადაცემის (გაგებინების) უნარს ემყარება. საკუთარი ცოდნის სხვის ცოდნად ქცევის უნარი პედაგოგების უნარიც არის. აქედან გამომდინარე, თანამედროვე, საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებში უნდა აღდგეს დარგის სწავლების თეორიული, მეთოდოლოგიური და პედაგოგიური პრაქტიკის სწავლება. ამ გზით პედაგოგების მომზადება გაცილებით ეფექტური გახდება და შემცირდება არაეფექტური და ზედმეტი ფორმალური ლოტოტრონების, ტესტირებების ჩატარების აუცილებლობა, რომელთა მეშვეობითაც მონმდება პედაგოგობის მაძიებელთა მეხსიერება და არა ცოდნა.

დღეს ქართული განათლება უმძაფრესი გამოწვევების წინაშე დგას. მათგან ბევრი ობიექტური მიზეზითაა გამომწვეული (გლობალიზაციური პროცესები, თანამედროვეობის უმძაფრესი გამოწვევა – „ღია საზოგადოების“ იდეოლოგია), ზოგიც სუბიექტურია და ქართველი კაცის წამბაძველობის მენტალური მიდრეკილობით განპირობებული. ამ გამოწვევათა შორის უმთავრესია **განათლების სტანდარტების დაწევა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დამკვიდრების მცდელობა** დემოკრატიზმის ვითომობითი ლოზუნგით და თავად უნივერსიტეტის ცნებისა და მისი საგანმანათლებლო კონცეფციის გაუფასურებით. ამ პრობლემის გადაწყვეტაშია სწორედ საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის როლი.

რეზიუმე

მოსხენებაში განხილულია თანამედროვე ქართული საუნივერსიტეტო განათლების რამდენიმე საკითხი. მითითებულია, რომ უნივერსიტეტის არსებობა თავისთავად განსაზღვრავს ქვეყნის ცივილიზებულიობის ხარისხს.

თანამედროვეობის პრაგმატიკა აიძულებს უნივერსიტეტებს უარი თქვან მხოლოდ აუდიტორიის ემანსიპაციისათვის საჭირო ცოდნის გაცემაზე და მოამზადოს პრაქტიკოსი პროფესიონალები. თუმცა პატარა ქვეყნებისათვის ეს საკმარისი არ არის. აუცილებელია უნივერსიტეტი დაემყაროს ეროვნულ საგანმანათლებლო ტრადიციებს, აკადემიური სივრცის დარგობრივი ენის ლექსიკა-ფრაზეოლოგიას, ჰუმანიტარული განათლების განმსაზღვრელი სასწავლო კურსების სწავლებას, ინფორმირებულობაზე მეტად ახალი ცოდნის გაცემას, განათლების სტანდარტების ამაღლებაში.

საკვანძო სიტყვები: უნივერსიტეტი, მისია, განათლება, საუნივერსიტეტო მეცნიერება, აკადემიური სივრცის დარგობრივი ენა, განათლების სტანდარტების დაწევა.

Temur Jagodnishvili
Professor of Georgian
Technical University
Georgia, Tbilisi

PROBLEMS OF GEORGIAN UNIVERSITY EDUCATION

Summary

Several issues of modern university education are discussed. It is indicated, that existence of university in itself determines the degree of civilization in the country.

The pragmatism of contemporary life forces university to give up only the knowledge necessary for the emancipation of the audience and train practicing professionals, although, it's not enough for small countries. It is necessary for the university to be based on the national educational traditions, the vocabulary and phraseology of the academic language, the teaching of the defining courses of humanitarian education, the imparting of new knowledge rather than the awareness, raising the standards of education.

Key words: university, mission, education, university science, sectoral language of academic space, lowering of education standards.

იმერი ბასილაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
საქართველო, ქუთაისი

შალვა კირთაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც რეგიონალური სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული კომპლექსი (გამოწვევები და პერსპექტივები)

კვლევის აქტუალობა

მიგვაჩნია, რომ ქართულ სახელმწიფოს მკაფიოდ არა აქვს გააზრებული, როგორი უმაღლესი განათლება სჭირდება დღეს. ძირითადად, დისკუსია ემყარება იმას, რომელი მოდელი უფრო არის ახლოს ჩვენთან, ან უფრო უარეს შემთხვევაში, ვცდილობთ, კოპირება გავაკეთოთ რომელიმე ქვეყნის განათლების სისტემისა.

ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ დღეს, როდესაც უმაღლესი განათლების მშენებლობის პრინციპები მთელ მსოფლიოში ტექტონიკურ ცვლილებებს განიცდის, ვფიქრობთ, აუცილებელია გავიგოთ, რა გამოწვევების წინაშე დგას ქართული უმაღლესი განათლების სისტემა.

განათლების სისტემაში არსებულმა ძვრებმა გამოწვია, ის რომ დღევანდელი მსოფლიო უნივერსიტეტები სწრაფად იცვლებიან. სწორედ, ამ ფონზე, ჩვენ უნდა გამოვავლინოთ ეროვნული უმაღლესი განათლების მთავარი გამოწვევები. გამოვავლინოთ ის ინდიკატორები, რომლებიც გააუმჯობესებს უნივერსიტეტის როლს არა მხოლოდ განათლებასთან ურთიერთობის სფეროში, არამედ საზოგადოებასთან ურთიერთქმედებაში, რამდენად გახდება უნივერსიტეტი მომავალში მდგრადი ორგანიზაცია, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს რეგიონის განვითარების საქმეში.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს უმაღლესი განათლების პრობლემები, გამოწვევები, პერსპექტივები და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, როგორც რეგიონალური სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურული კომპლექსის ხედვა ამ პრობლემების გადაჭრის საქმეში და შესაბამისი რეკომენდაციების მიცემა.

კვლევის საგანი

ჩვენი კვლევის საგანს, ამ ეტაპზე, წარმოადგენს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც რეგიონალური სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურული კომპლექსი, მისი როლი რეგიონის საგანმანათლებლო სივრცესა და ეკონომიკური მდგრადობის განვითარების საქმეში (გამოწვევები და პერსპექტივები).

კვლევის მეთოდოლოგია

შევისწავლეთ რა როლი აკისრია სსიპ- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს რეგიონის განვითარების საქმეში მისი მისიიდან გამომდინარე, გამოვიყენეთ რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები.

კვლევის სიახლე

დღეს თანამედროვე უნივერსიტეტები ეფუძნებიან სამეცნიერო კვლევას და ყურადღება ეთმობა განათლების ინდივიდუალიზაციას. ჩვენი აზრით, ეს კარგია, რადგან დღეს შეუძლებელია ზუსტად პროგნოზირება, თუნდაც 10-15 წლით ადრე, როგორი სპეციალისტები დასჭირდება მომავალში საზოგადოებას. დადგენილი იქნება საჭიროებები, რომელთაც შევთავაზებთ უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, უნივერსიტეტის სამომავლო როლზე რეგიონის განვითარების საქმეში.

კვლევის სტრატეგია

კვლევა მოიცავს ხარისხობრივ და რაოდენობრივ კომპონენტებს. ხარისხობრივი კომპონენტის ფარგლებში ჩავატარეთ გამოკითხვა, რომელიც განხორციელდა საჯარო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებთან. რაოდენობრივი კომპონენტის მიზანს კი წარმოადგენს ინფორმაციის შეგროვება სამიზნე ჯგუფებიდან.

შერჩევის მეთოდი

სამიზნე ჯგუფებად შერჩეულ იქნა იმერეთის რეგიონის სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები.

გამოყენებული მიდგომა

სტატისტიკური მეთოდებით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საჯარო სკოლის მასწავლებლები და უმაღლესი სკოლის აკადემიური პერსონალი აღიარებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლს რეგიონის განვითარების საქმეში.

I ეტაპი - საჯარო და უმაღლეს სკოლებში, რეგიონში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაკავშირებით არსებული სიტუაციების გამოკითხვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება.

II ეტაპი - სამოქმედო გეგმის განხორციელება. გარკვეული უნდა ყოფილიყო რამდენად იცნობენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს? სწავლობს თუ არა მათი სკოლადამთავრებულები აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში? მუშაობენ, თუ არა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები თქვენს სკოლაში? როგორ აფასებთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლს ქვეყნისა და რეგიონის განვითარების საქმეში? რა უნდა გაკეთდეს უნივერსიტეტში იმისათვის, რომ ამაღლდეს სწავლების ხარისხი და უნივერსიტეტი იქცეს მდგრად ფინანსურ დაწესებულებად?

III ეტაპი - შედეგების შეფასება და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

კვლევის პირველ ეტაპზე იმერეთის რეგიონის საჯარო და უმაღლეს საგანმანათლებლო სკოლებში ჩავატარეთ გამოკითხვა სკოლის მასწავლებლებთან და აკადემიურ პერსონალთან. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო საჯარო სკოლის 300 - მდე მასწავლებელმა და უმაღლესი სკოლის 200-მდე აკადემიურმა პერსონალმა.

კვლევის მეორე ეტაპზე ანკეტა - კითხვარში იმერეთის რეგიონის საჯარო სკოლებისათვის დავაფიქსირეთ შემდეგი სამი მთავარი კითხვა: 1. რამდენად იცნობენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს? 2. მუშაობენ თუ არა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები თქვენს სკოლაში? 3. სწავლობენ, თუ არა მათი სკოლადამთავრებულები აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში? ხოლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის ორი კითხვა: 1. როგორ ხედავენ უნივერსიტეტის სამომავლო პერსპექტივებს? და 2. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამაღლდეს სწავლების ხარისხი და გახდეს მდგრადი, ფინანსურად ძლიერი სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება?

კვლევის მესამე ეტაპზე გავაანალიზეთ მიღებული შედეგები

- საჯარო სკოლების გამოკითხულ მასწავლებელთა 98 %-მა იცოდა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი მძლავრი საგანმანათლებლო დაწესებულებაა არა მარტო დასავლეთ, არამედ მთელ საქართველოში, ხოლო გამოკითხულთა 2% მას ისევ აღიქვამდა, როგორც ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს;

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოკითხული აკადემიური პერსონალის 100 %-მა იცოდა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთ მძლავრ საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს;

- საჯარო სკოლების გამოკითხულ მასწავლებელთა 70 % ფლობდა ინფორმაციას, რომ მათი სკოლა დამთავრებული სწავლობს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

- საჯარო სკოლების გამოკითხულ მასწავლებელთა 90 %-მა იცოდა, რომ მათ სკოლაში მასწავლებელთა 80% აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია.

კვლევის მიმდინარეობის პროცესში გამოიკვეთა:

- უნივერსიტეტი უნდა დაეხმაროს სტუდენტებს საკუთარი უნივერსიტეტის შესაძლებლობების აღმოჩენაში;

- უნივერსიტეტმა უნდა შექმნას ისეთი მდგრადი საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც სტუდენტს მისცემს არჩევანის საშუალებას;

- არჩევანის არ მიცემის შემთხვევაში ჩვენ მას ვართმევთ პასუხისმგებლობას, თუ რომელ დამსაქმებელზეა ორიენტირებული და, როგორ გეგმავს თავის კარიერას.

კვლევის შედეგების პროცესის ანალიზმა და შეფასებამ მოგვცა საშუალება ჩამოგვეყალიბებინა ჩვენეული ხედვა. დღეს სასარგებლოდ არის მიჩნეული ლიბერალური განათლების მოდელი. სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ერთი ან ორი სპეციალობა, რაც საშუალებას აძლევს მოერგოს მსოფლიოში მიმდინარე გამოწვევებს. შრომის ბაზარზე მოთხოვნა მკვეთრად იცვლება. იცვლება პროფესიული საქმიანობის არსიც.

უნივერსიტეტისათვის ახალი ტექნოლოგიები არის გზა ეფექტური საგანმანათლებლო საუნივერსიტეტო ბაზრის შესაქმნელად, რომელიც შრომის ბაზარზე წარმოქმნილი კონკურენციის გამო გააუმჯობესებს უნივერსიტეტებში სწავლების შინაარსს.

უწყვეტი განათლების პროცესი მთავარი უნდა გახდეს უნივერსიტეტისათვის. მან შესაძლებლობა უნდა მისცეს მომავალ სპეციალისტს სხვადასხვა მოკლე ვადიანი პროგრამების ათვისებისა. საქართველოში უმაღლესმა განათლებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. პრაქტიკულად სკოლის ყველა კურსდამთავრებული იღებს დიპლომს, რამაც გამოიწვია დიპლომის ღირებულების და კურსდამთავრებულის პროფესიონალიზმის დაქვეითება. ასეთი გზით მიღებული განათლების შემდეგ შესაბამისი დასაქმების პერსპექტივა.

ამ პრობლემის გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, შემდეგნაირად შეიძლება მოგვარდეს. სახელმწიფომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ვისაც ამბიციია აქვს უმაღლესში ჩაბარების, მას ადვილად მიეცეს მასში ჩარიცხვის უფლება. რაც ჩვენი აზრით, გამოიწვევს პრესტიჟული უნივერსიტეტების მიერ, ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ბარიერების ამღობვას. ამასთან, ამ ბარიერის გადალახვის შემდეგ, დამატებით კიდევ შექმნან ბარიერი საკუთარი მისაღები გამოცდების დაწესების კუთხით. დანარჩენებს კი, მიეცემათ საშუალება თავისი ამბიციები დაიკმაყოფილონ შედარებით დაბალი რეიტინგის უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა საშუალო პროფესიული განათლების პროგრამებს, რომელიც მოთხოვნადია ამა თუ იმ რეგიონში. შესაძლებლად მიგვაჩნია მათი გადანაწილება პროფესიულ კოლეჯებში.

უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანი იქნება, რომ სტუდენტებს ისეთი უნარების განვითარებაში შეუნყოს ხელი, როგორცაა:

- პრეზენტაციის უნარი;
- მედია საშუალებებთან მუშაობის უნარი;
- მომხმარებლის მოსაპოვებლად თანაგრძნობის განვითარების უნარი.

უნივერსიტეტში პედაგოგიკურმა მეცნიერებებმა უნდა განიცდოს რენესანსი, როგორც სწავლა/სწავლებისა და აღზრდის მეცნიერებებმა, კერძოდ:

- სტუდენტებს მიეცემათ აკადემიური პერსონალის არჩევის უფლება;
- დადგინდება აკადემიური პერსონალის რეიტინგი;

- მთავარი ყურადღება მიექცევა დიდაქტიკური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას;
- არჩევითობა განაპირობებს კონკურენციას პედაგოგიკის სპეციალისტთა შორის;
- ამ მეცნიერებათა აკადემიური პერსონალი უნდა გახდეს ლიდერი, რომელიც აიღებს პასუხისმგებლობას, როგორც მეთოდოლოგიით უნდა წარმართოს სწავლა/სწავლების პროცესი.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტებში მეცნიერების განვითარება უნდა დაეფუძნოს რეგიონის ინტერესებს. აუცილებელია გაიზარდოს პუბლიკაციების რაოდენობა პრესტიჟულ უცხოურ გამოცემებში. გაიზარდოს უნდა აგრეთვე ციტირების ინდექსი. ალბათ დროა, უნივერსიტეტებმა შევქმნათ საკუთარი, საუნივერსიტეტო ჟურნალები, რომელიც იქნება მაღალრეიტინგული, რაც აამაღლებს რეგიონების ინტელექტუალურ პოტენციალს. უნდა შევთანხმდეთ, რომ უმაღლესი განათლების სისტემა ვერ განვითარდება მხოლოდ თბილისში. მიგვაჩნია, რომ რეგიონის ეკონომიკური განვითარება დიდ წილად დამოკიდებულია საუნივერსიტეტო პროგრამების განხორციელებაზე, რაც, ჩვენი აზრით, გამოიწვევს კურსდამთავრებულთა დამაგრებასა და დასაქმებას რეგიონში, შეიქმნება პრესტიჟული სამუშაო ადგილები. საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის ასეთი განვითარება დაგვაახლოებს ერთმანეთთან, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ რეგიონებში მუშაობით არ ჩამოვრჩეთ მეცნიერების განვითარებას.

რეგიონალური უნივერსიტეტების სიძლიერე განისაზღვრება მისი პარტნიორების სიძლიერით. ყველა სამაგისტრო, თუ სადოქტორო კვლევა უნდა იყოს რეალური და უნდა ეფუძნებოდეს პარტნიორ-დამსაქმებელთა ინტერესებს.

ვფიქრობთ, რომ უნივერსიტეტი რეგიონში უნდა ჩაითვალოს პოსტინდუსტრიული ეკონომიკის კლასტერად, რომელიც ქმნის სპეციალისტებს, იღებს და პროდუქტსაც კი. დღეს, როდესაც უმაღლესი განათლება, განსაკუთრებით რეგიონებში, განიცდის სახელმწიფო ინვესტიციების მკვეთრ კლებას, ამასთან საზოგადოების მოლოდინი უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით, გასულ წლებთან შედარებით, კიდევ უფრო მაღალია.

საზოგადოებას მიაჩნია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა აღზარდოს სტუდენტები, პრაქტიკოსები, როგორც ხვალინდელი გლობალური სამყაროს გამორჩეული მოქალაქეები, რაც მოითხოვს კვლევასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას შორის ურთიერთქმედებას, ინოვაციების უწყვეტ ციკლს, ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციას და კომერციალიზაციას. აღნიშნული, ჩვენი აზრით, ნიშნავს ცოდნის, უნარების, მეცნიერებისა და ინოვაციური შესაძლებლობების მიღების ადგილიდან, ფინანსური შემოსავლის ადგილად გადაქცევას. სამწუხარად, დღევანდელი რეალობა ასეთია.

კვლევის შედეგად მიღებული ზოგადი რეკომენდაციები

ამჟამად, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცხრა ფაკულტეტია. ის არის მრავალდარგოვანი უნივერსიტეტი. ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის სამომავლო განვითარების ზოგადი პერსპექტივები და პერსპექტივები ფაკულტეტების მიხედვით ასე გვესახება:

- მდგრადი საფინანსო პოლიტიკის შექმნა;
- უნივერსიტეტის სააუდიტორიო სივრცის გაზრდა — განვითარება ინფრასტრუქტურული (ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა — შემოერთება) და შემოქმედებითი პროექტების განვითარება — (საუნივერსიტეტი ტელევიზიისა და რადიოს შექმნა);
- სტუდენტების აქტიური ჩართვა საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარებაში (ახალი საუნივერსიტეტო კამპუსის მშენებლობა);
- აუდიტორიებისა და ლაბორატორიების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა;
- ეროვნულ გამოცდებზე უნივერსიტეტის მიერ ბარიერის ამაღლება;
- სასწავლო კურსების სპეციფიკის მიხედვით დასკვნითი და შუალედური ზეპირი გამოცდების შემოღება (განსაკუთრებით რამდენიმე ფაკულტეტზე);
- კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო ფონდის დაარსება;
- სოციალურად დაუცველთა რეგიონალური საუნივერსიტეტო ფონდის დაარსება;

- სასწავლო კურიკულუმებში ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის სავალდებულო საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებად შეტანა;
- საუნივერსიტეტო ჟურნალ „მომხმის“ მეტი პოპულარიზაცია, სკოპუსის ბაზებში განთავსება;
- სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელება. შეიქმნას გრანტებზე მუშაობის საუნივერსიტეტო ცენტრი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს და უხელმძღვანელებს საგრანტო პროექტების შექმნას ფაკულტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის მიხედვით, რაც მოიზიდავს თანხებს უნივერსიტეტში და უნივერსიტეტს გახდის მდგრადს, ფინანსური და სამეცნიერო-კვლევითი კუთხით;
- უნივერსიტეტში წიგნის კაფეს მონყობა. აკადემიური პერსონალის მიერ გამოცემული წიგნებისა და საუნივერსიტეტო სუვენირების რეალიზაცია;
- უნივერსიტეტის საფაკულტეტო რეორგანიზაცია-ოპტიმიზაცია. საფაკულტეტო მონყობა, შესაბამისი კორპუსების გადაცემით;
- აკადემიური პერსონალისათვის სახელფასო ზრდა აკადემიურ დატვირთვებში ცვლილებების შეტანის საფუძველზე;
- ინტერნაციონალიზაციის კუთხით საქმიანობის კიდევ უფრო გაძლიერება - წარმართვა.

კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები, რა უნდა გაკეთდეს ფაკულტეტების კუთხით მედიცინის ფაკულტეტი:

- საუნივერსიტეტო სამედიცინო კლინიკის, სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრისა და წამალთმცოდნეობის ლაბორატორიის დაფუძნება;

პედაგოგიური ფაკულტეტი:

- საუნივერსიტეტო სკოლამდელი (ადრეული განათლების) დაწესებულების შექმნა (სკოლამდელი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა - პედაგოგიური პრაქტიკა, აკადემიური პერსონალის მიერ შესაბამისი კვლევების განხორციელება; კურსდამთავრებულების დასაქმება;
- ზოგადსაგანმანათლებლო (ქართულ-ინგლისური), „მომავლის სკოლის“ (პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელება კვლევის განხორციელება, კურსდამთავრებულთა დახმარება) დაარსება;
- საკვირაო სკოლის (სხვადასხვა მიმართულებებით ხატვა, ძერწვა, მუსიკა) დაარსება;
- ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და დიაგნოსტიკის ცენტრის დაფუძნება;
- ბავშვთა უფლებათა ცენტრი და ჩხირკედელას ლაბორატორიის გამოყენება კომერციული თვალსაზრისით, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აქტიური თანამშრომლობით.

ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

- ჟურნალისტიკის დეპარტამენტთან ოპერატორთა მომზადებისა და გადამზადების ცენტრის შექმნა;
- სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტში მომავალ ახალგაზრდა პოლიტიკოსთა მომზადება - გადამზადების ცენტრის შექმნა;
- ბიზნეს-გეგმების შედგენისა და მომზადების ცენტრის შექმნა;
- ბულალტერთა გადამზადებისა და მომზადების ცენტრის შექმნა;
- ადვოკატთა გადამზადების ცენტრის შექმნა.

აგრარული ფაკულტეტი:

- გეგუთში არსებულ მიწის ნაკვეთზე დაფნის პლანტაციის გაშენება, ორანჟერიების გაკეთება;
- სენაკში არსებული მიწის ნაკვეთის მაქსიმალური გამოყენება, ისეთი პროდუქციის მოყვანა-დამუშავება, რომელიც შემოსავალს მოუტანს ფაკულტეტს, სადაც სტუდენტები შექმნიან პროდუქციას. ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება თეორია და პრაქტიკა.
- მიწის ვარგისიანობის (მჟავიანობის და ა.შ.) დამდგენი ლაბორატორიის შექმნა;
- მცირე სანერგე მეურნეობის შექმნა (პრაქტიკის ობიექტი) და მისი კომერციალიზაცია;
- ნყლის ვარგისიანობის დამდგენი ლაბორატორიის შექმნა;
- ხილის გადამამუშავებელი მცირე სანარმოს შექმნა (პრაქტიკის ობიექტი) და პროდუქციის რეალიზაცია;

- აგრარული მიმართულებით საზაფხულო სკოლების მონყობა.

საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტი:

• ტრანსპორტის დეპარტამენტთან მანქანების ტექნიკური დათვალიერების მომსახურების სააგენტოს(ცენტრის) დაფუძნება;

- ტრანსპორტის დეპარტამენტთან ავტომობილის მართვის სწავლების სკოლის შექმნა;
- ხის დამამუშავებელი საამქროს შექმნა;
- რკინის საამქროს დაფუძნება (რკინის დამუშავება, მოაჯირები, კარებები და ა.შ.).

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი :

- ტანსაცმლის კერვის მცირე საწარმოს (პრაქტიკის ობიექტი, მისი კომერციალიზაცია) შექმნა;
- ფეხსაცმლის კერვის მცირე საწარმოს (პრაქტიკის ობიექტი, მისი კომერციალიზაცია) შექმნა;
- ღვინის დამზადებისა და გადამამუშავებელი ლაბორატორიის საამქროს შექმნა;
- კულინარიული ლაბორატორიის (პროდუქტის დამზადება და რეალიზაცია) დაფუძნება.

ფოთის საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი:

• ბაგა-ბაღის აღმზრდელის პროფესიული პროგრამის შექმნა; ოფისის მენეჯერის პროფესიული პროგრამის შექმნა.

ჰუმანიტარული ფაკულტეტი :

- საკვირაო სკოლების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) დაფუძნება.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:

• პროგრამირების შემსწავლელი საუნივერსიტეტო ლაბორატორიის შექმნა;

• საკვირაო სკოლების მონყობა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებით; ამრიგად, დღეს როდესაც უმაღლესი განათლება განიცდის, განსაკუთრებით რეგიონებში, სახელმწიფო ინვესტიციების მკვეთრ კლებას, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი რეგიონში უნდა ჩაითვალოს პოსტინდუსტრიული ეკონომიკის კლასტერად, როგორც რეგიონალური სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული კომპლექსი, რომელიც ქმნის სპეციალისტებს, იდეებს და პროდუქტსაც კი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე 2020: ბასილაძე ი., განათლების ტაძარი ანსუ - 85, 2020, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი.
2. მჭედლიძე 2013: მჭედლიძე გ., ბასილაძე ი., ქუთაისის პირველი უმაღლესი სასწავლებელი 80 წლისაა, 2013, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი.
3. ბასილაძე 2023: ბასილაძე ი., ახვლედიანი მ., პედაგოგიკის დეპარტამენტი (კათედრა) (1933-2022), 2023, შპს მბმ - პოლიგრაფი, ქუთაისი.

რეზიუმე

კვლევის მიზანს წარმოადგენს უმაღლესი განათლების პრობლემები, გამოწვევები და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედვა, ამ პრობლემების გადაჭრის საქმეში და შესაბამისი რეკომენდაციების მიცემა. დღეს თანამედროვე უნივერსიტეტები ეფუძნებიან სამეცნიერო კვლევას და ყურადღება ეთმობა განათლების ინდივიდუალიზაციას. ჩვენი აზრით, ეს კარგია, რადგან დღეს შეუძლებელია ზუსტად პროგნოზირება, თუნდაც 10-15 წლით ადრე, როგორი სპეციალისტები დასჭირდება მომავალში საზოგადოებას. კვლევის შედეგად დადგენილია საჭიროებები, რომელთაც შევთავაზებთ უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს უნივერსიტეტის სამომავლო როლზე რეგიონის განვითარების საქმეში.

საკვანძო სიტყვები: ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიები, სწავლის ინდივიდუალიზაცია, მომავლის სკოლა, არაფორმალური განათლება, საუნივერსიტეტო კლინიკა.

Imeri Basiladze
Akaki Tsereteli State
University Professor
Georgia, Kutaisi

Shalva Kirtadze
Akaki Tsereteli State University
Associate Professor
Georgia, Kutaisi

**AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY, AS A REGIONAL SCIENTIFIC,
EDUCATIONAL AND CULTURAL COMPLEX**
(challenges and prospects)

Summary

The purpose of the research is to identify the problems, meet the challenges and develop the vision of Akaki Tsereteli State University in solving these problems and giving appropriate recommendations. Today, modern universities are based on scientific research and the individualization of the educational processes are given special attention. We believe this is good, because today it is impossible to accurately predict, even 10-15 years in advance, what kind of specialists the society will need in the future. As a result of the research, the needs have been recognized. We will apply to the Academic Council of the University to discuss our proposals about the future role of the University in the development of the region.

Key words: infrastructure, technologies, individualization of learning, school of the future, non-formal education, university clinic.

ნათელა მალლაკელიძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
განათლების სკოლის მინვეული პროფესორი
საქართველო, თბილისი

პედაგოგის მომზადებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები

როდესაც განათლების რეფორმაზე ვსაუბრობთ, ძირითადად მხედველობაში გვაქვს სასკოლო განათლება. არადა რეფორმა შეეხო უმაღლეს საგანმანათლებლო-სასწავლო პროცესსაც, კერძოდ, პედაგოგის მომზადებას. რეფორმა რომ აუცილებელი იყო, დღეს ამაზე არავინ დავობს, მაგრამ საინტერესოა, როგორია ამ რეფორმის შედეგები დღეს, რეფორმის დაწყებიდან 16 წლის შემდეგ.

2006 წელს ფაქტიურად გაუქმდა ერთადერთი პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებელი – თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, რომელიც ამზადებდა 5-წლიან დიპლომირებულ მასწავლებლებს. მათ უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ენიჭებოდათ პედაგოგის სტატუსი და მაშინვე შეეძლოთ პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყება. პედაგოგიური უნივერსიტეტის გაუქმების შემდეგ პედაგოგის მომზადება იტვირთეს ცალკეულმა უნივერსიტეტებმა. აქ ზოგან შეიქმნა პედაგოგიური ფაკულტეტი, ზოგან ცალკეული მიმართულებისა თუ სკოლის სახით ჩამოყალიბდა. ადრინდელი ხუთწლიანი დიპლომირებული პედაგოგის ნაცვლად ისინი მომავალ მასწავლებელს ამზადებდნენ ბაკალავრიატისა (4 წელი) და მაგისტრატურის (2 წელი) დონეზე. **ბაკალავრიატის** (240 კრედიტის) ფარგლებში მზადდებოდა **დანყებითი სკოლის პედაგოგი**, რომელსაც უფლება ჰქონდა ესწავლებინა I-IV კლასებში სამი საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა, ბუნებისმცოდნეობა და მათემატიკა; ბაკალავრიატის დონეზევე საგნობრივი მიმართულებებით შეიქმნა 60-კრედიტიანი არჩევითი „**მაინორ**“ **პროგრამები პედაგოგიაში** მათთვის, ვინც ძირითადი საგნის დაუფლებასთან ერთად გადანყვეტდა ყოფილიყო ამ **საგნის მასწავლებელი საბაზო და საშუალო საფეხურზე**. სასეთიფიკატო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მათ უფლება ეძლეოდათ დაენყოთ პედაგოგიური საქმიანობა.

რაც შეეხება სამაგისტრო ხარისხს, მისი მოპოვება ბაკალავრებს შეეძლოთ **მაგისტრატურაში** 120-კრედიტიანი პროგრამის გავლის შემდეგ. ამა თუ იმ საგნის სწავლებაში კვლევითი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ მათ განათლების მაგისტრის ნოდება ენიჭებოდათ და ფაქტიურად მზად იყვნენ **საბაზო და საშუალო საფეხურზე** ესწავლებინათ ეს საგანი. თუმცა მაგისტრის ხარისხი მათ არ ათავისუფლებდა სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარებისაგან.

რა ვითარებაა დღეს? ფაქტიურად მზადდება მხოლოდ დანყებითი (პირველი-მეოთხე) კლასების პედაგოგი. მათთვის შეიქმნა 5 წლიანი 300-კრედიტიანი პროგრამა. ამ პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტს ენიჭება განათლების მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი და სათანადო საგნობრივი გამოცდის ჩაბარების შემდეგ შეუძლია დანყებით კლასებში პედაგოგიური საქმიანობის დაწყება.

საბაზო და საშუალო საფეხურზე კი საგნის მასწავლებლები ფაქტიურად აღარ მზადდებიან – გაუქმდა ბაკალავრიატის 60-კრედიტიანი „მაინორ“ პროგრამები, ასევე გაუქმდა საგნის მასწავლებლებისათვის მაგისტრატურის საფეხური. საგნის მასწავლებლობის მსურველთათვის შეიქმნა **გადამზადების 60-კრედიტიანი პროგრამები**, რომლებიც მხოლოდ პედაგოგიური ციკლის დისციპლინების სწავლებაზეა ორიენტირებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პიროვნებას, რომელსაც აქვს საბაკალავრო განათლება **ნებისმიერი მიმართულებით** (არა აქვს მნიშვნელობა ის ექიმია, სამართალმცოდნე, ინჟინ-

ნერი, ბიზნეს-ადმინისტრატორი თუ სოციოლოგი...) სურვილსამებრ შეუძლია მასწავლებლის კომპეტენციის დასადასტურებლად ჩააბაროს საგნის გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ქიმიაში, ისტორიაში... გადალახოს მინიმალური ბარიერი, გაიაროს ეს 60-კრედიტიანი პროგრამა და მიიღოს უფროსი მასწავლებლის სტატუსი. ასე ხდება სოციოლოგი თუ ინჟინერი საბაზო და საშუალო საფეხურისქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

ვინც იცნობს ეროვნულ სასწავლო გეგმას, ასევე მასწავლებლის მომზადების საგნობრივ სტანდარტებს, დამეთანხმება, რომ მხოლოდ მინიმალური ბარიერის გადალახვა საგნის მასწავლებლის მოსამზადებლად ნამდვილად არ არის საკმარისი. მასწავლებელი აბიტურიენტი არ არის, რომ საგნის ცოდნა მინიმალური ბარიერის დონეზე მოვთხოვოთ. აქ გაცილებით ღრმა საგნობრივი კომპეტენციებია საჭირო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 60-კრედიტიანი გადამზადების პროგრამა მხოლოდ პედაგოგიური დისციპლინების სწავლებას ითვალისწინებს. საგნობრივ კომპეტენციებზე აქ ყურადღება აღარ მახვილდება. უფრო მეტიც – გასაუბრებაზეც კი ვერ ვამონმებთცოდნას შესაბამის საგანში.

ჩვენი აზრით, **აუცილებელია, შეიქმნას 300-კრედიტიანი პროგრამები საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის მასწავლებლებისთვისაც.** თავად მინისტრმაც აღნიშნა, რომ პედაგოგიური უნივერსიტეტის გაუქმება არ იყო სწორი. პედაგოგის მომზადება სწორედ უმაღლესმა პედაგოგიურმა სასწავლებელმა უნდა იტვირთოს და არა ე.წ. „მაინორ“ და 60-კრედიტიანმა გადამზადების პროგრამებმა.

არის სხვა პრობლემებიც. კარგია, რომ სახელმწიფო აფინანსებს მასწავლებლის მომზადების პროგრამას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პედაგოგიური მიმართულებით ჩავრიცხოთ ყველა ის აბიტურიენტი, რომლებმაც ძლივძლივობით გადალახეს მინიმალური ბარიერი, პედაგოგიური მიმართულება მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსების გამო აირჩიეს და არა აქვთ არანაირი მოტივაცია პროფესიის დასაუფლებლად. საგნობრივ კომპეტენციებს ისინი ხშირად დაწყებითი კლასების მოსწავლეთა დონეზეც ვერ ფლობენ.

და კიდევ ერთი, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ განათლების მესვეურებმა – ალბათ დროა, შეიქმნას ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლის, მომზადების პროგრამა. სახელმწიფო ენის სწავლების თვალსაზრისით მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობა არ გვაქვს, ამისი ერთ-ერთი მიზეზი სახელმწიფო ენის მასწავლებელთა დაბალი ენობრივი კომპეტენციებია. საქმეს ვერ შველის ნაირ-ნაირი პროექტები თუ ტრენინგები ამ კუთხით, ე.წ. ბილინგვური განათლების პროგრამები... ფაქტია, რომ აქ ჩვენს სკოლას ძალიან სჭირდება პროფესიონალი კადრები, რომლის მწვავე დეფიციტით შეიმძჩნევა დღეს.

2014 წლის სტატისტიკური მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 86%-ს ეთნიკური ქართველები შეადგენენ. ეთნიკურად არაქართველებს შორის ყველაზე მაღალია სომხებისა და აზერბაიჯანელების წილი: 6,3% – აზერბაიჯანელები, 4,5% – სომხები. ქართული სკოლების გვერდით აქ ფუნქციონირებენ არაქართულენოვანი სკოლები და სექტორებიც: აზერბაიჯანული, სომხური, რუსული. ბოლოდროინდელი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით დღეს საქართველოში ფუნქციონირებს 2313 სკოლა: 2086 საჯარო და 227 კერძო (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკური მონაცემები: გვ. 2). აქედან სკოლების დაახლოებით 10% არაქართულენოვანია (ტაბატაძე, 2015: გვ. 2).

ჩვენ შევეცადეთ ჩავვეტარებინა კვლევასომხებითა და აზერბაიჯანელებით კომპაქტურად ჩასახლებულ რაიონებში (მარნეული, გარდაბანი, ახალქალაქი) ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვით დაგვედგინა, რა მიზეზები უშლიდათ ხელს სახელმწიფო ენის დაუფლებაში.

კვლევა ჩატარდა 2021 წლის იანვარ/თებერვალში, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 100-მა რესპონდენტმა, კვლევა ჩატარეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის სტუდენტებმა: ავსანე ხალილოვამა, აიგულ ნაზაროვამა და ჰრეფსიმე ნალბანდიანმა.

სხვა ნაკლოვან მხარეებთან ერთად (სასწავლო რესურსების ნაკლებობა, ენობრივი გარემო, სახელმძღვანელოების გაუმართაობა, სახელმწიფო ენის ცოდნის გაუაზრებლობა, სახელმწიფო ენაზე

კომუნიკაციის ნაკლებობა...) გამოიკვეთა ერთი ძირითადი და არსებითი მიზეზი. ეს არის **სერთიფიცირებულ პედაგოგთა სიმცირე და მასწავლებლების კვალიფიკაციის დაბალი დონე** (უმრავლესობა თავადაც ვერ ფლობს სახელმწიფო ენას სათანადო დონეზე; თუ ფლობს, არა აქვს მიღებული პედაგოგიური განათლება და არის არასპეციალისტი; ბევრს საბჭოთა პერიოდში აქვს მიღებული პედაგოგიური განათლება და ამის შემდეგ არ გაუვლია გადამზადება...), აქვე უნდა დავასახელოთ ე.წ. **ბილინგვური სისტემის ნაკლოვანი მხარეები** (ყველა საგანში საჭირო გახდა სულ მცირე 2 მასწავლებელი. ერთს ქართულად უნდა აეხსნა მასალა, მეორეს – მშობლიურ ენაზე. საბოლოოდ დარჩა მხოლოდ ერთი მასწავლებელი, რომელიც გაკვეთილის „ქართულ ნაწილს“, როგორც წესი, უგულებელყოფს).

ჩვენც მთავარ მიზეზად მივიჩნევთ ამ დარგში კვალიფიციური პედაგოგიური კადრების სიმცირეს, უფრო სწორად – არარსებობას. დღეს საქართველოს არცერთ უმაღლეს სასწავლებელში არ მზადდება ქართული ენის მასწავლებლები ამ სკოლებისათვის. ხოლო ის მასწავლებლები კი, რომლებიც ქართული სკოლებისთვის მზადდებიან 300-კრედიტიანი პროგრამის ფარგლებში (დანყებითი განათლება) თავს ვერ გაართმევენ იმ გამოწვევებს, რომლებიც ამ სკოლებში ხვდებათ. არავისთვის არ არის საკამათო, რომ მშობლიური და უცხო ენის/მეორე ენის მასწავლებლების მომზადება განსხვავებული მეთოდებითა და სასწავლო გეგმით ხდება. რა თქმა უნდა, კარგია, რომ არაქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებლებს 2013 წლიდან ეძლევათ თავიანთი ცოდნის დადასტურების შესაძლებლობა სასერტიფიკატო გამოცდაზე, მაგრამ ეს სურათს ჯერ ვერ ცვლის. (მარაბიანი ქ. საქართველოში სომხური სკოლების 5 ძირითადი პრობლემა, jam-news. 17.11.2015).

არსებობს სხვა პასუხგაუცმელი კითხვებიც, კერძოდ: მასწავლებლის მომზადების დღევანდელი პროცესი, ასევე პედაგოგის კარიერული წინსვლა რამდენად აისახა მასწავლებლის პრაქტიკულ საქმიანობაზე, სასკოლო განათლებაზე, რამდენად გაუმჯობესდა სწავლა/სწავლების ხარისხი, როგორია მოსწავლეების, კურსდამთავრებულების ცოდნისა და უნარ-ჩვევების დონე... ეს და მრავალი კითხვა ჩნდება ამ საკითხთან დაკავშირებით. ალბათ დროა, **მასწავლებელი დაგროვილი კრედიტებითა და ჩაბარებული გამოცდებით კი არ შევაფასოთ, არამედ მისი მუშაობის შედეგებით**. მასწავლებლის მუშაობის შედეგი კი მისი მოსწავლეა. სწორედ ის არის მისი მოღვაწეობის ინდიკატორი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/80548?publication=0> „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“.
2. <https://edu.aris.ge/news/ra-weria-maswavleblis-profesiul-standartshi-dokumenti.html> ნერია მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში.
3. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4969709?publication=02020-2021> სასწავლო წლისათვის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა დაფინანსების მოცულობისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ.
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკური მონაცემები 2019-2020 სასწ. წლისათვის.
5. მარაბიანი ქ. საქართველოში სომხური სკოლების 5 ძირითადი პრობლემა, jam-news. 17.11.2015.
6. ტაბატაძე შ. გორგაძე ნ. 2015: ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისათვის, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ცენტრი.

რეზიუმე

მოსხენებაში განხილულია მასწავლებლის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები უმაღლეს სასწავლებლებში. განხილულია ის დოკუმენტები, რომლებიც დღეს საფუძვლად უდევს პედაგოგის მომზადებას. ნაჩვენებია, რომ უმაღლესი განათლების ის სისტემა, რომელიც დღეს ითვალისწინებს ცალკეული საგნის მასწავლებლების მომზადებას, უკანა პლანზე აყენებს მომავალი პედაგოგის მიერ საგნობრივი კომპეტენციების ფლობას, იგი ფაქტიურად მხოლოდ გადამზადების კურსებისა და ტრენინგების დონეზე გახლავთ დაყვანილი.

რაც შეეხება არაქართული სკოლებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მომზადებას, მთლიანად უგულებელყოფილია მისი სპეციფიკა. საქმეს ვერ შევლის ვერც სახელმწიფოს მიერ პედაგოგიური მიმართულების დაფინანსება. შეიძლება ითქვას, რომ დღეს უნივერსიტეტებში მხოლოდ დაწყებითი კლასების პედაგოგები მზადდებიან.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა და ლიტერატურა, სახელმწიფო ენა, პედაგოგის მომზადება, საგნობრივი კომპეტენცია, არაქართული სკოლები.

Natela Maglakelidze

Doctor of Pedagogical Sciences

Ilia State University

Invited Professor of educational

Georgia, Tbilisi

THE ACTUAL PROBLEMS OF TEACHERS TRAINING

Summdry

The current problems of high school teachers' trainings are discussed in this article. It has been shown that the system of higher education, which today provides for the training of individual subject teachers, excludes the possession of subject competencies at all, it is actually reduced to the level of trainings and retraining courses.

As for the preparation of teachers of Georgian language and literature for non-Georgian schools, its specifics are completely ignored. It can be said that today only primary school teachers are trained in Universities.

Key words: Georgian language and literature, official language, teacher training, subject competence, non-Georgian schools.

ომარ ცხადაძე

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემიის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პედაგოგიკის დოქტორი
საქართველო, ქუთაისი

ნათელა კაკაურიძე

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი
საქართველო, ქუთაისი

ტურიზმის როლი გლობალიზებულ სამყაროში

ტურიზმი დღეისათვის მსოფლიოს ერთადერთი ყველაზე მასშტაბური და საიმედო ეკონომიკური აქტივობის სექტორია. აქედან გამომდინარე, ყველა სასწავლო დაწესებულების და პირადად უნივერსიტეტის მისიაა საერთო გლობალურ სივრცეში მოახდინოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ჰარმონიზაცია, არა მარტო ტურიზმის, არამედ ეკონომიკის და სხვა სპეციალობების მიმართულებითაც. ამ მხრივ საინტერესო მაგალითს გვაძლევს საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის სასწავლო უნივერსიტეტი, რომელიც 30 წელზე მეტია იბრძვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მოსამზადებლად და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები სისტემატურად იკვლევენ ტურიზმის ინდუსტრიის მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში. აქვეყნებენ სამეცნიერო ნაშრომებს, როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ჟურნალებში.

გლობალიზაციამ ახალი შესაძლებლობები გაუხსნა ტურიზმის განვითარებას. ზოგიერთი ქვეყნისათვის იგი ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მთავარი დასაყრდენი შეიქმნა. ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პროცესში საქართველოს სატრანზიტო როლი, რადგან ამით უნდა გავზარდოთ საქართველოს მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის ხარისხი. XXI საუკუნეში გლობალიზაციამ, როგორც ეკონომიკის განვითარებულმა სისტემამ, სრულიად ახალი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ხარისხი შეიძინა. თანამედროვე გლობალიზაცია მოიცავს მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას და მოდერნიზაციას. ამასთან ერთად წარმოშობს მრავალ წინააღმდეგობებს და პრობლემებს მსოფლიო ეკონომიკაში. გლობალიზაციის პროცესს ასახავს ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურა და ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირები. „გლობალიზაციის მთავარი კომპონენტი გახლავთ ეკონომიკური გლობალიზაცია, იმდენად რამდენადაც ეკონომიკური კავშირების განვითარების კვალობაზე ქვეყნები, რეგიონები, კონტინენტები სულ უფრო ერთმანეთთან არიან დაკავშირებული“ [1,4], აღნიშნავს პროფესორი თეიმურაზ ბერიძე. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა გლობალიზაციის პროცესის დაჩქარება გამოიწვია და საბაზრო ურთიერთობების განვითარებამ გლობალური კონკურენტუნარიანობის განვითარება განაპირობა.

გლობალიზაცია ქმნის არაჩვეულებრივ პირობებს მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის. ამის მისაღწევად აუცილებელია ზუსტი პოლიტიკური და საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ანალიზი და შეფასება. ეს მოგვცემს სწორ ორიენტირებს და შესაძლებლობას დავადგეთ განვითარებისაკენ მიმავალ გზას. ტურიზმის განვითარება მსოფლიოში მას შემდეგ უფრო შეინიშნება, რაც გლობალიზაციის პროცესი და ახალი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება. „დღეს ქართული ტურიზმი ობიექტურ სიძნელე-

ებს განიცდის, თუმცა მისი სახელმწიფოებრივი აღიარება და განვითარების ინდუსტრიული მიზანდასახულობა შეიძლება შემდგარ ფაქტად ჩაითვალოს“ [2, V.] – წერს მარინა მეტრეველი თავის ფუნდამენტურ შრომაში, ტურიზმის ტერმინთა ინგლისურ-ქართული განმარტებით ლექსიკონში. ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტის შექმნა და თუ პროდუქტი ეკოლოგიურად სუფთაა, ის ტურიზმის მდგრად განვითარებას განაპირობებს. საქართველო ჩართულია გლობალიზაციის პროცესში, და ბუნებრივია, საგარეო ვაჭრობაში ჩართულობა გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. ეკონომიკის დოქტორი მერაბ ხოხობაია აღნიშნავს, რომ „ტურიზმს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს რეგიონების განვითარებაზე. ტურისტული აქტივობის ზრდა ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, გადასახადების გენერირებას, ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებას“ [3, 644]. ტურიზმი ახალ ეკონომიკურ ორიენტაციებს და ღირებულებებს ქმნის, რაც განაპირობებს ადგილობრივი მოსახლეობისათვის ტურისტულ სეზონზე ტურისტული შემოსავლების განსაზღვრას. ტურიზმის მეშვეობით შესაძლებელია ადგილობრივი წარმოებისათვის ახალი ბაზრების შექმნა, ასევე სწორად წარმოებული ტურისტული პოლიტიკა მოიცავს ტურიზმის ეკოლოგიზაციას, ანუ მომსახურების პროცესში ეკოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენებას. მსოფლიოში და შესაბამისად საქართველოში მალდდება მოსახლეობის კულტურის და განათლების დონე, რამაც გამოიწვია გლობალიზაციის პროცესის კიდევ მეტად დაჩქარება და გაძლიერება. ქვეყნები განათლების დონისა და ცოდნის გაზიარების მიზნით მართავენ საერთაშორისო კონფერენციებს, კონგრესებს, უცვლიან ერთმანეთს გამოცდილებას. საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც ერთდროულად შესაძლებელია მოინახულო მთა, ბარი, ზღვა, მიიღო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, გაეცნო ტრადიციებს, რელიგიას, კულტურას, მოინახულო ძეგლები და კულტურული ღირსშესანიშნაობები. ამ ყოველივეს გათვალისწინებით საქართველოს ყველა რეგიონში უნდა გაუმჯობესდეს ეკოლოგიური მდგომარეობა, უნდა განისაზღვროს რეგიონების პრიორიტეტები, სწორად დაიგეგმოს ეკოლოგიური ტურები, რამაც შესაძლოა აქტიური ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის შემოსავლებზე. გლობალიზაციის პროცესი აისახა ტურიზმის ბიზნესში – „აბრეშუმის გზის“ სახით. „აბრეშუმის დიდი გზა, ტრანსკონტინენტური სავაჭრო საქარავნო გზა, რომელიც ჩინეთს ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროებთან აკავშირებდა. ამ გზით ვაჭრობას დასაბამი მიეცა ძვ.წ. II საუკუნეში“ [4.34]. „აბრეშუმის გზის“ საერთაშორისო ტურებმა გაზარდა საქართველოს ცნობიერება. „აბრეშუმის გზის“ მარშრუტი ასეთია – ჩინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, რუსეთი, საქართველო, თურქეთი, საბერძნეთი, იტალია. ეს არის მასშტაბური ეკონომიკურ-კულტურული ექსპედიცია, რომლის მიზანია „აბრეშუმის გზის“ ქვეყნების ეკონომიკური, საინვესტიციო, ტურისტული, კულტურული და ისტორიული გზის გასწვრივ იმოგზაურონ. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ იმიტირებული პროგრამა 31 ქვეყანას მოიცავს, მათ შორის საქართველოსაც. „აბრეშუმის გზის“ ინიციატივასთან დაკავშირებით მუშაობა მიმდინარეობს სამი მიმართულებით: მარკეტინგი, პოპულარიზაცია და ფასილიტაცია. ტურისტულ ბაზრებზე გაჩნდა მოთხოვნა ისეთი ტიპის ტურისტულ პროდუქტზე, რომელიც არა მხოლოდ ერთ ქვეყანაში, არამედ ისტორიულად უძველეს ქვეყნებში ერთდროულად მოგზაურობის საშუალებას იძლევა. „აბრეშუმის გზის“ ფარგლებში საქართველოს ტურისტული პოტენციალი კიდევ უფრო მოიმატებს. ინფრასტრუქტურულად მოეწყობა „აბრეშუმის გზის“ გასწვრივ არსებული ტერიტორიები. „აბრეშუმის გზის“ აღდგენა საქართველოს მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ დაამყაროს ახალი კავშირები ახლო აღმოსავლეთსა და ევროპასთან, განავითაროს ეკონომიკა და ვაჭრობა, გააუმჯობესოს ქვეყნის საინვესტიციო გარემო და მიიღოს ამით მაქსიმალური სარგებელი. თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში ტურიზმი არის ლაკმუსის ტესტი, რომელშიც აისახება საერთაშორისო და საერთო ლოკალური ტენდენციები. გლობალური ტენდენციები გამოიხატება ტექნოლოგიზაციაში, ინფორმატიზაციაში და ტურისტულ მომსახურებაში. უახლოეს ტენდენციებს ტურიზმის განვითარებაში წარმოადგენს ტურისტული მომსახურების გაუმჯობესება, მდგრადი ტურიზმის განვითარება, პოლიტიკური,

სოციალური და ეკოლოგიური რისკების შემცირება მასპინძელ დანიშნულების ადგილებში, ადგილობრივი მოსახლეობის და ტურისტების დაახლოება და კულტურათა გაცვლა. გლობალიზაციის ახალმა შესაძლებლობებმა ხელი შეუწყო ტურიზმის სფეროში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას. იგი განსაკუთრებით შეეხო ელექტრონულ ტექნიკას, საკომუნიკაციო და სატრანსპორტო ტექნოლოგიებს. მსოფლიოში მომსახურების მიწოდება კომპიუტერული ინფორმაციით და დაჯავშნის სისტემებით გახდა უფრო მოქნილი და ეფექტიანი. შემცირდა ხარჯები საჰაერო მოგზაურობაზე და ადგილი, ხელმისაწვდომი გახდა საჰაერო მოგზაურობა მსოფლიოს სხვადასხვა მიმართულებით. ტურიზმის ინდუსტრიაში გაუმჯობესდა ინფორმაციის სწრაფი გავრცელების ტექნოლოგია. დაჯავშნის ონლაინ სისტემების მომსახურების მაღალი ხარისხი, დანიშნულების ადგილის მარკეტინგში ინტერნეტის გამოყენება, ტურისტულ ბაზრებზე პირდაპირი გაყიდვების და შეკვეთების მიცემის შესაძლებლობას იძლევა, რაც წარმოშობს ელექტრონულ-ტურისტულ ბაზრებს. ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია ტურისტული პროდუქტის გაცილებით დაბალ ფასად შეძენა. მომხმარებლის მოთხოვნა გახდა ორიენტირებული ახალ ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე. ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია დაიჯავშნოს სასტუმრო ოთახი, ბილეთები, ინფორმაცია გასართობი ცენტრების შესახებ, რამაც შეამცირა მგზავრობის შუამავლების ფუნქცია. საერთაშორისო ტურიზმის განვითარებამ გლობალიზაციის ეპოქაში ხელი შეუწყო ავიაკომპანიების სტრატეგიული ალიანსების შექმნას. სარეკლამო ფლაერებმა და სხვა მარკეტინგულმა მექანიზმებმა გააძლიერეს ალიანსების შექმნის გლობალური ტენდენციების ჩამოყალიბება. გლობალიზაციამ და ახალმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სამყარომ ცვლილებები შემოიტანა ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების პარამეტრებში, შეიცვალა ტურისტის პროფილი, გაჩნდა ტურისტი, რომელიც დაინტერესებულია არა ფიზიკური დასვენების სურვილით, არამედ სიახლეებით და თვითრეალიზაციით. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ფონზე საქართველოს ეძლევა საშუალება წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები სხვადასხვა სფეროში, გაზარდოს ინტერესი ქვეყნისადმი და მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების წინაპირობა იქნება. ტურიზმის ინდუსტრიას საქართველოს სინამდვილეში საოცრად დიდი რესურსი გააჩნია. მისი ამოქმედების უმთავრესი წინაპირობა მხოლოდ განვითარებული და ძლიერი ეკონომიკაა. სისტემატური და მრავალრიცხოვანი ტურისტული ნაკადები მნიშვნელოვნად გაზარდის ქვეყნის შემოსავალს, დადებითად იმოქმედებს მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელთა გაუმჯობესებაზე. ახლა უპირველესი ამოცანაა საქართველოს ტურისტული პოტენციალის მიზანმიმართული, გონივრული გამოყენება, რომელიც მთავარ როლს შეასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და წინსვლაში. ტურისტული რესურსების ეფექტური გამოყენებისა და ტურისტების მისაღებად აუცილებელია მათი ცხოვრების წესის, ეროვნული ხასიათის თავისებურებების, ტურისტული ინტერესის ობიექტების ადეკვატურად აღქმის შესაძლებლობის საგულდაგულო შესწავლა. აღნიშნული მაჩვენებლების გათვალისწინება ხდება ტურისტული პროდუქტის, მომსახურების დონისა და მოცულობის, ასევე საექსკურსო მარშრუტის დაგეგმვისას. დღეისათვის გამოკვლევის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ტურისტულ ცენტრებში და რეგიონებში შესვლა-გასვლის ოფიციალური სტატისტიკის მოძიება. ტურისტული ნაკადების, გადაადგილების საშუალებების, ტურისტთა მოთხოვნების, გადამხდელუნარიანობის და მომხმარებელთა პოტენციური ბაზრის სხვა მახასიათებლების, კერძოდ, ტურისტული რესურსების აღქმის და ტურიზმის შემოსავლიანობის სპეციალური გამოკვლევები. უფრო ხშირად ასეთ გამოკვლევებს ატარებენ ტურისტული ცენტრების სოციოლოგები და მარკეტოლოგები, რაც გამოიყენება ტურისტული რეგიონის განვითარების სტრატეგიული და ოპერატიული გეგმის ფორმირებისას. ტურისტული ბაზრის ზრდის მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია ტურისტული პროდუქტის რეკლამირების არასათანადო დონე. რეკლამას ტურისტულ სფეროში გაცილებით უფრო დიდი ადგილი ეთმობა, ვიდრე რომელიმე სხვა დარგში. ტურისტებს ესაჭიროებათ დამატებითი ინფორმაცია ქვეყანაზე, რეგიონზე, ადათ-წესებზე, უსაფრ-

თხო გადაადგილებაზე და სხვა. ხშირად მზადდება ფერადი ბუკლეტები და პროსპექტები, რომლებიც უფასოდ ურიგდებათ პოტენციურ ტურისტებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის თანამედროვე ელექტრონულ საშუალებებს, კერძოდ, ინტერნეტს. ინტერნეტში რეკლამის განსაკუთრებული მნიშვნელობაა ნარმოადგენს ის, რომ მისი ცენტრალური ელემენტი არის ტურისტული სანარმოს ვებ-სერვერი. მის საფუძველზე შედგება სარეკლამო ღონისძიებების მთელი კომპლექსი. ვებ-სერვერის მფლობელის წინაშე დგება ორი მნიშვნელოვანი ამოცანა: საკუთარი იდეის რეალიზაცია ვებ-სერვერის სახით და ანარმოს მისი რეკლამირება იმისათვის, რომ ინტერნეტით მოსარგებლებმა გაიგონ მის არსებობაზე და შესაბამისად, შეძლონ მისი დათვალიერება. მნიშვნელოვანია ასევე სპეციალიზებულ-ტურისტული გამოფენები. ისინი მიზნად ისახავენ ტურისტული პროდუქციის საბითუმო გაყიდვას. საქართველოში ჩამოსული ტურისტების რაოდენობის ზრდის ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული უსაფრთხოების პრობლემები. არსებული კონფლიქტური ზონები უარყოფითად აისახება უცხოელი ტურისტების ცხოვრებაზე და ამის გამო ბევრი მათგანი სხვა რეგიონებში მოგზაურობასა და დასვენებას ანიჭებს უპირატესობას. ეროვნული ტურიზმის კარგად დაგეგმილ, დინამიკურად და პროფესიულად გატარებულ პოლიტიკას საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობამდე მივყავართ. თუ ეს პირობები დაცული არ იქნება, მაშინ ქვეყანა ტურიზმში ჩადებს იმაზე მეტს, ვიდრე ამოიღებს. იმისათვის, რომ ტურისტული ბიზნესი წარმატებულად წარიმართოს, საჭიროა პროფესიული, უმთავრესად ტურისტულ მომსახურებაში (ტურპროდუქტში) მომხმარებლის მოთხოვნილებათა მაქსიმალური გათვალისწინება, საერთაშორისო ნორმებისა და წესების, ტურისტული მენეჯმენტისა და მარკეტინგის სწორად განხორციელება. მოგზაურობა და ტურიზმი უზრუნველყოფს საერთაშორისო ინვესტიციების 11%-ზე მეტს და სახელმწიფოს ხაზინაში საგადასახადო შემოსავლების სახით 302 მლნ აშშ დოლარი შეაქვს. ტურიზმის განვითარება შეუძლებელია ქვეყნის მთლიანი სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის გარეშე. ტურიზმს სჭირდება განვითარებული ენერგეტიკა, საავტომობილო გზები, მაღალი სტანდარტების სატრანსპორტო საშუალებები, მოწესრიგებული საბანკო და სადაზღვევო საქმიანობა, საზოგადოებრივი წესრიგი და ქვეყნის შიგნით დემოკრატიული, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული ურთიერთობები და უცხოელი სტუმრებისათვის კეთილმოსურნე გარემოს შექმნა. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ექსპერტთა პროგნოზით, მუდმივად მზარდი მოცულობების ფაზაში შედის მსოფლიო ტურისტული ინდუსტრია, რომელიც გაზრდის კონკურენციას მიმღებ ქვეყნებსა და რეგიონებს შორის. ამასთან ერთად, მსოფლიო ტურისტული ბაზრის შემდგომი განვითარება სულ უფრო მეტად დამოკიდებულია უახლეს საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. ტურისტული საქმიანობისა და ტურიზმისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების და მოთხოვნის განსაზღვრის მიზნით ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა მარკეტინგული კვლევა შემდეგი მიმართულებით:

- საქართველოს ტურისტული ობიექტების ცნობადობის დადგენა;
- ტურიზმის ტიპების პრიორიტეტების შესწავლა;
- ტურიზმით დაკავების დინამიკა ბოლო ხუთ წელიწადში;
- ტურიზმში დასახარჯი თანხის პროგნოზი;
- ტურიზმით დაკავების ხანგრძლივობა;
- საქართველოს ტურისტული ინფრასტრუქტურით დაკმაყოფილების დონე;
- საქართველოს ტურისტული ინფრასტრუქტურის ნაკლოვანებები.

გამოკითხულ იქნა 150 რესპოდენტი. აქედან ქალი იყო 51%, კაცი 49%, კვლევამ დაგვანახა, რომ საქართველოს რეგიონში მრავლად არის ის ისტორიულ-კულტურული ძეგლები და სამკურნალო წყაროები, რომლებიც მომხმარებელს დააინტერესებს და შესაბამისად დააკმაყოფილებს, მაგრამ გამოკითხულთა 62,9% არ იცნობს სრულყოფილად რეგიონების ტურისტულ ობიექტებს. ამიტომ, რომ გამოკითხულთა 60 % უპირატესობას ანიჭებს გაცნობით ტურიზმს, სამკურნალოს კი რესპოდენტთა 30%, ხოლო ექსტრემალურს 10%. კვლევამ გვიჩვენა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში

ტურიზმით საქართველოს რეგიონში დაკავებული იყო გამოკითხულთა 45%. კითხვაზე თუ რამდენ ლარს დახარჯავდნენ დღეში ტურიზმის სფეროში 30 ლარი აირჩია გამოკითხულთა 38%-მა, 40 ლარი – 20%-მა, 50 ლარი 28%-მა, 100 ლარი 11%-მა, 100-ზე მეტ ლარს – 3%. კვლევამ გვიჩვენა, რომ გამოკითხულთა 57% აპირებს ისარგებლოს ტურისტული სააგენტოების მომსახურებით, ეს კი მიგვანიშნებს ტურიზმით დაკავებულ მომხმარებელთა ზრდის მაჩვენებელზე. მომავალში ტურიზმით წელიწადში დაკავების მიხედვით რესპოდენტები შემდეგნაირად განაწილდა: 5 დღე-9%, 10 დღე - 25%, 15 დღე- 22%, 20 დღე- 9%, 25 დღე- 9,5%, 30 დღე - 20,5%, 5 დღეზე ნაკლები - 5%. ტურისტული მომსახურების სახეობების მიხედვით გამოკითხულთა 65%-მა უპირატესობა მიანიჭა სრულ პაკეტს, 25% კვებას და განთავსებას, ხოლო 10 %-მა მხოლოდ განთავსებას. კითხვაზე თუ რის ნახვას ისურვებდით საქართველოს რეგიონებში რესპოდენტთა 42%-მა აირჩია ეკლესია-მონასტრები, 35%-მა მღვიმეები, ხოლო 23%-მა ხელშეუხებელი ბუნება, სხვა 4%-მა. გამოკითხვის შედეგად რესპოდენტებმა ჩამოაყალიბეს ის ნაკლოვანებები, რომლებიც დღესდღეობით საქართველოს ტურისტულ რეგიონებს გააჩნიათ, ესენია: ინფრასტრუქტურა არაა გამართული, კომუნიკაციური საშუალებები მოსაწესრიგებელია, ტრანსპორტით მომსახურება გასაუმჯობესებელი, მომსახურების დონე დაბალია, მომხმარებლებისათვის ფასები ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ამასთან გამოთქვეს თავიანთი რეკომენდაციები. კითხვაზე თუ რამდენად კმაყოფილი არიან საქართველოში ტურისტული მომსახურებით რესპოდენტების 37%-მა უპასუხა, რომ კმაყოფილია, 26% კი ნაწილობრივ კმაყოფილია, ძალიან კმაყოფილია 25%, ხოლო უკმაყოფილოა 12%.

კვლევაზე დაყრდნობით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ტურიზმით დაკავებულ მომხმარებელთა რაოდენობა მომავალში მკვეთრად გაიზრდება თუკი გათვალისწინებული იქნება ის წინადადებები, რომლებიც რესპოდენტებმა ჩამოაყალიბეს და შესაბამისად აღარ გვეყოლება უკმაყოფილო მომხმარებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიძე თეიმურაზ, 2017 წ. თბილისი, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, შრომების კრებული. გვ.4.
2. მეტრეველი მარინა, 2006 წ. თბილისი, ტურიზმის ტერმინთა ინგლისურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი. გვ.5.
3. ხოხობაია მერაბ, 2017 წ. თბილისი, ტურიზმის განვითარების რეგიონული პოლიტიკა საქართველოში, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. შრომების კრებული. გვ.644.
4. აბაშიძე ირ. მთავარი რედაქტორი, 1975 წ. თბილისი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. გვ.34.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია გლობალიზაციის ის შესაძლებლობები რომელიც სრულყოფს ტურიზმის შემდგომ განვითარებას. გამოკვეთილია ცალკეული ქვეყნებისათვის გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები. ხაზგასმულია საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ტურიზმის შესაძლებლობები. განსაზღვრულია გლობალიზაციის პროცესში საქართველოს ტურიზმის სატრანზიტო როლი, მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის პროცესში. ნაშრომში წარმოდგენილია ჩატარებული კვლევის შედეგები.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, გლობალური ეკონომიკა, კონკურენტული ურთიერთობები, ტურიზმის ინდუსტრია, სატრანზიტო როლი, ინტეგრაცია, ტურიზმის ეკონომიკა

Omar Tskhadadze

Rector of the Educational University
of the Academy of Tourism Sciences
of Georgia , Doctor of Pedagogy
Georgia, Kutaisi

Natela Kakauridze

Academician of the Academy
of Tourism Sciences of Georgia
Georgia, Kutaisi

THE ROLE OF TOURISM IN A GLOBALIZED WORLD

Summary

The paper discusses the opportunities of globalization that perfect the further development of tourism. Indicators of economic growth in the conditions of globalization for individual countries are highlighted. The possibilities of tourism in the development of Georgia's economy are emphasized. The transit role of Georgian tourism in the process of globalization, in the process of integration with the world economy, is defined. The work presents the results of the conducted research.

Key words: globalization, global economy, competitive relations, tourism industry, transit role, integration, tourism economy

მათემატიკის მასწავლებლების მოსამზადებელ საუნივერსიტეტო კურიკულუმებში საძიებო მათემატიკური ამოცანების სწავლების ჩართვის აუცილებლობის შესახებ

საქართველოში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე I-VI კლასების მათემატიკის მასწავლებლების მომზადება ხდება დანყებითი განათლების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე, რომლის კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ I-IV კლასებში ასწავლონ ქართული ენა, მათემატიკა და ბუნებისმცოდნეობა, ხოლო ამ პროგრამის ის სტუდენტები, რომლებიც დამატებით გაივლიან მათემატიკის მოდულს, უფლება ეძლევათ მათემატიკა ასწავლონ V-VI კლასებში. ხოლო VII-XII კლასების მათემატიკის მასწავლებლების მომზადება ხდება მათემატიკის ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე, ან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტინ პროგრამაზე. ამჟამად, საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტების უმრავლესობაში სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო მათემატიკის ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამები აკრედიტებული არ არის და მათემატიკის მასწავლებლების მომზადება ძირითადად ხდება 60 კრედიტიანი პროგრამის გავლის საფუძველზე. არსებული პროგრამები, რომლებიც მათემატიკის მასწავლებლებს ამზადებს ბევრ ხარვეზს შეიცავს. სტატიის ფორმატის შეზღუდულობის გამო ყველა ნაკლზე საუბარი არ მოხერხდება, მაგრამ ჩვენ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმაზე, რომ არც ერთი კურიკულუმი არ შეიცავს საძიებო ამოცანების სწავლების საკითხებს, რაც პირდაპირ ახდენს გავლენას მათემატიკის მასწავლებლების პროფესიონალიზმზე. აუცილებლობას წარმოადგენს საძიებო ამოცანების სწავლება მათემატიკის მასწავლებლებისათვის, რაც უზრუნველყოფილია მათემატიკის ეროვნული სასწავლო გეგმით. მათემატიკის ეროვნული სასწავლო გეგმა ცალსახად განსაზღვრავს რომელ კლასში როგორი სახის ამოცანების შესწავლა უნდა მოხდეს, მაგრამ მასში დაკონკრეტებული არ არის როგორი შინაარსის ამოცანები უნდა განიხილონ სასწავლო პროცესში, რადგან მათემატიკის ეროვნული სასწავლო გეგმა მასწავლებელს აძლევს არჩევანის თავისუფლებას, მას თვითონ შეუძლია შეარჩიოს და ჩართოს სასწავლო პროცესში ალგორითმული, საძიებო, განმავითარებელი, საგანთაშორისი და სხვა სახის ამოცანები, ასწავლოს მათი ამოხსნის ალგორითმული, კერძო თუ სპეციალური ხერხები. ამ არჩევანის შესაძლებლობას იძლევა მე-12 მუხლი (მათემატიკის ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018-2024 წლები, გვ. 13): „სკოლა ვალდებულია, უზრუნველყოს სიღრმისეული სწავლება: სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა“. ეს ნიშნავს, რომ საშუალო სკოლაში ნებადართული და შესაძლებელია სასწავლო პროცესში ჩავრთოთ სხვადასხვა სახის საგანთაშორისი, განმავითარებელი, საძიებო და ა.შ. ისეთი შინაარსის ამოცანები, რომელთაც მაღალი განმავითარებელი ეფექტი აქვს. მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოებში ძირითადად განხილულია ისეთი ამოცანები, რომელთა ამოხსნის ალგორითმი ცნობილია. ასეთ ამოცანებს დაბალი განმავითარებელი ეფექტი აქვს ვიდრე საძიებო ამოცანებს. შევთანხმდეთ, რომ როცა ვსაუბრობთ საძიებო მათემატიკურ ამოცანებზე მხედველობაში გვაქვს ისეთი ამოცანები, რომელთა ამოხსნა შეუძლებელია რაიმე ალგორითმის გამოყენებით. ასეთი ამოცანების ამოხსნა მოითხოვს ამოხსნის გზის ძიებას. ჩვენ საძიებო ამოცანებში ვაერთიანებთ ყველა ისეთ ამოცანას, რომელიც სტანდარტული არ არის. ე.ი. მათი ამოხსნის გზა გან-

სხვაგვარად ალგორითმულად ამოხსნადი ამოცანების ამოხსნის გზისაგან. ასეთი მიდგომით საძიებო ამოცანების კლასს მიეკუთვნება არასტანდარტული და საოლიმპიადო ამოცანები.

მათემატიკის მასწავლებლებისათვის საძიებო ამოცანების მოძიება და მათი ამოხსნის მეთოდების/ხერხების მეთოდური დამუშავება სამწუხაროდ ნაკლებად ხელმისაწვდომია, რადგან ქართულ სინამდვილეში კვლევები და პედაგოგიური ექსპერიმენტები ამ საკითხების საშუალო სკოლებში სწავლების შესახებ წარსულში არ ჩატარებულა. მათემატიკის და დაწყებითი განათლების სპეციალობების კურიკულუმების ანალიზი აჩვენებს, რომ საძიებო ამოცანების ამოხსნის კერძო და სპეციალური მეთოდების სწავლება არ ხდება მათემატიკის მეთოდის სასწავლო კურსებში, რაც საძიებო ამოცანების მათემატიკის სასწავლო პროცესში ჩართვის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია. საძიებო ამოცანების ამოხსნის მეთოდებზე/ხერხებზე და მათ ჩართვაზე მათემატიკის სასწავლო პრაქტიკაში ფუნდამენტური კვლევები ტარდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ კვლევის შედეგების გავრცელება მათემატიკის მასწავლებელთა ფართო წრისთვის მაინც პრობლემად რჩება.

საძიებო ამოცანების სკოლების სასწავლო პრაქტიკაში ჩართვისათვის პირველ რიგში, აუცილებელია მათემატიკის მასწავლებელთა სათანადო მომზადება, რომ მათ შეძლონ ასეთი სახის ამოცანების სრულყოფილი ამოხსნა და მათი სწავლება. ამის შესახებ გ.პოია [9, გვ. 12], თვლის, რომ მათემატიკის მომავალი მასწავლებლები დაუფლებული უნდა იყვნენ მათემატიკური ამოცანების ამოხსნის უნარებს. მას მიაჩნია, რომ საძიებო ამოცანების ამოხსნა ნამდვილი შემოქმედებითი სამუშაოა. ის თვლის, რომ საძიებო მათემატიკური ამოცანების ამოხსნა მასწავლებელმა უნდა მოახდინოს სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული მეთოდების გამოყენებით, რისთვისაც აყალიბებს ზოგად წესებს და საძიებო ამოცანების ამოხსნისას სავალდებულოდ მიაჩნია მათი თანმიმდევრობით გამოყენება: მასწავლებელმა მოსწავლეები კარგად და საფუძვლიანად უნდა გაარკვიოს ამოსახსნელი ამოცანის არსში, მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ამოცანის პირობის სრულყოფილი გაგება, მისი ყოველმხრივ გააზრება. გაიხსენონ ხომ არ ამოუხსნიათ მსგავსი ამოცანა, თუ ამოხსნილი აქვთ გაიხსენონ როგორ ამოხსნეს, ამოსახსნელი ამოცანისათვის მოიფიქრონ მასზე უფრო ნაკლები სირთულის მქონე დამხმარე ამოცანა, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება ამოსახსნელი ამოცანის ნაწილის გადაჭრა, პირობების მხოლოდ ნაწილის შენარჩუნება, დანარჩენის გამოტოვება და ა.შ. ნაშრომში, [6] ავტორები თვლიან, რომ საძიებო ამოცანების ამოხსნის სხვადასხვა მეთოდების შესწავლა ხელს უწყობს მოსწავლეებში საძიებო აზროვნების განვითარებას, რაც მათ ეხმარება შემდგომში შემოქმედებითად გადაჭრან პრობლემები. მათი აზრით, ისინი, ვინც სტანდარტულად აზროვნებენ, ვერაფერს ახალს ვერ შექმნიან. მათ მიაჩნიათ, რომ შემოქმედებითი დავალება არის შესანიშნავი გზა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოსავლენად, ხოლო საძიებო ამოცანების ამოხსნის ევრისტიკული მეთოდები საშუალებას იძლევა გააქტიურდეს მოსწავლის შემოქმედებითი შესაძლებლობები, რაც ზრდის შემდგომში ადამიანის რეალურ ცხოვრებაში დასაქმების შანსებს. ზოგიერთ ავტორს აქვს მცდელობა განსაზღვროს საძიებო ამოცანების როლი სასწავლო პროცესში [8]. ავტორის მიერ შედგენილია სავარჯიშოების სისტემები, რომლებიც ხელს უწყობენ დაწყებითი კლასების მოსწავლეების აზროვნების სხვადასხვა სახის (ლოგიკური, შემოქმედებითი და სხვ.) განვითარებას. ამისთვის ავტორი იყენებს საძიებო ამოცანების ამოხსნის სხვადასხვა მიდგომას და მეთოდებს/ხერხებს [10]. საძიებო, ამოცანების ამოხსნის თეორიული საფუძვლები და სწავლების საკითხები ფუნდამენტურად გამოკვლეულია ერთ-ერთ ნაშრომში, [7] სადაც ავტორები გამოყოფენ სასწავლო სიტუაციების სამ სახეს, რომლებიც უკავშირდება ამოცანების ამოხსნის სწავლების სხვადასხვა სტრატეგიებს: I-ისეთი სტანდარტული ამოცანების ამოხსნა, რომელთა ამოხსნის ზოგადი მეთოდები მოსწავლეებისათვის ცნობილი არ არის; II-ისეთი სტანდარტული ამოცანების ამოხსნა, რომელთა ამოხსნა მოსწავლეებისათვის უკვე ცნობილია; III-საძიებო ამოცანების ამოხსნა. (გვ. 31). ავტორები საძიებო ამოცანების ამოხსნის პროცესში გამოყოფენ ორ შემადგენელ ელემენტს: ამოცანის წარმოდგენას და ამოხსნის

ძიებას, რის შემდეგაც ავტორები საძიებო ამოცანების ამოხსნისათვის იყენებენ ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მიდგომას: პირველი ემყარება ამოცანის წარმოდგენას მდგომარეობათა სივრცეში, მეორე ამოცანის დაყვანას (რედუქციას) ქვეამოცანებზე. (გვ. 121).

ქართული მეთოდური აზრის ისტორიაში საძიებო ამოცანების ამოხსნის და სწავლების საკითხების კვლევას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. პირველად მეოცე საუკუნის 80-იან წლებში პროფესორმა თამაზ მორალიშვილმა განახორციელა საძიებო ამოცანების ამოხსნის ძიების სწავლების მეცნიერული კვლევა. თ.მორალიშვილი საძიებო ამოცანების ამოხსნის პროცესში გამოყოფდა ორ არსებით შემადგენელ ელემენტს: ამოცანის წარმოდგენას, მის გადათარგმნას მათემატიკის ენაზე და ამოცანის ამოხსნის ძიებას, რომელიც დამოკიდებულია ამოცანის წარმოდგენის ხერხზე და მიმართულია მისი ამოხსნის შესაძლებლობის ან შეუძლებლობის დადგენაზე [5, გვ. 79]. ავტორი განიხილავდა საძიებო ამოცანების ამოხსნისადმი ორ მიდგომას. პირველი მიდგომა ამოცანის წარმოდგენა მდგომარეობათა სივრცეში, მეორე-ამოცანის რედუქცია ქვეამოცანებზე. ამოცანის წარმოდგენას მდგომარეობათა სივრცეში უკავშირებდა ცნებებს: სანყისი, მიზნობრივი მდგომარეობა; მდგომარეობის აღწერა; ოპერატორი, ერთი მდგომარეობის გარდამქმნელი მეორე მდგომარეობაში; მდგომარეობათა სივრცე; ძიების (გადარჩევის) სივრცე. ცხადია, რომ, რაც უფრო რაციონალურია ძიების მეთოდი, მით უფრო ვიწროა მისი ძიების სივრცე. განიხილავდა ძიების ორი სახეს: ყველა შესაძლო ვარიანტების ბრმა ძიებას (სიღრმეში გადარჩევა, სრული გადარჩევა); მიმართულ (მონესრიგებულ) გადარჩევას. ძიების პროცესს მდგომარეობათა სივრცეში თ.მორალიშვილი თვალსაჩინოდ გრაფიკული მოდელით წარმოადგენდა [5, გვ. 97].

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საძიებო ამოცანების კვლევას მიეძღვნა არაერთი სამეცნიერო სტატია და მონოგრაფია, რომლებშიც დამუშავებულია სწავლების სხვადასხვა საფეხურზე საძიებო და საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის და სწავლების საკითხები, შედგენილია 6000-მდე საოლიმპიადო ამოცანების სისტემები კლასების მიხედვით. სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, ჩატარებული პედაგოგიური ექსპერიმენტებით და კვლევებით დადასტურდა საძიებო ამოცანების ჩართვის აუცილებლობა სკოლის სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ასაკობრივი, გონებრივი, ფსიქო-ფიზიოლოგიური შესაძლებლობების და მათემატიკაში მათი მომზადების დონის შესაბამისად [1], [2], [4] და სხვ. გარდა ამისა, ჩვენს მიერ დამუშავებულია ერთი და იმავე მეთოდებით სასკოლო და საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის მეთოდური ასპექტები და მათი ჩართვა საშუალო სკოლის სამივე საფეხურზე [3].

საძიებო ამოცანების ამოხსნის მეთოდების/ხერხების კვლევა და მათი ჩართვა სკოლის სასწავლო პროცესში მეტად აქტუალურია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. რაზეც მეტყველებს ქართველი და საზღვარგარეთელი ექსპერტების დასკვნები იმ საგრანტო პროექტებზე, რომლებშიც ავტორის ხელმძღვანელობით გაიმარჯვეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებმა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ [1, 2, 3, 4, 5, 6, 7 და სხვ]. ამ საკითხების კვლევას მიეძღვნა ბოლო ათწლეულში ამ თემატიკაში რამდენიმე სადოქტორო დისერტაცია მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგიაში, რომელთა მომზადება და დაცვა მოხდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, რომლებიც უნივერსიტეტის ვებგვერდზეა განთავსებული.

XX საუკუნეში განათლების ძირითადი მიზანი იყო იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაგროვება, რაც აუცილებელი იყო პროფესიული ფუნქციების შესასრულებლად განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში. მათემატიკური დისციპლინები თავის მხრივ ხელს უწყობდნენ შესაბამისი სოციალური დაკვეთის შესრულებას, მაგრამ XXI საუკუნის მესამე ათწლეულში საზოგადოება გახდა ინფორმაციული და პოლიტექნიკური განათლების კონცეფცია აღარ შეესაბამება მის მოთხოვნებს. ამან გამოიწვია მათემატიკის სასწავლო შინაარსზე შეხედულებების გადასინჯვა, ასევე ახლებურად განისაზღვ-

რა მათემატიკის როლი და ადგილი ზოგად განათლებაში. თანამედროვე პირობებში მათემატიკის სწავლების მნიშვნელოვანი ამოცანაა ყველა მოსწავლის მათემატიკური მომზადების სავალდებულო დონის მიღწევა მათი მომავალი პროფესიის მიუხედავად. კომპიუტერიზაცია, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა მოითხოვს მათემატიკურ აზროვნებას თითქმის ყველა სამუშაო ადგილზე. მათემატიკური აზროვნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამოცანების ამოხსნით მიღებული ცოდნა, რომლის გარეშე დღეისათვის გაძნელებულია მეცნიერული ცოდნის საფუძვლიანი და სიღრმისეული ათვისება, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური ინფორმაციის აღქმა, პიროვნების ჩამოყალიბება თანამედროვე განათლებულ ადამიანად, ხოლო განათლების გარეშე ადამიანის ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობა ნაკლებად ეფექტურია განათლებულ ადამიანთან შედარებით.

იმისათვის, რომ მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს ამოცანების ამოხსნის უნარი და გამოუმუშავდეს შესაბამისი ჩვევები, მეთოდოლოგიური ლიტერატურაში გვხვდება ორი თვალსაზრისი: პირველი – საჭიროა ამოხსნას რაც შეიძლება ბევრი ამოცანა და მეორე, არსებითი მნიშვნელობა აქვს განსახილავი ამოცანების შინაარსს და ამოხსნის მეთოდებს/ხერხებს.

ჩვენი აზრით, შეუძლებელია ამოცანების ამოხსნის სწავლება ამოცანების ამოხსნის გარეშე, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვს ამოცანების შინაარსს და მათი ამოხსნის მეთოდებს/ხერხებს, რომელთა ცოდნა ხელს უწყობს მოსწავლეებში შესაბამისი ცოდნა-ჩვევების ჩამოყალიბებას და განმავითარებელი სწავლებისათვის აუცილებელია. ჩვენი მოსაზრებით, რომელიც დაადასტურა სათანადოდ ჩატარებულმა პედაგოგიურმა ექსპერიმენტებმა აუცილებელია სკოლაში მათემატიკის გაკვეთილებზე მასწავლებელმა ჩართოს სასკოლო მასალის შესაბამისი თემატიკის არანაკლებ ერთი და არა უმეტეს ორი საძიებო ამოცანა. მხოლოდ მათემატიკის მასწავლებელი წყვეტს რამდენი და როგორი სირთულის საძიებო მათემატიკური ამოცანა ჩართოს გაკვეთილზე. ამოცანების რაოდენობის და სირთულის განსაზღვრა დამოკიდებულია მათემატიკაში კლასის მომზადების დონეზე, მოსწავლეების ფსიქო-ფიზიოლოგიურ და გონებრივ განვითარებაზე, სკოლის ან/და კლასის პროფილზე და სხვ.

პედაგოგიური ექსპერიმენტები ჩავატარეთ ქალაქ ქუთაისის და დასავლეთ საქართველოს რეგიონის ქალაქებისა და სოფლის სკოლებში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო სკოლის სამივე საფეხურის მოსწავლეებმა. სულ ექსპერიმენტში მონაწილეობდა 789 მოსწავლე, მათგან 391 გოგონა იყო. შედეგების შეფასება მოვახდინეთ χ^2 სტატისტიკური კრიტერიუმით. პედაგოგიური ექსპერიმენტის არსი მდგომარეობდა შემდეგში: მათემატიკის მასწავლებელს შეეძლო სასწავლო პროცესში ნებისმიერ გაკვეთილზე ჩაერთო განსახილავი თემის შესაბამისი საძიებო ამოცანა/ამოცანები, ხოლო საშინაო დავალებად მიეცა კლასში განხილულ ამოცანის მსგავსი ამოცანა, რომლის სირთულე განხილული ამოცანის სირთულეზე ნაკლები იყო. ასეთი მიდგომა არ მოითხოვს დამატებით სასწავლო დროს, ამიტომ არ ხდება საჭირო კლასის საათობრივი ბადის შეცვლა ან სასწავლო საათების რაოდენობრივი გაზრდა.

პედაგოგიური ექსპერიმენტის შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- საძიებო მათემატიკური ამოცანების ჩართვა სკოლის სასწავლო პროცესში გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც მოსწავლეთა გონებრივი და ინტელექტუალური ფორმირების საშუალება;
- სკოლის სასწავლო პროცესში განსახილველი თემის შესაბამისად ჩასართავი საძიებო მათემატიკური ამოცანების შერჩევა უნდა მოხდეს ამოცანის ამოხსნის მეთოდების/ხერხების მიხედვით;
- სკოლის სასწავლო პროცესში განსახილველი თემის შესაბამისად ჩართული საძიებო ამოცანები ეფექტურია თავისი განმავითარებელი ფუნქციით, ხასიათდება ლოგიკური აზროვნების მაღალი დონით, ამაღლებს მოსწავლეთა მათემატიკურ კულტურას და ზოგადად ინტელექტს.

პედაგოგიური ექსპერიმენტის შედეგების შეფასებისას ცოდნის და გამოუმუშავებული უნარების სრულფასოვნების მნიშვნელოვან მაჩვენებლად ჩავთვალეთ არა მარტო ის, რამდენად გააზრებული და გაცნობიერებულია საძიებო ამოცანების ამოხსნის ცოდნა მოსწავლეთა მიერ, არამედ ისიც, თუ

რამდენად ღრმად, საფუძვლიანად და მტკიცედ აქვს ათვისებული ის მოსწავლეს. ამიტომ, ზოგადად ამოცანების, კონკრეტულად კი საძიებო ამოცანების ამოხსნის ცოდნის მტკიცედ დაუფლება სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა და ამავე დროს სწავლების ზოგადმეთოდოლოგიური დიდაქტიკური პრინციპის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ეს პრინციპი გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა სასწავლო მასალის ისე მიწოდებას, რომ მოსწავლე მტკიცედ იმასსოვრებდეს და ამის საფუძველზე უნარი შესწავლეს თავისუფლად აღადგინოს თავის მეხსიერებაში ის, რაც მან ადრე სწავლების პროცესში აღიქვა და ათვისა. მათემატიკური ცოდნის განმტკიცება მჭიდროდაა დაკავშირებული განვლილი და ახალი მასალის თანმიმდევრულ ურთიერთკავშირზე, ამისათვის აუცილებელია დიდაქტიკის პრინციპების სრული დაცვა, კერძოდ მასწავლებელმა საძიებო ამოცანის ამოხსნის სწავლება არ უნდა განახორციელოს მანამდე, ვიდრე მოსწავლეები საფუძვლიანად არ შეისწავლიან ამოხსნის ალგორითმულ ხერხებს, ამავე დროს უნდა დაიცვას განვლილი მასალიდან ახალ მასალაზე გადასვლის დიდაქტიკური მოთხოვნები. ყოველივე ამით მასწავლებელი მოსწავლეებში შექმნის საძიებო ამოცანების სასწავლო პროცესში ჩართვის მოტივაციას და ადვილად დაძლევის განწყობას. საძიებო ამოცანების ამოხსნისათვის მეტად მნიშვნელოვანია სისტემატური ვარჯიში, რომელიც თანაფარდობაშია კონკრეტული სახის ამოცანების სიძნელე-სიადვილესთან, ასევე მის სპეციფიკასთან. საძიებო ამოცანების სასწავლო პროცესში ჩართვისას მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს უნდა მიუდგეს ინდივიდუალურად, უნდა გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის თავისებურებები და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საშინაო დავალებების მიცემა თითოეული მოსწავლისათვის ინდივიდუალურად, მათი მომზადების დონის და ინტერესების შესაბამისად. მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის დროს საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ თითოეული მოსწავლე წარმოადგენს განუმეორებელ ინდივიდუალობას, რომელთაც საერთო ზოგად თავისებურებებთან ერთად ახასიათებს სპეციფიკური მხარეები. მასწავლებელმა სწავლებაში რომ წარმატებას მიაღწიოს, პირველ რიგში, ყურადღების ცენტრში უნდა მოიქციოს თითოეული მოსწავლის ყოველმხრივი შესწავლა, მათი ხასიათი, ტემპერამენტი, ნებისყოფა, ყურადღება, უნარ-ჩვევები, აკადემიური მომზადება, შრომისმოყვარეობა, მშობელთა სპეციალობები, მათი განათლება, მოსწავლის მეგობრების წრე და სხვა მხარეები. მასწავლებლის დაკვირვების საგანს უნდა წარმოადგენდეს საძიებო ამოცანების ამოხსნის სწავლების პროცესი თავისი მრავალფეროვანი შინაარსით, ორგანიზაციით და მეთოდებით. ასევე მრავალმხრივია მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის გზები და ფორმები, რომელიც მასწავლებელმა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადანყვიტოს ინდივიდუალურად.

მასწავლებელმა საძიებო ამოცანების ამოხსნის სწავლების მთელი პროცესი უნდა ააგოს სწავლების მეცნიერულ შინაარსზე და გააზრებულ, გაცნობიერებულ შეთვისებაზე, რომელიც დამყარებულია აქტიურ დამახსოვრებაზე და ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბებაზე. მოსწავლისაგან ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდა მოითხოვს ისეთ სწავლებას, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ მეცნიერებათა საფუძვლების თანმიმდევრულ შეთვისებას.

მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებაში ძლიერ გავლენას ახდენს საძიებო ამოცანების ამოხსნის პროცესი, რომელიც მოითხოვს შემეცნებით აზროვნებას, რაც მოსწავლეებში აძლიერებს ამოხსნის გზის აღმოჩენის სიხარულს, ემოციურ ფაქტორს წარმოადგენს და მოსწავლის ქცევის მძლავრი ბერკეტია. ემოციური ფაქტორის სწორად მართვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მოქმედების ყველა სფეროში, მოსწავლის სრულყოფილ პიროვნებად ფორმირებისა და სწავლების პროცესშიც. მოსწავლის სუბიექტურ მდგომარეობას გამოხატავს მისი ემოციები, განცდები, რომლებიც უმთავრესად დაკავშირებულია სწავლა/სწავლების პროცესთან, ამიტომ ემოციების სწორი მიმართულების მიცემა და იმავე დროს მათი, როგორც ფსიქოლოგიური ფაქტორის გამოყენება ამოცანის დასაძლევად პირველ ყოვლისა სკოლისა და მასწავლებლის საქმეა. მოსწავლეთა ემოციების თვისობრივი გარდაქმნა-განვითარება ძირითადად სწორედ აღზრდისა და სწავლების საშუალებებით ხორციელდება.

საძიებო ამოცანების ამოხსნის სწავლებით გამომწვეული ემოციები მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს როგორც აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელი ნაწილი. ამიტომ მასწავლებელმა წინასწარ ზუსტად უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული გზები და ღონისძიებები, რომელთა საშუალებითაც უზრუნველყოფს მოსწავლეებში დადებითი ემოციების და განცდების აღზრდას, ამასთანავე მიმზიდველს და სახალისოს გახდის სასწავლო პროცესს. მასწავლებელი თავადაც უნდა განიცდიდეს მოსწავლის სიხარულს, თანაგრძნობით და გულისხმიერებით ეხმარებოდეს მოსწავლეს ყოველი დაბრკოლებისა და სიძნელის გადალახვაში, ის უნდა იცნობდეს მოსწავლეების მისწრაფებებს, მათ ემოციებს, სისტემატურად უნდა აკვირდებოდეს და სწავლობდეს ემოციების გარდაქმნა-განვითარებას სწავლა-აღზრდის პროცესში, თითოეული მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომით ახორციელებდეს მოსწავლის განვითარებას სწორი მიმართულებით.

საშუალო სკოლის მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოებში მოცემული სავარჯიშოთა სისტემები ფუნქციური დანიშნულების მიხედვით შეესაბამება ტრადიციულ სქემას „თეორია → ამოცანები“. ჩვენ მიზანშეწონილად ვთვლით სწავლება მიმდინარეობდეს სქემით: „ამოცანები → თეორია → ამოცანები“. ამგვარი მიდგომა აუცილებელია საშუალო სკოლის სასწავლო პრაქტიკაში განმავითარებელი სწავლების პრინციპების ასამოქმედებლად. სქემა საშუალებას იძლევა მოსწავლეებმა არა მარტო განიმტკიცონ თეორიული ცოდნა, არამედ დამოუკიდებლად მოიპოვონ ახალი ცოდნა. ცხადია, სწავლების შეცვლილი სქემა საჭიროებს მისთვის შესაფერის სავარჯიშოთა სისტემას, რომელიც შეიცავს არსებულისაგან განსხვავებული ფუნქციური დანიშნულების მქონე სავარჯიშოებსაც. ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია პირველ ეტაპზე სასწავლო პროცესში გამოიყენოთ შესამზადებელი, გამამდიდრებელი და სხვა სახის სავარჯიშოთა სისტემები. შესამზადებელი და გამამდიდრებელი სავარჯიშოები საშუალებას იძლევა მათემატიკის სასწავლო შინაარსი გადანაწილდეს თეორიულ ტექსტებსა და ამოცანებზე ისე, რომ არ მოხდეს ახალი მასალის შემეცნებითი ღონის დაწევა. ყოველივე ზემოთ თქმული საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ერთი არსებითი ხასიათის შენიშვნა: საძიებო ამოცანების ამოხსნის სწავლება თავისი შინაარსით დაფუძნებულია განმავითარებელი და გამამდიდრებელი ხასიათის სავარჯიშოების განხილვაზე. ასეთი სახის სავარჯიშოების ნაკლებობა ბარიერს უქმნის საძიებო ამოცანების ამოხსნის სწავლებას.

ჩვენი მეთოდური მიდგომა ითვალისწინებს არა მარტო საძიებო ამოცანების ჩართვას სასწავლო პროცესში, არამედ მოსწავლეების მიერ საგაკვეთილო პროცესში განხილული ამოცანების მსგავსი საძიებო ამოცანების შედგენასაც. მოსწავლეებისთვის მათემატიკური ამოცანების შედგენის სწავლება მეთოდურად საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული და მეტად ზომიერ და ფაქიზ მოპყრობას მოითხოვს. ეს საკითხი მეთოდურ ლიტერატურაში ჯერ სათანადოდ არ არის დამუშავებული. ამოცანების შედგენის მიზანმიმართული სწავლება მოსწავლეთა დაინტერესებას იწვევს და ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბებას ეხმარება. ამოცანების შედგენა უკავშირდება მოსწავლეთა მათემატიკური ცოდნის ღონის ამალებას და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების ჩამოყალიბებას. მეთოდურ ლიტერატურაში დამუშავებული არ არის საძიებო ამოცანების ამოხსნის და შედგენის ურთიერთკავშირში სწავლება, ხოლო მისი გამოყენება მასწავლებელს თითქმის ყოველ მეცადინეობაზე შეუძლია. მოსწავლემ უნდა შეეძლოს ამოცანის ამოხსნა, ჩამოყალიბება, შედგენა. ამოცანათა მიმართ ასეთი მოთხოვნები სკოლის სამივე საფეხურისათვის ერთნაირია, ხოლო, ამოცანების სირთულე განისაზღვრება მოსწავლეთა ასაკის, მათემატიკაში მომზადების ღონის და სკოლის/კლასის სწავლების პროფილის შესაბამისად.

მეთოდური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია რომელ ეტაპზე უნდა დაიწყოთ ამოცანების ამოხსნის და შედგენის ურთიერთკავშირში სწავლება, როგორი ტიპის ამოცანების ამოხსნა და შედგენა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ? მიზანშეწონილად ვთვლით, რომ საძიებო ამოცანების შედგენა მოსწავლეებმა დაიწყოთ სწავლების პირველივე წლიდან და გაგრძელდეს სკოლის დამთავრებამდე. სხვადასხვა სახის განტოლებების/უტოლობების შესადგენად უნდა გამოიყენონ სქემა: „რიცხ-

ვითი ტოლობა/უტოლობა → განტოლება/უტოლობა“. ტექსტური ამოცანების შედგენისას: „რიცხვითი ტოლობა/უტოლობა → განტოლება/უტოლობა → ტექსტური ამოცანა“ სქემა. სხვადასხვა სახის ამოცანების შედგენის საკითხები განხილულია ავტორთა შრომებში [1], [2], [3], [4] და სხვ. ამოცანების მოსწავლემ უნდა შეადგინოს მხოლოდ საკლასო მეცადინეობაზე მასწავლებლის ხელმძღვანელობით და მისი უშუალო მეთვალყურეობით.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ჩატარებული პედაგოგიური ექსპერიმენტებით, ავტორის ხანგრძლივი პედაგოგიური პრაქტიკით დასტურდება, რომ მათემატიკის მასწავლებლების მოსამზადებელ საუნივერსიტეტო კურიკულუმებში საძიებო მათემატიკური ამოცანების სწავლება ჩართული უნდა იქნეს არანაკლებ ორი სემესტრის მანძილზე სავალდებულო კურსის სახით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძულიშვილი გიორგი, თამარ დოგრაშვილი, ირინე გოგიბერიძე და გიორგი ბრეგაძე, 2021, საძიებო და საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანები დაწყებით კლასებში (I-VI კლასები). ქუთაისი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 232 გვ.
2. ბერძულიშვილი გიორგი, გიორგი ბრეგაძე, გენადი მარგველაშვილი. 2019, საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სწავლების სპეციალური მეთოდიკა. ქუთაისი, ანსუ გამომცემლობა. 536 გვ.
3. ბერძულიშვილი გიორგი, 2018, სასკოლო და საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდები. ქუთაისი. ანსუ გამომცემლობა. 546 გვ.
4. ბერძულიშვილი გიორგი, გიორგი ბრეგაძე, 2016, საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანები დაწყებით კლასებში. ქუთაისი, ანსუ გამომცემლობა. 680 გვ.
5. მორალიშვილი, თამაზ, 1991, ამოცანათა ამოხსნის ძიების სწავლება საშუალო სკოლაში. თბილისი, 131 გვ.
6. Gazizov E. R, Gazizova S. E, Kiseleva N. G & Zinnatullina A. N. (2018). Heuristic Methods for Solving the Creative Problems. Herald NAMSCA 3. <http://journals.uran.ua/visnyknakkkim/article/view/171920>
7. Каплан, Борис, Николай.Рузин, Абрам Столяр, 1981, Методы обучения математике. (Некоторые вопросы теории и практики). Минск. „Народная Асвета“.)
8. Khalmuratovna, Djurakulova A. (2020). The Role of Non-standard Tasks in the Teaching Mathematics of Primary School. *JournalNX*, 329-335.
<https://caritulisan.com/paper/336081/the-role-of-non-standard-tasks-in-the-teaching-mathematics-of-primary-school>
9. Polya, George. 1981. *Mathematical Discovery*. New York: Wiley.
10. Sailaubek Y & Imanbek B. (2020). Methods of solving non-standard inequalities. *International Scientific Journals of Scientific Technical Union of Mechanical Engineering*, 4, 51-53. <https://stume-journals.com/journals/mm/2020/2/51>

საგრანტო პროექტები:

1. საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი: „მათემატიკის აკადემია“. გრანტის ნომერი SPG-22-161.
2. საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი: „ზოგიერთი სახის არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის და შედგენის ურთიერთკავშირში სწავლება VIII-XII კლასებში“. გრანტის ნომერი SCR-22-115.
3. საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი: „საქართველო დანყებითი კლასების მათემატიკის მათემატიკის ამოცანებში“. გრანტის ნომერი NSP-22-414.
4. საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი: „საძიებო და საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანები დანყებით კლასებში (I-VI კლასები)“. გრანტის ნომერი NSP-21-457.
5. საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი ახალგაზრდა მეცნიერისთვის: „უმცროსკლასელთა (I-III კლასები) აქტიური სწავლება განმავითარებელი და საგანთაშორისი კავშირების მქონე მათემატიკური ამოცანებით“. გრანტის ნომერი №YS 17-80.
6. ტემპუსის საგრანტო პროექტი: „სტუდენტთა აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველებაში“. Tempus Project №511275-TEMPUS-1-GE-TEMPUS-JPCR). გრანტი დააფინანსა ევროკავშირმა.
7. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრანტი: „საგანთაშორისი და შიდასაგნობრივი კავშირების შინაარსის მქონე ამოცანათა სისტემები საჯარო სკოლების სასწავლო პრაქტიკაში და მათი შედგენის მეთოდოლოგია“. გრანტის ნომერი № ATSU/14/1.
8. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრანტი: „განმავითარებელი და საძიებო ტექსტური ამოცანების სასწავლო პროცესში ჩართვის და სწავლების მეთოდური თავისებურებები უმცროს კლასებთან (I-III კლასები)“. გრანტის ნომერი № ATSU/21/1.

რეზიუმე

საქართველოში I-VI კლასების მათემატიკის მასწავლებლების მომზადება ხდება დანყებითი განათლების საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე, ხოლო მეორე და მესამე საფეხურის მათემატიკის მასწავლებლების მომზადება ხდება მათემატიკის მასწავლებლის სამაგისტრო პროგრამაზე, ან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტინ პროგრამაზე. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ მათემატიკის მასწავლებლების მოსამზადებელი არც ერთი კურიკულუმი არ შეიცავს საძიებო ამოცანების სწავლების საკითხებს, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს მათემატიკის მასწავლებლების პროფესიონალიზმზე. საძიებო ამოცანების ამოხსნის მეთოდების კვლევა და მათი სასწავლო პროცესში ჩართვა აქტუალურია არა მარტო ჩვენთან, არამედ საზღვარგარეთაც. ამას ადასტურებს ქართველი და საზღვარგარეთელი ექსპერტების დასკვნები იმ საგრანტო პროექტებზე, რომლებშიც ავტორის ხელმძღვანელობით გაიმარჯვეს მისმა ყოფილმა დოქტორანტებმა-ანსუ-ს თანამშრომლებმა. ამ საკითხების კვლევას მიეძღვნა 10-ზე მეტი სადოქტორო დისერტაცია, რომელთა მომზადება და დაცვა მოხდა ანსუ განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის ფარგლებში. ჩატარებული პედაგოგიური ექსპერიმენტებით დასტურდება, რომ მათემატიკის მასწავლებლების მოსამზადებელ საუნივერსიტეტო კურიკულუმებში საძიებო მათემატიკური ამოცანების სწავლება ჩართული უნდა იქნეს არანაკლებ ორი სემესტრის მანძილზე სავალდებულო კურსის სახით.

საკვანძო სიტყვები: საძიებო ამოცანა, მათემატიკის მასწავლებელი, კურიკულუმი, მეთოდი, კურსი.

Giorgi Berdzulishvili

The Professor of Akaki Tsereteli State University,
Academician of the Academy of Educational Sciences of Georgia
Georgia, Kutaisi

ON THE NECESSITY OF INCLUDING THE TEACHING OF SEARCHING MATH TASKS IN THE UNIVERSITY CURRICULA FOR MATHEMATICS TEACHER TRAINING

Summary

In Georgia, mathematics teachers of grades I-VI are trained at the bachelor-master program of primary education, and mathematics teachers of the second and third levels are trained at the master's program of the teacher of mathematics, or at the 60-credit teacher-training program. We draw attention to the fact that none of the curricula for the preparation of mathematics teachers includes the teaching of searching tasks, which directly affects the professionalism of mathematics teachers. The research of methods of solving searching math tasks and their inclusion in the educational process is relevant not only here, but also abroad. This is confirmed by the conclusions of Georgian and foreign experts on the grant projects in which the author's former doctoral students-employees won under the author's leadership. More than 10 doctoral dissertations were devoted to the research of these issues, which were prepared and defended within the framework of the ATSU doctoral program of educational sciences. The conducted pedagogical experiments prove that in the preparatory university curricula for mathematics teachers, the teaching of searching mathematical tasks should be included as a mandatory course for at least two semesters.

Key words: searching task, mathematics teacher, curriculum, method and course.

უნივერსიტეტი თანამედროვე ეტაპზე ძირითადი გამოწვევები

ვიაზროვნოთ გლობალურად, ვიმოქმედოთ ლოკალურად

შესავალი. საყოველთაოდაა მიღებული, რომ ინდუსტრია სულ უფრო ხდება ცოდნაზე დამყარებული – knowledge based industry. შესაბამისად, უნივერსიტეტის მნიშვნელობა ცივილიზაციის განვითარებაში სულ უფრო მატულობს.

შრომის მიზანს წარმოადგენს იმ ძირითადი გამოწვევების წარმოჩენა, რომლის წინაშეა უმაღლესი განათლების სისტემა და, კერძოდ, უნივერსიტეტი, როგორც გლობალურად, ასევე საქართველოში.

მასალები და მეთოდები. შრომა ეფუძნება პირად მოსაზრებებს, ჩამოყალიბებულს უნივერსიტეტში 49 წლის მუშაობის, აქედან 31 წელი, როგორც კათედრის (დეპარტამენტის) ხელმძღვანელის, ასევე უცხოეთში (გერმანიაში - 4-ჯერ, რუსეთში 2-ჯერ, გაერთიანებულ სამეფოსა და ავსტრიაში თითო-ჯერ) სტაჟირებების შედეგს.

შრომის სტრუქტურა შემდეგნაირია - მოგვყავს დებულებები, ზოგჯერ ლიტერატურიდან ნასესხები, რასაც თან ვურთავთ კომენტარს.

ძირითადი შედეგები.

1) უნივერსიტეტის (და საერთოდ უმაღლესი სკოლის) ძირითადი ამოცანაა განათლების განხორციელება, სამეცნიერო პროდუქტის შექმნა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა. უნივერსიტეტი უნდა პასუხობდეს ქვეყნის მოთხოვნებს. უნივერსიტეტი ადამიანს განათლებულად ხდის, ხელს უწყობს მისი ინტელექტუალური დონის ამაღლებას, შესაბამისად ხელს უწყობს იყოს ჯანმრთელი, ბედნიერი, ჰქონდეს ღირსეული შემოსავალი, მაქსიმალურად მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზაცია.

ეს დებულებები უდავოდ გვესახება, მაგრამ რამდენიმე საკითხი დაზუსტებას თხოულობს; პირველ რიგში ამ მიზნისკენ - პასუხობდეს ქვეყნის მოთხოვნებს - მიმართული ძალისხმევის რა ბერკეტები არსებობს. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სასწავლებლის შემთხვევაში ეს შედარებით იოლი უნდა იყოს, კერძო სასწავლებლებს ეს მოთხოვნა ასე პირდაპირ ვერ წაეყენება, თუმცა დახვეწილი საგადასახადო სისტემა ამ პრობლემას მეტ-ნაკლებად გადაწყვეტს.

კიდევ უფრო ძნელი შეკითხვაა რა ჩაითვალოს ქვეყნის ძირითად მოთხოვნად. ვფიქრობ და, ალბათ, ბევრი დამეთანხმება, რომ საქართველოში ამჟამად ორი უდიდესი საშიშროების - დეპოპულაციისა და კულტურული იდენტურობის დაკარგვის, ფაქტიურად ეთნოკულტურალური გენოციდის წინაშე ვდგავართ. რა შეუძლია უნივერსიტეტს - განგაშის ზარის შემოკვრა, „არ გავცვლი სალსა კლდეებსა სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“ – „Ubi patria, ibi bene“-ს იდეალების გათავისება, პატრიოტული მუხტის გაძლიერება, მრავალშვილიანობის მხარდაჭერა, ერის გაჯანსაღება, ობიექტურად ქვეყნის განვითარებისა და ცხოვრების დონის ამაღლების ხელშეწყობა. მეტსაც ვიტყვი, ყველა საგანმანათლებლო ეტაპზე, სკოლამდელი აღზრდის პროგრამებიდან (იმპრინტინგი) დაწყებული მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სილაბუსების ჩათვლით ინფორმაციამ ჩვენი სამშობლოს ისტორიასა და მიღწევებზე მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს. ეს აუცილებელია პატრიოტული სულისკვეთების მატარებელი მომავალი თაობის აღსაზრდელად.

მასმედიაში ხშირად ალტაცებით აღნიშნავენ ჩვენი თანამემამულეების წარმატებას უცხოეთში, თუნდაც აკადემიურ სფეროში. ვინ დავობს, ცუდი არაა, მაგრამ ხომ არ ჩაფიქრებულვართ, რომ ნებისით თუ უნებლიედ ამით ხელს ვუწყობთ ახალგაზრდების უცხოეთში გადინებას, რაც უფრო გაზრდის ისედაც საგანგაშო ემიგრაციას. ჩემის აზრით, აქცენტი უნდა კეთდებოდეს აქ მოღვაწე ქართველების საერთაშორისო მიღწევებზე.

უნივერსიტეტი ქმნის ქვეყნის, ერის ელიტას, ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვის. მნიშვნელოვანწილად, ელიტა ქვეყნის მომავალს განაპირობებს. როგორც იქნება ელიტა, ისეთი იქნება ჩვენი ხვალისდელი დღე.

2) ნებისმიერი ინსტიტუციის ეფექტურობა უნდა იზომებოდეს. უნივერსიტეტების შესაფასებლად მრავალი რეიტინგული სისტემა არსებობს, რაც არსებითად უნივერსიტეტის აქტივობის ყოვლისმომცველი შეფასებაა.

ალბათ ჩვენს უნივერსიტეტებსაც აქვთ თავიანთი რეიტინგი, სამწუხაროდ ვერ მივაგენი. ნუ გვეწყინება, მაღალი ქულა თუ არა გვაქვს, რეიტინგი ის თამასაა, რომელიც გვიჩვენებს სად ვართ ახლა და რას უნდა მივაქციოთ უპირველესი ყურადღება. ევროპაში პიზას კითხვარით ამონებენ 15 წლის ახალგაზრდებს ქვეყანაში განათლების დონის დასადგენად, ერთხელ ჩვენთანაც ჩატარდა, არც თუ ისე სახარბიელო შედეგები იქნა მიღებული. იქნებ სტუდენტებშიც არის ასეთი პრაქტიკა?

მავანი იტყვის, ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და სხვას როგორ შევედაროთო. ამის საწინააღმდეგოდ მოგვყავს სინგაპურის მაგალითი, ძალზე მცირე ქვეყანაა, ჩვენზე ნაკლები, მაგრამ მისი უნივერსიტეტი ყველა რეიტინგულ სისტემაში ერთ-ერთი მონინავეა. ორ ცნობილ ციტატასაც მოვიყვანდი - „ქართლში ვინ ჰპოვა ციხე პატარა, ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!“ (სიმონ ჩიქოვანი) და „შენ ჰეი, მსოფლიოს უმცირეს მდინარის პირად შობილო ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირად დაბადებულთა“ (კონსტანტინე გამსახურდია). თუმცა, ცხადია, თავისი მეცნიერებით, სწავლების სისტემით, ინდუსტრიით, ცხოვრების წესით უმჯობესია თუ ამა თუ იმ ცივილიზაციურ სფეროში ვიყოთ ჩართული (ალბათ, მაინც დასავლეთევროპულში).

უნივერსიტეტის სამეცნიერო წარმადობის შეფასება შედარებით იოლია; ამის საშუალებებია პუბლიკაციების რაოდენობა, სად დაიბეჭდა, შემსრულებლის თუ დაწესებულების უშუალო წვლილი, ციტირების ინდექსი, მეცნიერების გაზომვისათვის გამოყენებული სხვა ინდექსები, საერთაშორისო კონსორციუმებში მონაწილეობა და, რაც უმთავრესად მიმაჩნია, ექსპერტული შეფასება (Fuzzy logic-ის ელემენტების გამოყენებით).

პედაგოგიკაში გაზომვა უფრო ძნელია.

მთელ მსოფლიოში, პრაქტიკულად ყველა უნივერსიტეტში მატულობს ბიუროკრატიზაციის (ამ შემთხვევაში აქ ვგულისხმობ მოწესრიგულობის, რეგულირების) დონე. მე თუ მკითხავ, უნივერსიტეტის თანამშრომელი ამ მიმართულებითაც უნდა იყოს გათვითცნობიერებული. მახსენდება ჰერმან ჰესეს ცნობილი რომანი „თამაში რიოში მარგალიტებით (მძივების თამაში)“: პედაგოგიური პროვინციის - კასტალიის - იერარქიის წარმომადგენლები, უშუალოდ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად რაოდენ დროს უთმობენ თითქოსდა ფორმალურ საკითხებს.

ისე რომ სწავლების შეფასებისას ინსტრუქციებს გარკვეული პლუსები აქვს, მაგრამ, როგორც წესი, სასწავლო პროცესი და არა სწავლის შედეგი ფასდება. გამოცდების შედეგებიც მთლად ინფორმატიული არ არის, მოთხოვნილებები განსხვავებულია. იქნებ სჯობდეს სწავლის შედეგების განსაზღვრის საერთაშორისო კრიტერიუმების მიხედვით მომზადებული სისტემის შემუშავება და მისი თანდათანობითი დანერგვა. ძალზე გვიხარია, როდესაც ჩვენი სტუდენტი რაღაც ოლიმპიადასა თუ კონკურსში გაიმარჯვებს, მაგრამ სტატისტიკური კრიტერიუმებიცაა საჭირო, მოსახლეობის ოდენობა, სტუდენტების რაოდენობა, კონკურსში მონაწილეთა რიცხვი და ა.შ.

უნივერსიტეტის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ცნობადობა - ესეც ფრიად საგულახმო კრიტერიუმებია - საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა, უცხოელი სტუდენტების, მაგისტრებისა და დოქტორანტების რაოდენობა, რეფერენსები (მინიშნებები, ლინკები) მასმედიაში და სოციალურ

ქსელებში (როგორც აქ, ასევე უცხოეთში). სამწუხაროა, რომ მსოფლიოს უძველესი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სიაში გელათისა და იყალთოს აკადემიები სულ არაა ნახსენები, აღარაფერს ვამბობ ფაზისის რიტორიკულ სკოლაზე.

3) ნებისმიერ საქმეს ესაჭიროება სათანადო დაფინანსება, მათ შორის უნივერსიტეტის წარმართვასაც.

ანგარიშობენ მთლიანი შიდა პროდუქტის რამდენი პროცენტი იხარჯება განათლებაზე, მეცნიერებაზე. ესეც დასადგენია, რომელ ქვეყნებს უნდა შევედაროთ. დამფინანსებელს აქტივობის რეალური შედეგები აინტერესებს, ესეც გაზომვადი უნდა იყოს.

რაც არ უნდა გვერიდებოდეს, უნდა ვაღიაროთ, რომ სხვასთან ერთად უნივერსიტეტი ინდუსტრიული (კომერციული) დაწესებულებაცაა, ფული უნდა შემოჰქონდეს, სამუშაო ადგილებს ქმნიდეს, ამდიდრებდეს ქვეყანას (სხვადასხვა პროექტის პრაქტიკული გამოსავალი, საერთაშორისო გრანტები, ხაზინაში შესული გადასახადები), უცხოელი სტუდენტები მოზიდვა ხომ პრაქტიკულად განათლების ექსპორტია. საერთოდ, ნებისმიერ ბიზნესს მარკეტინგი უნდა ახლდეს. პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უნივერსიტეტი უნდა ცდილობდეს მის პროდუქტზე - განათლებაზე მოთხოვნილების გაზრდას, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე გარეთაც. ცხადია შესაბამისი მაღალი ხარისხის პროდუქტი უნდა გვექონდეს.

საერთოდ ექსპორტ-იმპორტის კატეგორიებითაც უნდა ვაზროვნებდეთ. იმპორტში ვგულისხმობ გამოჩენილი პედაგოგების მონვევას, საუკეთესო მეთოდის ადაპტაცია-დანერგვას, ხოლო ექსპორტში, გარდა უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვისა, ჩვენი პროექტების შედეგების გამომზეურებას, მონეტიზაციის ელემენტებით. საერთოდ, ყველაფერი ურთიერთკავშირშია, თუ წარმოება გაიზრდება, მუშახელიც იქნება საჭირო და უნივერსიტეტი მოამარაგებს ბიზნესს მაღალი რანგის სპეციალისტებით (აქ მარტო უმაღლესგანათლება მიღებულებს არ ვგულისხმობ, უნივერსიტეტს უფრო ფართოდ განვიხილავ, in toto - როგორც განათლების სისტემის პირამიდას, რომლის თავში უნივერსიტეტები უნდა იყოს).

რაც შეეხება სწავლების დაფინანსებას, ორი ძირითადი პრინციპია - ნაპოლეონისეული, რომელიც თვლიდა, რომ სახელმწიფო უნდა აძლევდეს შეკვეთას უნივერსიტეტებს მოამზადონ სპეციალისტების ესა თუ ის რაოდენობა, დააფინანსოს ისინი და, შესაბამისად, შესრულებაზე მკაცრი კონტროლი დაანესოს. ცოტა არ იყოს, სოციალისტურ გეგმიან ეკონომიკას გვაგონებს, თუმცა გარკვეულ სპეციალობებში ეს მისაღებია (სახელმწიფოს შეუძლია წმინდა ეკონომიკური ბერკეტებითაც ამის რეგულირება). არის მეორე მიდგომა, ადამ სმიტისეული, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტის და პედაგოგიური კორპუსის შემოსავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ სტუდენტს მოიზიდავს. ეს მიდგომა უკეთესად მიმაჩნია, თუმცა მნიშვნელოვნად მეტ ძალისხმევას თხოულობს. რაც შეეხება უფასო სწავლებას, ეს სადავოდ მეჩვენება. სჯობია, ალბათ, რეგულატორული და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება, მთავარია, ძლიერმა სტუდენტმა უსახსრობის გამო არ უნდა დაკარგოს განათლების მიღების შესაძლებლობა. აქ შემდეგი მომენტიცაა გასათვალისწინებელი - ზოგჯერ ახალგაზრდა მიიღებს სასწავლო გრანტს, მაგრამ რომ ჩაირიცხება სასწავლებელში, აღარაფერს აკეთებს. ვფიქრობ, აუცილებელია, ყოველწლიური კონტროლი, რამდენად შეესაბამება სტუდენტის აკადემიური წარმატება გრანტის მიღების მიმართ არსებულ მოთხოვნებს. კიდევ ერთი საშიშროებაცაა, იმის შიშით, რომ სტუდენტი არ გამექცესო, უნივერსიტეტი მოთხოვნილების დონეს ადაბლებს.

4) უნივერსიტეტის ფუნქციობა. წარმატების მისაღწევად გაუმჯობესებისაკენ და დახვეწისაკენ მიმართული პერმანენტული რეფორმებია საჭირო.

ცხადია, რეფორმები საჭიროა, მაგრამ არ უნდა იყოს რეფორმა რეფორმისთვის.

მოსახლეობის (არა მარტო ახალგაზრდობის, უფროსებისაც) განათლება ეს არის შესაბამისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ანალოგიით რომ ვიმსჯელოთ, თუ მედიცინის (ვგულისხმობთ მთლიანობაში აღებულს) სამიზნეა სამედიცინო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რასაც მივყევართ ტერმინამდე - სამედიცინო მომსახურება, განათლების განხორციელებასაც შეიძლება საგანმანათლებლო მომსახურება ეწოდოს.

მიზანშეწონილია მუდმივი დაკვირვება და ანალიზი ძირითადი მოთხოვნების დასადგენად, შესაძლებელია აგრეთვე მოთხოვნების შექმნა (თუ რა გზით, ეს უკვე ცალკე განსჯის საგანია), სწავლის მოტივაციის დონის ამაღლება.

ამ მხრივ, უნივერსიტეტების მთავარი უპირატესობაა მრავალრიცხოვანი მეტ-ნაკლებად დახელოვნებული პედაგოგიური კადრი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ნებისმიერი დონის სწავლების განხორციელებას - pregraduate, graduate, postgraduate - სკოლა, მოსამზადებელი კურსები, უშუალოდ სტუდენტებისა, დახელოვნება, მეორადი სპეციალობის მიღება, ზრდასრულებისა და ასაკოვნების სწავლება, ვინროპროფესიული განათლება. გასათვალისწინებელია თანამედროვე ტენდენცია - მეორე და ზოგჯერ მესამე სახის განათლების მიღების სურვილიც.

აღსანიშნავია, რომ ახლა სულ უფრო პოპულარული ხდება ე.წ. სასწავლო უნივერსიტეტები, რომელთაც მოცილებული აქვთ ყველა სხვა დავალება, გარდა სწავლებისა.

სასწავლო მიზნებისთვის უნივერსიტეტების კლასიკური სტრუქტურა - ფაკულტეტებსა და დეპარტამენტებს (კათედრებს) რომ ეყრდნობა, ალბათ მისაღებია. მაგრამ მეცნიერებისთვის უფრო ეფექტური იქნებოდა პარალელური სტრუქტურა, ამა თუ იმ პრობლემაზე ორიენტირებული.

დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა სპეციალიზებული უმაღლესი სკოლების (აგრარული, სამედიცინო, საინჟინრო, სახელოვნებო და სხვა) მიზანშეწონილება. ტენდენცია ისეთია, რომ უნივერსიტეტებიდან მათი გამოყოფა ხდება. არა მგონია, რომ ეს პროცესი შექცევადი იყოს (თუმცა ამის სანინააღმდეგო მაგალითებიც არის), მაგრამ არაფორმალურ დონეზე - Universitas (უნივერსუმის) პრინციპები, პრობლემების მრავალმხრივი განხილვა მაინც უნდა ხორციელდებოდეს.

Universitas magistrorum et scholarium - მასწავლებლებისა და სტუდენტების ერთობლიობის - პრინციპებიც სასურველია შემონახული და აღდგენილ იქნას. უნივერსიტეტი და, მით უფრო, კათედრა, დეპარტამენტი ერთ დიდ ოჯახად შეიძლება წარმოვიდგინოთ.

უდავოდ გვეჩვენება, რომ უნივერსიტეტში უნდა ფუნქციონირდეს მულტიპროფილური სემინარები, დისკუსიები, რიტორიკული სკოლები, ადგილი ჰქონდეს აზრთა თავისუფალ ცვლას.

სამწუხაროდ, ჩვენში საერთოდ არ არსებობს alumni-ს ინსტიტუტი, არადა ეს ხომ ახალი კავშირების, ასოციაციების, ურთიერთობების და, საბოლოო ანგარიშით, დემოკრატიის განვითარების წინაპირობაა. რაც შეეხება უცხოელ სტუდენტებს, ბუნებრივად შევძლებთ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩვენი გულშემატკივრებისა და მხარდამჭერების რიცხვის გაზრდას.

უნივერსიტეტი უნდა ამაყოფდეს თავისი პედაგოგებითა და კურსდამთავრებულებით, როგორც აქაურებით, ასევე უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულებით, პირიქითაც. არ იქნებოდა ურიგო, ალბათ, შესაბამისი ვირტუალური თუ რეალური მასალების, არქივების, მუზეუმების შექმნა. მარტო იუსტუს ფონ ლიბიხისა და ერნესტ რეზერფორდის (სხვათაშორის, ორივეს სამეცნიერო მიღწევების გამო აზნაურობა, რეზერფორდს - ბარონის ტიტულიც მიენიჭათ) მაგალითი რად ღირს - შედგენილია მათი სამეცნიერო გენეალოგია, ხაზგასმულია მონაფეხებსა და მონაფეთა მონაფეხებში ნობელის პრემიის ლაურეატების რაოდენობა (ლამის ოცამდე).

5) განათლება უნივერსიტეტში.

სწავლებაზე როცა ვლაპარაკობთ, უპირანია შევეხოთ ისეთ საკითხებს, როგორცაა სწავლების მეთოდთა და სილაბუსების შედგენა. გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები - ტრადიცია, პედაგოგის მიერ სასწავლო თემის თავისუფალი შერჩევა (რაც აკადემიური თავისუფლების ერთ-ერთ ქვაკუთხედად განიხილება), შემკვეთის (სახელმწიფო, ბიზნესი, სტუდენტი) სურვილი, ინფორმაციის ის მინიმალური ოდენობა რასაც უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული (ეს განსაკუთრებით რეგულირებად პროფესიებს ეხება).

პანდემიამ და ინფორმაციული ტექნოლოგიების თვალსაჩინო განვითარებამ დღის წესრიგში ონლაინ და ჰიბრიდული სწავლება დააყენა, რომელმაც უმოკლეს პერიოდში დიდი პოპულარობა მოიპოვა როგორც სტუდენტებში, ასევე მასწავლებლებში. ამ მეთოდის ძირითადი უპირატესობაა მეტი

ხელმისაწვდომობა, რაც სასწავლო კონტიგენტის მკვეთრად გაზრდის შესაძლებლობას იძლევა, ამასთანავე იზრდება კონკურენცია და უფრო მძლავრმა უნივერსიტეტებმა სტუდენტების დიდი (და, შესაძლოა), საუკეთესო ნაწილი გადაიბირონ, როგორც აქ, ასევე უცხოეთში.

რას უნდა ვასწავლიდეთ? ცხადია, გააჩნია რა სამიზნე გვაქვს. გაერთიანებულ სამეფოში ელიტის განათლებაში აქცენტი ბერძნულ-რომაულ მითოლოგიაზე კეთდებოდა, ჩინეთში კალიგრაფიისა და ლექსთნაწერის შესწავლაზე. პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ ვინ იცის, მაღალი რანგის მენეჯერებისთვის ასეთი ზოგადი საკითხების შესწავლა უფრო ეფექტური ხომ არ არის. ზოგიერთ ამერიკულ უნივერსიტეტში, ინჟინრების მომზადებისას პროგრამაში შეტანილია ესა თუ ის ჰუმანიტარული კურსი, ჰორიზონტის გასაფართოებლად, თავის ტვინის ორივე ჰემისფეროს ფუნქციონის გასაუმჯობესებლად, რაც ამ იდეის შემომტანების აზრით, მათ უკეთეს პროფესიონალებად აყალიბებს. ცხადია, იგივე შეიძლება გაკეთდეს ჰუმანიტარების მომზადებისას.

მაინც არა გვაქვს სათანადო მტკიცებულება, რომ ფართო განათლება ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია. თვით სტუდენტებიც ფრიად პრაგმატიკოსები გახდნენ, სულ არ უნდათ ის ინფორმაცია, პროგრამას რომ სცდება (მაგრამ ყველაფერში კი არ უნდა ვსდით სტუდენტთა სურვილებს). მთავარია, თუნდაც მაგისტრებსა და დოქტორანტებში, სჯობია, სტუდენტებშიც, შემოქმედებითი უნარების, კრეატიულობის განვითარება.

გამოცდა. ვინ დავობს, ტესტური სისტემა შეიძლება უფრო მოსახერხებელი იყოს, გარკვეულწილად უფრო სამართლიანიც, მაგრამ გამოცდა in person მაინც საუკეთესოდ გვეჩვენება სტუდენტის არსებული ცოდნისა და პოტენციალის დასადგენად. მიზანშეწონილად მიმაჩნია გამოცდისას გარეთა აუდიტის პრინციპებიც იყოს გამოყენებული.

ალბათ, კლასიკური ლექციაც უნდა შეიცვალოს. სტუდენტს არ ესაჭიროება სახელმძღვანელოს გამეორება (სხვა საქმეა, თუ სახელმძღვანელო ჯერ არ არსებობს, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც შეიძლება გამოვიყენოთ ე.წ. „ჰენდაუტები“), მთავარია ვასწავლოთ აზროვნება, ლოგიკა, არა იმდენად ინფორმაცია, არამედ მისი ოპერირება, გამოყენება, პრობლემის გადანყვეტისა და გადანყვეტილების მიღების ჩვევები და, ასევე, ჩავუნერგოთ ოპტიმალური (არამოსამართლებრივი) დამოკიდებულება მოვლენისა თუ პიროვნების (თუნდაც პაციენტის) მიმართ. ამისათვის გამოდგება ინოვაციებისა და არსებული ტრადიციების შეხამება - ისტორიული აღმოჩენების ისტორია, საჩინო მეცნიერ-პედაგოგებზე ინფორმაციის მიწოდება, დიაგნოზის (ამ სიტყვის ფართო გაგებით) დასმა, ალტერნატივების გათვალისწინება, სტერეოტიპებისაგან გათავისუფლება, ფაქტებსა და პირველწყაროებზე დაყრდნობა, ჯანსაღი კრიტიციზმი. პრაქტიკული ჩვევების ათვისება, ცხადია, სხვადასხვა სპეციალობის სწავლებისას განსხვავებულია.

ემანუელ კანტს აქვს გამოთქმული მოსაზრება, რომ პროფესორის ლექცია ძირეულად უნდა განსხვავდებოდეს სხვა პედაგოგების ლექცია-სემინარ-პრაქტიკულებისაგან. იგი არა მარტო ფასილიტატორი უნდა იყოს, უადვილებდეს სტუდენტს ახალი ინფორმაციის აღქმას, ძირითადად ყურადღების გამახვილებას. პროფესორმა უნდა მიანოდოს მას უახლესი ინფორმაცია, მის მიერ მოპოვებულის ჩათვლით, მოვლენების დაჯგუფების, კლასიფიკაციის ორიგინალური მიდგომები, გააცნოს თავისი შეხედულებები, საკუთარი თავი გაუზიაროს.

ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი გარკვეულად პერფორმანსის ელემენტებსაც მოიცავს, შესაბამისად პედაგოგს სამსახიობო უნარებიც უნდა ჰქონდეს, ალბათ.

სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო კვლევაში მიზანშეწონილად და აუცილებლად მიმაჩნია, ეს აუმჯობესებს აზროვნებით უნარებს და, შესაბამისად, ხელს უწყობს გახდნენ უკეთესი სპეციალისტები. ამ მხრივაც მეტი რესურსია საჭირო.

6) მეცნიერება უნივერსიტეტში.

მსოფლიოში მეცნიერების ორგანიზაციის მრავალი მოდელი არსებობს. უნივერსიტეტს ის უპირატესობა აქვს, რომ ერთ დანესებულებაში სხვადასხვა სპეციალობის მქონე პროფესიონალების მეცნიერებათა გადაკვეთაზე ერთობლივი მუშაობა ხშირად უფრო ეფექტურია.

გამოჰყოფენ სუფთა მეცნიერებას, გამოყენებითსა და ფუნდამენტურს. საბოლოო ანგარიშით ყველა გამოყენებითა - ე.წ. სუფთა მეცნიერება, სულ ცოტა, აკადემიურ დონესა ზრდის და სტუდენტებს მკვლევრის ჩვევების ათვისებაში ეხმარება, ფუნდამენტური კვლევის შედეგები ადრე თუ გვიან პრაქტიკაში დაინერგება. გამოყენებით კვლევებში ჰუმანიტარული (ისტორიული) კვლევებიც უნდა ვიგულისხმეთ - ხელს უწყობს ქვეყნის პოპულარიზაციას, მიმზიდველობის გაზრდას, ტურიზმის ექსპორტის არსებით მომატებას.

7) პროფესორი უნდა იყოს მაღალი რანგის პროფესიონალი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ფართო განათლებისა და მაღალი ზნეობის მქონე ადამიანი.

ცხადია, პროფესორი თავისი დარგის პროფესიონალი უნდა იყოს. მაგრამ არავის დაუმტკიცებია, რომ დიდი მეცნიერი, აუცილებლად დიდი პედაგოგია. ეს იშვიათი გამონაკლისია მხოლოდ, თუმცა უნივერსიტეტს აწყობს მასში მაღალი რანგის მეცნიერი მოღვაწეობდეს, ეს მის ავტორიტეტს ზრდის.

ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია პედაგოგიური უნარები; მასწავლებელს, პროფესორს პედაგოგიკის ერთ-ერთი სიმბოლოს - პელიკანის თვისებებიც რომ ჰქონდეს.

ეთიკური მაქსიმუმის დაცვა, ძნელი დასამტკიცებელია, რომ იგი აუცილებელია. არავის დაუმტკიცებია, რომ მორალური პროფესორი უკეთესი მასწავლებელია და მეცნიერი. მაინც, შინაგანად გვინდა, რომ ამ სფეროში მომუშავეებს მაინც ახასიათებდეთ მაღალზნეობრივი ქცევა - ათი მცნება, ზოროასტრიზმის პოსტულატები - არა ცუდ აზრებს, სიტყვებსა და საქციელს. სენეკის ნაწარმოების *Quo vadis* გმირის პეტრონიუსის - *arbiter elegantiarum*-ის მსგავსად პროფესურა *arbiter morum*-ად უნდა აღიქმებოდეს. ალბათ ყველა პედაგოგის იდეალი კუნ ფუ ცზი (*Confucius*) უნდა იყოს. კიდევ უფრო სადავოა ან, უფრო სწორედ, არაა საკმარისი მტკიცებულებები ესთეტიკური იდეალების აუცილებლობის შესახებ უმაღლეს განათლებაში. ერთია მხოლოდ, გემოვნება ხელს უშლის მავნე და არასაჭირო ინფორმაციის აღქმას, ტვინის გაბინძურებას.

არც ფართო განათლებაა კარგი პროფესიონალის გარანტია, ან, უბრალოდ, მტკიცებულებები არ გვაქვს.

ცოტათი უცნაურია, ჩვენში, როცა ერთმანეთს მივმართავთ, უპირატესობას ვანიჭებთ სიტყვას „ბატონო“, ზოგიერთ ქვეყანაში „მასწავლებლო“ (მაგალითად აზერბაიჯანში „მუალიმ“, რამდენადაც ვიცით, ჩინეთშიც), ევროპაში უფრო ჩვენებურადაა - *Monsieur, Mister, Herr*, მაგრამ, მაგალითად, გერმანიაში „*Herr Professor*“ უდიდეს პატივისცემას გამოხატავს.

მოგვწონს თუ არა, ინგლისური ჩვენი დროის ლათინური გახდა. ცხადია, სხვა ენების ცოდნაც არ იქნება ურიგო, მათ შორის რუსულისაც, ყველა ჩვენი მეზობლისთვის იგი მაინც ძირითადი საკომუნიკაციო საშუალებაა, მით უფრო, რომ პერსპექტივაში იგი გამოგვადგება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან სტუდენტების მოზიდვაში., მაგრამ ინგლისური ენის ცოდნა, და არა საყველპუროსი, არამედ იმ დონეზე მაინც, როგორსაც ვფლობდით რუსულს, პროფესურისთვის და სტუდენტებისთვისაც, დღესდღეობით არის *must*.

იდეალში უნივერსიტეტი და, კერძოდ, პროფესურა გადწყვეტილების მიმღებთა ძირითადი მრჩეველია, ექსპერტი (ცხადია, სათქმელიც უნდა ჰქონდეს, იდეებს უნდა ფონტანირებდეს, აფრქვევდეს). უცხოეთში არსებულ ზოგიერთ ორგანიზაციას, მაგალითად *Rotary club*-ს, ძალზე საინტერესო ტრადიცია აქვს - რეგულარულად ერთმანეთს ხვდებიან მაღალი რანგის მოხელეები, ბიზნესის წარმომადგენლები და უნივერსიტეტის პროფესურა, არაფორმალური კონტაქტებისას ამა თუ იმ პროექტის ინიცირება ხდება.

უნივერსიტეტი და, კერძოდ, პროფესურა საზოგადოებრივი აზრის შემქმნელიც უნდა იყოს, ლოგიკური ქცევის, მეტყველების პარაგონი, ხელს უწყობდეს მთლიანად საზოგადოების კულტურისა და ცოდნის დონის ამაღლებას. მაშინაც კი, როდესაც პროფესორს ურჩევნია მხოლოდ თავისი ვინრო საქმით იყოს დაკავებული, საზოგადო საქმეშიც უნდა მონაწილეობდეს - „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“.

დასკვნა. ახალი დისციპლინის უნივერსიტეტოლოგიის, როგორც განათლების მეცნიერების კომპონენტის (რაც პირობითად ეპისტემოლოგიის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს) შექმნის მონმენი ვართ. მაინც, ძირითადად მოსაზრებებისა და შეხედულებების დაგროვების ფაზაში ვიმყოფებით, გვჭირდება მტკიცებულებები, ფაქტები, სპეციალური კვლევები.

რეზიუმე

შრომის მიზანს წარმოადგენს იმ ძირითადი გამოწვევების წარმოჩენა, რომლის წინაშეა უმაღლესი განათლების სისტემა და, კერძოდ, უნივერსიტეტი, როგორც გლობალურად, ასევე საქართველოში. შრომა ეფუძნებაპირად მოსაზრებებს, ჩამოყალიბებულსხაგრძლივი (49 წლიანი) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის შედეგად.

ხაზგასმულია შემდეგი დებულებები:

უნივერსიტეტის ძირითადი ამოცანაა პასუხობდეს ქვეყნის მოთხოვნებს. საქართველოში ყველაზე საჭირობოროტოა დეპოპულაციისა და კულტურული იდენტურობის დაკარგვის საშიშროება. შესაბამისად საჭიროა პატრიოტული სულისკვეთების მქონე ინტელექტუალური ელიტის ჩამოყალიბება.

პერმანენტულად უნდა ხორციელდებოდეს უნივერსიტეტის ყოვლისმომცველი აქტივობის შეფასება, ეკონომიური მაჩვენებლების გათვალისწინებითაც.

ჰიბრიდული განათლების დანერგვა თანამედროვეობის გამოწვევაა.

სწავლებაში მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს პრობლემის გადანყვეტისა და გადანყვეტილების მიღების უნარებს, კრეატიულობის განვითარებას.

პროფესურა, გარდა აკადემიური მოღვაწეობისა, სასურველია იყოს ექსპერტი ამა თუ იმ პრობლემის გადანყვეტისას.

უნივერსიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებზე საპასუხოდ საჭიროა სპეციალურ კვლევების ჩატარება.

საკვანძო სიტყვები: უნივერსიტეტი, საქართველო, ჰიბრიდული სწავლება, პატრიოტული განათლება, სწავლების სამიზნეები.

UNIVERSITY AT THE MODERN STAGE. KEY CHALLENGES

Summary

The purpose of the work is to present the main challenges faced by the higher education system and, in particular, the university, both globally and in Georgia. The work is based on personal opinions, formed as a result of long (49 years) scientific-pedagogical work.

The following provisions are highlighted.

The main task of the university is to respond to the needs of the country. The danger of depopulation and loss of cultural identity is the most dire in Georgia. Accordingly, it is necessary to form an intellectual elite with a patriotic spirit.

Evaluation of the comprehensive activity of the university should be carried out continuously, taking into account economic indicators as well.

Introduction of hybrid education is a modern challenge.

In education, more attention should be paid to problem-solving and decision-making skills, creativity development.

A professor, in addition to academic work, should preferably be an expert in solving this or that problem.

In response to the challenges facing the university, there is a need to conduct special research.

Key words: University, Georgia, hybrid education, patriotic education, teaching targets

მათემატიკის სწავლების სირთულეების დაქვეა დანყობით სწავლებას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გარეშე დღეს წარმოუდგენელია პროგრესი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში. შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, ინფორმაციული საზოგადოების შექმნა და მსოფლიო ინფორმაციულ სივრცეში აქტიურად ჩართვა ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტულ ამოცანად არის მიჩნეული.

საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა სწავლებაში მასწავლებელს საშუალებას აძლევს თვისებრივად შეცვალოს სწავლების შინაარსი, მეთოდები და ორგანიზაციული ფორმები, განახორციელოს სწავლებისადმი შემოქმედებითი მიდგომები, მოახდინოს სასწავლო პროცესის ჰუმანიზაცია, ინდივიდუალიზაცია, ინტენსიფიკაცია, რათა მიღწეულ იქნეს სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა მკვეთრად აჩქარებს სწავლების პროცესს და ამალავს მის ხარისხს, ახდენს სასწავლო დროის ეკონომიას. მასწავლებელი, რომელიც იყენებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს თავის პედაგოგიურ მოღვაწეობაში, უფრო მეტად მოტილიურია, მისწრაფვის სიახლეებისაკენ, ითვისებს პიროვნებაზე ორიენტირებულ ცოდნას.

მოსწავლეები დანყობით კლასებშივე უნდა მიეჩვივნენ დამოუკიდებლად სწავლას. უნდა შეძლონ თვითონ მართონ საკუთარი სწავლის პროცესი, განუვითარდეთ მეტაკოგნიტიური უნარები, შეძლონ „სწავლის სწავლა“. მათემატიკა კი ისეთი მეცნიერებაა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების განვითარებას. აღსანიშნავია მათემატიკის განსაკუთრებული როლი კაცობრიობის განვითარებასა და თანამედროვე ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, სივრცე - დროის სტრუქტურის უკეთ გააზრება, ბუნებაში არსებული მრავალი კანონზომიერების აღმოჩენა და აღწერა ნათლად წარმოაჩენს მათემატიკის სამეცნიერო და კულტურულ ღირებულებას. მათემატიკის სწავლებისას ყოველი მომდევნო საფეხური წინაზეა დაშენებული. დანყობით კლასებში წარმოქმნილი სირთულეები თუ თავიდანვე არ დაიძლია, შემდეგ, მაღალ კლასებში უფრო გაჭირდება პრობლემის აღმოფხვრა.

თანამედროვე გაკვეთილები თითქმის შეუძლებელია ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. სწავლება უნდა გასცდეს ტრადიციული ლექციური ტიპის გაკვეთილებს და უფრო შემოქმედებითი, პრაქტიკულ რეალობასთან მიახლოებული, მრავალფეროვანი რესურსით გამდიდრებული და მოსწავლეზე ორიენტირებული უნდა იყოს.

განათლების სფეროში სწავლა-სწავლება განიხილება როგორც პროცესი, რომლის დროსაც უბრალოდ ცოდნის გადაცემა კი არ ხდება, არამედ ცოდნა კონსტრუირდება თავად მოსწავლის მიერ სოციალური გარემოს ხელშეწყობით. დღეს ყველა აღნიშნავს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ცვლილებების შეტანაა საჭირო. დროსთან ერთად იცვლებიან თაობებიც და მათი მოთხოვნილებებიც, ამიტომ აუცილებელი ხდება სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში 21-ე საუკუნის კომპეტენციების გამომუშავებას. როგორ გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნოლოგიები სწავლის შედეგის გასაუმჯობესებლად? განათლების სისტემაში ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვისადმი სხვადასხვა მიდგომა არსებობს, თუმცა

ყველას აქვს გაცნობიერებული ამ ინიციატივის მნიშვნელობა, რადგან ის უზრუნველყოფს მოსწავლეებში სწავლისადმი ინტერესის ამაღლებას და სხვადასხვა უნარ-ჩვევის განვითარებას. რა შეგვიძლია გავაკეთოთ სასწავლო პროცესში ინოვაციური მეთოდების დასანერგად? პირველ რიგში, დავეუფლოთ ინტერნეტში ინფორმაციის მოძიებასა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას. ამის წყალობით, შევძლებთ აქტიურად გამოვიყენოთ ხელმისაწვდომი დამხმარე რესურსები და ისტ ტექნოლოგიები გაკვეთილებზე.

რა შესაძლებლობებსა და უპირატესობებს ქმნის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში?

- ✓ ისტ-ის მეშვეობით სწავლება ხდება უფრო აქტუალური, ხელმისაწვდომი, საინტერესო და რეალურ ცხოვრებასთან მიახლოებული;
- ✓ ისტ-ის ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, აძლევს მოსწავლეს პროცესებისა და მოვლენების მოდელირების საშუალებას, ხელს უწყობს მრავალმხრივ განვითარებას, აჩვენებს სწავლასა და თანამშრომლობას. იძლევა სწავლის საშუალებას ინფორმაციის შესწავლა-ანალიზის გზით.
- ✓ ისტ ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად სასწავლო პროცესში ერთვება უფრო მეტი მოსწავლე, სწავლების პროცესი სცდება საკლასო ოთახს, მოსწავლეები იმაღლებენ ტექნიკურ ცოდნას, სწავლის პროცესი უფრო მართვადი ხდება, სწავლების ტრადიციულ გარემოს ენაცვლება ციფრული გარემო, სწავლება ხდება უფრო ინტერაქტიული, მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სწავლების პროცესში, და თავად ირჩევენ სწავლების ფორმას.
- ✓ ისტ ტექნოლოგიების გამოყენება ეხმარება მოსწავლეს გამოავლინოს და განავითაროს ისეთი უნარები, როგორებიცაა: მიზნის გაცნობიერება; ადრე მიღებული ცოდნის აქტიური რეპროდუქცირება; მზა წყაროებზე დაყრდნობით ცოდნის შევსება; კვლევა-ძიების დამოუკიდებლად წარმართვა.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ფორმები დაწყებით კლასებში მრავალფეროვანია. მათემატიკის გაკვეთილზე ინფორმაცია შეიძლება წარმოვადგინოთ მულტიმედიური პრეზენტაციების სახით. მულტიმედიური პრეზენტაციები ეხმარება მოსწავლეებს უკეთესად აითვისონ სასწავლო მასალა. პრეზენტაცია შედგება გარკვეული მონაცვლეობით მიწოდებული სლაიდებისაგან, რომელიც წარმოადგენს ელექტრონულ „ფურცელს“ და, რომელიც გამოსახულია მონიტორის მთელ ეკრანზე. სლაიდებზე განთავსებულია ტესტები, ფოტომასალები, ნახატები, დიაგრამები, გრაფიკები. ყველაზე პოპულარული პროგრამა, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვანყოთ პრეზენტაცია, არის Microsoft PowerPoint. ეს პროგრამა საკმაოდ მარტივია და მოხერხებული. სხვადასხვა სახის საპრეზენტაციო მასალა - ტექსტები, დიაგრამები, ცხრილები და მისთანები შეუძლიათ შექმნან თავად მოსწავლეებმაც.

არსებობს მზა სასწავლო კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც მასწავლებლებს უადვილებს გაკვეთილის ჩატარებას და დიდი მონონებით სარგებლობს მოსწავლეებში. ასეთი პროგრამების გამოყენებით გაკვეთილი ხდება უფრო სახალისო და საინტერესო. ერთ-ერთი ასეთი მათემატიკური პროგრამა არის GeoGebra, რომელიც აერთიანებს გეომეტრიის, ალგებრისა და კალკულუსის ელემენტებს. პროგრამის მასალა მოიცავს მრავალფეროვან მათემატიკურ საკითხს. პროგრამა, ძირითადად, გამოიყენება სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე, თუმცა ეს პროგრამა შეიძლება გამოვიყენოთ დაწყებით საფეხურზეც. მაგალითად, დაწყებით კლასებში ამ პროგრამის მეშვეობით შეიძლება ავაგოთ უმარტივესი გეომეტრიული ფიგურები-წერტილები, მონაკვეთები, წრფეები, მრავალკუთხედები.

სწავლების ერთ-ერთი ხელმისაწვდომი და ახალ თაობებს მორგებული ფორმაა ონლაინ სწავლება. ინტერნეტში მრავლადაა ღია, თავისუფლად გავრცელებადი სასწავლო რესურსი. თუმცა ზოგჯერ ხარისხიან სასწავლო მასალებზე წვდომა ფასიანია. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებუ-

ლი, უფასო საერთაშორისო საგანმანათლებლო რესურსია ხანის აკადემია. ის ერთნაირად მოხერხებული და საინტერესოა როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებისთვის. სასწავლო მასალები აქ საგნებისა და თემების მიხედვითაა დალაგებული. ხანის აკადემიის მთავარი მიზანია, თანამედროვე ტიპის სასწავლო მასალები ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის, ვისაც ხარისხიანი განათლების მიღება სურს, განურჩევლად იმისა, რომელ ქვეყანაში ცხოვრობს, როგორ სკოლაში სწავლობს და რა აინტერესებს.

ხანის აკადემიის მიერ მომზადებული ყოველგვარი მასალა უფასოა. ვიდეო გაკვეთილებთან ერთად შესაძლებელია პრაქტიკული ამოცანების ნახვაც, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ერთ პლატფორმაზე მიიღოს თეორიული ცოდნა და ივარჯიშოს მის პრაქტიკულ გამოყენებაში. ხანის აკადემიის პლატფორმა საშუალებას აძლევს მასწავლებელს, აკონტროლოს და თვალი ადევნოს როგორც თითოეული მოსწავლის განვითარებას და პროგრესს, ასევე მთელი კლასის წინსვლას. დეტალურ ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ რომელი თემა, რომელი სავარჯიშო გამოუვიდა მოსწავლეს და, ზოგადად, კლასს, უფრო კრგად, ან, პირიქით, გაუჭირდა. ეს საშუალებას აძლევს მასწავლებელს შესაბამისად დაგეგმოს მომდევნო აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე. ხანის აკადემია საშუალებას აძლევს მშობლებსაც ჩაერთონ საკუთარი შვილის სწავლის პროცესში და შეძლებისდაგვარად დაეხმარონ. მოსწავლეებიც ხედავენ საკუთარ პროგრესს, ისინი ვარჯიშის დროს იღებენ ენერჯის ქულებს, წამახალისებელ შექებას, ვარსკვლავებს, ფოიერვერკებს, ბეჯებს, ქულების პროცენტულ მაჩვენებელს, ეს ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და ჩართულობას.

საქართველოში არსებობს მსგავსი პორტალი, რომელიც ქართულენოვან ვიდეოგაკვეთილებს სთავაზობს მომხმარებელს. კოდალას აკადემიის პორტალზე განთავსებულია 200-ზე მეტი მოკლე ვიდეო გაკვეთილი, ექსპერიმენტები ქიმიამში, ბიოლოგიაში, მათემატიკაში, გეოგრაფიაში. ისინი სასწავლო გეგმას უკავშირდება და მათი გამოყენება შეიძლება გაკვეთილზე, საშინაო დავალების შესრულებისას თუ გამოცდებისთვის მზადებისას.

ერთ-ერთი საგანმანათლებლო სოციალური ქსელი არის Edmodo. ეს არის უფასო უსაფრთხო, პროდუქტიული სოციალური ქსელი მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის. Edmodo-ს საშუალებით შესაძლებელია დავალებების გაგზავნა, გამოკითხვების შექმნა, ფაილების ატვირთვა ბიბლიოთეკაში. მისი საშუალებით მასწავლებელი მარტივად ამყარებს კომუნიკაციას მოსწავლეებთან, მშობლებთან.

Edmodo-ს მარტივი ინტერფეისი, ნაცნობი გარემო (სოციალური ქსელი) და მისი გამოყენება სასწავლო მიზნებისთვის ხელს უწყობს მოსწავლეების მოტივაციას და ინტერესს უღვივებს მათ გაერთიანდნენ ვირტუალურ საკლასო ოთახში და შეასრულონ მასწავლებლის მიერ მიცემული დავალებები, გაეცნონ პრეზენტაციებს, შეასრულონ ტესტები, მიიღონ ჯილდოები. (<http://www.ict.tpdc.ge/video/1?c>).

მინდა აღვნიშნო, რომ სასწავლო პროცესში ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვა მასწავლებლის გარკვეულ ენთუზიაზმსა და თვითგანვითარებაზე ზრუნვას მოითხოვს. ინტერნეტი და ტექნოლოგიები გზას უხსნის მას იმისაკენ, რომ სწავლის პროცესი უნიკალურ და დაუფინყარ შემოქმედებით პროცესად გადააქციოს. ცხადია, ასეთ პროცესში სრულად ჩართული მოსწავლე უკეთ გაართმევს თავს სასწავლო ამოცანებს.

როგორც გამოკითხვებმა აჩვენა, მათემატიკის შესწავლისას ყველაზე დიდ სირთულეს მოსწავლეებში დამოუკიდებლად საშინაო დავალების შესრულება წარმოადგენს. მოსწავლეთა უმრავლესობას კლასში ჯგუფური მუშაობა მოსწონს, რადგან ერთმანეთს ეხმარებიან და მათთვის უფრო საინტერესო და სახალისოც არის.

ასევე საყურადღებოა, რამდენად იყენებენ დაბალ კლასებში სწავლის დროს კომპიუტერს. მოსწავლეთა აზრით, მათემატიკის შესწავლას გაუადვილებს სხვადასხვა სახალისო აქტივობა, მეტი ლოგიკური ამოცანა და მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსი.

მნიშვნელოვანია მშობელთა დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით, მშობელთა აზრით, მათ შვილებს მათემატიკის შესწავლას უძნელებს რთული პროგრამა, თითქმის ყოველდღიურად ახსნილი ახალი მასალა, და ბავშვები ვერ ასწრებენ ათვისებას. უჭირთ დამოუკიდებლად საშინაო დავალების შესრულება. ისინი აღნიშნავენ, რომ, ზოგადად, მათემატიკა რთული საგანია და ყველას არა აქვს უნარი, რომ ერთი ახსნით დაიმახსოვროს და ყველაფერი გასაგები იყოს. მათ კი არა აქვთ დრო, ზოგს კი არ ყოფნის კომპეტენცია, რომ შვილებს საჭიროების შემთხვევაში დაეხმარონ. მათ გათვითცნობიერებული აქვთ ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობაც და ძალიან დიდ ინტერესს იწვევს მათში და გამოთქვამენ მზაობას დახმარებისათვის, ხელშეწყობისათვის.

გაკვეთილებზე დაკვირვება ცხადყოფს, თუ რამდენად ეხმარება ტექნოლოგიების გამოყენება მოსწავლეებს. ისინი ხალისით ერთვებიან მათთვის განსხვავებული და ახალი აქტივობების შესრულების პროცესში. თუმცა, პრაქტიკის არ ქონის გამო, ბევრს უჭირს ასეთ აქტივობებში მონაწილეობის მიღება. მოსწავლეები ფიქრობენ, რომ მეტი თვალსაჩინოება და მრავალფეროვანი რესურსი მათ დაეხმარება ახალი მასალის უკეთ გაგებასა და დამახსოვრებაში. ისინი აღნიშნავენ, რომ ვიდეოგაკვეთილები და ელექტრონული ტესტები მათთვის ახალი, საინტერესო და სახალისოც კია. ეს ყველაფერი საშუალებას მისცემს მათ, რომ მასალა გაიმეორონ და შესრულებული ტესტებით საკუთარი ცოდნა შეამოწმონ.

მოსწავლეთათვის სწავლის ხელშეწყობი და სირთულეების დაძლევის ერთ-ერთი საშუალებაა მრავალფეროვანი თვალსაჩინოება და რესურსი. ამისათვის აუცილებელია მასწავლებელი სისტემატურად იყენებდეს PowerPoint-ში შექმნილ საპრეზენტაციო მასალებს. წილადებზე თითქმის ყველა საკითხის (წილადების შედარება, შეკრება-გამოკლება, ამოცანები წილადებზე, ძირითადი თვისება) და გეომეტრიული საკითხების (კუთხეები, სამკუთხედები, ოთხკუთხედები, სივრცული ფიგურების) შესწავლის და ახსნის დროს სხვა თვალსაჩინოებასა და რესურსებთან ერთად აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული სლაიდები PowerPoint-ში. ასე მიწოდებული მასალა არის თვალსაჩინო, მოსწავლეთათვის ადვილად აღსაქმელი, სახალისო და საინტერესო. გარდა იმისა, რომ ასე მიწოდებული მასალა მოსწავლეებს გაუადვილებს თემის შესწავლას, მასწავლებელსაც დაეხმარა დროის სწორად ორგანიზებასა და მასალის უკეთ მიწოდებაში.

გეომეტრიული საკითხების შესწავლის დროს, გარდა ზემოთ აღნიშნული აქტივობებისა, მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს მათემატიკური პროგრამა GeoGebra. კერძოდ კი, გეომეტრიული საკითხების (კუთხეების, პარალელური და მართობული წრფეების, მრავალკუთხედების და სივრცული ფიგურების) შესწავლის დროს მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ ეს პროგრამა და ვაჩვენოთ, როგორ შეიძლება მისი გამოყენება. თვალსაჩინოებისათვის შეიძლება ავსავთ პარალელური და მართობული წრფეები, მრავალკუთხედები, სივრცული ფიგურები. კლასში მისი გამოყენება მეტად საინტერესო და სახალისოა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროგრამა შედარებით რთულად გასაგებია მოსწავლეებისათვის და შეიძლება დამოუკიდებლად გამოყენება გაუჭირდეთ.

ძირითადი საკითხების შეჯამებისთვის, გარდა ხანის აკადემიისა და Edmodo-ზე შექმნილი ტესტების, რომლებსაც მოსწავლეები სახლში დავალებად აკეთებენ, ასევე სასურველია კლასში გამოყენებულ იქნეს Easy Quizzzy-ში შექმნილ ტესტები, რაც მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების ერთ-ერთი საშუალებაა. ეს პროგრამები საშუალებას იძლევა ტესტები იყოს არა მხოლოდ არჩევითი პასუხიანი, არამედ შესაბამისობის, მოკლე პასუხის მითითებით, დიახ - არა კითხვებით. ასევე შეიძლება შეფასების სხვადასხვა ფორმის მითითება, ქულებში გამოსახვა ან განმავითარებელი შეფასების ფორმით მოცემა. ეს ტესტს მრავალფეროვანს ხდის. თვითონ მოსწავლეებისთვის კი საინტერესო და სახალისოა, რადგან სწავლობენ და ეჩვევიან ტესტების ელექტრონულად დამუშავებას, საკუთარი ცოდნის შემოწმებას და მოსწონთ, რომ უკუკავშირსაც და შედეგს იმ წუთში იღებენ.

ასეთი აქტივობების გამოყენება საგრძნობლად ზრდის მოსწავლეთა აქტიურობას და ჩართულობას. უფრო თამამად აფიქსირებდნენ საკუთარ მოსაზრებას, ამა თუ იმ ამოცანის ამოხსნის დროს, შეცდომის დაშვებისას მიღებულ რეკომენდაციებსაც ადეკვატურად აღიქვამდნენ.

დანყებით კლასებში მათემატიკის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ძირითადად, გამოწვეულია მათი ასაკობრივი თავისებურებებით (ემოციური ფონი, შეცდომის დაშვების შიში, ნაკლები თავდაჯერებულობა და თვითრწმენა) და გადატვირთული პროგრამებით. ეს სირთულეები უმეტესად ვლინდება საშინაო დავალების შესრულებისა და დამოუკიდებელი მუშაობისას. თუმცა ამ სიძნელეების დაძლევა შეიძლება მრავალფეროვანი და სახალისო აქტივობით, სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებით. ისტ-ისა და ონლაინ რესურსების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, მათთვის სასწავლო პროცესს უფრო შემოქმედებითსა და სახალისოს ხდის. უვითარებს დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევებს, მათებს საკუთარი თავის რწმენას. ბავშვებს განსაკუთრებით მოსწონთ, როცა თავად ქმნიან რესურსს, აქვთ არჩევანის გაკეთების საშუალება, მოსწონთ დავალება, რაც უფრო მეტად სახალისოა და კავშირშია პრაქტიკასთან. ამ დროს დამოუკიდებლადაც ცდილობენ მსგავსი დავალებების მოძიებას, ვიდეოგაკვეთილების ნახვას, რათა გაიღრმავონ ცოდნა მათთვის საინტერესო კუთხით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან სასურველია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- ✓ სისტემატურად უნდა ხდებოდეს მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინფორმირებულობა თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ და საგაკვეთილო პროცესში მათი გამოყენების ხელშეწყობა.
- ✓ გაკვეთილის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს და მიზნობრივად გამოყენებული ელექტრონული რესურსი.
- ✓ ტექნოლოგიების გამოყენების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა მიერ ისტ-ის გამოყენების კომპეტენცია და მათ ხელთ არსებული ტექნიკური ბაზა.
- ✓ გამოყენებული ელექტრონული რესურსი უნდა იყოს მრავალფეროვანი, რათა მოსწავლეებისთვის არ გახდეს მომაბეზრებელი და მუდმივად იყვნენ შემოქმედებისა და ძიების პროცესში.
- ✓ უნდა ხდებოდეს მოსწავლეთა აქტიური ჩართვა ელექტრონული რესურსის შექმნისა და გამოყენების დროს.

მიუხედავად სკოლაში მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და შესაძლებლობებისა, ტექნოლოგიების და განსხვავებული აქტივობების გამოყენება სასწავლო პროცესში აუცილებელია, რადგან ის გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, ჩართულობას და სწავლის ხარისხს გააუჯობებს.

საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა სწავლებაში მასწავლებელს საშუალებას აძლევს თვისებრივად შეცვალოს სწავლების შინაარსი, მეთოდები და ორგანიზაციული ფორმები, განახორციელოს სწავლებისადმი შემოქმედებითი მიდგომები, მოახდინოს სასწავლო პროცესის ჰუმანიზაცია, ინდივიდუალიზაცია, ინტენსიფიკაცია, რაც გამოიწვევს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მასწავლებელი, რომელიც პედაგოგიურ მოღვაწეობაში ინფორმაციულ ტექნოლოგიებს იყენებს, უფრო მეტად მობილურია, მიისწრაფვის სიახლეებისაკენ, ითვისებს პიროვნებაზე ორიენტირებულ ცოდნას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სწავლებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების ემოციოგენურობის ფაქტორი, მისი გამოყენების პოზიტიური და დადებითი გავლენა მოსწავლეებზე. სწორედ ინფორმაციული ტექნოლოგიები იძლევა შესაძლებლობებს, შექმნან, შეინახონ, გადაამუშავონ ინფორმაცია და ეფექტურად წარუდგინონ ის მოსწავლეებს. სწავლების ეფექტურობის მისაღწევად საჭიროა არსებული პედაგოგიური გამოცდილებისა და მეცნიერული კვლევების შერწყმა თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, რაც გულისხმობს ძირძველი ტრადიციული პედაგოგიური გამოცდილების რეალიზებას. ეს კი თავის მხრივ რაც საგანმანათლებლო სივრცის ხარისხობრივ ცვლილებებს გამოიწვევს.

დაბოლოს, გასათვალისწინებელია მოზარდის ასაკობრივი თავისებურებები, რის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს კომპიუტერის მონიტორთან მოსწავლის მუშაობის დროის ხანგრძლივობა. ანი-

მაციური პროგრამების რეალიზების დროს, მონიტორზე გამოტანილია ანიმაციური საგნების ფერის, მოძრაობის სინქრონიზების, მუსიკალური ტონალობის და ა. შ. შერჩევა. კიდევ უფრო დიდ სირთულესთან გვაქვს საქმე, მოზარდის მიერ ისეთ ინტერნეტსაიტებთან ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, რომელიც მის ასაკს არ შეეფერება და მისთვის აუნაზღაურებელი ზიანის მოტანა შეუძლია. ამ დროს იგი, ყოველგვარი კონტროლის გარეშე, ექცევა მისი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ. ამისათვის საჭიროა, ვეძებოთ გზები მოზარდის მავნე ზემოქმედებისაგან დასაცავად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (დანყებითი საფეხური) 2018-2024.
2. ბასილაძე, ი., ჭოხონელიძე, ნ., და კოსტავა, ნ. „სწავლებისა და სწავლის ინტერაქტიური მეთოდები, აქტივობის ფორმები, შეფასების კრიტერიუმები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება“. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2011.
3. მარზანო, რ.ჯ., და ფიქერინგი, დ. ჯ., ფოლოქი, ჯ. ი., ეფექტური სწავლება სკოლაში, თბილისი. 2009.
4. ჯინჯიხაძე ჯ. თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები; ლექციების კურსი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომცემლობა „უნივერსალი“. 2012.

რეზიუმე

მოსწავლეები დაწყებით კლასებშივე უნდა მიეჩვიონ დამოუკიდებლად სწავლას, შეძლონ თვითონ მართონ საკუთარი სწავლის პროცესი, განუვითარდეთ მეტაკოგნიტური უნარები, შეძლონ „სწავლის სწავლა“. მათემატიკა კი ისეთი მეცნიერებაა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების განვითარებას. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, სივრცე - დროის სტრუქტურის უკეთ გააზრება, ბუნებაში არსებული მრავალი კანონზომიერების აღმოჩენა და აღწერა ნათლად წარმოაჩენს მათემატიკის სამეცნიერო და კულტურულ ღირებულებას. მათემატიკის სწავლებისას ყოველი მომდევნო საფეხური წინაზეა დაშენებული. დაწყებით კლასებში წარმოქმნილი სირთულეები თუ თავიდანვე არ დაიძლია, შემდეგ მაღალ კლასებში უფრო გაჭირდება პრობლემის აღმოფხვრა.

თანამედროვე გაკვეთილები თითქმის შეუძლებელია ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. სწავლება უნდა გასცდეს ტრადიციულ ლექციური ტიპის გაკვეთილებს და უფრო შემოქმედებითი, პრაქტიკულ რეალობასთან მიახლოებული, მრავალფეროვანი რესურსით გამდიდრებული და მოსწავლეზე ორიენტირებული უნდა იყოს.

საკვანძო სიტყვები: მათემატიკა, ტექნოლოგიები, გაკვეთილი, მასწავლებელი, მოსწავლე, აქტივობები, რესურსები.

Vladimir Adeishvili
Associate Professor
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

OVERCOMING THE DIFFICULTIES OF TEACHING MATHEMATICS AT THE PRIMARY LEVEL USING INFORMATION AND COMMUNICATION TECHNOLOGIES

Summary

Students should get used to learn independently in primary grades. They should be able to manage their own learning process, develop metacognitive skills, and be able to "learn to learn". Mathematics is a science that contributes to the development of human mental abilities. The development of digital technologies, a better understanding of the space-time structure, the discovery and description of many regularities in nature clearly demonstrate the scientific and cultural value of mathematics. In teaching mathematics, each subsequent level is based on the previous one. If the difficulties that arise in the elementary grades are not overcome from the beginning, then it will be more difficult to eliminate the problem in the higher grades.

Modern lessons are almost impossible without the use of technology. Teaching should go beyond traditional lecture-type lessons and should be more creative, closer to practical reality, enriched with diverse resources and student-oriented.

Keywords: mathematics, technology, lesson, teacher, student, activities, resources.

ბაკურ ბაკურაძე
განათლების დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახლმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
სსიპ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის
მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი
საქართველო, ქუთაისი

გიორგი ბრეგაძე
განათლების დოქტორი,
სსიპ ქუთაისის ანდრია რაზმაძის
სახელობის №41 ფიზიკა-მათემატიკური
სკოლის მათემატიკის
მენტორი მასწავლებელი
საქართველო, ქუთაისი

განტოლების ამოხსნის ერთი სპეციალური ხერხის სწავლება უმაღლესი სკოლის მათემატიკის სპეციალისტების სტუდენტებთან

სასკოლო მათემატიკის კურსი არ ითვალისწინებს მაღალი ხარისხის განტოლებების ამოხსნის სწავლებას, მაგრამ სასკოლო პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ისეთი ამოცანები, რომლებიც ორზე მაღალი ხარისხის განტოლებაზე დაიყვანება. მათი ამოხსნა უმთავრესად ფესვის შერჩევით ხორციელდება, რაც მოსწავლეებში გარკვეული დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევს. ისინი ხშირად კითხულობენ: შესაძლებელია თუ არა მაღალი ხარისხის განტოლებების რადიკალებში ამოხსნა, როგორ ჩაინერება ეს ამონახსნები და სხვა. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ მათემატიკის სწავლების მეთოდის კურსში გაგვეცნო მათემატიკის სპეციალისტების სტუდენტებისათვის არასრული კუბური განტოლების ამოხსნის ერთი სპეციალური ხერხი, რაც შემდგომში მათემატიკის მომავალ მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ სასწავლო პრაქტიკაში. ასეთი მიდგომა აახლოებს მათემატიკის სწავლებას საშუალო და უმაღლეს სკოლებში და ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას მათემატიკის შესწავლისადმი.

განვიხილოთ ასეთი მაგალითი. ავიღოთ არასრული $x^3 - px + q = 0$ ($p > 0$) (1) სახის კუბური განტოლება და მისი ამოხსნა განვახორციელოთ ტრიგონომეტრიული იგივეობისა და სპეციალური ჩასმის გამოყენებით. გადავწეროთ (1) განტოლება ასე:

$$q = px - x^3 \quad (2)$$

ამ განტოლების ამოსახსნელად გამოვიყენოთ ტრიგონომეტრიული იგივეობა:

$$\sin 3\alpha = 3\sin \alpha - 4\sin^3 \alpha \quad (3)$$

ვისარგებლოთ ჩასმით: $x = kz$, მაშინ (2) განტოლება მიიღებს სახეს:

$$q = kpz - k^3 z^3.$$

უცნობი k რიცხვი ვიპოვოთ თანაფარდობიდან

$$\frac{kp}{k^3} = \frac{3}{4}$$

საიდანაც

$$k = 2\sqrt{\frac{p}{3}}.$$

(1) განტოლება მარტივი გარდაქმნების შემდეგ მიიღებს სახეს:

$$\frac{\frac{q}{2}}{\sqrt{\left(\frac{p}{3}\right)^3}} = 3z - 4z^3.$$

ვთქვათ, $\left(\frac{q}{2}\right)^2 < \left(\frac{p}{3}\right)^3$,

მაშინ

$$\left| \frac{q}{2} : \sqrt{\left(\frac{p}{3}\right)^3} \right| \leq 1,$$

ამიტომ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ

$$\sin 3\alpha = \frac{\frac{q}{2}}{\sqrt{\left(\frac{p}{3}\right)^3}}.$$

მიღებული $\sin 3\alpha = 3z - 4z^3$ განტოლების შედარება (3) იგივეობასთან საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა: $\sin \alpha$ არის ამ განტოლების ამონახსნი.

3α -ს პოვნის შემდეგ გამოვთვლით α -ს, ხოლო შემდეგ $\sin \alpha$ -ს და მოცემული განტოლების ფესვს

$$x = 2\sqrt{\frac{p}{3}} \sin \alpha.$$

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი:

ამოცანა 1. ამოხსენით განტოლება $x^3 - 3x + 1 = 0$.

ამ შემთხვევაში $k = 2$, ჩასმის $x = 2z$ შედეგად მივიღებთ განტოლებას

$$\frac{1}{2} = 3z - 4z^3.$$

ჩავთვალოთ,

$$\sin 3\alpha = \frac{1}{2}.$$

საიდანაც

$$\alpha = (-1)^k \frac{\pi}{18} + \frac{\pi k}{3}, \quad (k \in \mathbb{Z}).$$

როცა $n = 0$, $\alpha_0 = \frac{\pi}{18}$,

როცა $n = 1$, $\alpha_1 = \frac{5\pi}{18}$,

როცა $n = -1$, $\alpha_{-1} = -\frac{7\pi}{18}$.

მაშასადამე, განტოლების ამონახსნებია:

$$x_1 = 2 \sin \frac{\pi}{18}, \quad x_1 = 2 \sin \frac{5\pi}{18}, \quad x_1 = -2 \sin \frac{7\pi}{18}.$$

კუბური განტოლების ამოხსნის განხილული სპეციალური ხერხი გვეხმარება ზოგიერთი ტრიგონომეტრიული იგივეობის შედგენაშიც. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ვიეტის თეორემის გათვალისწინებით შეგვიძლია დავწეროთ:

$$8 \sin \frac{\pi}{18} \sin \frac{5\pi}{18} \sin \frac{7\pi}{18} = 1;$$

$$\sin \frac{\pi}{18} + \sin \frac{5\pi}{18} - \sin \frac{7\pi}{18} = 0;$$

$$\sin \frac{\pi}{18} \sin \frac{5\pi}{18} - \sin \frac{\pi}{18} \sin \frac{7\pi}{18} - \sin \frac{5\pi}{18} \sin \frac{7\pi}{18} = -\frac{3}{4}.$$

ამოცანა 2. იპოვეთ სისტემის ნამდვილი ამონახსნები

$$\begin{cases} a^2 x^2 + b^2 y^2 = c^2 \\ xy = d \end{cases} \quad (4)$$

სადაც, a, b, c, d რიცხვები ნულისაგან განსხვავებული ნამდვილი რიცხვებია.

სისტემის პირველი განტოლება გარდავქმნათ შემდეგნაირად:

$$\left(\frac{ax}{c}\right)^2 + \left(\frac{by}{c}\right)^2 = 1. \quad (5)$$

შემოვიღოთ დამხმარე ცვლადები:

$$\frac{ax}{c} = \sin \alpha, \quad \frac{by}{c} = \cos \alpha.$$

სადაც α -რაიმე კუთხეა.

სისტემის მეორე განტოლებიდან მივიღებთ:

$$xy = \frac{c^2}{2ab} \cdot \sin 2\alpha = d.$$

საიდანაც

$$\sin 2\alpha = \frac{2abd}{c^2}.$$

თუ შესრულებულია პირობა $\left| \frac{2abd}{c^2} \right| \leq 1$, მაშინ (4) სისტემას ნამდვილი ამონახსნები აქვს და ჩვენ მას ვიპოვით გამოვთვლით რა α -ს.

შევნიშნოთ, რომ (5) ჩანანერი გამოდგება ისეთი სახის მაჩვენებლიანი განტოლებების ამოხსნისას, როგორცაა

$$A^x + B^x = C^x \quad (6)$$

თუ შესრულებულია დამატებითი პირობა:

$$A^2 + B^2 = C^2. \quad (6)$$

განტოლება C^x -ზე გაყოფის შედეგად დაიყვანება

$$\left(\frac{A}{C}\right)^x + \left(\frac{B}{C}\right)^x = 1$$

სახეზე. საიდანაც $x = 2$.

განვიხილოთ (4) სისტემის მსგავსი სისტემის ამოხსნის კონკრეტული მაგალითი.

ამოცანა 3. იპოვეთ განტოლებათა სისტემის ნამდვილი ამონახსნები

$$\begin{cases} 4x^2 + 9y^2 = 25 \\ xy = 2 \end{cases} \quad (7)$$

ამ შემთხვევაში

$$a = 2, b = 3, c = 5, d = 2, \sin 2\alpha = \frac{2 \cdot 2 \cdot 2 \cdot 3}{25} = \frac{24}{25},$$

საიდანაც

$$\cos 2\alpha = \frac{7}{25} \text{ -ს ან } \cos 2\alpha = -\frac{7}{25}$$

პირველ შემთხვევაში

$$\sin \alpha = \pm \sqrt{\frac{1 - \cos 2\alpha}{2}} = \pm \frac{3}{5}, \quad \cos \alpha = \pm \sqrt{\frac{1 + \cos 2\alpha}{2}} = \pm \frac{4}{5}.$$

რადგან $\sin 2\alpha > 0$, ამიტომ $\sin \alpha$ და $\cos \alpha$ -თვის უნდა ავიღოთ ერთნაირი ნიშნები:

$$\sin \alpha = \frac{3}{5}, \quad \cos \alpha = \frac{4}{5} \quad \text{და} \quad \sin \alpha = -\frac{3}{5}, \quad \cos \alpha = -\frac{4}{5}.$$

საიდანაც მივიღებთ:

$$x_1 = \frac{c}{a} \sin \alpha = \frac{5}{2} \cdot \frac{3}{5} = \frac{3}{2}, \quad y_1 = \frac{c}{b} \cos \alpha = \frac{5}{3} \cdot \frac{4}{5} = \frac{4}{3}; \quad x_2 = \frac{5}{2} \cdot \left(-\frac{3}{5}\right) = -\frac{3}{2}, \quad y_2 = \frac{5}{3} \cdot \left(-\frac{4}{5}\right) = -\frac{4}{3}.$$

მეორე შემთხვევაში ანალოგიურად გამოვთვლით, რომ

$$\sin \alpha = \pm \sqrt{\frac{1 - \cos 2\alpha}{2}} = \pm \frac{4}{5}, \quad \cos \alpha = \pm \sqrt{\frac{1 + \cos 2\alpha}{2}} = \pm \frac{3}{5}.$$

აქაც $\sin \alpha$ და $\cos \alpha$ -თვის უნდა ავიღოთ ერთნაირი ნიშნები: $\sin \alpha = \frac{4}{5}$, $\cos \alpha = \frac{3}{5}$ და

$\sin \alpha = -\frac{4}{5}$, $\cos \alpha = -\frac{3}{5}$. საიდანაც მივიღებთ:

$$x_3 = \frac{5}{2} \cdot \frac{4}{5} = 2, \quad y_3 = \frac{5}{3} \cdot \frac{3}{5} = 1; \quad x_4 = \frac{5}{2} \cdot \left(-\frac{4}{5}\right) = -2, \quad y_4 = \frac{5}{3} \cdot \left(-\frac{3}{5}\right) = -1.$$

საბოლოოდ მივიღეთ, რომ (7) სისტემის ამონახსნებია: $\left(\frac{3}{2}, \frac{4}{3}\right)$, $\left(-\frac{3}{2}, -\frac{4}{3}\right)$, $(1, 2)$, $(-1, -2)$.

ჩვენს მიერ განხილული არასრული კუბური განტოლების ამოხსნის სპეციალურ ხერხის გამოყენება პრაქტიკაში მეთოდურად მეტად ეფექტურია და საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა. ამ დროს ერთდროულად ხდება ახალი ცოდნის შექმნა და უკვე ათვისებული განმტკიცება და მათემატიკის შიდასაგნობრივი კავშირების რეალიზების კარგი მაგალითია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძულიშვილი გიორგი, გიორგი ბრეგაძე, გენადი მარგველაშვილი. 2019, საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სწავლების სპეციალური მეთოდოლოგია. ქუთაისი, ანსუ გამომცემლობა. 536 გვ.
2. ბერძულიშვილი გიორგი, 2018, სასკოლო და საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდები. ქუთაისი. ანსუ გამომცემლობა. 546 გვ.
3. ბერძულიშვილი გიორგი, ბრეგაძე გიორგი საოლიმპიადო მათემატიკურ ამოცანათა ამოხსნის პრაქტიკული ჩვენებების ფორმირება საშუალო სკოლაში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2017, 404 გვ.
4. ბერძულიშვილი გიორგი, ბრეგაძე გიორგი-მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სპეციალური ხერხების სწავლების მეთოდოლოგური თავისებურებები. ანსუ გამომცემლობა. თბილისი. 2015, 252 გვ.

რეზიუმე

სასკოლო პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ისეთი ამოცანები, რომლებიც ორზე მაღალი ხარისხის განტოლებაზე დაიყვანება. მათი ამოხსნა უმთავრესად ფესვის შერჩევით ხორციელდება, რაც მოსწავლეებში გარკვეულ დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევს. ისინი ხშირად კითხულობენ: შესაძლებელია თუ არა მაღალი ხარისხის განტოლებების რადიკალებში ამოხსნა, როგორ ჩაინერება ეს ამონახსნები და სხვ. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ მათემატიკის სწავლების მეთოდის კურსში გაგვეცნო მათემატიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის არასრული კუბური განტოლების ამოხსნის ერთი სპეციალური ხერხი, რაც მათემატიკის მომავალ მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ სასწავლო პრაქტიკაში. ასეთი მიდგომა აახლოებს მათემატიკის სწავლებას საშუალო და უმაღლეს სკოლებში, ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას მათემატიკის შესწავლისადმი. მოყვანილია სპეციალური ხერხის გამოყენების თეორიული მოდელი და განხილულია პრაქტიკული მაგალითები. არასრული კუბური განტოლების ამოხსნის სპეციალური ხერხის პრაქტიკაში გამოყენება მეთოდურად მეტად ეფექტურია და საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა. ამ დროს ერთდროულად ხდება ახალი ცოდნის შეძენა, უკვე ათვისებული ცოდნის განმტკიცება და მათემატიკის შიდასაგნობრივი კავშირების რეალიზების კარგი მაგალითია.

საკვანძო სიტყვები: განტოლება, ამოხსნა, მეთოდი, სწავლება, სტუდენტი.

Bakur Bakuradze

Doctor Of Education, Associate Professor
of Akaki Tsereteli State University,
Mathimatics Lead Teacher of public school N1
Georgia, Kutaisi

Giorgi Bregadze

Doctor Of Education, Andria razmadze
school N41 Mathimatics
Mentor Teacher of Phisics-Mathimatics School
Georgia, Kutaisi

TEACHING A SPECIAL WAY OF EQUATION SOLVING FOR HIGH SCHOOL MATHS STUDENTS

Summary

In school practice there are often such equations which can be reduced to more than two high degree equation. Solving these equations is mostly done by choosing the root. which causes some certain unsetsifactory feelings for pupils. They often ask if it is possible to solve high degree equations in radicals or how these solutions should be written etc. We took into considration to make high school maths students aware of a special way of solving a incomplete cube equation in the course of teaching mathimatics methods, which help future maths teachers use it in their teaching practice. Such approach brings closer teaching Mathimatics in secondary and high schools and makes pupils get interested in learning Mathimatics. A theoretical model of using a special way is brought in the article and also, there are some practical sums examples discussed. Using a special way of solving a incomplete cube equation in practice is melthodologically more effective and gives quite good result. At this time simultaneously occurs gaining a new knowledge, reinforcing already acquared knowledge and we should say that it is a good example of realisation of inner subject links of Mathimatics.

Key words: Equation, solution, method, teaching, student.

გიორგი ბრეგაძე

განათლების დოქტორი, სსიპ ქუთაისის
ანდრია რაზმაძის სახელობის №41
ფიზიკა-მათემატიკური სკოლის
მათემატიკის მენტორი მასწავლებელი
საქართველო, ქუთაისი

ბაკურ ბაკურაძე

განათლების დოქტორი, აკაკი წერეთლის
სახლმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი, სსიპ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის
მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი
საქართველო, ქუთაისი

ანალოგიის და განზოგადების გამოყენება საძიებო ამოცანების ამოხსნისას მათემატიკის სასკოლო კურსში

ანალოგია ბერძნული სიტყვაა და ქართულად შესატყვისობას ნიშნავს. ის გამოსახავს საგნებს, მოვლენებსა და ცნებებს შორის მსგავსებას. ანალოგიის გამოვლენა მოსწავლეებს ეხმარება საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული კავშირების, მიმართებების წვდომასა და მსგავს მიმართებათა გამოვლენის უნარების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში.

ამრიგად, ანალოგიის მეთოდის ფორმულირება უნდა მოხდეს რაც შეიძლება გასაგებად, რათა მისი სწავლება მოსწავლეებისათვის ადვილად აღსაქმელი იყოს და მათ ნათლად დაინახონ ამ მეთოდის საჭიროება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებელთა მომზადება ანალოგიის მეთოდის გამოყენებაში. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს უნდა განემარტოთ, კონკრეტულად რომელი ამოცანები უნდა ამოხსნან ანალოგიის მეთოდის გამოყენებით, რომ მის არსში წვდომა და სასურველი შედეგის მიღწევა შეძლონ.

მოსწავლეებში დადებითი შედეგი მიიღწევა მას შემდეგ, რაც ისინი შეგნებულად აითვისებენ, რომ ანალოგია არის:

- მსგავსება, რომელიც ბევრის მომცემია;
- მსგავსება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს.
- კვლევის მეთოდი.
- ცოდნის სისტემატიზაციის საშუალება.
- ის, რაც ნებისმიერი ადამიანისათვის სასარგებლოა, რა სპეციალობისაც უნდა იყოს და რასაც აკეთებდეს ცხოვრებაში.

მასწავლებელმა დასახული მიზნის მისაღწევად მოსწავლეებს უნდა შეასწავლოს, რომ მათ ყურადღება მიაქციონ საგნებს და მოვლენებს შორის არსებულ დამოკიდებულებაში საკუთარი აზრის გამოხატვას. მათ უნდა შეძლონ:

- იპოვონ და გამოყონ ამოცანის პირობაში ჩადებული საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული განსხვავებები;
- იპოვონ და გამოყონ ამოცანის პირობაში ჩადებული საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული მსგავსებები;
- შეამჩნიონ და ახსნან ამოცანის პირობაში ჩადებული საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული ანალოგიების არსებობა;

- თვითონ ჩამოაყალიბონ, შეამოწმონ, დაამტკიცონ ან უარყონ დებულებები, რისთვისაც გამოიყენონ მათთვის უკვე ცნობილი აზრობრივი ოპერაციები და მის საფუძველზე მიიღონ ახალი ცოდნა;
- შეძლონ უკვე მიღებული ცოდნის ანალოგიების გამოყენებით განზოგადება;
- ანალოგიების გამოყენებით რომელიმე სასწავლო საგანში მიღებული ცოდნა გადაიტანოს მეორე სასწავლო საგანში;
- გამოიყენოს ანალოგია ცოდნის გადასატანად ერთი სისტემიდან მეორე სასტემაში;
- დააგროვოს გამოცდილება და შემდეგში გონივრულად გამოიყენოს სხვა სიტუაციებში.

მოსწავლეებს უნა ავუხსნათ, რომ ანალოგიის მეშვეობით მიღებული დასკვნა პრობლემურია და შეიძლება მცდარიც აღმოჩნდეს. მაგალითად, ჭეშმარიტი წინადადებებიდან: თუ რიცხვის ციფრთა ჯამი იყოფა 3-ზე, მაშინ ეს რიცხვიც იყოფა 3-ზე, თუ რიცხვის ციფრთა ჯამი იყოფა 9-ზე, მაშინ ეს რიცხვიც იყოფა 9-ზე. ანალოგიის შედეგად მიღებული წინადადება: თუ რიცხვის ციფრთა ჯამი იყოფა 7-ზე, მაშინ ეს რიცხვიც იყოფა 7-ზე, მცდარია. ასევე, შესაძლებელია მოსწავლეებს მოუყვანოთ ასეთი მაგალითები:

1. $2^4 = 4^2$. ტოლობა ჭეშმარიტია. ამ დებულების საფუძველზე არ შეიძლება ფუძესა და ხარისხის მაჩვენებელს შორის გადანაცვლებადობის კანონის გავრცელება.

ზოგადად. $m^n = n^m$ ტოლობა სამართლიანი არ არის.

$$2. \frac{19}{95} = \frac{1}{5}, \quad \frac{16}{64} = \frac{1}{4}, \quad \frac{26}{65} = \frac{2}{5}.$$

ამ მაგალითებში თითქოს 9-ზე და 6-ზე მოხდა შეკვეცა. მაგრამ მოსწავლეთათვის ცნობილია, რომ ერთსა და იმავე ციფრზე მრიცხველისა და მნიშვნელის შეკვეცა არ შეიძლება და ზოგადად, ასეთი შეკვეცა მცდარ დასკვნამდე მიგვიყვანს.

$$3. \lg\left(16 + \frac{16}{15}\right) = \lg 16 + \lg \frac{16}{15};$$

$$\lg\left(\frac{49}{6} - 7\right) = \lg \frac{49}{6} - \lg 7;$$

$$\lg\left(\frac{64}{7} - 8\right) = \lg \frac{64}{7} - \lg 8.$$

ასეთი მაგალითების განხილვის შემდეგ მოსწავლეები სიფრთხილით ეკიდებიან ანალოგიის გამოყენებას.

მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიის შედეგად მიღებული დასკვნები ზოგჯერ მცდარია და გამოკვლევას საჭიროებს, მაინც ხშირია შემთხვევები, როცა ასეთი დასკვნები მართებულია. ეს ამართლებს ანალოგიის მიმართ ინტერესს.

მაგალითად, თუ A ამოცანა a_1, a_2, \dots, a_n პირობებს შეიცავს და მისი ამოხსნის გზა ჩვენთვის ცნობილია, ხოლო B ამოცანა შეიცავს მსგავს b_1, b_2, \dots, b_m პირობებს, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ B ამოცანა ამოიხსნება A ამოცანის მსგავსად.

ანალოგიის გამოყენება განვიხილოთ მაგალითებზე.

ამოცანა 1. დაამტკიცეთ, რომ თუ $x^3 + ax^2 + bx + c = 0$ განტოლების სამივე ფესვი უარყოფითია, მაშინ a კოეფიციენტი დადებითია.

ამოცანაში საუბარია მესამე ხარისხის განტოლებაზე. ასეთი განტოლებები საშუალო სკოლაში არ შეისწავლება. მოსწავლეები იცნობენ კვადრატულ განტოლებას. ხომ არ შეიძლება კვადრატული განტოლებისათვის ანალოგიური ამოცანის ჩამოყალიბება?

ანალოგიური ამოცანა ასე ჩამოყალიბდება: „დაამტკიცეთ, რომ თუ $x^2 + dx + e = 0$ განტოლების ორივე ფესვი უარყოფითია, მაშინ d კოეფიციენტი დადებითია. ამ ამოცანის ამოხსნა ჩვენთვის ცნობილია. ვიეტის თეორემის თანახმად გვაქვს:

$$x_1 < 0, \quad x_2 < 0, \text{ ამიტომ } d = -(x_1 + x_2) > 0.$$

იბადება კითხვა: ხომ არ გვექნება ანალოგიური მდგომარეობა მესამე ხარისხის განტოლებისთვისაც? ე.ი. თუ მესამე ხარისხის განტოლების ფესვებსა და კოეფიციენტებს შორის არის ანალოგიური თანაფარდობა $x_1 + x_2 + x_3 = -a$, მაშინ ამოცანა ამოხსნილია. მართლაც, თუ $x_1 < 0, \quad x_2 < 0, \quad x_3 < 0$, მაშინ $a = -(x_1 + x_2 + x_3) > 0$.

გამოვიყენოთ დამტკიცების იგივე ხერხი, რა ხერხსაც ვიყენებთ ვიეტის თეორემის დამტკიცებისას, ე.ი. განვიხილოთ

$$x^3 + ax^2 + bx + c = (x - x_1)(x - x_2)(x - x_3)$$

ტოლობა და გადავამრავლოთ ტოლობის მარჯვენა ნაწილში მდგომი ორწევრები. თუ ერთმანეთს x ცვლადის ერთნაირი ხარისხების წინ მდგომი კოეფიციენტებს გავუტოლებთ, მივიღებთ დასამტკიცებელ თანაფარდობას:

$$x_1 + x_2 + x_3 = -a$$

$$x_1x_2 + x_1x_3 + x_2x_3 = b$$

$$x_1 \cdot x_2 \cdot x_3 = -c.$$

განხილულ მაგალითში ანალოგიამ მიგვიყვანა ვიეტის თეორემის განზოგადებამდე მესამე ხარისხის განტოლებისათვის. იმის დადგენა მართებულია, თუ არა ანალოგიური დამოკიდებულება მეოთხე და ა.შ. განტოლებისათვის, უკვე სირთულეს აღარ წარმოადგენს.

ამოცანა 2. მათემატიკის ოლიმპიადაზე მონაწილეობა მიიღო ასმა მოსწავლემ. თითოეულს უნდა ამოეხსნა ექვსი ამოცანა. ორგანიზატორებს შედეგები შეჰქონდათ ცხრილში, რომელშიც ყოველი ამოცანის სწორად გადაწყვეტისათვის იწერებოდა „+“, ხოლო ამოცანის არასწორად ამოხსნისათვის „-“. ოლიმპიადის მხოლოდ ის მონაწილეები დააჯილდოვეს, რომლებმაც ექვსი ამოცანიდან სწორად ამოხსნა ოთხი, ან მეტი ამოცანა. ლუკამ ცხრილში დათვალა 350 „პლუსი“. დაამტკიცეთ, რომ დააჯილდოვეს არანაკლებ 17 მონაწილე.

ოლიმპიადის მონაწილეებს მაქსიმალურად შეეძლოთ სულ დაეგროვებინათ 600 „პლუსი“, მაგრამ, რადგან ლუკამ ცხრილში დათვალა 350 „პლუსი“, ამიტომ ყველაზე უარესი შემთხვევა შეიძლება დადგეს მაშინ, როცა ყველა იმ მონაწილის მიერ, რომელიც არ დაჯილდოვდა დაგროვებული მინიმალური ქულაა 3, ხოლო დაჯილდოვდა ოლიმპიადის ის მონაწილეები, რომლებმაც დააგროვეს მაქსიმალური 6 ქულა ან უკიდურეს შემთხვევაში 5 ქულა მაინც. სულ ასეთ შემთხვევაში ყველა ასივე მონაწილე დააგროვებდა 300 ქულას, ხოლო დარჩენილი 50 ქულა მაქსიმალურად განაწილდებოდა ოლიმპიადის იმ მონაწილეებზე, რომლებმაც მიიღეს მაქსიმალური 6 ქულა ან 5 ქულა მაინც, რადგან $50 = 16 \cdot 3 + 2$, ამიტომ 50 ქულა შეიძლება განაწილდეს 16 მონაწილეზე, თითოზე 3-3 ქულა და ერთ მონაწილეზე 2 ქულა. საბოლოოდ გვექნება ასეთი შედეგი:

83 მონაწილე დააგროვებს 3-3 ქულას და არცერთს მათ შორის არ დააჯილდოვებენ, 1 მონაწილე დააგროვებს 5 ქულას და დაჯილდოვდება, ხოლო 16 მონაწილე დააგროვებს 6-6 ქულას და ცხადია ისინიც დაჯილდოვდებიან. ე.ი. დააჯილდოვებენ ოლიმპიადის არანაკლებ 17 მონაწილეს.

ამ ამოცანის ამოხსნისას გამოყენებული მიდგომა დაგვეხმარება ანალოგიური ამოცანის ამოხსნისას.

ამოცანა 3. მათემატიკის ოლიმპიადაზე მონაწილეობა მიიღო ასმა მოსწავლემ. თითოეულს უნდა ამოეხსნა ექვსი ამოცანა. ორგანიზატორებს შედეგები შეჰქონდათ ცხრილში, რომელშიც ყოველი

ამოცანის სწორად გადანყვეტისათვის იწერებოდა „+“, ხოლო ამოცანის არასწორად ამოხსნისათვის „-“. ოლიმპიადის მხოლოდ ის მონაწილეები დააჯილდოვეს, რომლებმაც ექვსი ამოცანიდან სწორად ამოხსნა ოთხი, ან ოთხზე მეტი ამოცანა. ლუკამ ცხრილში დათვალა 350 „პლუსი“. დაამტკიცეთ, რომ დააჯილდოვეს არა უმეტეს 89 მონაწილე.

წინა ამოცანის ამოხსნის ანალოგიურად შესაძლებელია დავთვალოთ ოლიმპიადაზე შესაძლო დაჯილდოებულ მოსწავლეთა უდიდესი რაოდენობაც. ამ რაოდენობას გამოვთვლით, თუ განვიხილავთ წინა შემთხვევისაგან განსხვავებულ მეორე უკიდურესობას, როცა 350 „პლუსი“ მაქსიმალურად განაწილდება 4-4 ქულაზე, მორჩენილი ქულები მხოლოდ 5 ქულაზე და ოლიმპიადის არც ერთი მონაწილე არ მიიღებს მაქსიმალურ ქულას.

რადგან, $350 = 87 \cdot 4 + 2$, ამიტომ, შესაძლებელია ადგილი ექნეს ასეთ შემთხვევას: ოლიმპიადის 87 მონაწილე დააგროვებს 4-4 ქულას და ყველა მათგანი დააჯილდოვდება, 2 მონაწილე დააგროვებს 5 ქულას და ცხადია ისინიც დაჯილდოვდებიან, ხოლო დარჩენილი 111 მონაწილე ვერ დააგროვებს ვერცერთ ქულას. ე.ი. შეიძლება დაჯილდოვდეს ოლიმპიადის არა უმეტეს 89 მონაწილე.

საბოლოოდ, ორივე ამოცანის განხილვის შემდეგ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შესაძლებელია დაჯილდოვდეს ოლიმპიადის არა ნაკლებ 17 და არა უმეტეს 89 მონაწილე.

ზოგჯერ ამოცანის ამოხსნის დროს სასურველი შედეგის მისაღწევად ანალოგიის გამოყენება შესაძლოა რამდენჯერმე დაგვჭირდეს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი ამოცანები.

ამოცანა 5. მოცემული 27 მონეტიდან, ერთი ყალბია, მსუბუქია დანარჩენებზე. თეფშებიანი სასწორის გამოყენებით, გირების გარეშე, 3 აწონით როგორ განვსაზღვროთ ყალბი მონეტა?

გავიხსენოთ, ადრე ხომ არ შეგვხვედრია ანალოგიური ამოცანა ყალბი მონეტის განსაზღვრაზე, როცა ყალბი მონეტა ნამდვილზე მსუბუქია? მოსწავლეებმა შეიძლება გაიხსენონ ამოცანა, რომელიც მათ ადრე ამოხსნილი აქვთ:

დამხმარე ამოცანა 1. მოცემულია 9 მონეტა, რომელშიც ერთი ყალბია, მსუბუქია დანარჩენებზე. თეფშებიანი სასწორის გამოყენებით, გირების გარეშე, 2 აწონით როგორ განვსაზღვროთ ყალბი მონეტა?

შესაძლოა მოსწავლეთა ნაწილმა გაიხსენოს, რომ ამ ამოცანის ამოსახსნელად მათ გამოიყენეს მისი ანალოგიური შემდეგი.

დამხმარე ამოცანა 2. მოცემულია 3 მონეტა, რომელშიც ერთი ყალბია, მსუბუქია დანარჩენებზე. თეფშებიანი სასწორის გამოყენებით, გირების გარეშე, ერთი აწონით როგორ განვსაზღვროთ ყალბი მონეტა?

საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ამოცანების ამოხსნის დროს ანალოგიის გამოყენება ეფექტურია იმ შემთხვევაში, როცა:

ა) შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ ამოსახსნელი ამოცანის დამხმარე ამოცანა, რომელიც მოცემულ ამოცანაზე მარტივია;

ბ) ამოვხსნათ დამხმარე ამოცანა და შემდეგ ჩავატაროთ ანალოგიური მსჯელობა მოცემული ამოცანის ამოსახსნელად;

ან გ) შესაძლებლობა გვაქვს ჩამოვაყალიბოთ მოცემული ამოცანის მსგავსი ისეთი ამოცანა (ამოცანები), რომლის ამოხსნა ჩვენთვის ცნობილია;

დ) გამოვიყენოთ ჩვენთვის ცნობილი ამოცანის ამოხსნის გზა მოცემული ამოცანის ამოსახსნელად.

შესაძლებელია გ) და დ) შემთხვევების გამოყენება რამდენჯერმე დაგვჭირდეს.

მოსწავლეთა უმრავლესობას უჭირს ამა თუ იმ ამოცანის ამოხსნა, თუმცა მის ამოსახსნელად საჭირო თეორიული მასალა უკვე შესწავლილი აქვთ. მათ არ იციან თუ როგორ მოიმარჯვონ ესა თუ ის ფაქტი, თეორემა, თუ განსაზღვრება. ამოცანის ამოსახსნელად. ეს იმიტაც აიხსნება, რომ ზოგჯერ ჩვენ გადმოვცემთ ამა თუ იმ ფაქტის, დებულების კერძო შემთხვევას, მაშინ, როცა შეიძლება უფრო ადვილად დავადგინოთ ზოგადი შემთხვევის მართებულობა.

ამოცანების ამოხსნის დროს ზოგჯერ ზოგადი შემთხვევის განხილვა გაცილებით აადვილებს მის ამოხსნას. ან რაიმე თეორემის დამტკიცება ზოგჯერ ზოგად შემთხვევაში გაცილებით მარტივია, ვიდრე მისი კონკრეტული რაიმე ფაქტის დამტკიცება. მაგალითად, შესაძლოა განვიხილოთ ამოზნექილი რვაკუთხედის შიგა კუთხეების ჯამის და ზოგადად ამოზნექილი n კუთხედის შიგა კუთხეების ჯამის ფორმულების გამოყვანა. ცხადია, ამ შემთხვევაში უფრო ეფექტურია ამოზნექილი n კუთხედის შიგა კუთხეების ჯამის ფორმულის გამოყვანა და ამის შემდეგ, როგორც კონკრეტული შემთხვევის, ამოზნექილი რვაკუთხედის შიგა კუთხეების ჯამის გამოთვლა. ასეთ ხერხებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია განზოგადების ხერხი.

განზოგადება არის გადასვლა რაიმე ობიექტის განხილვიდან ობიექტთა სიმრავლის განხილვამდე, რომელიც ამ ობიექტს თავის ელემენტად შეიცავს, ან ნაკლები მოცულობის სიმრავლიდან მეტი მოცულობის სიმრავლემდე, რომელიც პირველს მოიცავს.

მისი მეშვეობით შეიძლება მივუთითოთ ობიექტთა ფართო წრე, რომლისთვისაც მისაღებია რაიმე კანონზომიერება ან ობიექტთა ამავე წრისათვის მისაღები უფრო ზოდადი კანონზომიერება. მრავალი აღმოჩენა მათემატიკაში, ფიზიკასა და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სწორედ ასეთი „ილბლიანი“ განზოგადების მეშვეობით არის გაკეთებული.

უნდა შევნიშნოთ, რომ ხშირად ობიექტთა ზოგადი თვისებების დამახსოვრება უფრო ადვილია, ვიდრე ამავე წრის ცალკეულ ობიექტთა კონკრეტული თვისებებისა. მაგალითად, მოსწავლეები ადვილად იმახსოვრებენ, რომ ამოზნექილი n კუთხედის შიგა კუთხეების ჯამია $180^\circ (n - 2)$.

მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ვერც ერთი მოსწავლე პირდაპირ, დაფიქრების და სათანადო გამოთვლების ჩატარების გარეშე ვერ გიპასუხებთ, რამდენი გრადუსია ამოზნექილი რვაკუთხედის შიგა კუთხეების ჯამი და ა.შ.

მაგალითად, არითმეტიკული და გეომეტრიული პროგრესიების n -ური წევრის გამოსათვლელი ფორმულების დადგენისას ვახდენთ განზოგადებას:

არითმეტიკული პროგრესია გეომეტრიული პროგრესია

$$\begin{aligned} a_2 &= a_1 + d, & b_2 &= b_1 \cdot q, \\ a_3 &= a_2 + d = a_1 + 2d, & b_3 &= b_2 \cdot q = b_1 \cdot q^2, \\ a_4 &= a_3 + d = a_1 + 3d, & b_4 &= b_3 \cdot q = b_1 \cdot q^3, \\ & \dots\dots\dots & & \\ a_n &= a_1 + (n-1)d. & b_n &= b_1 \cdot q^{n-1}. \end{aligned}$$

შემდგომში, არითმეტიკული პროგრესიის n -ური წევრის გამოსათვლელი ფორმულა ღებულობს შემდგომ ახალ განზოგადებას, როცა დადგინდება, რომ ნებისმიერი არითმეტიკული პროგრესია წარმოადგენს ნატურალური არგუმენტის წრფივ ფუნქციას:

$$y = kx + b, \text{ სადაც } x \in N.$$

ასევე, გეომეტრიული პროგრესიის n -ური წევრის გამოსათვლელი ფორმულაც ღებულობს ახალ განზოგადებას, როცა დადგინდება, რომ ნებისმიერი გეომეტრიული პროგრესია წარმოადგენს ნატურალური არგუმენტის ხარისხოვან ფუნქციას:

$$y = kx^n, \text{ სადაც } x \in N.$$

ამოცანების ამოხსნის დროს ზოგჯერ ვახდენთ მოცემული ამოცანის დაყვანას ქვეამოცანებზე. არა ყოველთვის, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში თუ ამ პროცესს განვიხილავთ შებრუნებული რიგით, მაშინ საქმე გვექნება განზოგადების ხერხთან. ამ შემთხვევაში გადავალთ ნაკლები მოცულობის სიმრავლიდან მეტი მოცულობის სიმრავლეზე, რომელიც პირველს მოიცავს. მიზანშეწონილია, რომ განზოგადების და ანალოგიის სწავლება მოხდეს ერთიან კონტექსტში.

საილუსტრაციოდ განზოგადების გამოყენებით განვიხილოთ ასეთი

ამოცანა 4. იპოვეთ $f(x) = 0,139x^3 + 3,091x + 2$ მრავალწევრის მნიშვნელობათა ჯამი, როცა $x = 10,39$ და $x = -10,39$.

ამოცანა შეიძლება ამოიხსნას მოცემული მრავალწევრის მნიშვნელობების პოვნით, როცა $x = 10,39$ და $x = -10,39$ და მიღებული შედეგების შეკრებით. რაც რა თქმა უნდა საკმაოდ შრომატევადია, მაგრამ რეალურად შესაძლებელია.

თუ მოსწავლეთა ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, რომ x -ის მოცემული მნიშვნელობები მოპირდაპირე რიცხვებია, ხოლო მოცემული მრავალწევრი თავისუფალი წევრის გარდა x ცვლადს შეიცავს პირველ და მესამე ხარისხებში, გავითვალისწინებთ, რომ

$$(-x_0)^3 = -x_0^3$$

და ვიპოვოთ $f(x) = 0,139x^3 + 3,091x + 2$ მრავალწევრის მნიშვნელობათა ჯამი, როცა $x = x_0$ და $x = -x_0$. გვაქვს:

$$f(x_0) = 0,139x_0^3 + 3,091x_0 + 2$$

და

$$f(-x_0) = 0,139(-x_0)^3 + 3,091(-x_0) + 2 = -0,139x_0^3 - 3,091x_0 + 2.$$

საბოლოოდ გვაქვს:

$$f(x_0) + f(-x_0) = 0,139x_0^3 + 3,091x_0 + 2 - 0,139x_0^3 - 3,091x_0 + 2 = 4.$$

რადგან ნაპოვნი ჯამი დამოკიდებული არ არის x -ის მნიშვნელობაზე, ამიტომ ჩვენ დავადგინეთ $f(x)$ მრავალწევრის საინტერესო თვისება: ამ მრავალწევრის მნიშვნელობათა ჯამი x არგუმენტის ორი მოპირდაპირე მნიშვნელობისათვის მუდმივი სიდიდეა და 4-ს უდრის. აქედან უშუალოდ გამომდინარეობს ჩვენი ამოცანის ამოხსნაც:

$$f(10,39) + f(-10,39) = 4.$$

ამ ამოცანის ამოხსნის დროს ჩვენ შევცვალეთ მოცემული ამოცანა უფრო ზოგადი ამოცანით, რომლის ამოხსნიდან უშუალოდ გამომდინარეობს დასმული ამოცანის ამოხსნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძულიშვილიგიორგი, გიორგი ბრეგაძე, ირინე გოგიბერიძე, თამარ დოგრაშვილი. 2021, საძიებო და სა-ოლიმპიადო მათემატიკური ამოცანები დაწყებით კლასებში (I-VI კლასები). ქუთაისი, ანსუ გამომცემლობა. 232 გვ.
2. ბერძულიშვილი გიორგი, გიორგი ბრეგაძე, გენადი მარგველაშვილი. 2019, საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სწავლების სპეციალური მეთოდიკა. ქუთაისი, ანსუ გამომცემლობა. 536 გვ.

3. ბერძულიშვილი გიორგი, 2018, სასკოლო და საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდები. ქუთაისი. ანსუ გამომცემლობა. 546 გვ.
4. ბერძულიშვილი გიორგი, ბრეგაძე გიორგი-მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სპეციალური ხერხების სწავლების მეთოდური თავისებურებები. ანსუ გამომცემლობა. თბილისი. 2015 წელი. 252 გვ.
5. ბერძულიშვილი გიორგი, ბრეგაძე გიორგი-საოლიმპიადო მათემატიკურ ამოცანათა ამოხსნის პრაქტიკული ჩვევების ფორმირება საშუალო სკოლაში. ანსუ გამომცემლობა. თბილისი. 2017 წელი. 404 გვ.

რეზიუმე

ანალოგია გამოსახავს საგნებს, მოვლენებსა და ცნებებს შორის მსგავსებას. ანალოგია მოსწავლეებს ეხმარება საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული კავშირების, მიმართებების წვდომასა და მსგავს მიმართებათა გამოვლენის უნარების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში. ანალოგიის მეთოდის ფორმულირება უნდა მოხდეს რაც შეიძლება გასაგებად, რათა მისი სწავლება მოსწავლეებისათვის ადვილად აღსაქმელი იყოს და მათ ნათლად დაინახონ მეთოდის საჭიროება. ანალოგიის შედეგად მიღებული დასკვნები ზოგჯერ მცდარია და გამოკვლევას საჭიროებს, მაინც ხშირია შემთხვევები, როცა ასეთი დასკვნები მართებულია. ეს ამართლებს ანალოგიის მიმართ ინტერესს.

ამოცანების ამოხსნის დროს ზოგჯერ ზოგადი შემთხვევის განხილვა გაცილებით აადვილებს მის ამოხსნას. ან რაიმე თეორემის დამტკიცება ზოგჯერ ზოგად შემთხვევაში გაცილებით მარტივია, ვიდრე მისი კონკრეტული რაიმე ფაქტის დამტკიცება. განზოგადება არის გადასვლა რაიმე ობიექტის განხილვიდან ობიექტთა სიმრავლის განხილვამდე, რომელიც ამ ობიექტს თავის ელემენტად შეიცავს, ან ნაკლები მოცულობის სიმრავლიდან მეტი მოცულობის სიმრავლემდე, რომელიც პირველს მოიცავს. განხილულია საძიებო ამოცანები ანალოგიის და განზოგადების გამოყენებით. გაკეთებულია მეთოდური დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: ანალოგია, განზოგადება, ამოცანა, სკოლა, მათემატიკური განათლება.

Bakur Bakuradze

Doctor Of Education, Associate Professor
of Akaki Tsereteli State University,
Mathimatics Lead Teacher of public school N1
Georgia, Kutaisi

Giorgi Bregadze

Doctor Of Education, Andria razmadze
school N41 Mathimatics
Mentor Teacher of Phisics-Mathimatics School
Georgia, Kutaisi

USING ANALOGY AND GENERALIZATION OF SOLVING THE EXPLORATORY SUMS IN SCHOOL CURRICULUM

Summary

Analogy is a similarity between things, events and concepts. It helps pupils not only perceive the links and relations between the things and events but also, assists them to have skills of revealing such similar relations and reinforce them. The formulation of analogy method should be understandable as much as possible, as teaching it the pupils should be easily comprehensible and they should clearly see the necessity of this method. Sometimes, the findings received from analogy are incorrect and they need researching, however, there are cases when these findings are correct This justifies the interest towards analogy.

Sometimes discussing a common case while solving the sums makes its solution rather easy or to prove any theorem in a common case is rather easy than to prove any its concrete fact Generalization is a moving process from discussing any object to discussing plurality of objects, which includes this object as its own element or it is a process from less amount mat set to more amount mat set, which itself includes the first. Some exploratory sums by using analogy and generalization are discussed in the article. Methodological findings are also made.

Key words: Analogy, generalization, mathematical problems, school, mathematical education.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი განათლება“ მნიშვნელობა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში არსებული პედაგოგიური ინსტიტუტი 1933 წლის 13 თებერვალს საგანმანათლებლო მისიით გადადის ქუთაისში. სწორედ მის წიაღში იწყებს ფუნქციონირებას პედაგოგიკის კათედრა (პედაგოგიკა-პედოლოგიის განყოფილების სახელით). პედაგოგიურ ფაკულტეტზე სისტემატურად მიმდინარეობდა პროგრამების გადამუშავებისა და სისტემატიზაციის პროცესი. ქუთაისის სახელმწიფო ცენტრალურ არქივში მივაკვლიეთ საინტერესო მასალას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ 1935 წელს მოხდა პირველი მიღება სკოლამდელი აღზრდის სპეციალობაზე. სპეციალობამ იარსება 1942 წლამდე. 70-იანი წლების ბოლოს საქართველოს უმაღლესმა საბჭომ იმსჯელა სკოლამდელ დაწესებულებებში კადრების მომზადების შესახებ. ჩვენმა უნივერსიტეტმა გამოხატა მზაობა და სურვილი სპეციალობის გახსნის შესახებ. 1975 წლიდან პედაგოგიურ ფაკულტეტზე, სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალობით მოხდა მიღება. სპეციალობამ იარსება 2001 წლამდე.

სკოლამდელი განათლება მოიცავს ადრეული ასაკის (0-დან 8 წლამდე) ბავშვის განათლებისა და განვითარების შესახებ მეცნიერულ ცოდნასა და პროფესიულ პრაქტიკას, რომელიც ადამიანის ცხოვრების ყველაზე სენსიტიურ და კრიტიკულ პერიოდს უკავშირდება. ეს არის ინტენსიური ზრდისა და განვითარების ეტაპი, რომლისთვისაც ხარისხიანი განათლება და განვითარების ხელშეწყობი გარემო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ ბავშვის აწმყოსა და მომავლის, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის.

დარგი ინტერდისციპლინურია განათლების, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, პოლიტიკის, ჯანმრთელობის სფეროში დაგროვილი ცოდნითა და გამოცდილებით, რასაც ეფუძნება ადრეულ ასაკში ხარისხიანი განათლება და ბავშვის ყოველმხრივი განვითარების ხელშეწყობა. ამ პროცესში თავად ბავშვი თავისი განვითარების განმსაზღვრელია, მდიდარი, მრავალფეროვანი პოტენციალით, პროაქტიული მოქმედებებით და შემოქმედებითობით; მასზე გავლენას ახდენს ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულება და უფროსის, საზოგადოების და სახელმწიფოს კონტექსტი.


საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს განათლებისა და განვითარების ჰოლისტიურ, მთლიანობით ბუნებას და უნდა აერთიანებდეს ბავშვის განვითარების ყველა ასპექტს, სკოლამდელი განათლების პროგრამების მრავალმხრივობას, ოჯახის როლს, სხვადასხვა ფაქტორების გავლენას ადრეულ ასაკში სწავლასა და განვითარებაზე, მათ შორის გარემოში არსებულ რისკებსა და საკანონმდებლო აქტებს, რომელიც ბავშვის დაცვას და მასზე ზრუნვას უზრუნველყოფს.

საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმებიდან გამომდინარე პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ჩართულობა პროცესში და მათი აზრის გათვალისწინება. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2001 წლიდან არ მოქმედებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი განათლება“, გამომდინარე აქედან პროგრამას კურსდამთავრებულები არ ჰყავს.


დამსაქმებელთა გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქისა და რეგიონის ბალების გაერთიანების ხელმძღვანელებმა, როგორც პოტენციურმა დამსაქმებლებმა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო შეგვესწავლა როგორც მათი მოთხოვნები დასაქმებულის მიმართ, ასევე მათი შეფასება სხვადასხვა მიმართულებით და მომავალი სპეციალისტების მომზადების მდგომარეობის გაუმჯობესების გზები. საბაკალავრო პროგრამისადმი არსებული გამოწვევების გამოსავლენად 2022 წლის ოქტომბერში განხორციელდა კვლევა.

გამოკითხვის მიზანია დავადგინოთ დასაქმების ბაზრის მოთხოვნა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი განათლება“ კურსდამთავრებულებზე. ანკეტა დაეგზავნა იმერეთისა, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ბალების გაერთიანებების 21 ხელმძღვანელს, მათგან კვლევაში მონაწილეობა მიიღო 15-მა რესპოდენტმა. დამსაქმებლების მიერ შევსებული კითხვარების ანალიზი საშუალებას მოგვცემს დავაზუსტოთ პროგრამის სწავლის შედეგები და კომპეტენციები, რათა ჩვენი კურსდამთავრებული მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი აღმოჩნდეს დასაქმების ბაზარზე.

დაწესებულებები



აღმზრდელთა განათლება



ჩვენ დამსაქმებლებს ვკითხეთ რამდენი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განვითარების დაწესებულებაა მათ გაერთიანებაში, როგორია მათი ტიპები? აღმოჩნდა, რომ სულ არის 375 დაწესებულება. მათ შორის: ბაზა - 0, ბალი - 258, ბაზა-ბალი - 107, ალტერნატიული ბალი - 10.

375 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში დასაქმებულია 1984 აღმზრდელი, რომელთა საშუალო ასაკი ძირითადად არის 40-50 წელი, ქუთაისში, ბაღდათსა და აბაშაში არის 30-40 წელი, ხოლო ჭიათურაში 50-60 წელი.

ჩვენ დავინტერესდით გაგვეგო რა განათლება აქვთ დასაქმებულ აღმზრდელებს. კვლევის შედეგად მონაცემები ასე გადანაწილდა. საშუალო განათლება აქვს - 31 აღმზრდელს, პროფესიულ-ტექნიკური განათლება აქვს - 291 აღმზრდელს, ხოლო უმაღლესი განათლება აქვს -1662 აღმზრდელს.


ჩვენ დავინტერესდით პროფესიულ-ტექნიკური განათლება რა სპეციალობით ჰქონდათ. ი. გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი დამთავრებული აქვს 144 აღმზრდელს, აღმზრდელის ამჟამინდელი პროგრამა გავლილი აქვს 9 აღმზრ-

დელს, ხოლო სხვა სპეციალობა დაამთავრა 138-მა აღმზრდელმა.

კვლევამ გვიჩვენა, რომ 1984 დასაქმებული აღმზრდელიდან 1662-ს აქვს უმაღლესი განათლება, ჩვენთვის საინტერესო იყო დავადგინოთ რა სპეციალობა ჰქონდათ მათ. შედეგები ასე გადანაწილდა: სკოლამდელი აღზრდის განათლება და ფსიქოლოგია - 117; დაწყებითი განათლების სპეციალობა აქვს 718 აღმზრდელს, პედაგოგი არის 591, საიჟინრო სპეციალობა - 41, ეკონომიკური - 35, სამედიცინო - 11, აგრაული - 16, ხოლო სხვა სპეციალობა აქვს - 136 აღმზრდელს.


ჩვენ დავინტერესდით გაგვეგო რა სირთულეებს აწყდებიან დამსაქმებლები ადამიანური რესურსების მოძიებისას, ჩვენ შევთავაზეთ რამდენიმე ვარიანტი: შესაბამისი კადრების არ არსებობა, კანდი-

უმაღლესი განათლების სპეციალობა



დატთა კვალიფიკაციის არადამაკმაყოფილებელი დონე, კანდიდატი არ ფლობს საკმარის ინფორმაციას ვაკანსიის შესახებ და მიუვითითებ შუამდგომლობას შემოეხაზათ ერთზე მეტი. ყველამ შემოხაზა სამივე, ანუ ეს სირთულე ნამდვილად აქვთ.

საბაკალავრო პროგრამის აუცილებლობა



ჩვენ დამსაქმებლებს დავუსვით კითხვა თუ რა კრიტერიუმების მიხედვით ხდება მათ ორგანიზაციაში კადრის შერჩევა? ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელი იყო (ზოგადი სამუშაო გამოცდილება, პროფესიული სამუშაო გამოცდილება, შესაბამისი დარგის ცოდნა, პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა, შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, საკმარისია ბაკალავრის დიპლომი, რეკომენდაცია წინა სამსახურდან, პიროვნული თვისებები და მოტივაცია და სხვა), მაგრამ მათ უნდა მოენიშნათ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პასუხი. პასუხების ანალიზით დადგინდა, რომ სამი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი არის - შესაბამისი დარგის ცოდნა, პროფესიული ეთიკის ნორმების


ცოდნა და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

დამსაქმებლებს შევეკითხეთ რამდენად მნიშვნელოვანია განათლების სფეროში საბაკალავრო პროგრამის „სკოლამდელი განათლება“ განხორციელება? ვარიანტი დიახ, აუცილებელია აირჩია 14-მა რესპოდენტმა, ხოლო სასურველია მხოლოდ ერთმა, არ არის საჭირო და არ მაქვს პასუხი არავის შემოუხაზავს.


გამოკითხვისას ყველამ მოგვცა დადებითი პასუხი, ამდენად დავინტერესდით დაგვედგინა რატომ არის საჭირო საბაკალავრო პროგრამა, მათ შუამდგომლობათ 1-ზე მეტი ვარიანტი. პასუხები ასე გადანაწილდა: ა. აუცილებელია, აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტიდან გამომდინარე - 13; ბ. გაუმჯობესდება სააღმზრდელ-საგანმანათლებლო პროცესის ხარისხი - 15; გ. გაიზრდება ბავშვზე ორიენტირებული მიდგომები - 14; დ. აქტივობები იქნება უფრო საინტერესო - 15; ე. გაიზრდება ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე ინდივიდუალური მუშაობა - 14; ვ. უკეთესად დაიცავს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტს - 14.

ჩვენ დავინტერესდით შეგვესწავლა დამსაქმებლების აზრი თუ რა მახასიათებლები არის აუცილებელი მომავალი სკოლამდელი განათლების ბაკალავრისათვის. მათ შეეძლოთ შემოეხაზათ რამდენიმე პასუხი, ასეთი შედეგი მივიღეთ: ა. იცოდეს ასაკობრივი განვითარების თავისებურებები - 13; ბ. იცოდეს სახელმწიფო სტანდარტები - 15; გ. აქტივობების შედეგისას გაითვალისწინოთ საჭიროებები, შესაძლებლობები და ინტერესები - 14; დ. შეეძლოს თითოეული ბავშვის აქტიური ჩართვა სააღმზღველო-საგანმანათლებლო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე - 15; ე. იცოდეს თამაშის მნიშვნელობის თეორიული საფუძვლები, თამაშის ტიპები, ფორმები და იყენებდეს მას - 14; ვ. იცნობდეს სხვადასხვა სახის დარღვევებს, ხელს უწყობდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განვითარებას - 14.

პროგრამის საჭიროება



მახასიათებლები



ჩვენ დამსაქმებლებს ვკითხეთ, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს თუ დაასაქმებდით თქვენს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დანესებულებაში? ყველას პასუხი იყო დადებითი. ამას იმით ხსნიდნენ, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი მათთვის არის მომავალი კადრების წრთობის დასაყრდენი უმაღლესი დანესებულება. რა თქმა უნდა ახალგაზრდა კადრს უნდა თანადგომა და დახელოვნება, მთავარია ისინი იყვნენ მოტივირებული, რის ნაკლებობა მათ არ აქვთ. დამსაქმებლებმა დიდი წარმატება უსურვეს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „სკოლამდელი განათლება“, საჭიროების შემთხვევაში მზადყოფნა გამოთქვეს დახმარებისათვის.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შევიმუშავეთ კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივების გაზრდას. კვლევის შედეგებმა ნათლად აჩვენა, აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამაზე მოთხოვნა არსებობს, პროგრამის კურსდამთავრებულებზე იარსებებს მოთხოვნა შრომის ბაზარზე. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და სასწავლო კურსების შემუშავებისას, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას

დამსაქმებელთა მოთხოვნები პოტენციურ დასაქმებულთა კვალიფიკაციის მიმართ. უნივერსიტეტში სასწავლო პროგრამა გავაძლიერეთ პრაქტიკის კურსით. აკადემიური კურსები ორიენტირებულია ტრანსფერული უნარების გამომუშავებაზე. სწორედ ძლიერი ტრანსფერული უნარები აძლევს საშუალებას კურსდამთავრებულს, მოერგოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. საჭიროა დამსაქმებლების მეტი ინტეგრაცია სასწავლო პროცესში, პრაქტიკოსი ლექტორების მონაწილეობისა და პოტენციურ დამსაქმებლებთან მეტი, რეგულარული შეხვედრების ორგანიზების გზით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები. თბილისი, 2011.
2. აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, თბილისი 2018.
3. ბასილაძე ი. - განათლების ტაძარი ანსუ-85; ISBN 978-9941-408-49-6 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2020.
4. ბასილაძე ი., ბალანჩივაძე ი., ბერუჩაშვილი მ. - ადრეული განათლების კურიკულუმები და მათი განვითარების სხვადასხვა ასპექტები; ISBN 978-9941-455-62-9 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2018.
5. დოლიძე ხ., ცინცაძე ნ., კუხალიაშვილი თ., ჯიჯავაძე ნ., ბალანჩივაძე ი., გრიგოლია ი., აბაკელია ნ. - ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო, თბილისი, 2015.

რეზიუმე

სტატიაში საუბარია სკოლამდელი პროგრამის ისტორიაზე აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში. აქვე ვეხებით დარგის მნიშვნელობას. სკოლამდელი განათლება მოიცავს ბავშვის განათლებისა და განვითარების შესახებ მეცნიერულ ცოდნასა და პროფესიულ პრაქტიკას, რომელიც ადამიანის ცხოვრების ყველაზე სენსიტიურ და კრიტიკულ პერიოდს უკავშირდება.

დარგი ინტერდისციპლინურია განათლების, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, პოლიტიკის, ჯანმრთელობის სფეროში დაგროვილი ცოდნითა და გამოცდილებით, რასაც ეფუძნება ადრეულ ასაკში ხარისხიანი განათლება და ბავშვის ყოველმხრივი განვითარების ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმებიდან გამომდინარე პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს დამსაქმებელთა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქალაქისა და რეგიონის ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელებმა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო შეგვესწავლა როგორც მათი მოთხოვნები დასაქმებულის მიმართ, ასევე მათი შეფასება სხვადასხვა მიმართულებით და მომავალი სპეციალისტების მომზადების მდგომარეობის გაუმჯობესების გზები.

კვლევამ დაგვანახა, რომ ამჟამად სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულთა მხოლოდ 7% არის დარგის სპეციალისტი. ყველა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ აუცილებელია უმაღლეს დაწესებულებებში არსებობდეს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი განათლება“. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შევიმუშავეთ კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივების გაზრდას.

საკვანძო სიტყვები: საგანმანათლებლო პროგრამა, აღმზრდელი, დამსაქმებელი, რეფორმა, სკოლამდელი დაწესებულება.

Iagor Balanchivadze
Akaki Tsereteli
State University
Associate Professor
Georgia, Kutaisi

THE IMPORTANCE OF THE UNDERGRADUATE EDUCATIONAL PROGRAM "PRESCHOOL EDUCATION"

Summary

The article talks about the history of the preschool program at Akaki Tsereteli University. Here we are talking about the importance of the field. Preschool education includes scientific knowledge and professional practice about child education and development, which is related to the most sensitive and critical period of human life.

The field is interdisciplinary with accumulated knowledge and experience in the fields of education, psychology, sociology, politics, health, which is based on quality early childhood education and promotion of wholistic development of the child.

Based on the ongoing reforms in the educational system, one of the necessary conditions for the successful implementation of the program is a survey of employers, in which the officials of the association of the city and regional kindergartens took part. It was important for us to study both their requirements for the employee, as well as their assessment in different directions and ways to improve the state of training of future specialists.

Research has shown that currently only 7% of employees in preschool institutions are specialists in the field. All respondents noted that it is necessary to have a bachelor educational program "preschool education" in higher institutions. Based on the results of the research, we have developed specific recommendations that, in our opinion, will contribute to increasing the employment prospects of university graduates.

Key words: educational program, educator, employer, reform, preschool institution.

ნოდარ ბარამიძე,
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი
საქართველო, ბათუმი

სწავლის განწყობის შეფუძავების დღევანდელი პრობლემები

განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია დ. უზნაძემ შეიმუშავა ქცევის მიზანშეწონილობის პრობლემის ასახსნელად [5][6]. ამ თეორიის მიხედვით, ყოველი ცოცხალი ორგანიზმის ქცევას და, ცხადია, ადამიანის აქტივობასაც განწყობა განსაზღვრავს. განწყობის ბუნებას, მის გარკვეულობას კი ყოველთვის ორი ძირითადი ფაქტორის – სუბიექტურის და ობიექტურის – ერთიანობა ქმნის. უფრო კონკრეტულად: იმპულსურ ქცევაში განწყობის სუბიექტური ფაქტორია აქტუალური მოთხოვნილება, ობიექტური ფაქტორი – აქტუალური სიტუაცია. ნებელობით ქცევაში კი სუბიექტური ფაქტორის როლში გამოდის მე-ს მაღალი, ზოგადი, „განყენებული“ მოთხოვნილებები, ხოლო ობიექტური ფაქტორისა – წარმოსახული, გააზრებული სიტუაცია. ნებელობითი მოქმედების განწყობა აზროვნების დონეზე, ობიექტივაციის პლანში შექმნილი განწყობა.

შ. ჩხარტიშვილმა ნებისყოფის პრობლემის შემდგომი დამუშავების საფუძველზე აჩვენა, რომ შეუძლებელია ნებელობითი ქცევის სუბიექტური ფაქტორი იყოს ზოგადი, „განყენებული“ მოთხოვნილებები, ვინაიდან აღმძვრელობით ძალას მოკლებული ასეთი მოთხოვნილება არ არსებობს. ყოველი მოთხოვნილება აწმყოს მდგომარეობა და მისი ახლანდელი დანაკლისის შევსებას ცდილობს. განყენებული და ზოგადი შეიძლება იყოს აზრი, იდეა მოთხოვნილების შესახებ და არა თვით მოთხოვნილება, რომელიც ყოველთვის კონკრეტულია და აქტუალური. შ. ჩხარტიშვილის აზრით, ნებელობითი ქცევის განწყობის შემუშავების სუბიექტური ფაქტორის ფუნქციას ასრულებს ნებისყოფა, როგორც სპეციფიკურ-ადამიანური აქტივობის წყარო, ხოლო ობიექტური ფაქტორისა - წარმოსახული (იდეური) სიტუაციის მხრიდან შემოსული ობიექტური, საზოგადოებრივი, პიროვნული ღირებულების ცნობიერება [7][8][9].

ზემოაღნიშნულის გათვალისწინება და საკითხის თავისებური გააზრების საფუძველზე, ვფიქრობთ, ნებისყოფის ჩხარტიშვილისეული გაგებიდან გამომდინარე, ვადასტურებთ, რომ სწავლა, როგორც დამოუკიდებელი ქცევა, არსებითად ნებელობითი ქცევაა, რომლის განწყობის სუბიექტური ფაქტორია ნებისყოფა. სწავლა გონებრივი შრომის ნაირსახეობაა, რომელიც პირადი სურვილებით, თვითკმაყოფილების მიზნით აღძრული იმპულსური აქტივობა როდია. მასში წამყვანია არა „მე მინდა“, არამედ „მე უნდა“ განცდა. სასწავლო ქცევა სოციალურად დეტერმინირებული, ცოდნა-ჩვევის შექმნის განზრახვით წარმართული ქცევაა, რომლის სუბიექტისათვის მთავარია შედეგი და არა ქცევის პროცესუალური მხარე. სწავლა შეიძლება სასიამოვნოც იყოს და არასასიამოვნოც, მაგრამ სწავლის სუბიექტი, ძლიერი შემეცნებითი ინტერესების დაკმაყოფილების შემთხვევაშიც ორიენტირებულია სწავლის შედეგზე. ამ შედეგის საჭიროების, მისი ობიექტური თუ საზოგადოებრივი ღირებულების განცდა აძლევს მის სასწავლო ქცევას აზრსა და მნიშვნელობას და არა აღნიშნული ინტერესებისა და აქტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით მიღებული სიამოვნება, რასაც ადგილი აქვს იმპულსური ქცევის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულის გამო, სწავლა ყოველთვის დაკავშირებულია აუცილებლობისა და პასუხისმგებლობის გრძნობასთან. სასწავლო ქცევა მიმდინარე, ე.წ. ახლო, აქტუალური მოთხოვნილებებითა

და მოტივებით კი არა, სოციალური, მეტ-ნაკლებად შორეული მიზნებითა და მოტივებით აღძრული აქტივობაა, რომელშიც შეიძლება მონაწილეობდეს ამჟამინდელი მოთხოვნილებები და შეიძლება არა. სწავლა, როგორ გონებრივი შრომის სახესხვაობა, თამაშისაგან განსხვავებით, ყოველთვის სოციალურად განსაზღვრულ აქტივობად განიცდება. იგი თავისი ფსიქოლოგიური ბუნებით, მოტივაციური წყობის თავისებურებით, არსებითად, შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებისყოფითი ქცევაა, რომლის აზრი და მიზანი ამ ქცევით მიღწეულ თუ ამ ქცევის გარეთ არსებულ შედეგში, ანუ ცოდნა-ჩვევაშია და არა სწავლის პროცესში, როგორც ამას ადგილი აქვს თამაშის დროს.

შორეულ მოტივაციურ ქცევას ჩვენ ადამიანის ისეთ აქტივობას ვუწოდებთ, რომელსაც უშუალო კავშირი არა აქვს აქტუალურ მოთხოვნილებებთან. ეს ქცევა არასდროს ეყრდნობა იმ მოთხოვნილების იმპულსს, რომლის დაკმაყოფილების პირობებსაც თვითონ ქმნის. იგი მიმართულია ისეთი შედეგისაკენ, რომელიც ახლა, ამავე ქცევაში კი არ მოიხმარება, არამედ მომავლისათვის არის განკუთვნილი. ეს მომავალი ერთ შემთხვევაში შეიძლება საათებით გაიზომოს, მეორეში – დღეებით, მესამეში კი – წლებითაც. ამასთანავე, შორეული მოტივაციური ქცევის შედეგი შეიძლება გამიზნული იყოს როგორც თვით ქცევის სუბიექტის მომავლისთვის, ისე სხვა ადამიანების, კოლექტივის ან საზოგადოების ინტერესებისათვისაც. მაგრამ გასაგებია, რომ ის, რაც ადამიანის მომავალი ცხოვრების ამოცანებს შეესაბამება და საზოგადოების მოთხოვნებსაც პასუხობს, აუცილებლად ობიექტური (საზოგადოებრივი) ღირებულების მქონე უნდა იყოს, ქცევის სუბიექტის ახლანდელი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად უნდა იაზრებოდეს, იქმნებოდეს და არსებობდეს, რომ ყოველთვის აღნიშნული ფუნქცია შესრულოს. მაშასადამე, შორეული მოტივაციური ქცევა მხოლოდ ისეთი შედეგისაკენ შეიძლება იყოს მიმართული, რომელსაც გარკვეული ობიექტური ღირებულება გააჩნია. მაგრამ ვინაიდან ობიექტური ღირებულება ჩვენთვის ნებელობითი ქცევის მოტივის ფუნქციას ასრულებს (განსხვავებით აქტუალურ მოთხოვნილებებთან უშუალო კავშირში მყოფი სუბიექტური ღირებულებისაგან, რომელიც იმპულსურ ქცევას ედება საფუძვლად), გასაგებია, რომ შორეული მოტივაცია, არსებითად, ნებელობითი ქცევის მოტივაცია ყოფილა, შორეული მოტივაციური ქცევა კი – ნებელობითი ქცევა, რომლის წამყვანი ფაქტორია ნებისყოფა, როგორც სპეციფიკურ-ადამიანური აქტივობის წყარო [1][3].

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ ის, რაც დამოუკიდებელი სასწავლო ქცევის შესახებ ითქვა, შეიძლება განვავრცოთ და განვაზოგადოთ როგორც მოსწავლის, ისე სტუდენტის სასწავლო მოქმედებაზეც. ერთიც და მეორეც შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე გონებრივი შრომის სახესხვაობებია. სწავლის მოტივი ორივე შემთხვევაში მისი შედეგის, ე.ი. ცოდნა-ჩვევის ობიექტური, საზოგადოებრივი ღირებულებაა და არა აქტუალურ, წარმავალ მოთხოვნილებებთან დაკავშირებული და გრძნობებში გამოხატული ამ ქცევის მომენტალური სუბიექტური ღირებულება. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, შეიძლება ორივე შემთხვევაში განზოგადებულად ვილაპარაკოთ სწავლის განწყობის შესახებაც. სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორც მოსწავლის, ისე სტუდენტის სწავლის განწყობა, ძირითადად, ერთნაირი თავისებურებებით ხასიათდება. მოკლედ შევჩერდეთ ამ საკითხებზეც.

სწავლის სუბიექტს (მოსწავლეს თუ სტუდენტს) რომ შეექმნას სწავლის განწყობა (ეს იქნება სწავლის შედარებით ხანგრძლივი, ე.წ. პერმანენტული განწყობა, თუ განწყობა მოცემული კონკრეტული მასალის დასწავლისადმი, გაკვეთილის თუ ლექციის მოსმენისადმი), მას, უპირველესად, უნდა ჰქონდეს სწავლის მოთხოვნილება. ცნობილია, რომ მოსწავლეთა სკოლისადმი თავდაპირველ სწრაფვას სწავლის მოთხოვნილებაც განსაზღვრავს. ბუნებრივია, უნივერსიტეტშიც მოდიან ასეთი მოთხოვნილების მქონე ახალგაზრდები. მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ თვალსაზრისით, სწავლის განწყობის შემუშავების სუბიექტური ფაქტორი იმთავითვე სახეზეა, მაგრამ ყოველთვის ასე როდია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი მოთხოვნილებები სხვადასხვა ძალისაა, მუდმივი და ყოველთვის აქტუალურიც არაა (ყველა საგნის მიმართ მაინც), ასეთ შემთხვევაში სწავლის განწყობის შემუშავების სუბიექტური ფაქტორის როლში უნდა გამოვიდეს ნებისყოფა. როდესაც მოზარდს არც სწავლის

მოთხოვნილება აქვს და არც სათანადოდ განვითარებული ნებისყოფა, მაშინ მის სასწავლო აქტივობას განსაზღვრავს სწავლისადმი სრულიად უცხო, ჰეტეროგენული მოტივები და სწავლაც მძიმე, იძულებითი ხასიათის ქცევად განიცდება. აქედან ნათელია, რომ სასწავლო-შემეცნებითი მოთხოვნილებების აქტივაციასთან ერთად, მოზარდთა ნებისყოფის განვითარებაზე ზრუნვა სასკოლო (და არა მხოლოდ სასკოლო) განათლების მუშაკთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ჩვენ უნდა ვზრდიდეთ არა ახლო მოტივაციური, არამედ შორეული მოტივაციური ბუნების მქონე ნებისყოფითი ქცევის განხორციელების უნარით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს, არა დღევანდელ დღეზე, ანმეც მოთხოვნილებებზე მომართულ, არამედ მომავალზე ორიენტირებულ ადამიანებს.

აქვე გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: თუკი ბავშვთა და მოზარდა დაჩქარებული ფსიქო-ფიზიკური განვითარება ანუ აქსელერაცია, რომლის შესახებაც საუკუნეზე მეტია ლაპარაკობენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ხოლო ქართველმა მკვლევარმა მ. ზარანდიამ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში პირველად ექსპერიმენტულად დაადგინა ბავშვთა გონებრივი განვითარების აქსელერაციის ფაქტი [4], ამას ვერ ვიტყვით მათი სოციალურ-პიროვნული და ნებისყოფითი უნარების განვითარების ასპექტზე. მართალია, გონებრივი განვითარების აქსელერაციის გამო მოქმედების ინტელექტუალური მხარე სასურველ მდგომარეობაშია, მაგრამ კარი ინტელექტუალური მონაცემები თავისთავად ასეთივე შედეგს ვერ იძლევა. საჭიროა მათი „მოძრაობაში“ მოყვანა, სათანადო მიმართულებით წარმართვა. პედაგოგიკის ფუძემდებელი იან ამოს კომენსკი ადამიანთა „სულიერი მოძრაობის“ მთავარ ძრავად, ფსიქიკური ცხოვრების მთავარ მამოძრავებელ წყაროდ ნებისყოფას მიიჩნევდა. მისი აზრით, გონება განსაზღვრავს თუ რას, როგორ და რამდენად საჭიროა მივალწიოთ, ნებისყოფა კი უზრუნველყოფს გონებით ნაწვდომის რეალიზაციას.

რა ვითარებაა დღევანდელ ბავშვებსა და მოზარდებში მათი ნებისყოფის განვითარების მხრივ? შევხვოთ თუ არა აქსელერაცია ნებელობითი ქცევის განწყობის ამ ფაქტორს? ეს საკითხი ჩვენ შევისწავლეთ მრავალვარიანტული ექსპერიმენტული მეთოდით. ორჯერ იქნა ჩატარებული ლონგიტუდური კვლევა ერთნაირი პროცედურით, 32 და 46 წლიანი შუალედით. ცდის პირები იყვნენ საბავშვო ბაღის (4-დან 6 წლამდე ასაკის) აღსაზრდელები და პირველი კლასის (6-7 წლის) მოსწავლეები.

აღნიშნული ექსპერიმენტის ზოგადი პრინციპი ასეთია: ცდის პირს თავისუფალი არჩევანის საფუძველზე შესაძლებლობა ეძლევა იმოქმედოს ან ანმეცო აქტუალური მოთხოვნილებით აღძრული იმპულსური, ე.წ. ახლო მოტივაციური ქცევის მიმართულებით, ანდა ნებისყოფით განსაზღვრული, მისთვის უფრო ღირებული შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებელობითი ქცევის მიმართულებით. იმის მიხედვით, თუ რომელს აირჩევს ცდის პირი, რა გადაწყვეტილებას გამოიტანს იგი, შეძლებს თუ არა ამ გადაწყვეტილების დროში შენახვას და შემდეგში მის რეალიზებას, ჩვენ ვმსჯელობდით შესაბამის ასაკში ნებისყოფითი ძალისხმევის უნარზე, ნებელობითი ქცევის განხორციელების შესაძლებლობებზე. როგორც აღვნიშნეთ, საკითხი შესწავლილი იქნა მრავალვარიანტული მეთოდით, მაგრამ ყველგან ერთმანეთს ვუპირისპირებდით ბავშვის მოთხოვნილებასა და ნებისყოფის ძალას. მოთხოვნილების იმპულსი ბავშვს უბიძგებს მისი დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებისაკენ. თუკი ბავშვმა მოახერხა ამ იმპულსის შეკავება, მომენტურ სიამოვნებაზე ამაღლება და შეძლო ობიექტურად უფრო ღირებული შედეგის მქონე ქცევის განხორციელება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მოქმედებდა როგორც ნებისყოფის სუბიექტი.

პირველად ცდები ჩატარებული იყო 1973 წელს, აქსელერაციის ფაქტის შესასწავლად ზუსტად იგივე ექსპერიმენტი გავიმეორეთ 32 წლის შემდეგ – 2005 წელს [2], ჩემმა დიპლომანტმა კი ეს გააკეთა 2019 წელს, რომლის შედეგებმა კიდევ უფრო გაამყარა ადრინდელი მაჩვენებლები.

აღნიშნულმა ლონგიტუდურმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ნებისყოფის განვითარებაში არათუ არა აქვს ადგილი აქსელერაციას, არამედ დადასტურდა აქსელერაციის საპირისპირო მოვლენა – რეტარდაცია. ჩვენი დღევანდელი ბავშვების ნებისყოფის განვითარება შესამჩნევად ჩამორჩება 40-45 წლის წინანდელ დონეს. ამის გამო დღეს ბავშვს უფრო უჭირს აქტუალური მოთხოვნილების იმპულსების

დაძლევა და ისეთი ქცევის (ნებელობითი ქცევის) განხორციელება, რომელსაც თვლის უფრო მიზანშეწონილად.

გასაგებია, რომ აღნიშნულის მიზეზები უნდა ვეძიოთ ობიექტურ ფაქტორებში – ცხოვრების პირობებში, მოზარდების ფიზიკურ და სულიერ გარემოში, მათი ღირებულებების ცვლილება-დინამიკაში, საოჯახო (და არა მხოლოდ) აღზრდის დეფიციტში, ანმყოფე ორიენტაციის თავისებურ აქტივაციაში და, რაც მთავარია, ეკრანზე მათ მიჯაჭვულობაში (ეკრანომანიაში). მეტად ჭრელმა, ჭარბმა და მზამზარეულმა ინფორმაციამ რამდენადაც განავითარა ჩვენი მოზარდების თვალსაწიერი და გააფართოვა მათი ინტერესების სფერო, იმდენად შეასუსტა დამოუკიდებელი აქტივობის უნარი, დააშორა ისინი წიგნს (და არა მხოლოდ წიგნს). ყოველივე ამან, ცხადია, შექმნა უფრო ხელსაყრელი პირობები მოთხოვნილებისა და მოხმარების სუბიექტის ფორმირებისათვის და გაცილებით არახელსაყრელი – ნებისყოფის, პიროვნების, სწავლის, შრომისა და წარმოების სუბიექტის ფორმირება-ჩამოყალიბებისათვის. როგორც ჩანს, დღევანდელი სასკოლო სწავლება ვერ ასრულებს რამდენადმე მნიშვნელოვან როლს ნებისყოფის განვითარებისათვის. ჩვენს ინტელექტუალურად უნარიან და მრავალმხრივი ინტერესების მქონე ახალგაზრდობას დღეს ხშირად ნებისყოფა ღალატობს, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო ქცევის და პერმანენტული სასწავლო აქტივობის განწყობის შემუშავების სიძნელეშიც (და არა მხოლოდ ამ ქცევის განწყობის ორგანიზებაში).

ყოველივე აღნიშნულის გამო, ნებისყოფის აღზრდის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებასთან ერთად, ცხადია, უმთავრესი მნიშვნელობა აქვს, ქართულ ფსიქოლოგიაში (და არა მარტო ქართულში), მაგალითად, შ. ჩხარტიშვილის შრომებში უკვე მოცემული დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოყენებას დღევანდელი რეალობისა და ღირებულებების გათვალისწინებით [8][9].

ვინაიდან სწავლა სოციალურად დეტერმინირებული, ნებისყოფითი ფაქტორებით წარმართული შორეული მოტივაციური ქცევაა, ბუნებრივია, სწავლის მყარი განწყობის შემუშავებისა და წარმატებული სწავლისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი როდია, თუ სად და როგორ ხედავს თავის მომავალს სწავლის სუბიექტი. ეს კი უკვე ამ ასპექტითაც მოსწავლეთა სწორი პროფესიული ორიენტაციისა და დღევანდელ სტუდენტთა მომავალში დასაქმების გარანტიების მარად აქტუალური პრობლემის წინაშე გვაყენებს, რომლის გადაწყვეტაც, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მიზანშეწონილია სწავლის ფსიქოლოგიური ბუნების ზემოაღნიშნული გაგებიდან გამომდინარეც. სწავლა, როგორც შორეული მოტივაციური ქცევა, შინაგანი აუცილებლობით მოითხოვს, რომ სწავლის სუბიექტს ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი თავისი მომავალი საქმიანობა თავისსავე დღევანდელ სასწავლო აქტივობასთან მიმართებაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ წარმოსახული, ანუ იდეური სიტუაცია შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებელობითი ქცევის განწყობის ობიექტური ფაქტორის ფუნქციას ასრულებს, კიდევ უფრო ცხადი იქნება სწავლის სუბიექტის მიერ წარმოდგენილი თავისი მომავალი საქმიანობის გარკვეულობის მნიშვნელობა შესაბამისი განწყობის შემუშავებისათვის. ეს კი პირდაპირ თუ ირიბად პროფესიის შესაბამისად მუშაობის, პროფესიონალი მუშაკის მოტივაციის ამაღლების, პროფესიონალიზმის ჯეროვნად დაფასების ამოცანასაც გულისხმობს. ბუნებრივია, აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის კვალდაკვალ სწავლა გახდება უფრო ნაყოფიერიც, მიზანმიმართულიც და შედეგზე ორიენტირებულიც.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება ნაშრომში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამიძე ნ., 1995, შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი.
2. ბარამიძე ნ., 2008, აქსელერაცია და შორეული მოტივაციური ქცევა, ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი.
3. ბარამიძე ნ., 2021, შ. ჩხარტიშვილი ნებისყოფისა და ნებელობითი ქცევის შესახებ, განწყობის ფსიქოლოგიის კლასიკოსების სერიით გამოცემული კოლექტიური მონოგრაფია - „შალვა ჩხარტიშვილი“ (ავტორები: ნ. ბარამიძე, ი. იმედაძე, მ. მაღრაძე), გამომცემლობა „საარი“, თბილისი.
4. ზარანდია მ., 1985, ბავშვის განვითარების აქსელერაციის კანონზომიერებანი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
5. უზნაძე დ., 1964, შრომები, ტ. III-IV, ზოგადი ფსიქოლოგია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
6. უზნაძე დ., 2004, განწყობის ფსიქოლოგია, გამომცემლობა „კოლორი“, თბილისი.
7. ჩხარტიშვილი შ., 1958, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი.
8. ჩხარტიშვილი შ., 1964, ნებისყოფა და მისი აღზრდა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
9. ჩხარტიშვილი შ., 1974, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

რეზიუმე

ავტორის აზრით, სწავლა (მოსწავლეა მისი სუბიექტი თუ სტუდენტი), არსებითად გონებრივი შრომა და თავისი ფსიქოლოგიური ბუნებით შედეგზე ორიენტირებულ შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებელობით ქცევას წარმოადგენს. სწავლის განწყობის შემუშავების ერთ-ერთი პრობლემაც დაკავშირებულია ნებისყოფასთან, კერძოდ, დღევანდელ ბავშვთა და მოზარდთა ნებისყოფის განვითარებაში დადასტურებულ რეტარდაციის (აქსელერაციის საპირისპირო) მოვლენასთან. ნებისყოფა კი სასწავლო ქცევის განწყობის სუბიექტური ფაქტორია. ამასთანავე, სწავლის, როგორც შორეული მოტივაციური ქცევის განწყობის შემუშავებისათვის მნიშვნელოვანია სწავლის სუბიექტს მისი სწავლა-განვითარების შესაბამის ეტაპზე გარკვეული და წარმოდგენილი ჰქონდეს თავისი მომავალი საქმიანობა, ვინაიდან წარმოდგენილი, წარმოსახული სიტუაცია ნებელობითი ქცევის განწყობის ობიექტური ფაქტორია. აღნიშნული კი სწორი პროფესიული ორიენტაციის, პროფესიული დასაქმებისა და პროფესიონალიზმის სათანადოდ დაფასების ამოცანასაც გულისხმობს.

საკვანძო სიტყვები: სწავლა, განწყობა, მოთხოვნილება, ნებისყოფა, შორეული მოტივაციური ქცევა, აქსელერაცია, რეტარდაცია.

Nodar Baramidze,
Doctor of Psychological Sciences,
Emeritus Professor of Batumi Shota Rustaveli State University
Georgia, Batumi

TODAY'S PROBLEMS OF FORMING A LEARNING SET

Summary

According to the author, learning (whether its subject is a pupil or a student) is essentially mental work and by its psychological nature is a result-oriented willed behavior with a distant motivational structure. One of the problems of forming a learning set is related to the proven phenomenon of retardation (opposite of acceleration) in the development of the willpower of children and adolescents. And willpower is a subjective factor in the set of learning behavior. In addition, for the development of the set of learning as a distant motivational behavior, it is important that the subject of learning has a clear idea of his future activity, since the presented imagined situation is an objective factor of the set of willed behavior. The mentioned also implies the task of proper professional orientation, professional employment and due assessment of professionalism.

Key words: Learning, set, want, willpower, distant motivational behavior, acceleration, retardation.

სიმრავლეთა თეორიის და მათემატიკური ლოგიკის ელემენტების გამოყენებით დანყებით კლასებში ამოცანების ამოხსნის ზოგიერთი მეთოდური თავისებურება

დანყებით კლასებში მათემატიკის სწავლება ასოცირდება ამოცანების ამოხსნასთან. იმისათვის, რომ მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს ამოცანების ამოხსნის უნარი და გამოუმუშავდეს შესაბამისი ჩვევები, მეთოდოლოგიური ლიტერატურაში გვხვდება ორი თვალსაზრისი: პირველი, რომლის თანახმადაც საჭიროა ამოხსნას რაც შეიძლება დიდი რაოდენობის ამოცანა და მეორე, რომლის თანახმადაც არსებითი მნიშვნელობა აქვს განსახილავი ამოცანების შინაარსს და ამოხსნის ხერხებს. ჩვენი აზრით, შეუძლებელია ამოცანების ამოხსნის სწავლება ამოცანების ამოხსნის გარეშე, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამოცანების შინაარსის სპეციფიკიდან გამომდინარე ამოხსნის ხერხების სწავლებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში შესაბამისი ცოდნა-ჩვევების განვითარებას და განმავითარებელი სწავლებისათვის აუცილებელია. ცოდნა-ჩვევების სრულფასოვნების მნიშვნელოვან მაჩვენებლად მიგვაჩნია არა მარტო ის, თუ რამდენად გააზრებული და გაცნობიერებულია ამოცანების ამოხსნის ხერხების ცოდნა მოსწავლეთა მიერ, არამედ ისიც, თუ რამდენად ღრმად, საფუძვლიანად და მტკიცედ აქვს ათვისებული ის მოსწავლეს. ამიტომ, ამოცანების ამოხსნის ხერხების ცოდნის მტკიცედ დაუფლება სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა და ამავე დროს სწავლების ზოგადმეთოდოლოგიური დიდაქტიკური პრინციპის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მასწავლებელმა კლასში უნდა შექმნას ისეთი ატმოსფერო, რომ მოსწავლე ნათლად ხედავდეს ამოცანების ამოხსნის სხვადასხვა ხერხის სწავლების აუცილებლობას. ყოველივე ამით მასწავლებელი მოსწავლეებში შექმნის ამოცანების ამოხსნის სხვადასხვა ხერხის სწავლების მოტივაციას და ადვილად დაძლევის განწყობას [2].

ამოცანების ამოხსნის სხვადასხვა ხერხის მტკიცედ დაუფლებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისტემატურ ვარჯიშს, რომელიც უნდა შეუფარდდეს კონკრეტული ტიპის ამოცანების სიძნელე-სიადვილეს და მის შესაბამის სპეციფიკას. ამოცანების ამოხსნის სხვადასხვა ხერხის დაუფლება მასწავლებლისგან მოითხოვს მოსწავლისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, თითოეული მოსწავლის თავისებურებების გათვალისწინებას, სწავლების პროცესში დავალებათა ინდივიდუალიზაციას და სხვ.

იმისთვის, რომ მასწავლებელმა მიაღწიოს სწავლებაში წარმატებას, პირველ რიგში, ყურადღების ცენტრში უნდა მოიქციოს თითოეული მოსწავლის ყოველმხრივი შესწავლა, მოსწავლის ხასიათი, ტემპერამენტი, ნებისყოფა, ყურადღება, უნარ-ჩვევები, მომზადების დონე, შრომისმოყვარეობა, მშობელთა განათლება და მათი სპეციალობები, მოსწავლის მეგობრების წრე და სხვა მხარეები. მასწავლებლის დაკვირვების საგანს უნდა წარმოადგენდეს ამოცანების ამოხსნის ხერხების სწავლების პროცესი თავისი შინაარსით, ორგანიზაციით და მეთოდებით. ასევე მრავალმხრივია მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის გზები და ფორმები, რომელიც მასწავლებელმა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს ინდივიდუალურად. [3].

დანყებით კლასებში მათემატიკის სწავლებისათვის ყველაზე მოსახერხებლად და მისაღებად ითვლება თეორიულ-სიმრავლური მიდგომა, რომელიც ეფუძნება მათემატიკური ლოგიკის ელემენტებს, მაგრამ შემდგომში ამოცანების ამოხსნისას ყველაზე ნაკლები ყურადღება ეთმობა მათემატიკური

ამოცანების ამოხსნას სიმრავლეთა თეორიის და მათემატიკური ლოგიკის ელემენტების გამოყენებით. მათემატიკური ამოცანების ამოხსნისას გასათვალისწინებელია ერთი მეტად აუცილებელი ნიუანსი, კერძოდ, მასწავლებელმა მოსწავლეებს უმცროს კლასებში არ უნდა დაუსახელოს და გააცნოს სიმრავლეთან და ლოგიკასთან დაკავშირებული ტერმინები, მათი გამოყენება უნდა მოხდეს ტერმინების გამოყენების გარეშე ინტუიციურად, რადგან ამ ასაკის მოსწავლეებისათვის სათანადო ტერმინოლოგია აღსაქმელად რთულია, მაგრამ აუცილებლად დაცული უნდა იყოს სწავლების მეცნიერული პრინციპი. არსებული ხარვეზის შესავსებად განვიხილოთ რამდენიმე ასეთი შინაარსის ამოცანა, რომლებიც ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მასწავლებლებს მათემატიკური ამოცანების ამოხსნების გამოყენებულ ხერხებზე [4].

• **ამოცანების ამოხსნა სიმრავლეთა თეორიის ელემენტების გამოყენებით**

შევნიშნოთ, რომ ორი A და B სიმრავლის სასრული გაერთიანების შედეგად მიღებული სიმრავლის ელემენტების რაოდენობა გამოისახება ფორმულით:

$$n(A \cup B) = n(A) + n(B) - n(A \cap B). \quad (1)$$

ეს ნიშნავს, რომ გასაერთიანებელ სიმრავლეთა ელემენტების ჯამს უნდა გამოაკლდეს საერთო ელემენტების რაოდენობა.

თუ A და B სიმრავლეები თანაუკვეთია, ე.ი. $A \cap B = \emptyset$, მაშინ $n(A \cap B) = 0$ და მივიღებთ:

$$n(A \cup B) = n(A) + n(B).$$

თუ გვაქვს A , B და C სამი სიმრავლე, მაშინ ამ სიმრავლეების გაერთიანების შედეგად მიღებული სიმრავლის ელემენტების რაოდენობა გამოისახება ფორმულით:

$$n(A \cup B \cup C) = n(A) + n(B) + n(C) - n(A \cap B) - n(A \cap C) - n(B \cap C) + n(A \cap B \cap C) \quad (2)$$

(2) ფორმულის მიღება შესაძლებელია (1) ფორმულიდან სათანადო ლოგიკური ოპერაციებით.

ამოცანა 1. ცნობილია, რომ ყველა ბრონტოზავრს აქვს რქა ან ფრთები (შეიძლება ჰქონდეთ ერთიც და მეორეც). ბრონტოზავრების მსოფლიო აღწერით გაირკვა, რომ ბრონტოზავრების 20%-ს, რომელთაც აქვთ რქა, აქვთ ფრთები, ხოლო ბრონტოზავრების 25%-ს, რომელთაც აქვთ ფრთები, აქვთ ასევე რქა. რამდენი ბრონტოზავრი დარჩა სულ მსოფლიოში, თუ მათი რაოდენობა 25-ზე მეტია და 35-ზე ნაკლები?

პირველ რიგში მასწავლებელმა ამოცანის პირობაში მოცემული პროცენტები უნდა გარდაქმნას ნაწილებად, მოსწავლეებს უნდა განუმარტოს, რომ რიცხვის 20% არის მისი მეხუთედი ნაწილი, ხოლო რიცხვის 25%-მისი მეოთხედია. ამის შემდეგ შემოიტანს აღნიშვნას n და იმ ბრონტოზავრების რაოდენობას, რომელთაც აქვთ რქაც, ფრთებიც და აღნიშნავს n -ით. მაშინ, რადგან რქა აქვს ყველა ბრონტოზავრების მეხუთედს, ამიტომ რქიანი ბრონტოზავრების რაოდენობა იქნება $5n$ -ჯერ მეტი იქნება იმ ბრონტოზავრებზე, რომლებსაც აქვთ რქა და ფრთები, ანუ იქნება $5n$, ანალოგიურად, ფრთებიანი ბრონტოზავრების რაოდენობა იქნება $4n$. სულ ყველა ბრონტოზავრების რაოდენობა (1) ფორმულის თანახმად იქნება:

$$5n + 4n - n = 8n.$$

ე.ი. მსოფლიოში დარჩენილი ბრონტოზავრების რაოდენობა 8-ის ჯერადია. 25-დან 35-მდე მხოლოდ ერთი რიცხვია 8-ის ჯერადი-32. მაშასადამე, მსოფლიოში სულ დარჩენილა 32 ბრონტოზავრი.

ამოცანა 2. ერთ ოჯახში ბევრი ბავშვია. ამ ბავშვებიდან 7-ს უყვარს კომბოსტო, 6-ს სტაფილო, 5-ს ჭარხალი, 4-ს კომბოსტო და სტაფილო, 3-ს კომბოსტო და ჭარხალი, 2-ს სტაფილო და ჭარხალი, ხოლო ერთი გემრიელად მიირთმევს კომბოსტოსაც, სტაფილოსაც და ჭარხალსაც. რამდენი ბავშვია სულ ოჯახში?

შემოვილოთ აღნიშვნები: A -თი აღვნიშნოთ იმ ბავშვების სიმრავლე, რომლებსაც უყვარს კომბოსტო, მაშინ $n(A) = 7$, B -თი აღვნიშნოთ იმ ბავშვების სიმრავლე, რომლებსაც უყვარს სტაფილო, მაშინ $n(B) = 6$, C -თი აღვნიშნოთ იმ ბავშვების სიმრავლე, რომლებსაც უყვარს ჭარხალი, მაშინ $n(C) = 5$. იმ ბავშვების სიმრავლე, რომლებსაც უყვარს კომბოსტო და სტაფილო არის A და B სიმრავლეების თანაკვეთა და $n(A \cap B) = 4$. ასევე, იმ ბავშვების სიმრავლე, რომლებსაც უყვარს კომბოსტო და ჭარხალი არის A და C სიმრავლეების თანაკვეთა და $n(A \cap C) = 3$. იმ ბავშვების სიმრავლე, რომლებსაც უყვარს სტაფილო და ჭარხალი არის B და C სიმრავლეების თანაკვეთა და $n(B \cap C) = 2$. ხოლო სიმრავლე იმ ბავშვებისა, რომლებსაც უყვართ კომბოსტოც, სტაფილოც და ჭარხალიც არის A , B და C სიმრავლეების თანაკვეთა და $n(A \cap B \cap C) = 1$. ჩავსვათ მნიშვნელობები (2) ტოლობაში, გვექნება:

$$n(A \cup B \cup C) = 7 + 6 + 5 - 4 - 3 - 2 + 1 = 10.$$

ე.ი, ოჯახში 10 ბავშვია.

ამოცანა 3. კომბლეს შეგროვილი სამხილებით დასტურდება, რომ მისი ხუთი ცხვარი შეეძლო მოეპარა დათვს, მგელს, ტურას ან მელას. დათვი ცხვრებს ყოველთვის მგელთან ერთად იპარავს; ტურა ცხვრებს ზუსტად ორ თანამონაწილესთან ერთად იპარავს, ხოლო თუ ცხვრები მელამ მოიპარა, მაშინ მას ჰყავდა ზუსტად ერთი თანამონაწილე. გავრკვიეთ, დამნაშავეა თუ არა მგელი?

ამოხსნა. რადგან კომბლეს ცხვრები მოიპარეს და დამნაშავე აუცილებლად დათვს, მგელს, ტურას და მელას შორისაა, ამიტომ გავაანალიზოთ თითოეულის დანაშაული. შევნიშნოთ, რომ მარტო ის კი არ არის დამნაშავე, ვინც უშუალოდ მოიპარა ცხვრები, არამედ, დამნაშავეა ისიც, ვინც მისი თანამონაწილეა.

თუ ცხვრები თვითონ მგელმა მოიპარა, მაშინ ცხადია ის დამნაშავეა.

ვთქვათ, კომბლეს ცხვრები მოიპარა დათვმა. რადგან ამოცანის პირობის თანახმად, დათვი ყოველთვის მგელთან ერთად მოქმედებს. ამიტომ მგელიც დამნაშავეა.

ვთქვათ, კომბლეს ცხვრები მოიპარა ტურამ. რადგან ამოცანის პირობის თანახმად, მას ჰყავდა ზუსტად ორი თანამონაწილე, ამიტომ უნდა გაირკვეს ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი თანამონაწილეები. თუ ტურას თანამონაწილე იყო დათვი, მაშინ მისი თანამონაწილე იქნებოდა მგელიც, რადგან დათვი ყოველთვის მგელთან ერთად მოქმედებს. ამიტომ მგელი დამნაშავეა.

თუ ტურას ერთი თანამონაწილე იყო მელა, მაშინ მისი მეორე თანამონაწილე ვერ იქნებოდა დათვი, რადგან მაშინ მათ კიდევ ეყოლებოდა მესამე თანამონაწილე-მგელი, რაც ეწინააღმდეგება პირობას. ე.ი. ტურას მეორე თანამონაწილე მელასთან ერთად აუცილებლად უნდა ყოფილიყო მგელი. ამიტომ მგელი დამნაშავეა.

ვთქვათ, კომბლეს ცხვრები მოიპარა მელამ. თუ მელაა დამნაშავე, მაშინ მას ჰყავდა ერთი თანამონაწილე. გავარკვიოთ, ვინ იყო ის ერთი თანამონაწილე. მელას თანამონაწილე ვერ იქნებოდა დათვი, რადგან მაშინ მათ კიდევ ეყოლებოდათ მესამე თანამონაწილე-მგელი, რადგან ეს ამოცანის პირობას ეწინააღმდეგება. მელას თანამონაწილე ვერ იქნებოდა ვერც ტურა, რადგან თუ ტურაა დამნაშავე, მაშინ მას ეყოლებოდა ორი თანამონაწილე. ესეც ეწინააღმდეგება ამოცანის პირობას. დაგვრჩა, რომ მელას თანამონაწილე აუცილებლად უნდა ყოფილიყო მგელი. ამიტომ მგელია დამნაშავეა. ამით ყველა შესაძლო შემთხვევების განხილვა დამთავრდა. აღმოჩნდა, რომ მგელი დამნაშავეა.

• **ამოცანების ამოხსნა მათემატიკური ლოგიკის ელემენტების გამოყენებით**

მოსწავლეებს შევახსენოთ, რომ თუ არსებობს a ელემენტის არჩევის m შესაძლებლობა და მისგან დამოუკიდებლად b ელემენტის არჩევის n შესაძლებლობა, მაშინ a ან b ელემენტებისათვის არსებობს ამორჩევის $m + n$ შესაძლებლობა, ხოლო (a, b) წყვილისათვის არსებობს ამორჩევის mn

შესაძლებლობა. პირველ წესს ჯამის, ხოლო მეორეს ნამრავლის წესი ჰქვია. მაგალითად, თუ ჯგუფში არის 7 გოგონა და 9 ვაჟი, მაშინ ჯგუფიდან თექვსმეტნაირად შეიძლება ავირჩიოთ 1 გოგონა ან 1 ვაჟი (ჯამის წესი) და იარსებებს წყვილის (გოგონა, ვაჟი) არჩევის $7 \cdot 9 = 63$ ვარიანტი (ნამრავლის წესი).

ამოცანა 4. გვაქვს 6 კარი და მათი 6 გასაღები. ცნობილია, რომ თითოეულ კარს მხოლოდ ერთი გასაღები აღებს. მაქსიმუმ რამდენი ცდაა საჭირო იმისათვის, რომ ყველა კარს თავისი გასაღები მოვუძებნოთ?

ამოხსნა. პირველი კარის გასაღების საპოვნელად საჭიროა მაქსიმუმ 5 ცდა, რადგან ამოცანის პირობიდან თითოეულ კარს მხოლოდ ერთი გასაღები აღებს, ამიტომ მეექვსე გასაღები პირველ კარს აუცილებლად გააღებს. ანალოგიურად, მეორე კარის გასაღების საპოვნელად საჭიროა მაქსიმუმ 4 ცდა, მესამე კარისათვის მაქსიმუმ-3 ცდა, მეოთხე კარისათვის მაქსიმუმ-2 ცდა, მეხუთე კარისათვის მაქსიმუმ-1 ცდა, ხოლო მეექვსე კარის გასაღების საპოვნელად ცდა საჭირო არ იქნება, რადგან დარჩენილი გასაღები აუცილებლად გააღებს მეექვსე კარს. ე.ი. სულ საჭიროა $5+4+3+2+1=15$ ცდა (ჯამის წესი).

ამოცანა 5. ერთმანეთს შეხვდა სამი ადამიანი, რომელთა შორის ზოგი ან სულ მართალს ამბობს ან სულ ცრუობს. პირველმა თქვა: -ჩვენ შორის ერთი მატყუარაა. მეორემ თქვა: -ჩვენ შორის ორი მატყუარაა. მესამემ თქვა: -ჩვენ შორის სამი მატყუარაა. განსაზღვრეთ ვინ-ვინ არის.

ამოხსნა. ამოცანის პირობიდან გამომდინარეობს, რომ ამ სამი ადამიანიდან მართალს ამბობს არა უმეტეს ერთისა. ე.ი. მატყუარა არის ან ორი ან სამი. ვაჩვენოთ, რომ სამივე მათგანი არ შეიძლება ცრუობდეს, რადგან თუ პირველი და მეორე ცრუობენ, მაშინ მესამე ამბობს მართალს. ე.ი. გამოდის, რომ მესამე მატყუარა არ არის, რაც ეწინააღმდეგება პირობას. აქედან გამომდინარეობს, რომ მათგან მატყუარაა მხოლოდ ორი მათგანი. მაშასადამე, მართალს ამბობს მეორე, ხოლო პირველი და მესამე ცრუობენ.

ამოცანა 6. როგორ გამოვაცხოთ 12 მჭადი უმცირეს დროში, თუ ცნობილია, რომ ტაფაზე ეტევა მხოლოდ 8 მჭადი და თითოეული მჭადის ერთი გვერდის გამოცხობას სჭირდება 6 წუთი?

ამოხსნა. 12 მჭადს აქვს 24 გვერდი, ტაფაზე 8 მჭადი ეტევა, რადგან მჭადების ერთ გვერდზე გამოცხობას 6 წუთი სჭირდება, ამიტომ მჭადების გამოცხობისათვის უმცირესი დრო დაიხარჯება მაშინ, თუ შევძლებთ სამ ჯერზე გამოვაცხოთ მჭადები, მაგრამ როგორ?

დავდოთ ტაფაზე 8 მჭადი და გამოვაცხოთ ერთ გვერდზე. დაგვჭირდება 6 წუთი. 8-დან 4 მჭადი გადავაბრუნოთ მეორე გვერდზე, 4 ერთ გვერდზე გამომცხვარი მჭადი გადმოვიღოთ ტაფიდან და მათ ადგილას დავდოთ გამოუცხობელი 4 მჭადი. მჭადების გამოცხობას ტაფაზე დასჭირდება კიდევ 6 წუთი. ამის შემდეგ 4 მჭადი სრულად გამომცხვარია, 8 მჭადს კი გამომცხვარი აქვს ერთი გვერდი. გამომცხვარი 4 მჭადი ტაფიდან გადმოვიღოთ, ტაფაზე დარჩენილი 4 მჭადი გადავაბრუნოთ და წინა ჯერზე გადმოვლებული ერთ გვერდზე გამომცხვარი 4 მჭადი დავდოთ ტაფაზე იმ გვერდით, რომელიც გამომცხვარი არ არის. 6 წუთში ისიც გამოცხვება სრულად. სულ ყველა მჭადის გამოცხობაზე დაიხარჯა 18 წუთი.

ამოცანა 7. ზღაპრულ კუნძულზე ბიჭები სულ მართალს ლაპარაკობენ, გოგონები კი სულ ცრუობენ. ამ კუნძულზე ცხოვრობდა ოჯახი, რომელსაც სამი შვილი ჰყავდა. ერთხელ ისინი ერთად შეიკრიბნენ და თქვეს: სულიკო, მე მყავს ორი და; გულიკო, მეც ორი და მყავს; ნუკრი, მე კი, ორი ძმა მყავს. რამდენი ბიჭი და რამდენი გოგონაა ამ ოჯახში? (გაითვალისწინეთ: სულიკო, გულიკო და ნუკრი შეიძლება იყოს როგორც გოგონას, ისე ბიჭის სახელი).

ამოხსნა. თუ ნუკრი ამბობს მართალს, მაშინ ის ბიჭია და გულიკო და სულიკოც ბიჭები არიან და მათაც მართალი უნდა თქვან, ე.ი. სულიკომაც და გულიკომაც უნდა თქვან, რომ მათ ჰყავთ ორი ძმა. ისინი კი ამბობენ, რომ მათ ჰყავთ ორი და. ე.ი. ნუკრი ცრუობს და ის გოგონაა. თუ სულიკო ამბობს მართალს, რომ მას ჰყავს ორი და, მაშინ სულიკო ბიჭია, ხოლო გულიკო გოგონაა და ის ცრუობს, რომ მასაც ორი და ჰყავს. ეს შემთხვევა შესაძლებელია. ე.ი. ოჯახში ორი გოგონა და ერთი ბიჭია.

თუ სულიკო ცრუობს, რომ მას ჰყავს ორი და, მაშინ გულიკო ბიჭია და ის მართალს ამბობს, რომ მას ორი და ჰყავს. ეს შემთხვევა შესაძლებელია. ე.ი. ოჯახში ორი გოგონა და ერთი ბიჭია. თუ გულიკო ამბობს მართალს, რომ მას ჰყავს ორი და, მაშინ გულიკო ბიჭია, ხოლო სულიკო გოგონაა და ის ცრუობს, რომ მასაც ორი და ჰყავს. ეს შემთხვევა შესაძლებელია. ე.ი. ოჯახში ორი გოგონა და ერთი ბიჭია. თუ გულიკო ცრუობს, რომ მას ჰყავს ორი და, მაშინ გულიკო გოგონა, ხოლო სულიკო ბიჭია და ის მართალს ამბობს, რომ მას ორი და ჰყავს. ეს შემთხვევა შესაძლებელია. ე.ი. ოჯახში ორი გოგონა და ერთი ბიჭია. ვთქვათ, მართალს ამბობს სულიკოც და გულიკოც. თუ ორივე მართალს ამბობს, მაშინ გამოდის, რომ ოჯახში სამივე გოგონაა, ხოლო რადგან სულიკოც და გულიკოც ორივე მართალს ამბობენ, ისინი ბიჭებია, რაც ეწინააღმდეგება ამოცანის პირობას. ვთქვათ, ცრუობს სულიკოც და გულიკოც. თუ ორივე ცრუობს, ისინი გოგონები არიან და გამოდის, რომ ოჯახში სამივე გოგონაა, ეს ნიშნავს, რომ სულიკოსაც ორი და ჰყავს და გულიკოსაც. გამოდის, რომ სულიკოც და გულიკოც მართალს ამბობენ, ე.ი. ისინი ბიჭებია, რაც ეწინააღმდეგება ამოცანის პირობას.

საბოლოოდ დავასკვნით, რომ ოჯახში ორი გოგონა და ერთი ბიჭია.

ამოცანა 8. ორმა საათმა ერთდროულად დაიწყო და ერთდროულად დაასრულა რეკვა. პირველი საათი რეკავს ყოველი 2 წამის შემდეგ, მეორე – ყოველი 3 წამის შემდეგ. სულ განხორციელდა 13 დარტყმა (ის დარტყმები, რომლებიც ერთდროულად ხდება, აღიქმება როგორც ერთი დარტყმა). რა დრო გავიდა პირველ და ბოლო დარტყმებს შორის?

ამოხსნა. რადგან 2-ისა და 3-ის უმცირესი საერთო ჯერადია 6, ამიტომ ერთდროული დარტყმები მოხდება საათების დარტყმების დაწყებიდან მეექვსე წამს, მეთორმეტე წამს, მეთვრამეტე წამს და ა.შ. ახლა გავარკვიოთ, რამდენი დარტყმა განხორციელდება პირველი 6 წამის განმავლობაში. პირველ დარტყმას ორივე საათი მოახდენს ერთდროულად დარტყმების დროის ათვლის დაწყებიდან. პირველი საათი მეორე დარტყმას განახორციელებს 2 წამში, მეორე საათი მეორე დარტყმას მოახდენს 3 წამში, პირველი საათი მესამე დარტყმას მოახდენს 4 წამში, მეორე საათის მესამე დარტყმა და პირველი საათის მეოთხე დარტყმა ერთდროულად მოხდება. ე.ი. პირველი 6 წამის განმავლობაში სულ გავიგონებთ 5 დარტყმის ხმას, რომელთა შორის პირველი ერთდროული დარტყმა-დარტყმების დასაწყისია. მომდევნო 6 წამის განმავლობაში ორივე საათისაგან გავიგონებთ 4 დარტყმას, კიდევ 6 წამის განმავლობაში კიდევ 4 დარტყმას, რაც ჯამში 13 დარტყმაა. ე.ი. პირველ და ბოლო დარტყმებს შორის არის 18 წამი.

მოყვანილი ამოცანების განხილვის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, დაწყებით კლასებში მასწავლებელმა მათემატიკური ამოცანების ამოხსნის ხერხები, რომლებიც ეფუძნება სიმრავლეთა და მათემატიკური ლოგიკის ელემენტების გამოყენებას, უნდა განიხილოს მიზანმიმართულად და მათი სწავლების მთელი პროცესი სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს სწავლების მეცნიერულ შინაარსზე და გააზრებულ, გაცნობიერებულ შეთვისებაზე, რომელიც დამყარებული იქნება აქტიურ დამახსოვრებაზე და ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბებაზე. მოსწავლისაგან ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდა რიგ სხვა ღონისძიებებთან ერთად მოითხოვს ისეთ სწავლებას, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ მეცნიერებათა საფუძვლების თანმიმდევრულ შეთვისებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძულიშვილი გიორგი, ბრეგაძე გიორგი-საოლიმპიადო მათემატიკურ ამოცანათა ამოხსნის პრაქტიკული ჩვევების ფორმირება საშუალო სკოლაში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2017 წელი. 404 გვ.
2. ბერძულიშვილი გიორგი, ბრეგაძე გიორგი-საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანები დაწყებით კლასებში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2016 წელი. 680 გვ.
3. ბერძულიშვილი გიორგი, ბრეგაძე გიორგი-მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სპეციალური ხერხების სწავლების მეთოდური თავისებურებები. ანსუ გამომცემლობა. თბილისი. 2015 წელი. 252 გვ.
4. ბერძულიშვილი გიორგი, ონიანი-სალინაძე ნანა, ბაკურაძე ბაკურ-სიმრავლეთა და ალბათობის თეორიის ელემენტების სწავლება მათემატიკის სასკოლო კურსში. ანსუ გამომცემლობა. თბილისი. 2014 წელი. 248 გვ.

რეზიუმე

მათემატიკის სწავლების მდგომარეობის კრიტიკული ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა უმეტესობა სუსტად ფლობს ამოცანების ამოხსნის ხერხებს. ამ პრობლემის გადასაჭრელად ჩატარებული კვლევებით მივედით დასკვნამდე, რომ მათემატიკური ამოცანების ამოხსნისას დაწყებით კლასებში გამოყენებული უნდა იქნეს სიმრავლეთა თეორიის და მათემატიკური ლოგიკის ელემენტები. ცხადია, რომ ამოცანების ამოხსნის ამ მეთოდების შესწავლა მოსწავლეებთან უნდა მოხდეს სათანადოდ შერჩეული ამოცანების ამოხსნით ისე, რომ მასწავლებელმა უმცროსკლასელებთან არ დაასახელოს სიმრავლეებთან და ლოგიკასთან დაკავშირებული ტერმინები, მათი გამოყენება უნდა მოხდეს ტერმინების დასახელების გარეშე, რადგან ექსპერიმენტებით დადასტურებულია, რომ უმცროსკლასელებს უჭირთ სათანადო ტერმინოლოგიის აღქმა, მაგრამ დაცული უნდა იყოს სწავლებაში მეცნიერულობის პრინციპი. არსებული ხარვეზის შესავსებად განხილული გვაქვს ამოცანები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მასწავლებლებს და მოსწავლეებს სიმრავლეთა თეორიის და ლოგიკის ელემენტების გამოყენებით მათემატიკური ამოცანების ამოხსნების ხერხებზე. გაკეთებული გვაქვს სათანადო მეთოდური დასკვნები და რეკომენდაციები მასწავლებელთათვის.

საკვანძო სიტყვები: ამოცანა, ლოგიკა, სიმრავლე, ხერხი, წესი.

Nana Oniani-Saginadze
Doctor of Education,
The Associated Professor of
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

SOME METHODOLOGICAL FEATURES OF SOLVING TASKS IN ELEMENTARY GRADES USING ELEMENTS OF SET THEORY AND MATHEMATICAL LOGIC

Summary

A critical analysis of the state of mathematics education reveals that most elementary school students weakly possessed the ways of solving tasks. Through the research conducted to solve this problem, we concluded that elements of set theory and mathematical logic should be used in solving mathematical tasks in elementary grades. It is clear that these methods of solving tasks should be studied with students by solving properly selected tasks so that the teacher does not name the terms related to sets and logic with the younger students. They should be used it without naming the terms, because it has been proven by experiments that it is difficult for younger students to understand the appropriate terminology, but the scientific principle in teaching should be respected. To fill the existing gap, we have considered tasks that will create a clear idea for teachers and students about the ways of solving mathematical tasks using the elements of set theory and logic. We have made appropriate methodological conclusions and recommendations for teachers.

Key words: mathematical problems, logic, set, method, rule.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია. ბრძოლა აღიარებისა და ინტერნაციონალიზაციისათვის

რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ სოხუმში მდებარე აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (AGU) დაარსდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე, რომელიც 1932 წელს გაიხსნა. უნივერსიტეტის გაყოფა ეთნიკური ნიშნით განხორციელდა 1989 წელს¹. 2006 წლიდან აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ე.წ. ავტონომიური ეროვნული უნივერსიტეტის სტატუსი.

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუციური ავტონომია ნიშნავს თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებასა და თავისუფლებას. ის მიზნად ისახავს მოქნილობას საზოგადოების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, კვლევისა და განათლების სფეროში რესურსების ოპტიმალური განაწილებასა და ხარისხის ავტორიტეტულ შეფასებას [Pandey, 2004. 79-84]. შეიძლება განვსხვავოთ ოთხი სხვადასხვა სფერო: ორგანიზაციული ავტონომია, ფინანსური ავტონომია, პერსონალის ავტონომია და აკადემიური ავტონომია. სახელმწიფოსგან ავტონომიის რეალური ხარისხი შეიძლება გაიზომოს თითოეულ ამ სფეროში, რომლებიც, ამავე დროს, ურთიერთდაკავშირებულია, რის შედეგადაც ავტონომიის ერთ სფეროში შეზღუდვა უარყოფით გავლენას ახდენს მეორეზე [Esterman, 2015. 8-32].

ამჟამად, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს 9 ფაკულტეტი, 42 კათედრა. უნივერსიტეტში 500-ზე მეტი მასწავლებელი მუშაობს და სამი ათასამდე სტუდენტი სწავლობს.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას ცდილობენ. სასწავლო პროცესი ბოლონის სისტემის შესაბამისად დაიწყო ოთხწლიან საბაკალავრო და ორწლიან სამაგისტრო პროგრამებზე. თუ არ ჩავთვით ცალკეულ დისციპლინებსა და ზოგიერთ კათედრას, მთლიანობაში უნივერსიტეტმა მოახერხა ახალმოდელზე გადასვლა. სწავლების ენა უმთავრესად რუსულია.

უნივერსიტეტი აქტიურად ავითარებს კვლევით პროექტებს, როგორც ჰუმანიტარულ, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ტრადიციად იქცა მრავალი „საერთაშორისო და რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციების“ ორგანიზება და გამართვა. 2000 წელს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა კვალიფიკაციის ზრდისა და სპეციალისტთა გადამზადების ცენტრი, რომელსაც 2007 წელს „რესპუბლიკელის“ სტატუსი მიენიჭა.

2003 წელს გაიხსნა სპეციალობა „საერთაშორისო ურთიერთობები“ და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიისა და თეორიის კათედრა; 2011 წელს დაარსდა ნართის შემსწავლელი და დარგობრივი ფოლკლორისტიკის ცენტრი. 2012 წელს ჩამოყალიბდა ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ ცენტრი. 2013 წელს - საგანმანათლებლო და მეთოდური განყოფილება; სამეცნიერო და კულტურული ცენტრი. იურივრონოვის სახელობის უნივერსიტეტის პრეს-სამსახური.

2015 წლიდან სახელმწიფო ენის სტატუსის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა აფხაზური ენის განყოფილების რეორგანიზაცია, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ორი კათედრა – სწავლების

¹ 1989 წლის 14 მაისს უნივერსიტეტის ქართული ნაწილის ბაზაზე ჩამოყალიბდა ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, რომელმაც 1993 წლიდან ქ. თბილისში გააგრძელა ფუნქციონირება. 2007 წლის 31 ივლისს საქართველოს მთავრობის დადგენილებით თსუ სოხუმის ფილიალის ბაზაზე დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი -სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სპეციალური და არასპეციალური მიმართულებებით. 2016 წელს შეიქმნა ხელოვნების განყოფილება, რომელიც ცოტა ხნის წინ სრულფასოვან ფაკულტეტად გარდაიქმნა. 2018 წლიდან ფუნქციონირებს ენათმეცნიერებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი.

„საერთაშორისო კავშირების” მხრივ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეზღუდულია და ძირითადად, რუსეთში მოქმედი უნივერსიტეტებით შემოიფარგლება. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი (МГУ) პირველი უმაღლესი სასწავლებელი იყო, რომელმაც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ე. წ. თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა².

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი რუსეთის ფედერაციის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის მიუხედავად, საერთაშორისოდ იზოლირებულია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. სახელმწიფოებრიობის აღიარებაზე უარს აცხადებს. „აფხაზეთის ხელისუფლება” ეწინააღმდეგება საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის ნებისმიერ ფორმას, რომელიც საქართველოს მონაწილეობით, ან თბილისთან მეტი სიახლოვით განისაზღვრება.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის გამოწვევაა შემდეგი შვიდი კრიტერიუმის დაკმაყოფილება: (1) ხარისხის შეფასების ძლიერი სისტემის (QA) ჩამოყალიბება, რომელიც საერთაშორისო დონეზე არის აღიარებული მისი სასწავლო პროგრამების გარე აკრედიტაციის გზით; (2) დიპლომების საერთაშორისო აღიარება, როგორც შრომის საერთაშორისო ბაზარზე, ასევე სხვა უნივერსიტეტების მიერ; (3) ორმხრივი ურთიერთობების დამყარება სხვა უნივერსიტეტებთან; (4) საერთაშორისო საუნივერსიტეტო ასოციაციების წევრობა; (5) პერსონალისა და სტუდენტებისთვის აუცილებელი სამგზავრო დოკუმენტაციის უზრუნველყოფა; (6) ინდივიდუალური სტიპენდიების მინიჭება საზღვარგარეთ სწავლისთვის, ასევე მონაწილეობა მობილურობის პროგრამებში, როგორცაა Erasmus+, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს იმოგზაურონ სასწავლებლად, როგორც სასწავლო გეგმის ნაწილი მშობლიურ უნივერსიტეტში; (7) ადმინისტრაციის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის ეფექტიან ინტერნაციონალიზაციას.

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება უარყოფს ნებისმიერ პროექტს, რომელიც ფოკუსირებულია საქართველოსთან ორმხრივ ურთიერთობებზე, რომელიც შეიძლება განიმარტოს, როგორც აფხაზეთის დანარჩენ საქართველოში რეინტეგრაციის ხელშეწყობის მცდელობა, შესაბამისად, ნებისმიერი თანამშრომლობა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს უნივერსიტეტებს შორის. მათ ასევე მიუღებლად მიაჩნიათ უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენება³.

2020 წლის დეკემბერში, ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიაამ გამოაქვეყნა ე. წ. საგარეო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავს „აღიარებისა” და არაღიარების ოფიციალურ პოლიტიკას. აღნიშნული „დოკუმენტის” მიხედვით, ე. წ. საერთაშორისო თანამშრომლობა უნდა მოხდეს „თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის” საფუძველზე. ეს მოითხოვს საქართველოსთან ურთიერთობის „ნორმალიზაციას“.

აფხაზი ისტორიკოსის იური ანჩაბაძის მოსაზრებით, საბჭოთა რეფორმებმავერ დააკმაყოფილა აფხაზების მოთხოვნები მათი „რესპუბლიკის სტატუსის” ზრდის შესახებ. უფრო მეტიც, მათ აღაშფოთეს აფხაზეთის ქართველი საზოგადოება, რომელიც აპროტესტებდა აფხაზების პრივილეგიების პოლიტიკას და 1980-იან წლებში ორივე თემის ნაციონალისტური მობილიზაცია მოხდა. სტატუსისა და იდენტობის ამ კონფლიქტებში უმაღლესმა განათლებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა [Anchabadze, 1999. 132-146].

არაღიარების პოლიტიკით, ოკუპირებული აფხაზეთი ეწინააღმდეგება ნებისმიერ ჩარევას მის საშინაო საქმეებში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით, ოკუ-

2 ეტაპობრივად მყარდებოდა „კავშირები” რუსეთის სხვა უნივერსიტეტებთანაც, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე უმაღლეს სასწავლებლებთან.

3 ნებისმიერი პროექტი, მათ შორის მრავალმხრივი, რამაც შესაძლოა ოკუპირებული რეგიონი გარკვეულწილად დამოკიდებული გახადოს ქ. თბილისში მიღებულ გადაწყვეტილებებზე, უარყოფილი უნდა იყოს.

პირებული რეგიონი დაინტერესებულია ევროკავშირის ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარებით და განსაკუთრებით დააფასებს „ევროპულ განათლებაზე წვდომას“.

კიდევ ერთი მთავარი საკითხი იყო ოკუპირებული აფხაზეთის უნდობლობა ევროკავშირის მიმართ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას არ სურდა მიეღო ევროკავშირის ძლიერი ფაქტორის არსებობა იქ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი ევროკავშირის უპირობო მხარდაჭერის გამო [Coppie-
ters 2019a, 241-255; Fischer 2010].

ე. წ. ორმხრივ აკადემიურ შეთანხმებებთან დაკავშირებით, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტე-
ტის პოზიცია შეესაბამება დე ფაქტო ხელისუფლების პოზიციას, რომელიც „აფხაზეთის სახელმწი-
ფოებრიობის აღიარებას“ ოპტიმალურ პირობად მიიჩნევს მსგავსი თანამშრომლობისთვის.

ამ მხრივ აღსანიშნავია აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობა მოსკოვის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტთან და რუსეთის სხვა უნივერსიტეტებთან. თუმცა, სხვა სახელმწიფოები-
დან, რომლებიც ამჟამად აღიარებენ ოკუპირებულ აფხაზეთს (ვენესუელა, ნიკარაგუა, სირია და ნა-
ურუ) არცერთს არ აქვს შესაძლებლობა მხარი დაუჭიროს არსებით ე. წ. ორმხრივ თანამშრომლობას
უმალესი განათლების სფეროში.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის და აფხაზი სტუდენტებისთვის რუსეთის მხარდა-
ჭერას აქვს სარგებელი. უნივერსიტეტის პედაგოგიური პერსონალის დიდ ნაწილს აქვს დიპლომი, ან
თუნდაც დოქტორის ხარისხი, რომელიც რუსული უნივერსიტეტის მიერ არის გაცემული⁴.

საგულისხმოა, რომ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომები აღიარებულია რუსე-
თის ფედერაციაში. ოკუპირებული აფხაზეთიდან რამდენიმე სტუდენტი, მათ შორის აფხაზეთის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, სწავლობენ თურქეთის უნივერსიტეტებში. თუმცა, მათგან
გაცილებით ნაკლები – ევროკავშირისა და ევროპის სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში. აფხაზეთის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის ე. წ. ინტერნაციონალიზაციის წარუმატებლობა დიდწილად გამომწვეუ-
ლია ძალისხმევისა და შესაძლებლობების ნაკლებობით.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს არ შეუქმნია ეფექტიანი ადმინისტრაცია მისი ინტერნა-
ციონალიზაციისთვის. მას არ გაუკეთებია განაცხადი საერთაშორისო საგანმანათლებლო და აკადე-
მიური საზოგადოებების წევრობისთვის. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებული ურთი-
ერთობები რუსულ უნივერსიტეტებთან ძირითადად განპირობებულია ე. წ. სახელმწიფო-სახელმწი-
ფოს ურთიერთობებით და მან ვერ შეძლო „ორმხრივი ურთიერთობების“ დამყარება სხვა უნივერსი-
ტეტებთან საკუთარი ინიციატივით.

ინტერნაციონალიზაციის ნაკლებობა შეიძლება პირდაპირ უკავშირდებოდეს უნივერსიტეტის რე-
ფორმის ნაკლებობას. პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა უნივერსიტეტებისგან, მათ შორის რუსეთისგან
განსხვავებით, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს დიდი ძალისხმევა არ გამოუვლენია საგანმა-
ნათლებლო სისტემის რესტრუქტურისთვის.

ამასთანავე, არ მიმდინარეობს რეალური დებატები ზემოხსენებულ საკითხზე არც აფხაზურ საზო-
გადოებაში, არც ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტში ან „მთავრობაში“. ინტერნაციო-
ნალიზაციის ზოგიერთი ასპექტი – როგორცაა შესაბამისი ხარისხის სტანდარტების დანერგვა, გარე
აკრედიტაცია და უცხოენოვანი განათლება – წარმოუდგენელია სასწავლო გეგმის საფუძვლიანი გან-
ხილვისა და გადახედვის გარეშე.

ამავდროულად უნდა ითქვას, რომ საუნივერსიტეტო რეფორმა საჭიროებს მნიშვნელოვან ორგა-
ნიზაციულ რესურსებს, განსაკუთრებით ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, რაც შეიძლება უზრუნ-
ველყოფილი იყოს მხოლოდ ინტერნაციონალიზაციის გზით.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იზოლირებული პოზიციის შესახებ ევროპულ საგანმა-
ნათლებლო სივრცეში ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სადავო ტერიტორიაზე მდებარე უნივერსიტეტის
ინტერნაციონალიზაცია არის მრავალმხრივი პროცესი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა გადაწყვეტი-
ლებებს, რომლებიც მიიღება ძირითადად ეროვნული ხელისუფლების მიერ.

⁴ რუსული სტიპენდიები პირდაპირ არ აუმჯობესებს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინტერნაციონალიზაციას“.

აფხაზეთის მოსაზრებით, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იზოლაციაზე, არის საქართველოს პოლიტიკა „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის არაღიარების შესახებ“, რომელიც სერიოზულ შეზღუდვებს აწესებს უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის სამგზავრო დოკუმენტების გაცემისა (ასევე Erasmus+) და მობილობის პროგრამაზე წვდომის მიმართ.

მიუხედავად ამისა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს არ განუხორციელებია რაიმე მნიშვნელოვანი ძალისხმევა „ინტერნაციონალიზაციის“ იმ სფეროებში, სადაც მას შეეძლო მნიშვნელოვანი ცვლილებების მოხდენა, მიუხედავად იმისა, რომ მისი საგანმანათლებლო მიღწევების აღიარების ნებისმიერ აქტიურ პოლიტიკას აუცილებლად შეხვდებოდა ქართული საგანმანათლებლო სივრცე. პოტენციური ინიციატივები, რომლებიც მას შეეძლო მიეღო, მოიცავდა ადმინისტრაციული შესაძლებლობების შექმნას „საერთაშორისო ურთიერთობების“ დასამყარებლად, „ორმხრივი თანამშრომლობის“ დამყარებას რუსეთის ფარგლებს გარეთ სხვა უნივერსიტეტებთან.

ამიტომ, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მიღწევებისა და სტატუსის ე. წ. აღიარების პოლიტიკა შეიძლება ჩაითვალოს სუსტად. ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტი არ არის ჩართული საუნივერსიტეტო რეფორმაში, არის კიდევ ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორი, რადგან ასეთი პოლიტიკა ხელს შეუწყობს - ან თუნდაც საჭიროებს ინიციატივებს ინტერნაციონალიზაციის სფეროში.

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების არაღიარების პოლიტიკა დამატებით შეზღუდვებს უნესებს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ე. წ. ინტერნაციონალიზაციას. იგი ხელს უშლის ოკუპირებული აფხაზეთის მონაწილეობას საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებზე ნებისმიერ დროს, როდესაც არსებობს თუნდაც მცირე რისკი იმისა, რომ მათ ქართველ კოლეგებთან მეტი სიახლოვე ჩამოაყალიბონ ან საქართველოს ხელისუფლებასთან კონტაქტი დაამყარონ.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია უარყოფითად აისახება ოკუპირებულ აფხაზეთზე. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შეუთავსებლობა სხვა უნივერსიტეტებთან მის სასწავლო პროგრამებთან მიმართებაში, სერიოზულ შეზღუდვებს უნესებს მის შესაძლებლობებს გააძლიეროს საგანმანათლებლო მიღწევები ევროპული სტანდარტების შესაბამისად, რაც ესოდენ საჭირო, მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Anchabadze, Jurij. 1999. „History: The Modern Period.” In *The Abkhazians*, edited by Hewitt, George, 132–146. Richmond, UK: Curzon. [Google Scholar](#);
2. Coppieters, Bruno. 2019a. „Engagement without Recognition.” In *Routledge Handbook of State Recognition*, edited by Visoka, Gëzim, Doyle, John, and Newman, Edward, 241–255. London and New York: Routledge. [h](#) (Accessed July 9, 2020.)[CrossRefGoogle Scholar](#);
3. Estermann, Thomas. 2015. „University Autonomy in Europe.” *University Education*, No. 3: 28–32. https://tandfbis.s3-us-west-2.amazonaws.com/rt-files/docs/Open+Access+Chapters/9780815354871_oachapter19.pdf (Accessed July 9, 2020.)[CrossRefGoogle Scholar](#);
4. Fischer, Sabine. 2010. „The EU’s Non-Recognition and Engagement Policy towards Abkhazia and South Ossetia.” *Seminar Reports*. Seminar presented at the European Union Institute for Security Studies, Brussels, October 1–2. https://www.iss.europa.eu/sites/default/files/EUISSFiles/NREP_report.pdf (Accessed July 9, 2020.)[Google Scholar](#);
5. Pandey, I. M. 2004. „Governance of Higher Education Institutions.” *Vikalpa: The Journal for Decision Makers* 29 (2): 79–84. <https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0256090920040207> (Accessed March 1, 2021.)[CrossRefGoogle Scholar](#)

რეზიუმე

წარმოდგენილი ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განსაზღვრა. აქვე აქცენტები კეთდება აღნიშნული უნივერსიტეტის მცდელობაზე აღიარებისა და ინტერნაციონალიზაციის მოპოვებაზე. ნაშრომში ყურადღება მახვილდება აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მექანიზმებზე. საუბარი შეეხება აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის გამოწვევასა და სხვადასხვა კრიტიკური დაკმაყოფილებას. ნაშრომის მომზადებისას გამოყენებული ხელმისაწვდომი თეორიული მასალის ანალიზმა სათანადოდ ასკვნების მომზადების საკითხში გაგვინია მნიშვნელოვანი დახმარება. წარმოდგენილი ნაშრომის ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის აუცილებლობის მნიშვნელობის შეფასება და ზოგადად, განსახილველი აქტუალური თემის სათანადო ანალიზისა და დასკვნის უზრუნველყოფა.

საკვანძო სიტყვები: განათლება, იზოლაცია, რეფორმა, ოკუპაცია, რუსეთის ფედერაცია.

GELA TSAAVA

Ph.D. Doctor, Associate Professor

Sokhumi State University

Center for Peace Studies

Georgia, Tbilisi

MISSION OF ABKHAZIAN STATE UNIVERSITY. STRUGGLE FOR RECOGNITION AND INTERNATIONALIZATION

Summary

The research topic of the presented paper is the determination of the mission of the Abkhazian State University. Emphasis is also placed on the efforts of the said university to gain recognition and internationalization. The work focuses on the mechanisms of introducing international standards of education in the Abkhazian State University. The conversation will be about the challenge for the State Abkhazian University and the fulfillment of various criteria.

The analysis of the available theoretical material used in the preparation of the work provided us with significant help in the preparation of appropriate conclusions. A kind of novelty of the presented paper is the assessment of the importance of the need for internationalization of the Abkhazian State University and, in general, the provision of a proper analysis and conclusion of the current topic under discussion.

Key words: Education, Isolation, Reform, Occupation, Russian Federation.

მოსწავლეთა ინდივიდუალური და ჯგუფური აზროვნების ორგანიზების ერთი ხერხის შესახებ

სწავლება მეტად რთული და საპასუხისმგებლო პროცესია, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი რომ წარმართო სწორად და შედეგზე ორიენტირებული გახადო, ამისათვის საჭიროა მრავალფეროვანი გამოცდილება და სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება.

ისმის კითხვა, რა არის სწავლების მეთოდი და როგორ შეიძლება შევარჩიოთ იგი. მეთოდი შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნას აღქმული სხვადასხვა პიროვნების მიერ განსხვავებულ ვითარებაში, კერძოდ: მეთოდის შერჩევასას მასწავლებელმა უნდა განსზღვროს გაკვეთილის მიზანი და ის, თუ რა შედეგზე უნდა გავიდეს.

საზოგადოდ, პიროვნების აღზრდა მრავალ ასპექტს მოიცავს, მაგრამ თავისუფალი და დემოკრატიულად მოაზროვნე მოქალაქის ჩამოყალიბება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა თანამედროვე საზოგადოებისათვის.

მოსწავლის როლი თავისუფალი და დემოკრატიულად მოაზროვნე მოქალაქის ფორმირების პროცესში სწავლების ყველა საფეხურზე უდიდესია, მაგრამ მნიშვნელოვანია, ეს როლი განსაკუთრებით გამოვკვეთოთ დაწყებითი სწავლების საფეხურზე, სადაც ეყრება საფუძველი დემოკრატიულ ღირებულებებს.

საკვანთილო პროცესზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ კლასისათვის წესების შემუშავება ქმნის წესრიგის წინაპირობას. მოსწავლეები, რომლებიც თავად ქმნიან წესებს ან წესების შექმნაში მონაწილეობენ, უფრო მეტად ცდილობენ მათ დაცვას.

ჯგუფური მუშაობის პროცესი სწავლებაში აქტუალურია, სადაც შეიძლება განვიხილოთ მისი ერთ-ერთი ფორმა „მეტაპლანი“. ეს არის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს იდეებისა და გადაწყვეტილების გენერირებას; აზრებისა და შეთანხმების, მიზეზების, რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებას. ინფორმაციის შეგროვების ვიზუალური ინსტრუმენტია ფერადი ბარათები.

ამ მეთოდით მუშაობის მეთოდიკა მოიცავს ლიდერ მოდერატორთა მონაწილეობას ჯგუფურ დისკუსიაში. მოდერატორები არიან ადამიანები, რომლებიც ანალიზისა და განხილვის პროცესში მონაწილეობენ, თითოეული სამუშაო ჯგუფის კონტექსტის მიხედვით. მეტაპლანის გამოყენებას ორმაგი „ეფექტი“ აქვს: ერთი მხრივ შესაძლებელია დროის მოგება, რომლის დროსაც შედეგების მიღწევა შედარებით უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ტრადიციული მეთოდებით; მეორე მხრივ კი – გარანტირებულია მონაწილეების უფრო აქტიური ჩართულობა ჯგუფური მუშაობის პროცესში, რაც იძლევა შესაძლებლობას განხილულ იქნეს ყველა მოსაზრება და მიღებულ იქნეს ერთობლივი გადაწყვეტილება.

მეტაპლანის მეთოდი სამი ნაწილისაგან შედგება:

1. ვიზუალიზაციის ტექნიკა – მისი გამოყენებით დისკუსიისათვის საჭიროა ვიზუალიზაციის მექანიზმები, რათა ჯგუფის წევრების მოსაზრებები და არგუმენტები ყველასათვის თვალსაჩინო იყოს. ძალიან მნიშვნელოვანია პასუხების ვიზუალური კომპონენტი, რადგან სხვა მონაწილეებისათვის ის გვაძლევს ანალიზის საშუალებას.

2. დრამატული დაგეგმვის ტექნიკა – წესების შემუშავება მოდერატორს ეხმარება დისკუსიის დროს, რათა უხელმძღვანელოს ჯგუფს და დაეხმაროს დასკვნების გამოტანაში.

3. ურთიერთქმედების ტექნიკა – ურთიერთქმედების ტექნიკა იწვევს ცოცხალ და ნაყოფიერ დისკუსიებს, წახალისებასა და მონაწილეთა ჩართულობას.

აღნიშნული მეთოდის დანერგვისათვის საჭირო ოპტიმალური რაოდენობა არის (15-30) მოსწავლე. მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით საჭიროა, შესაბამისი რაოდენობის მარკერები და ფერადი ქაღალდის ფურცლები, თითოეულ მონაწილეზე გათვალისწინებულია 3 ფერადი ქაღალდი.

მიმდინარეობა:

I ეტაპი. პრობლემებისა და კითხვების იდენტიფიცირება და ფორმულირება.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, 5-10 წუთში ჩამოაყალიბონ რამდენიმე პრობლემური საკითხი (მაგალითად: ოცდამეერთე საუკუნეში აჩქარებული ტემპი და ჯანსაღი კვება, ან საათი, მისი დანიშნულება (აღწერა, იგულისმება ციფერბლატიანი მრგვალი საათი და კუთხე საათის დიდ და პატარა ისრებს შორის). თემის შერჩევა შესაძლებელია ნებისმიერი ცოდნის სფეროდან.

შემდეგ მასწავლებელი გამოკითხავს მოსწავლეებს და აფიქსირებს ყველა პრობლემას, რომელთა შორისაც გამოარჩევს სამ ნამყვან კითხვას.

ა) რა არის ჯანსაღი კვება? (ან რა არის საათი და აღწერეთ მრგვალი ციფერბლატიანი საათი, მისი მოძრაობის მექანიზმი როგორაა მოწყობილი?)

ბ) რამ გამოიწვია სწრაფი კვების ობიექტების მომრავლება დიდ ქალაქებში? (ან რამდენი გრადუსია საათის ორი დანაყოფის ცენტრალური კუთხე და რამდენჯერ სწრაფად მოძრაობს დიდი ისარი, ვიდრე პატარა?)

გ) რა არის საჭირო იმისათვის, რომ ადამიანებმა უპირატესობა მიანიჭონ ჯანსაღ კვებას? (ან როგორ ვიპოვოთ საათის ისრებს შორის კუთხე?)

II ეტაპი. ფერადი ქაღალდის ფურცლებზე პრობლემების ჩანერა, მასწავლებელი თითოეულ წევრს 3 ფერადი ქაღალდის ფურცელს აძლევს. ამ შემთხვევაში ფერი ხელს უწყობს პრობლემის გამოყოფას და გამოარჩევს ინდივიდუალურ პრობლემებს.

თითოეულ ფურცელზე მონაწილეები სწერენ შესაბამის პრობლემებსა და კითხვებს, მაგალითად:

თეთრ ფურცელზე სწერია – რა არის ჯანსაღი კვება? (ან რა არის საათი და როგორ არის მოწყობილი მისი მექანიზმი?)

მწვანე ფურცელზე სწერია – რამ გამოიწვია სწრაფი კვების ობიექტების მომრავლება დიდ ქალაქებში? (ან რამდენ გრადუსს შეადგენს საათის ორ დანაყოფს შორის ცენტრალური კუთხე და რამდენჯერ სწრაფად მოძრაობს საათის დიდი ისარი, ვიდრე პატარა?)

წითელ ფურცელზე სწერია – რა არის საჭირო იმისათვის, რომ ადამიანებმა უპირატესობა მიანიჭონ ჯანსაღ კვებას? (ან როგორ ვიპოვოთ საათის ისრებს შორის კუთხე?)

III ეტაპი. ინდივიდუალური განხილვა, თითოეული მოსწავლე 20-30 წუთის განმავლობაში წერილობით პასუხობს ფერადი ქაღალდის ფურცლებზე დაწერილ კითხვებს. ნებადართული, დაწერონ ყველაფერი, რაც თავში მოუვათ, მაგრამ გარკვევით, რათა იდეა ყველასათვის თვალსაჩინო იყოს.

IV ეტაპი. მოსწავლეთა ინდივიდუალური მოსაზრებების წარდგენა და გაცვლა. თითოეული მონაწილე ჯგუფში აცნობს ყველას თავის პასუხებს სამივე პრობლემის კითხვებზე (დეტალური კომენტარების გარეშე). მოსწავლეთა შორის ხდება აზრების გაცვლა კომენტარების გარეშე.

V ეტაპი. ანალიზი, ინდივიდუალური მოსაზრებების სინთეზი ჯგუფებში. ამ ეტაპზე ხორციელდება შემდეგი საქმიანობები:

ა) მოსწავლეებიდან იქმნება დაახლოებით თანაბარი რაოდენობის სამი შემოქმედებითი ჯგუფი;

ბ) ფერადი ფურცლები მათზე აღწერილი მოსაზრებებით ფერების მიხედვით კლასტერების საშუალებით ჯგუფდება;

გ) თითოეული ჯგუფი აანალიზებს და ავსებს ინდივიდუალურ მოსაზრებებს და თანხმდება ერთ-ერთ კითხვა-პრობლემებზე;

დ) 20-30 წუთის განმავლობაში ჯგუფები ინდივიდუალურ მოსაზრებებს აანალიზებენ და აფასებენ, შეიმუშავენ საერთო ვერსიას.

ე) ჯგუფები მარკერებით აფორმებენ ფერად ფურცლებს, დაიტანენ შედეგებს (ნახაზები, გრაფიკები, ცხრილები, წერენ განმარტებებს და ა.შ.).

VI ეტაპი. ჯგუფების მუშაობის შედეგების პრეზენტაცია. თითოეული ჯგუფი, თავის მხრივ წარმოადგენს მათი საქმიანობის შედეგებს. მასწავლებელი თითოეული ჯგუფის პრეზენტაციაზე კომენტარს აკეთებს. ყველა ნახაზი, პლაკატი, დაფაზე (კედლებზე) განთავსდება.

VII ეტაპი. რეფლექსია, საქმიანობის შედეგების ასახვა. თითოეული მონაწილე ჯგუფში განიხილავს:

ა) აანალიზებს მუშაობის დროს საკუთარ ემოციურ მდგომარეობას;

ბ) აფასებს ჯგუფში საკუთარ საქმიანობას;

გ) განიხილავს თავის მოსაზრებებს განხილულ საკითხებზე;

აფასებს განხორციელებული ტექნოლოგიების შესაძლებლობებს თავის საქმიანობაში.

რეფლექსია ხორციელდება სხვადასხვა მეთოდით და ბოლოს მასწავლებელი აჯამებს საქმიანობას.

ამ მეთოდით (მეტაპლანი) ხდება ინდივიდუალური და ჯგუფური აზროვნების ორგანიზება კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად, როგორც თითოეული მონაწილის გამოცდილებისა და ცოდნის გათვალისწინება, ასევე მათი განვითარება და გამდიდრება ჯგუფური მუშაობის შედეგად.

მოსწავლის შეფასება იძლევა იმის გარკვეულ საშუალებას, თუ რამდენად ითვისებენ მოსწავლეები შესასწავლ მასალას. შეფასება დაეხმარება მასწავლებელს უკეთესად დაგეგმოს შემდგომი გაკვეთილები, გაითვალისწინოს მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები.

მასწავლებელმა შეფასების პროცესში უნდა გამოიყენოს ისეთი ფორმები და სტრატეგიები, როგორცაა: დაკვირვება, უკუკავშირი, მოსწავლეთა თვითშეფასება და სხვა.

„მეტაპლანი“ შესაძლებელია გამოვიყენოთ განხილვის პროცესის ყველა ეტაპზე, რომელიც გვაძლევს სრული ვიზუალიზაციის შესაძლებლობას, პროცესი მიმდინარეობს წინასწარ დადგენილი წესებით, რომლებიც თავიდანვე განსაზღვრულია, სწავლების ეს მეთოდი მოდერატორს საშუალებას აძლევს ისე წარმართოს დისკუსია, რომ სასურველ შედეგს მიაღწიოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Shafritz, J. M. (2004). The dictionary of public policy and administration. Boulder, Colo: Westview Press.
2. ეფექტიანი სწავლების თეორია და პრაქტიკა ია კუტალადის რედაქციით 2010 წელი.
3. მასწავლებლის წიგნი – ინტერაქტიური მეთოდები პრაქტიკაში - მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2016

რეზიუმე

სწავლება მეტად რთული და საპასუხისმგებლო პროცესია. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი რომ წარმართო სწორად და შედეგზე ორიენტირებული გახადო, ამისათვის საჭიროა მრავალფეროვანი გამოცდილება და სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება.

ისმის კითხვა, რა არის სწავლების მეთოდი და როგორ შეიძლება შევარჩიოთ იგი. მეთოდი შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს აღქმული სხვადასხვა პიროვნების მიერ განსხვავებულ ვითარებაში, კერძოდ: მეთოდის შერჩევისას მასწავლებელმა უნდა განსზღვროს გაკვეთილის მიზანი და თუ რა შედეგზე უნდა გავიდეს ის.

ჯგუფური მუშაობის პროცესი სწავლებაში აქტიუალურია, სადაც შეიძლება განვიხილოთ მისი ერთ-ერთი ფორმა „მეტაპლანი“, რომელიც მოიცავს ვიზუალიზაციის ტექნიკას, დრამატული დაგეგმვის

ტექნიკას, ურთიერთქმედების ტექნიკას, სასწავლო პროცესის შეფასება შედგება შვიდი ეტაპისაგან, რომელთა გამოყენებითაც ხდება ინდივიდუალური და ჯგუფური აზროვნების ორგანიზება კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად.

მოსწავლის შეფასება იძლევა იმის გარკვეულ საშუალებას, თუ რამდენად ითვისებენ მოსწავლეები შესასწავლ მასალას. შეფასების ასეთი ფორმა დაეხმარება მასწავლებელს უკეთესად დაგეგმოს შემდგომი გაკვეთილები, გაითვალისწინოს მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები.

საკვანძო სიტყვები: მეტაპლანი, ვიზუალიზაციის ტექნიკა, დრამატული დაგეგმვის ტექნიკა, ურთიერთქმედების ტექნიკა, რეფლექსია, ანალიზი, სინთეზი.

Mamuli Buchukhishvili
Akaki Tsereteli State University
Associate Professor
Georgia, Kutaisi

ABOUT ONE WAY OF ORGANIZING INDIVIDUAL AND GROUP THINKING OF STUDENTS

Summary

Teaching is a very complex and responsible process, in order to conduct the educational process correctly and make it result-oriented, it is necessary to use diverse experience and active teaching methods.

The question arises, what is the teaching method and how can we choose it. The method can be perceived in different ways by different people in different situations, in particular: when choosing a method, the teacher must define the purpose of the lesson and what result it should reach.

The process of group work is relevant in teaching, where we can consider one of its forms "metaplan", which includes visualization techniques, dramatic planning techniques, interaction techniques, evaluation of the learning process consists of seven stages.

It is also used to organize individual and group thinking to solve specific problems.

Student assessment provides a measure of how well students are learning material. This form of evaluation will help the teacher to better plan further lessons, taking into account the strengths and weaknesses of students.

Key words: metaplan, visualization techniques, dramatic planning techniques, interaction techniques, reflection, analysis, synthesis.

მაია ახვლედიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი საქართველო, ქუთაისი

ლალი აბდლაძე

შოთა მესხიას სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი საქართველო, ზუგდიდი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების პროგრამის გამოცდილება და დღევანდელი გამოწვევები

საქართველოში მასწავლებელთა პროფესიული მომზადების დანერგვას XIX საუკუნიდან ვხვდებით. XIX საუკუნის I ნახევარში საქართველოს სახალხო სკოლებისათვის მასწავლებლებს ამზადებდა თბილისის სასულიერო სემინარია, თბილისის, ქუთაისის, თელავის, წმინდა ნინოს სასწავლებლები, ახვერდოვის, კასტელის, ფავრის კერძო პანსიონები, ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი და ნაწილობრივ ვაჟთა გიმნაზიები, მაგრამ მათი დანიშნულება მხოლოდ მასწავლებელთა მომზადება არ იყო. „აღნიშნული კადრების მომზადებისათვის მათ არც სათანადო პირობები გააჩნდათ და არც გარკვეული სისტემა ჰქონდათ შემუშავებული. ეს ფუნქცია აღნიშნულმა მასწავლებლებმა იმის გამო იტვირთეს რომ, ქვეყანაში არ არსებობდა მასწავლებელთა მომზადების სპეციალური სასწავლებლები. თუმცა, ფუნქციონირებდა პედაგოგიური კლასი, სადაც მასწავლებელთა მომზადების მიზნით ტარდებოდა ე. წ. “პედაგოგიური საუბრები“, იკითხებოდა საგანი „პედაგოგიკა“ და „საგანთა დიდაქტიკები“ (ბასილაძე 2012:6).

საქართველოში პედაგოგიკის კურსი პირველად 1865 წელს იქნა შემოტანილი ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტებში. ამ სასწავლებლებმა მიუხედავად უსისტემო და მოუნერსიგებელი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მუშაობისა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს დანერგვითი სკოლების პედაგოგთა და კერძო მასწავლებელთა მომზადების საქმეში. „საქართველოში პირველი სპეციალური პედაგოგიური სასწავლებელი შეიქმნა 1866 წელს. სკოლის დანიშნულება მასწავლებლებისათვის მასწავლებელთა მომზადება იყო. 1871 წლიდან იგი საოსტატო სამასწავლებლო ინსტიტუტად გადაკეთდა და ალექსანდრე II-ის სახელი ეწოდა. 1882 წლიდან საქალაქო სასწავლებლის სტატუსი მიენიჭა. თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტმა 1919 წლამდე იარსება“ (ბასილაძე. ახვლედიანი. 2023:7). დანერგვითი სკოლებისთვის მასწავლებელთა მომზადების საქმეს გორის და ხონის საოსტატო სემინარიები ემსახურებოდა. პედაგოგიურ კადრებს სკოლებისათვის ამზადებდა ქალთა უმაღლესი კურსები. სამრევლო-საეკლესიო სკოლებისათვის: თბილისის, გორის, თელავის, ქუთაისის, მარტვილის, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლები და სასულიერო სემინარიის მასწავლებლებს თბილისის და ქუთაისის სასულიერო სემინარიები. მასწავლებელთა კადრების მომზადებით კერძო პირებიც იყვნენ დაინტერესებულნი. მათი ინიციატივით 1909 წელს თბილისში პირველი უმაღლესი სკოლა „ქალთა უმაღლესი კურსები“ გაიხსნა.

1918 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსდა. მას მალევე შეუერთდა თბილისის პირველი სამასწავლებლო ინსტიტუტი, როგორც „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპედაგოგო ინსტიტუტი“. 1921 წელს „უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილებით სიბრძნის-

მეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები გაერთიანდა პედაგოგიურ ფაკულტეტად“ (ბასილაძე, ახვლედიანი, 2023:7).

1925 წლიდან განათლების სფეროს რეორგანიზაციამ უნივერსიტეტის ფაკულტეტების ინსტიტუტებად დაშლა გამოიწვია. „შეიქმნა 4 სპეციალური სასწავლო ინსტიტუტი, მათ შორის პედაგოგიური ინსტიტუტი. „...ინსტიტუტს 6 ფაკულტეტი ჰქონდა. მათ შორის პედოლოგიურ-პედაგოგიური“. (ბასილაძე, ახვლედიანი, 2023:8). „შეიქმნა პედაგოგიკის კათედრა, რომელიც ყველა ფაკულტეტს ემსახურებოდა. შესაბამისად, უნივერსიტეტის ყველა კურსდამთავრებულს მასწავლებლის წოდება ენიჭებოდა (ჭკუასელი, 2009:96-105).

1933 წელს მთავრობის დადგენილებით პედაგოგიური ინსტიტუტი გადატანილ იქნა ქუთაისში (დღევანდელი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი). რასაც მოჰყვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პედაგოგიური ინსტიტუტების დაარსება: ცხინვალში, სოხუმში, თბილისში, ბათუმში, გორში, თელავსა და ზუგდიდში.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, საქართველოში არსებული სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტების რეორგანიზაციის შედეგად, ზოგს პედაგოგიური, ზოგს კი უნივერსიტეტი ეწოდა. მიუხედავად, პედაგოგიური უნივერსიტეტების სიმრავლისა მასწავლებელთა კადრების მომზადების უმნიშვნელოვანეს კერად ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი და პედაგოგიური დეპარტამენტი დარჩა.

2023 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და პედაგოგიკის დეპარტამენტი 90 წლის იუბილეს აღნიშნავს. დიდია უნივერსიტეტის, პედაგოგიური ფაკულტეტის და პედაგოგიკის დეპარტამენტის მისია კვალიფიციურ პედაგოგთა კადრების მომზადება-გადამზადების მნიშვნელოვან საქმეში.

დღეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიკის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს აკრედიტებული „მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“. აღნიშნული პროგრამა განხორციელებულია საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში: თბილისში, ბათუმში, თელავში, ზუგდიდში, ახალციხეში. მისი ხანგრძლივობა 1 წელია (60 კრედიტი). მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. პროგრამაზე დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით. პროგრამა ამზადებს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული მახასიათებლების მქონე მასწავლებელს, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული მახასიათებლებით აღჭურვილ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის უფროს მასწავლებელს. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის და საგნის სწავლების მეთოდის ციკლის დისციპლინებს. ასევე, სასკოლო პრაქტიკას. პროგრამა შედგება საგნის სწავლების მეთოდის ციკლის დისციპლინების 12 მოდულისაგან: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის, ინგლისური ენის, გერმანული ენის, ფრანგული ენის, რუსული ენის, ისტორიისა და მუსიკის სწავლების მეთოდის კურსებს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე, პედაგოგიკის დეპარტამენტში უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა კვლევა: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გამოცდილება და დღევანდელი გამოწვევები. ანონიმურად გამოიკითხა: 2019-2020, 2020-2021, 2021-2022 სასწავლო წლების 130 კურსდამთავრებული.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ძირითადი მიგნებები და ტენდენციები. კერძოდ, ის, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა მნიშვნელოვნად მიიჩნევს პროგრამას და დადებითად აფასებს მას. თვლიან, რომ პროგრამა სრულად უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური პედაგოგების მომზადებას. კვლევაში მონაწილენი მიიჩნევენ, რომ პანდემიის პერიოდშიც პროგრამამ დისტანციურად კარგად

იმუშავა. მოსახერხებელი იყო პორტალით სწავლება და მიწოდებული ელექტრონული რესურსები. კომენტარებში განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავენ იმ ლექტორთა მიმართ, რომლებიც აუდიო ლექციებს, სარეფორმო ქრილში გაანალიზებულ უახლეს ელექტრონულ მასალებს აწვდიდნენ.

კითხვებზე – ხართ თუ არა დასაქმებული გამოკითხულთა 49%-მა აღნიშნავს, რომ დასაქმებულია სკოლაში და ეს შესაძლებლობა პროგრამამ მისცათ. 32% კურსდამთავრებული მიუხედავად იმისა, რომ სხვა სფეროშია დასაქმებული ოპტიმისტურად უყურებს მომავალს, ხოლო 19% აღნიშნავს, რომ არ არის დასაქმებული და გამოხატავს პესიმიზმს.

კითხვაზე – დაეხმარა თუ არა პროგრამა დასაქმებაში 50% აცხადებს, რომ დაეხმარა, 19% აღნიშნავს, რომ – ნაწილობრივ, 31% უარყოფითად პასუხობს.

კითხვაზე – როგორ შეაფასებდით სასწავლო კლიმატს სწავლების პერიოდში, გამოკითხულთა უმეტესობა გამოთქვამს მადლიერებას და მიიჩნევს, რომ ლექტორებსა და მსმენელებს შორის მეგობრული, კოლეგიალური, საქმიანი და თბილი დამოკიდებულება იყო. აღნიშნავენ, რომ სწავლების პერიოდში გრძნობდნენ ლექტორების თანადგომას, მოსწონდათ სასწავლო პროცესის ორგანიზებულობა და პროგრამის განმახორციელებელთა უმეტესობის კომპეტენციები.

კითხვაზე – თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, რამდენად ინფორმაციული და ბენეფიციური პროგრამა, 49% აღნიშნავს, რომ სრულებით შესაბამისობაშია და ხელს უწყობს მათ პროფესიულ დაოსტატებას. 35% მიიჩნევს, რომ მეტწილად შესაბამისობაშია, 13% - ნაწილობრივ შესაბამისობაში, მხოლოდ 3% შეუსაბამოდ მიიჩნევს.

კითხვაზე – პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებიდან, რომელ შედეგს გამოყოფდით ყველაზე სასარგებლოდ, კურსდამთავრებულებმა პირველ ადგილზე მიიჩნიეს სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მეორე ადგილი დაიკავა სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდების მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით გამოყენებამ, მესამე – სწავლების ინოვაციური სტრატეგიების მოძიებამ და პრაქტიკაში დანერგვამ. მეოთხე – მოსწავლეთა ჩართულობის საჭიროებების განსაზღვრამ და მათზე რეაგირებამ. მეხუთე – ეთიკური მოთხოვნების დაცვამ ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში, ლოკალურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

კომენტარებში პროგრამის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მორგებულია თითოეულ მსმენელზე, კარგად ორგანიზებულია, ორიენტირებულია სტუდენტზე, სრულყოფილია. თვლიან, რომ მიიღეს ცოდნა, უმეტესობა დასაქმდნენ სკოლაში და შეიქმნეს წარმატებული მომავალი. კურსდამთავრებულები წარმატებას უსურვებენ განმახორციელებლებს.

კვლევაში ვხვდებით სურვილებს, პრაქტიკული მუშაობის და სკოლაში პრაქტიკის საათების გაზრდასთან დაკავშირებით. ასევე აღნიშნავენ სკოლების მიმღებლობის პრობლემებს დამწყები პედაგოგების მიმართ. გამოხატავენ ოპტიმიზმს, აქვთ დასაქმების იმედი.

ამდენად, კვლევის შედეგებმა აჩვენა თუ რამდენად დიდი როლი აკისრია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას ზოგადსაგანმანათლებლო საბაზო და საშუალო სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში. დაგვანახა გამოწვევები, რომლებიც პროგრამის განმახორციელებელთათვის სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საზრუნავს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე. ახვლედიანი. 2023. ბასილაძე ი. ახვლედიანი. პედაგოგიკის დეპარტამენტი (კათედრა) (1933-2022). ქუთაისი. 2023.
2. ბასილაძე. ძონენიძე. ჭოხონელიძე. 2020. ბასილაძე ი. ძონენიძე ქ. ჭოხონელიძე ნ. განათლების, სწავლა/სწავლებისა და აღზრდის საკითხები, I ნაწილი (შესავალი თანამედროვე პედაგოგიკურ აზროვნებაში), ქუთაისი. 2020.
3. ბასილაძე.2012. ბასილაძე ი., პედაგოგიური ფაკულტეტი - წარსული, აწმყო, მომავალი (1933-2013), ქუთაისი. 2012.
4. ჭკუასელი 2009. ჭკუასელი ქ. მასწავლებელთა განათლების ისტორია საქართველოში. ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი. http://ges/internet_academy.org.ge.2009.

რეზიუმე

2023 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიკის დეპარტამენტი 90 წლის იუბილეს აღნიშნავს. დიდია უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტისა და პედაგოგიკის დეპარტამენტის მისია კვალიფიციურ პედაგოგთა კადრების მომზადება-გადამზადების მნიშვნელოვან საქმეში. არსებობის მანძილზე მათ მრავალი სირთულის გადალახვა მოუხდათ; მიუხედავად ამისა მასწავლებელთა მომზადების უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენს არა მარტო დასავლეთ საქართველოში.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკრედიტებული „მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“. პროგრამის ხანგრძლივობა 1 წელია. მოცულობა 60 კრედიტი. იგი ამზადებს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული მახასიათებლებით აღჭურვილ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის უფროს მასწავლებელს, რომლის პროფესიული დონე შესაბამისობაშია საერთაშორისო საგანმანათლებლო მოთხოვნებთან.

პედაგოგიკის დეპარტამენტმა დაგეგმა და ჩაატარა კვლევა: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის გამოცდილება და დღევანდელი გამოწვევები. ნაშრომი წარმოგიდგინთ აღნიშნული კვლევის შედეგებს.

საკვანძო სიტყვები: უნივერსიტეტი, ფაკულტეტი, მასწავლებელი, პროგრამა, პროფესიული, კვლევა.

Maia Akhvlediani

Akaki Tsereteli State University
Associate Professor
Georgia, Kutaisi

Lali Abdaladze

Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi
Associate Professor
Georgia, Zugdidi

EXPERIENCE AND CURRENT CHALLENGES OF THE 60-CREDIT TEACHER TRAINING PROGRAM OF AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY PEDAGOGICAL FACULTY

Summary

In 2023, Akaki Tsereteli State University and Department of Pedagogy will celebrate its 90th anniversary. The mission of the Pedagogical Faculty and Department of Pedagogy in the important work of training and retraining of qualified teachers is great. During their existence, they had to overcome many difficulties, nevertheless, they represent the most important center of teacher training not only in Western Georgia.

The accredited "Educational Program for Teacher Training" operates in the university. The duration of the program is 1 year. The volume is 60 credits. It prepares a senior teacher of the basic and secondary level of the general education school, equipped with the characteristics provided by the teacher's professional development and career advancement scheme. The Future teachers professional level is in accordance with international educational requirements.

The Department of Pedagogy planned and conducted a study: the experience and current challenges of the 60-credit teacher training program of the Akaki Tsereteli State University Pedagogical Faculty. The paper presents the results of the mentioned research.

Key words: university, faculty, teacher, program, professional, research.

ედუარდ ბონოს კრიტიკული აზროვნების მეთოდის შესახებ

ედუარდ ბონო (1933-2021), დაიბადა და მოღვაწეობდა მალტაში (იგი იყო ექიმი, მწერალი, გამომგონებელი, ფილოსოფოსი და კონსულტანტი), ლა-ვალეტას უნივერსიტეტში, პროფესორად. მან შემოიღო ცნება „ლიტერალური აზროვნება“ (Lateral thinking), დაწერა წიგნი „ექვსი მოაზროვნე ქუდი“ (Six Thinking Hats) და ხელს უწყობდა სკოლებში აზროვნების, როგორც სასწავლო დისციპლინის დანერგვასა და განვითარებას.

ედუარდ ბონომ 15 წლის ასაკში დაამთავრა მალტის „ნმინდა ედუარდის“ კოლეჯი, შემდეგ სამედიცინო ხარისხი მიიღო მალტის უნივერსიტეტში (University of Malta); მან როდესის სტიპენდიების პროგრამის მეშვეობით მოიპოვა Christ Church-ის უნივერსიტეტის საგზური ლონდონში, სადაც მიიღო მაგისტრის ხარისხი ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში. ედუარდ ბონომ მოახდინა ოქსფორდის, კემბრიჯისა და ჰარვარდის უნივერსიტეტების ფაკულტეტების რესტრუქტურირება. ის იყო პროფესორი მალტაში, პრეტორიაში, ცენტრალურ ინგლისსა და დუბლინის უნივერსიტეტებში; ის ასევე ფლობდა დე ვინჩის სახელობის „აზროვნების კათედრას“ აშშ-ს მონინავე ტექნოლოგიების უნივერსიტეტში (University of Advancing Technology). 1969 წელს დე ბონომ დაარსა კოგნიტური კვლევების სკოლა (Cognitive Research Trust (CRT)). 1979 წელს გახდა „ედუარდ დე ბონოს ფიქრის სკოლის“ თანადამფუძნებელიც. მან დაწერა 82 წიგნი, რომლებიც 41 ენაზეა თარგმნილი. მისი ტექნიკები გამოიყენება ისეთი კომპანიების მიერ, როგორცაა IBM და DuPont-ი. სააგენტოები მსურველებს უზრუნველყოფენ ტრენინგებით „იფიქრე თავისუფლად“ (think outside the box) ტექნიკის დასაუფლებლად.

დე ბონო ენას ახასიათებს, როგორც ადამიანის პროგრესის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას და ამავე დროს, ბარიერსაც მისი განვითარების საქმეში. ის საუბრობს იმაზე, რომ ერთი ენიდან მეორეზე ნაწარმოებების თარგმნამ განაპირობა სხვა ცივილიზაციებისათვის საშიში მითების და იდეების გადაცემაც. ამავე დროს წიგნში „მე ვარ მართალი, შენ ხარ მცდარი“ („I am Right You Are Wrong“) დე ბონო აცხადებს, რომ ენები არასწორი აზროვნების სისტემის განვითარებას უწყობს ხელს. ის დომინირებს ჩვენს აზროვნებაზე, ვინაიდან აყალიბებს სედუქციურ დიქტომიებს, რომლებიც გვჭირდება ურთიერთწინააღმდეგობებს შორის ლოგიკური პრინციპების ოპერირებისათვის. 2000 წელს დე ბონომ გამოსცა წიგნი - „The Edward de Bono Code Book“, რომელშიც მას ჩამოთვლილი აქვს მთელი რიგი სიტყვებისა, რომლებიც რიცხვებს ემყარება. ამ რიცხვების ყოველი კომბინაცია ასახავს გამოსადეგ იდეას ან სიტუაციას, რომელსაც ამჟამად არა აქვს ერთი კონკრეტული შესატყვისი სიტყვა. მაგალითად, დე ბონოს კოდი 6/2 ნიშნავს: „მომეცით ჩემი აზრი და მე მოგცემთ თქვენ აზრს“ (Give me my point of view and I will give you point of view). ეს სტრატეგია შეიძლება გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც კამათში ჩართული ორი მხარე არასაკმარის ძალისხმევას გამოხატავს სხვების აზრის გასაზიარებლად.

კრიტიკული აზროვნების მეთოდებს შორის განსაკუთრებულია ედუარდ ბონოს - „აზროვნების ექვსი ქუდი“, რომელიც არის ფსიქოლოგიური როლური თამაში და ავითარებს ისეთ უნარებს როგორცაა: შემოქმედებითი აზროვნება, არგუმენტირებული მსჯელობა, კრიტიკული აზროვნება, საკუთარი აზრის გამოხატვა, კომუნიკაცია, არასტერეოტიპული აზროვნება.

როლური თამაშის დროს მოსწავლეებს შორის ნაწილდება როლები. ეს ეხმარება მათ აზრებისა და ქმედებების უკეთ გაგებაში (როლური თამაში ხელს უწყობს: საკითხის გააზრების, დისკუსიის, პრეზენტაციის, შემოქმედებითი აზროვნების და როლური ქცევის უნარჩვევის განვითარებას).

„აზროვნების ექვსი ქუდის“ თეორიის შექმნის წინაპირობა გახდა მტკიცებულება, რომ ადამიანის აზროვნება ყოფიერების (არსებობის) პროცესში ხდება ცალმხრივი, სტერეოტიპული. ედუარდ დე ბონომ შემოგვთავაზა 6 გზა, რომლებსაც შეუძლიათ დაარღვიონ ტვინისათვის ჩვეული მდგომარეობა. „6 ქუდის მეთოდი“ - ფსიქოლოგიური თამაშია, სადაც ქუდი განსაზღვრული ფერით ნიშნავს აზროვნების ცალკეულ რეჟიმს და მისი დახურვით ადამიანი მას ააქტიურებს.

მეთოდის გამოყენების ეტაპია:

ლურჯი ქუდი - თამაშის მმართველია;

თეთრი ქუდი - ინფორმაცია;

წითელი ქუდი - ემოციური;

შავი ქუდი - კრიტიკული აზროვნება;

ყვითელი ქუდი - პოზიტიური აზროვნება;

მწვანე ქუდი - კრეატიული აზროვნება.

ლურჯ ქუდს იხურავს ხელმძღვანელი – ის ვინც სახავს მიზანს დასაწყისში და მიჰყავს სამუშაო ბოლომდე.

თეთრი ქუდის დახურვის შემთხვევაში ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ ყველა იმ მონაცემზე, რაც გვაქვს. ცდილობთ მივხვდეთ, რომელი ინფორმაცია გვაკლია, სად შეიძლება მისი პოვნა, როგორ გამოვიყენოთ უკვე ცნობილი ფაქტები და დასკვნები პრობლემის გადაწყვეტისთვის.

წითელი ქუდი ააქტიურებს გრძნობებს და ემოციებს. მნიშვნელოვანია რას გვკარნახობს შინაგანი ხმა? ინტუიციური აღმოჩენები და განცდები ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია, განსჯა ემოციურ ფონზე ადამიანური გრძნობების ჭრილში.

შავი ქუდი პესიმისტია, იგი ცდილობს ყოველ იდეაში იპოვოს სუსტი მხარე და მაქსიმალურად მიაქციოს მას ყურადღება. შავი ქუდი განსაკუთრებით სჭირდება მათ, ვინც უკვე მიაღწია წარმატებას და მიეჩნია პოზიტიურად აზროვნებას, რადგან როგორც წესი ასეთი ხალხი არ აფასებს სიძნელებებს.

ყვითელი ქუდი შავი ქუდის საპირისპიროა და ამ ქუდის ქვეშ იგულისხმება „ოპტიკურად აზროვნება“. პოზიტიური მიდგომა პრობლემური საკითხისადმი, ძლიერი მხარეების გამოყოფა, გადაწყვეტილების უპირატესობა. მწვანე ქუდი აღნიშნავს შემოქმედებას, არაჩვეულებრივი იდეებისა და არაორდინალური შეხედულებების ძიებას; მან იცის: რა შემოქმედებითი იდეები არსებობს; რა არის შესაძლო ალტერნატივები და როგორ გადავლახოთ.

განვიხილოთ მაგალითი.

ვთქვათ, ლურჯი ქუდის მფლობელმა შემოიტანა ასეთი ამოცანა:

ერთ-ერთ სპორტულ მაღაზიაში შევიდა სამი მეგობარი: თემო, თომა და ზურა, მათ სურდათ ბურთის ყიდვა; გამყიდველმა შეურჩია მათ შესაბამისი ბურთი და უთხრა მისი საფასურიც 30 ლარი; ბიჭებმაც გადაიხადეს თანხა, თითოეულმა 10-10 ლარი დადო; როცა ბიჭები გავიდნენ გამყიდველმა აღმოაჩინა, რომ ბურთი, ფასდაკლების გამო, 25 ლარი ღირდა; მან მოიხმო თანაშემწე და სთხოვა 5 ლარი ბიჭებისთვის დაებრუნებინა. თანაშემწე დაენია ბიჭებს და 5 ლარის ნაცვლად 3 ლარი დაუბრუნა მათ (2 ლარი თავისთვის დაიტოვა).

ამრიგად, ბიჭებმა გადაიხადეს $3 \cdot 9 = 27$ (ლარი), მას დამატებული 2 ლარი არის – $27 + 2 = 29$ (ლარი), ხოლო ბიჭებმა 30 ლარი გადაიხადეს თავდაპირველად ბურთში, სად წავიდა 1 ლარი?

თეთრი ქუდის მფლობელი თავიდან იმეორებს ამოცანას და ამოწმებს თითოეულ რიცხვით მონაცემებს, თან ცდილობს ამოიტანოს სად არის პრობლემის გადაჭრის არსი დამალული.

წითელი ქუდის მფლობელი ამბობს, რომ თანაშემწე რომ წესიერი ყოფილიყო და 5-ივე ლარი ბიჭებისათვის დაებრუნებინა ყველაფერი წესრიგში იქნებოდა, მაგრამ ბიჭებს გაუჭირდათ დაბრუნებული 5 ლარის თანაბრად გაყოფა, ე.ი. ერთი პრობლემა გადაწყდებოდა, მაგრამ მეორე წარმოიშობოდა.

შავი ქუდის მფლობელი ასკვნის, რომ ამოცანა არასწორადაა მოწოდებული და მის პირობებში რაღაც გასასწორებელია, ასეთი სახით ამ ამოცანის ამოხსნა შეუძლებელია.

ყვითელი ქუდის მფლობელი ამბობს, რომ ყველაფერი სწორადაა, მხოლოდ იქ შეკრების მაგივრად გამოკლება ხომ არ იქნებოდა უპრიანი.

მწვანე ქუდის მფლობელი თავიდან ბოლომდე იმეორებს ამოცანას, ყვითელი ქუდის მოსაზრებას ეთანხმება და ადასტურებს რომ შავი ქუდის მფლობელიც გარკვეულწილად სწორია, რადგან ამოცანის კითხვა მცდარ გზაზე აყენებს ამოცანის ამოხსნით დაინტერესებულ პირებს.

ამრიგად, ამ მაგალითით ჩანს თუ როგორ აყალიბებს კრეატიულ აზროვნებას ედუარდ ბონოს - „აზროვნების ექვსი ქუდი“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://intermedia.ge>
2. <http://matsavlebeli.ge>
3. მასწავლებლის წიგნი – ინტერაქტიური მეთოდები პრაქტიკაში - მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ., 2016.

რეზიუმე

ედუარდ ბონო (1933-2021), დაიბადა და მოღვაწეობდა მალტაში, იყო ექიმი, მწერალი, გამომგონებელი, ფილოსოფოსი და კონსულტანტი. ედუარდ ბონომ მოახდინა ოქსფორდის, კემბრიჯისა და ჰარვარდის უნივერსიტეტების ფაკულტეტების რესტრუქტურირება. ის იყო პროფესორი მალტაში, პრეტორიაში, ცენტრალურ ინგლისსა და დუბლინის უნივერსიტეტებში; ის ასევე ფლობდა დე ვინჩის სახელობის „აზროვნების კათედრას“ აშშ-ს მონინავე ტექნოლოგიების უნივერსიტეტში. 1969 წელს დე ბონომ დაარსა კოგნიტური კვლევების სკოლა, 1979 წელს გახდა „ედუარდ დე ბონოს ფიქრის სკოლის“ თანადამფუძნებელიც.

კრიტიკული აზროვნების მეთოდებს შორის განსაკუთრებულია ედუარდ ბონოს - „აზროვნების ექვსი ქუდი“, რომელიც არის ფსიქოლოგიური როლური თამაში და ავითარებს ისეთ უნარებს როგორცაა: შემოქმედებითი აზროვნება, არგუმენტირებული მსჯელობა, კრიტიკული აზროვნება, საკუთარი აზრის გამოხატვა, კომუნიკაცია, არასტერეოტიპული აზროვნება.

სტატიაში მოყვანილია მაგალითი, საიდანაც ჩანს თუ როგორ აყალიბებს კრეატიულ აზროვნებას ედუარდ ბონოს - „აზროვნების ექვსი ქუდი“.

საკვანძო სიტყვები: ედუარდ ბონო, კოგნიტური კვლევების სკოლა, „ფიქრის სკოლა“, კრიტიკული აზროვნება, პოზიტიური აზროვნება, კრეატიული აზროვნება.

Teimuraz Giorgadze
Associate Professor
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

ABOUT EDWARD DE BONO'S METHOD OF CRITICAL THINKING

Summary

Edward Bono (1933-2021), who was born and worked in Malta, was a physician, writer, inventor, philosopher and consultant. Edward Bono restructured the faculties of Oxford, Cambridge and Harvard universities. He was professor at the Universities of Malta, Pretoria, Central England, and Dublin; He also held the Da Vinci Chair in Thought at the US Institute of Advanced Technology. In 1969, de Bono founded the School of Cognitive Studies, and in 1979, he became a co-founder of the "Edward de Bono School of Thought."

Among the methods of critical thinking, Edward Bono's "six hats of thinking" are special, which is a psychological role-playing game and develops such skills as: creative thinking, argumentative reasoning. Critical thinking, expressing one's own opinion, communication, non-stereotypical thinking.

The article gives an example that shows how creative thinking is formed by Edward Bono - "Six Hats of Thinking".

Key words: Edward Bono, School of Cognitive Studies, School of Thought, critical thinking, positive thinking, creative thinking.

მერაბ მაღრაძე
ფსიქოლოგიის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი
საქართველო, ქუთაისი

განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო კურსის განწყობის თეორიაზე დაფუძნების საკითხისათვის

განათლების ფსიქოლოგია, ქართულ უნივერსიტეტებში, ძირითადად, პედაგოგიური განხრის სპეციალობებზე ისწავლება, როგორც მომავალ მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისათვის აუცილებელი სასწავლო კურსი. მისმა დაუფლებამ სტუდენტებს პედაგოგიური მუშაობისათვის საჭირო ცოდნა უნდა მისცეს აღზრდა-სწავლების პედაგოგიური პროცესის ფსიქოლოგიური საფუძვლების შესახებ. იმის გათვალისწინების გარეშე, თუ რა კანონზომიერებით ახდენს გავლენას პედაგოგიურად ორგანიზებული გარემო მოსწავლის სულიერი ჩამოყალიბების პროცესზე, როგორ გარდაიქმნება სწავლა-სწავლების ფორმაში მიწოდებული ცოდნა მოსწავლის სულიერი სამყაროს საკუთრებად და როგორ ხდება მოსწავლის პიროვნების ფორმირება სხვადასხვაგვარ სააღმზრდელო ღონისძიებათა პირობებში, ვერცთეორიული (მეცნიერული) და ვერც პრაქტიკული პედაგოგიური მუშაობა რაციონალურად და პროდუქტიულად ვერ წარიმართება. მაგრამ იმისათვის, რომ განათლების ფსიქოლოგიის კურსის შესწავლამ ქმედითი როლი შეასრულოს მომავალ პედაგოგთა პროფესიულ საქმიანობაში, საჭიროა საკუთრივ ამ კურსის სწავლების პრინციპული საფუძვლები იყოს დაზუსტებული. ჩვენი აზრით, პირველ რიგში, ნათლად უნდა გაცნობიერდეს, თუ რომელი ზოგადფსიქოლოგიური თეორიის საფუძვლებზე უმჯობესია ამ სასწავლო კურსის აგება.

საქმე ის არის, რომ კონკრეტული ფსიქოლოგიური საკითხების მეცნიერული გააზრება, განათლების ფსიქოლოგიის პრობლემატიკასთან გვექნება საქმე, თუ რომელიმე სხვა ფსიქოლოგიურ მეცნიერებასთან, დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა ზოგადფსიქოლოგიური თეორიის თვალსაზრისით განიხილება მოცემული საკითხები. შორს რომ არ წავიდე, სამაგალითოდ, განათლების ფსიქოლოგიისათვის (და საერთოდ განათლების მეცნიერებებისათვის) ერთ-ერთი ცენტრალური ცნების, სწავლის, განმარტების საკითხი შეიძლება მოვიყვანოთ. ცნობილია, რომ კოგნიტური მიმართულების თეორიები სწავლის ცნებაში სრულიად სხვა შინაარსს გულისხმობენ, ვიდრე ჰუმანისტური მიმართულების თეორიები. ამ ცნების სხვადასხვაგვარი გაგება აქვთ სხვა მიმართულების ფსიქოლოგიურ თეორიებსაც. არც ერთი და იგივე მიმართულების წარმომადგენელთა შორისაა საკმარისი ერთსულოვნება აღნიშნული ცნების განმარტებაში. ასეთივე მდგომარეობაა დანარჩენ ძირითად ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ ცნებებთან მიმართებითაც. ნათელია, რომ განათლების ფსიქოლოგიის საუნივერსიტეტო სასწავლო კურსიც სრულიად თავისებურია იმის მიხედვით, თუ რომელი ზოგადფსიქოლოგიური თეორიის მიმდევარია მისი ავტორი.

ჩვენში, გასულ საუკუნეში, განათლების ფსიქოლოგია, ძირითადად, განწყობის დ. უზნაძისეული ზოგადფსიქოლოგიური თეორიის საფუძვლებზე ვითარდებოდა. განწყობის თეორიის ავტორმა, ჯერ კიდევ მანამ, სანამ განწყობის ფსიქოლოგიის სახით, ფსიქიკის ბუნების გაგების და მისი კვლევის პრინციპების ორიგინალურ გაგებას წამოაყენებდა, ფსიქოლოგიურ ცოდნაზე დამყარებული მრავალი პედაგოგიური ნაშრომი გამოაქვეყნა. სამაგალითოდ, თუნდაც 1912 წელს გამოცემული სახელმძღვანელო, „ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი“ [4] შეიძლება დავასახელოთ. ამ ნაშრომებ-

ში, რომლებიც მისი მოღვაწეობის ე.წ. „ქუთაისურ“ პერიოდს (1909-17 წლები) მიეკუთვნება, გამოიკვეთა მკვლევარის ძირითადი კრედო, რომ პედაგოგიური მუშაობა აუცილებლად ფსიქოლოგიურ ცოდნაზე უნდა იყოს დამყარებული. დ. უზნაძე ნუხილს გამოთქვამდა იმ გარემოების გამო, რომ ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარების იმდროინდელი დონე არ იძლეოდა პედაგოგიკისათვის ფსიქოლოგიისაგან ქმედითი დახმარების განწვევის საშუალებას. შემდეგში, როდესაც განწყობის იდეა წამოაყენა და მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ფსიქიკური აქტივობის ყოველგვარი ფორმა სუბიექტის განწყობით წარმართება ([3] და სხვ.), დ. უზნაძემ პედაგოგიური საქმიანობის ფსიქოლოგიური ასპექტების გააზრებაც ამ თეორიის საფუძველზე სცადა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის (როგორც მაშინ განათლების ფსიქოლოგიას ეწოდებოდა) ბევრი ფუნდამენტური საკითხიც ამ თეორიის თვალსაზრისით განიხილა.

პოსტუზნაძისეულ პერიოდში ეს საქმე მისი სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლებმა გააგრძელეს. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია შალვა ჩხარტიშვილის და მის მიერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაარსებული პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილების მიერ განეული მუშაობა. შეიძლება ითქვას, რომ ნაირგვარ ფსიქოლოგიურ მიმდინარეობათა სიცრცეში თითქმის არც ერთი ისეთი მნიშვნელოვანი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხი არაა წამოყენებული და განხილული, რომელიც ქართულ სინამდვილეში განწყობის თეორიის საფუძველზე არ იყოს ორიგინალურად დამუშავებული. ამის მიუხადავად, პედაგოგიური განხრის უმაღლესი სასწავლებლებისათვის, იმ ხანაში, განწყობის თეორიაზე დაფუძნებული განათლების ფსიქოლოგიის სისტემატიზებული სასწავლო კურსის (პროგრამისა და შესაბამისი სახელმძღვანელოს) შექმნა ვერ მოესწრო. ჩვენთვის ცნობილია, რომ ასეთი ჩანაფიქრი ჰქონდა შ. ჩხარტიშვილს, რასაც მისმა უდროოდ გარდაცვალებამ შეუშალა ხელი.

დღეისათვის, ჩვენს ქვეყანაში, განათლების ფსიქოლოგიის საკითხების შემსწავლელი რაიმე საგანგებო სამეცნიერო ერთეული აღარ არსებობს და განათლების ფსიქოლოგიის საკითხების დამუშავებაც მხოლოდ ცალკეულ მკვლევართა პირად ინიციატივაზე და გემოვნებაზეა დამოკიდებული. ეს კი იმის ერთ-ერთი წინაპირობა გახდა, რომ განათლების ფსიქოლოგიის საკითხები, დღეისათვის, ჩვენში, უმეტესწილად, დასავლური (განსაკუთრებით ამერიკული) ფსიქოლოგიური მიმდინარეობების თვალსაზრისით განიხილება, ხოლო ამ მიმართულების ქართული კვლევები უსამართლოდ მივიწყებულია. უკეთეს შემთხვევებში, განვითარების და განათლების სხვა თეორიებს შორის, განწყობის თეორიაც სახელდება ხოლმე, მაგრამ არა როგორც ნაირგვარ თეორიულ მიდგომათა კრიტიკული განხილვისა და შემოქმედებითად გათვალისწინება-გამოყენების მეთოდოლოგიური ბაზა, არამედ, როგორც მხოლოდ ერთ-ერთი რიგითი თეორია სხვათა გვერდით. ამასთანავე, უმეტესწილად, უზნაძის მოღვაწეობის, უკვე ნახსენები, „ქუთაისური“ პერიოდის პედაგოგიურ შრომებზეა აქცენტი აღებული. იმ შრომებში დასმული პრობლემები კი განწყობის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით არაა განხილული და ვერც იქნებოდა, რადგან განწყობის თეორია მაშინ ჯერ არ არსებობდა.

ჩვენი აზრით, ქართული ფსიქოლოგიის განვითარების ლოგიკაც და განათლების ქართულ სინამდვილესთან მორგებული სისტემის შექმნის ამოცანაც მოითხოვს, რომ განათლების ფსიქოლოგიის ყველა ფუნდამენტური პრობლემა სწორედ განწყობის თეორიის საფუძველზე გავიაზროთ და უნივერსიტეტებში ფსიქოლოგიის ამ დარგის სწავლებაც ამის მიხედვით დავგეგმოთ და განავახორციელოთ. მიგვაჩნია, რომ განწყობის ფსიქოლოგიას, როგორც ორიგინალურ ფსიქოლოგიურ მიმდინარეობას, სრული შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ პედაგოგიური პროცესის ფსიქოლოგიური ასპექტები საკუთარი ცნებების და დებულებების თვალსაზრისით დაახასიათოს და სხვადასხვა თეორიულ მოდელებში წარმოდგენილი ნაყოფიერი მიგნებებიც ორიგინალურად გაიაზროს და ჩართოს მის ბაზაზე აგებული განათლების ფსიქოლოგიის სისტემაში. მაგრამ, ამ მიმართულებით, ქართულ ფსიქოლოგიაში, ჯერ კიდევ, საკმაოდ მნიშვნელოვანი და შრომატევადი სამუშაოა შესასრულებელი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეცნიერულად დაასაბუთა რა საკუთარი თეორიის ძირითადი პრინციპები, დ.

უზნაძემ ვერ მოასწრო მისი დასრულებული ფორმით ჩამოყალიბება და მასში ჯერ კიდევ ბევრი რამ მოითხოვს დახვეწას და ახლებურად გააზრებას. ამდენად, განათლების ფსიქოლოგიის ძირითადი საკითხების განწყობის თეორიის საფუძველზე გააზრება მნიშვნელოვანია საკუთრივ ამ თეორიის შემდგომი სრულყოფა-განვითარებისათვისაც.

სამწუხაროდ, განვითარების და განათლების ფსიქოლოგიის საკითხებით დაინტერესებული ქართველი მკვლევარების დიდი ნაწილი, საკმაოდ გულგრილია იმ ცოდნისადმი, რაც ჩვენში განათლების ფსიქოლოგიის მიმართულებითაა მოპოვებული. ამაში თავის როლს თამაშობს ის გარემოებაც, რომ განწყობის ფსიქოლოგია იმ დროსა და სივრცეში აღმოცენდა და ვითარდებოდა, რომელიც საბჭოური ეპოქის დამლითაა აღბეჭდილი. ამიტომ ბევრს მიაჩნია, რომ არც ერთი მეცნიერული აღმოჩენა და მიგნება, რაც საბჭოურ ეპოქას მიეკუთვნება, დღევანდელი საზოგადოებისათვის რაიმეს მომცემი არაა და უმჯობესია ყველაფერი მხოლოდ უცხოელებისაგან ვისწავლოთ. მათ შორის ისიც, თუ როგორ წარვმართოთ ჩვენს სკოლებში პედაგოგიური საქმიანობა და რა ფსიქოლოგიური კანონზომიერებები მივიღოთ ამ დროს მხედველობაში.

ასე დამკვიდრდა ჩვენს სკოლებში დასავლური, თავისთავად საკმაოდ საინტერესო და ეფექტური, მაგრამერთიმეორისაგან პრინციპულად განსხვავებულ ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციებზე აგებული, ინოვაციების უკრიტიკოდ დანერგვის პრაქტიკა, რამაც ჯერჯერობით რაიმე ხელშესახები ნაყოფი ვერ მოგვიტანა. ერთიმეორისაგან კარდინალურად განსხვავებულ ფსიქოლოგიურ მიმდინარეობათა თეორიული პრინციპების და პრაქტიკული პედაგოგიური ინოვაციების ეკლექტიკურ თავმოყრას ბუნდოვანება და დაბნეულობა უფრო შემოაქვს, ვიდრე გარკვეულობა, რითაც სკოლების პრაქტიკულ მუშაობას (თეორიული საკითხების სათანადოდ დამუშავებაზე რომ არაფერი ვთქვათ), უფრო პროდუქტიულს გახდიდა. ერთიანი თეორიული მიდგომის არქონა და ყველა არსებული ფსიქოლოგიური თეორიის ერთ რანგში წარმოდგენა სკოლას ფაქტიურად ყოველგვარი თეორიის გარეშე ტოვებს. შეიძლება ითქვას, რომ დღესაც, როდესაც ფსიქოლოგიური მეცნიერება განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზეა ასული, ჩვენი მასწავლებელი თითქმის ისევე დამოკიდებული მხოლოდ საკუთარ პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ალღოზე, როგორც მაშინ, როდესაც უზნაძე ამის მიზეზად მეცნიერული ფსიქოლოგიის არასაკმარის განვითარებას ასახელებდა.

ნათქვამის საილუსტრაციოდ, ძალზე მოკლედ და სქემატურად განვიხილოთ განათლების ფსიქოლოგიის ისეთი კარდინალური საკითხი, როგორც სწავლის ფსიქოლოგიური დახასიათებაა და ვნახოთ არის თუ არა ნამდვილად უმჯობესი, რომ ამისათვის სწორედ განწყობის ფსიქოლოგიას დავეყრდნოთ და არა ერთდროულად მსოფლიოში არსებულ ყველაზოგადფსიქოლოგიურ თეორიას. პირველ რიგში, დავსვათ შეკითხვა: რა არის სწავლა? ხშირად სწავლას ინდივიდუალური გამოცდილების შექმნასთანაიგივებენ და ყველა ისეთ შემთხვევას, როდესაც ინდივიდი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით გარემოსთან უკეთ ადაპტირებულობას ამჟღავნებს, სწავლას უწოდებენ. ამბობენ, მაგალითად, რომ ბავშვმა ისწავლა ლაპარაკი, ვირთაგვამ ისწავლა ლაბირინთში საკვებურთან მისასვლელი გზა და ა. შ., ხოლო ის გარემოება, თუ რამდენად მართებულია გამოცდილების ყოველგვარი შექმნა სწავლად იქნეს განხილული, უყურადღებოდაა დატოვებული.

სწავლის ასეთი გაგება განსაკუთრებით დამახასიათებელია თითქმის ყველა სახის ბიჰევიორისტული და კოგნიტივისტური თეორიისათვის, თუმცა სხვა მიმართულების თეორიებიც, სწავლას, უფრო მეტად, სწორედ შედეგების მიხედვით ახასიათებენ და მოქმედების ეფექტური ფორმების დასწავლასთან აიგივებენ. ასეთი მიდგომა კი იმთავითვე გამორიცხავს რაიმე არებითი განსხვავების არსებობას ცხოველის მიერ ცალკეულ სტიმულებზე სათანადო რეაქციების დასწავლასა და ადამიანის სწავლას შორის. განწყობის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით სწავლა არის მოსწავლის აქტიურობის პროცესი - სპეციფიკურად ადამიანური ქცევა - რომელიც გამიზნულია სუბიექტის მიერ საკაცობრიო გამოცდილების (მეცნიერული ცოდნის) ათვისებაზე და არა უბრალოდ ინდივიდუალური გამოცდილების შექმნაზე. ეს პროცესი, უმეტესწილად, ყოველი შემთხვევისათვის, ბავშვთან (მოსწავლესთან) მაინც,

მასწავლებლის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს. ამდენად, ჯერ ერთი, ყოველგვარი დასწავლა სწავლად ვერ ჩაითვლება და მეორე, სწავლა შეიძლება განვიხილოთ როგორც მხოლოდ პროცესი, რომლის გზითაც სუბიექტი სათანადო შედეგებს აღწევს და არა სკუთრივამ შედეგების მიხედვით, რომლებიც, გვარდითი ეფექტის სახით, არასასწავლო ფორმის ქცევებსაც შეიძლება ახლდეს. ამრიგად, სწავლა, ამ ცნების იმ მნიშვნელობით, როგორც ეს განწყობის ფსიქოლოგიაშია მოცემული, მხოლოდ ადამინთანა შესაძლებელი, განსხვავებით ინდივიდუალური გამოცდილების შექენისაგან, რაც უნივერსალური ფაქტია დაყველა სულიერ არსებასთან დასტურდება. მაშასადამე, განწყობის ფსიქოლოგია სწავლას განიხილავს, როგორც მხოლოდ სასწავლო მიზანდასახულების მქონე ქცევას, ხოლო სადაც ასეთი მიზანი არაა მოცემული, ვერც სასწავლო ქცევასთან გვექნება საქმე.

შედეგები, რომელთა მოცემულობასაც ზემოთ დასახელებული ფსიქოლოგიური თეორიების სწავლად მიიჩნევენ, სინამდვილეში არის არასასწავლო მიზნებზე მიმართულ ქცევათა დამატებითი (გვერდითი) ეფექტი. მაგალითად, როდესაც ვირთაგავა ცდისა და შეცდომის გზით აგნებს საკვებურს და რამდენიმე განმეორების შემდეგ დაისწავლის კიდევ მასთან მისასვლელ გზას, სინამდვილეში არის არა სწავლა, არამედ საკვების მოპოვების მიზანზე მიმართული ქცევის არაპირდაპირი შედეგი, რომელიც განმტკიცებულია საკვების მოპოვებასთან დაკავშირებული სიამოვნებით. ასეთივე მდგომარეობაშია ბავშვი, რომელიც, როგორც ჯერ კიდევ თავად განწყობის თეორიის ავტორი ასაბუთებდა, მოხმარების, მომსახურების და თამაშის ქცევებში ბევრ რამეს ეუფლება, რაც სწავლად, ამ სიტყვის ფსიქოლოგიური მნიშვნელობით, ვერ ჩითვლება [4, 362]. ასეთი „სწავლის“ დამახასიათებელი თავისებურებაა ისიც, რომ ქცევის ქვემდებარე მოთხოვნებიდან გამომდინარე მიზანიც (მაგალითად, ვირთაგვას მიზანია ჭამა), მხოლოდ არაცნობიერად (განწყობის თეორიის მიხედვით, განწყობის დონეზე) არის მოცემული. ამაზე თუნდაც ის გარემოება მეტყველებს, რომ ცხოველებთან ცნობიერად დასახულ მიზნებზე ვერ ვისაუბრებთ. ადამიანიც ყოველთვის როდი აცნობიერებს იმ გარემოებას, რომ სხვადასხვა მოთხოვნებათა დაკმაყოფილებისათვის გამიზნულ ქცევებში ისრადაცეებსაც სწავლობს. ამას სპციალურ ლიტერატურაში „ლატენტურ სწავლას“ უწოდებენ და გამოცდილების მიღების ეს ფორმა ხშირად აქტიურად გამოიყენება პრაქტიკულ პედაგოგიურ მუშაობაშიც, მაგრამ ის საკუთრივ სასწავლო ქცევად ვერ ჩაითვლება, რადგან მის სუბიექტს არავითარი სასწავლო მიზანი არ გააჩნია. მაგალითად, დიდაქტიკური თამაშის მეთოდით მუშაობისას, სასწავლო მიზანს ისახავს პედაგოგიური გარემო, ხოლო „მოსწავლე“ არა სწავლის, არამედ მხოლოდ თამაშის ქცევის სუბიექტია.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც თადარიგიანი ადამიანი საგანგებოდ ზრუნავს „საკვებურთან მისასვლელი გზის“ კარგად დამახსოვრებაზე, რაკი აქ სასწავლო მიზანი სახეზეა ის მიზანდასახულ სწავლად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის გარემოებაც, რომ ასეთი დასწავლა მაინც შუალედური რგოლია ქცევის მიმდინარეობაში და საბოლოოდ სუბიექტისათვის მთავარია რომელიმე სავარაუდო არასასწავლო მოთხოვნის დაკმაყოფილება. ხოლო იმის გასარკვევად, თუ რა არის სწავლა, როგორც დამოუკიდებელი (სხვა ადამიანური ქცევებისგან არსებითად განსხვავებული) ქცევა, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ მისი არა მხოლოდ ის თავისებურება, რომ სუბიექტი ცნობიერად ისახავს სასწავლო მიზნებს, არამედ ისიც, თუ რა მოტივაციურ საფუძველზე ხდება ამ მიზნის ფორმირება.

განწყობის ფსიქოლოგიის თანახმად, ფსიქოლოგიური ქცევები ერთიმეორისაგან მათი მოტივაციური შინაარსით განსხვავდებიან. აქედან გამომდინარე, სასწავლო მიზანზე მიმართული აქტივობა სწავლის ფსიქოლოგიურ ქცევად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, თუ ეს მიზანი დასახულია არა ყოველგვარი, არამედ სწორედ ისეთი მოთხოვნის დასახულებზე, რომლებსაც სასწავლო ფორმის აქტივობა პირდაპირ და უშუალოდ პასუხობს. მაგალითად, თუ მოსწავლე დავალებული მათემატიკური ამოცანების ამოხსნაზე მუშაობს იმიტომ, რომ ამით ამ ამოცანების ამოხსნასთან დაკავშირებულ შემეცნებით ინტერესსა და სათანადო ინტელექტუალური ძალების აქტივაციის მოთხოვნის დასახულებას, შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს სწავლის ფსიქოლოგიურ ქცევასთან, ხოლო თუ ის ამ

საქმეს მხოლოდ მოსალოდნელი დასჯის შიშით აკეთებს, მაშინ საქმეგვაქვს არა სწავლის დამოუკიდებელ ქცევასთან, არამედ სასჯელის თავიდან აცილების (უსაფრთხოების) მოთხოვნის მიხედვით მოტივირებულ ქცევაში ჩართულ სასწავლო მოქმედებასთან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თითქმის ყოველგვარი ქცევა, მის კონკრეტულ გამოვლინებაში, უმეტესწილად, პოლიმოტივირებულია. მოსწავლის კონკრეტული სასწავლო აქტიურობაც, ხშირად, ერთდროულად მრავალი ისეთი მოთხოვნის მიხედვითაა მოტივირებული, რომელთა ნაწილსაც ეს აქტივობა უშუალოდ აკმაყოფილებს, ნაწილისთვის კი მხოლოდ შუალედური რგოლია სულ სხვა მიზნის მისაღწევად. ჩვენს მაგალითშიც, მოსწავლე მათემატიკურ ამოცანებს ერთდროულად პედაგოგიური გარემოდან მომდინარე იძულებითაც შეიძლება ხსნიდეს და ამით ამ ამოცანებისადამი შემეცნებით ინტერესსაც იკმაყოფილებდეს.

სწავლის მოტივაციის სხვადასხვასხვაგვარი ფორმების ერთიმეორისაგან თვისობრივი განსხვავებულობის გათვალისწინებით, განწყობის ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიურ სივრცეში, ჩამოყალიბდა მათი კლასიფიცირების ორიგინალური მოდელი, რომელიც ითვალისწინებს მათ დაჯგუფებას სწავლის ჰომოგენურ და ჰეტეროგენურ მოტივებად [6]. შ. ჩხარტიშვილი, ვისაც სწავლის მოტივების ეს კლასიფიკაცია ეკუთვნის, სწავლის ჰომოგენურ მოტივებს ისეთ მოთხოვნებს უწოდებს, რომლებსაც უშუალოდ სწავლის პროცესი და მისი შედეგები აკმაყოფილებს, ხოლო სწავლისადმი ჰეტეროგენურ მოტივებად ისეთ მოთხოვნებს მიიჩნევს, რომლებისთვისაც სწავლა მხოლოდ სხვა მიზნების მიღწევის საშუალებაა. კერძოდ, დასჯა-დაჯილდოება, რასაც ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია გადამწყვეტ როლს ანიჭებს სწავლაში, უფრო ზუსტად, სათანადო სტიმულებზე ეფექტური რეაგირების ფორმების დასწავლაში, სწავლის ჰეტეროგენური მოტივებია, ხოლო შემეცნებითი ინტერესი შესასწავლი მასალის მიმართ, რასაც ჰუმანისტური მიმართულების ფსიქოლოგიური თეორიები ანიჭებენ გადამწყვეტ მნიშვნელობას, სწავლის ჰომოგენური მოტივია. ავტორის თანახმად, სწავლისადმი ასეთივე ჰომოგენურ მიმართებაშია საკუთრივ სასწავლო აქტივობასთან დაკავშირებულ ინტელექტუალურ ძალთა ფუნქციონალური ტენდენცია და სწავლის მოსალოდნელი შედეგების დიდი ობიექტური ღირებულების შეგნება.

საჭიროა დავაზუსტოთ, რომ მსჯელობის სიმარტივისათვის, მოტივის და მოთხოვნის ცნებები აქ სინონიმური მნიშვნელობით იხმარება, რასაც ის გამართლება აქვს, რომ მოტივაციის პროცესის ინიციაცია მოთხოვნის მიხედვით იწყება და ამ პროცესის ცენტრალური ერთეული სწორედ ის მოთხოვნაა (ან მოთხოვნის მიხედვით), რომელიც ქცევით უნდა დაკმაყოფილდეს. მაგრამ, როგორც უზნაძე მიუთითებდა და როგორც ეს დამკვიდრებულია განწყობის ფსიქოლოგიაში, ქცევას მხოლოდ ერთი მოტივი შეიძლება ჰქონდეს. ამასთანავე, სწავლის, როგორც სპეციფიკურად ადამიანური ქცევის, მისეული დახასიათების მიხედვით, მის მოტივაციაში ერთდროულად სუბსტანციონალური მოთხოვნებიც მონაწილეობენ და ფუნქციონალურიც. მაშასადამე, განწყობის თეორიაში მოტივის და მოთხოვნის ცნებები ერთიმეორეს არ ემთხვევა და ქცევის მოტივის (რომელიც მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს) სტრუქტურაში მრავალი მოთხოვნის აღმძვრელობითი მუხტი შეიძლება იყოს ინტეგრირებული. სწავლაც, როგორც ქცევის დამოუკიდებელი ფორმა, პოლიმოტივაციური ქცევაა (პოლიმოთხოვნისუფროსი თვალსაზრისით) და მისი მოტივის ჩამოყალიბებაში ერთდროულად მრავალი მოთხოვნა მონაწილეობს (დანვრის მიხედვით იხ. [1]).

ამ საკითხებში გარკვევა, განსაკუთრებით კი იმის დასაბუთება, თუ რით სჯობს სწავლის მოტივების (უფრო ზუსტად, მოთხოვნის სახით, სწავლის განწყობის მოტივაციური ფაქტორში შემავალი მოთხოვნის) სწავლისადმი ჰომოგენურ და ჰეტეროგენურ ფორმებად კლასიფიკაციის ადასტურებელი იმპორტირებული თეორიებში გავრცელებული კლასიფიკაციისაგან, სადაც სწავლის შინაგან და გარეგან მოტივებზეა საუბრი, ნაცადი გვაქვს საგანგებოდ ამ საკითხებისადმი მიძღვნილ სხვა პუბლიკაციაში [2] და აქ მასზე აღარ ვჩერდებით. იქვე გვაქვს განხილული სწავლის მოტივების კლასიფიკაციის ამ ფორმების მიმართება საერთოდ ადამიანურ მოთხოვნის მიხედვით, ზემოდასახელებულ, უზნაძისეულ დაჯგუფებასთან სუბსტანციონალურ და ფუნქციონალურ მოთხოვნის მიხედვით და

ამჯერად, სტატიის მოცულობის განსაზღვრულობის გათვალისწინებით, ამ საკითხსაც გვერდს ვუვლით. ეს კლასიფიკაცია აქ მხოლოდ იმის საჩვენებლად მოვიტანეთ, რომ ბევრი რამ, რაც ასე დიდი ამბით შემოგვაქვს უცხოეთიდან (ამ შემთხვევაში სწავლის შინაგანი და გერეგანი მოტივების კონცეფცია გვაქვს მხედველობაში), არც ისე ახალი და უცხოა, როგორც ეს, განათლების სიტემის ზოგიერთ, ქართული განათლების ფსიქოლოგიის ისტორიაში ჩაუხედავ, მუშაკს ეჩვენება.

განწყობის ფსიქოლოგიის მიხედვით, ყოველგვარი ქცევის, მათ შორის სწავლის, პრაქტიკული განხორციელებისათვის, აუცილებელია სუბიექტის ფსიქო-ფიზიკური ძალების სათანადო მზაობის მდგომარეობაში მოყვანა, ანუ მათი განწყობა ამ ქცევის მიზანშეწონილად შესასრულებლად. ამისათვის მარტო მოტივაცია არ კმარა. საჭიროა სათანადო ობიექტური პირობებიც, რომლებიც სუბიექტს სიტუაციის სახით ეძლევა და იმ შესაძლებლობებთან ერთად, რაც სუბიექტს ამ ქცევის პრაქტიკულად განხორციელებისათვის გააჩნია, არსებითად განსაზღვრავს ქცევისათვის მის განწყობას. კერძოდ, იმისათვის, რომ მოსწავლე კონკრეტული სასწავლო ქცევისათვის განწყოს, ის, პირველ რიგში მოტივირებული უნდა იყოს ამ საქმისათვის, შემდეგ საჭიროა არსებობდეს სათანადო პედაგოგიური გარემო, რომელიც მასთან სასწავლო სიტუაციის ფორმირებას უზრუნველყოფს და თავად მოსწავლეს გააჩნდეს სწავლისათვის საჭირო უნარები, განსაკუთრებით სათანადო ინტელექტუალური ძალები. ამ ფაქტორების გავლენით ფორმირებული განწყობა მიზანშეწონილად წარმართავს სწავლისათვის საჭირო ცნობიერი ფსიქიკური პროცესების საქმეში ჩართვას და ფუნქციონირებას.

მხედველობაში უნდა იყოს მიღებული სწავლის, როგორც ფსიქოლოგიური ქცევის ის თავისებურება, რომ მისი პრაქტიკული მიმდინარეობა, ანუ მისი განწყობის რეალიზაცია, ცნობიერების პროცესების, პირველ რიგში კი, კოგნიტური ფუნქციების, აქტივაციას მოითხოვს. განწყობის ფსიქოლოგიის მიხედვით, ადამიანი, როგორც ქცევის სუბიექტი, ცნობიერებას მაშინ მიმართავს, როდესაც განწყობაში არაცნობიერად მოცემული სიტუაცია საკმარისი არაა ქცევის მიზანშეწონილად წარმართვისათვის. ცნობიერების და მისი ცენტრალური ფუნქციის, აზროვნების, საქმეში ჩართვა, სპეციფიკური ფსიქიკური აქტია, რასაც განწყობის ფსიქოლოგიაში ობიექტივაცია ეწოდება [3, 137]. სწავლა, როგორც საგანგებოდ სასწავლო მიზნებზე მიმართული ადამიანური ქცევა, თავიდანვე ობიექტივაციის აქტით იწყება და დასრულებამდე (კონკრეტული სასწავლო მიზნის რეალიზაციამდე) ამ დონეზე მიმდინარეობს. ობიექტივაციის ცნების შუქზე სწავლის ფსიქოლოგიური დახასიათება და ამ თვალსაზრისით განწყობის და კოგნიტური ფსიქოლოგიის (ასევე, სხვა ფსიქოლოგიური მიმდინარეობების, განსაკუთრებით, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის) მეთოდოლოგიურ სივრცეებში ჩამოყალიბებული თეორიული მოდელების შედარებითი დახასიათებაც, ქართული განათლების ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რაც საგანგებოდ დამუშავებას მოითხოვს.

ამჯერად, საგანგებოდ დასაბუთების გარეშე, მხოლოდ იმის კონსტანტირებით შემოვიფარგლებით, რომ ობიექტივაციის ცნების გათვალისწინებით, სწავლაში მთავარია არა დასწავლა, როგორც ეს სწავლის თითქმის ყველა უცხოურ თეორიაშია წარმოდგენილი, არამედ შესასწავლი მოვლენის არსის ნვდომა, მისი გააზრება. ეს უკანასკნელი აზროვნების ფუნქციაა, ხოლო დასწავლა, რასაც მეხსიერების აქტივაცია უზრუნველყოფს, მხოლოდ მაშინ იძლევა არა ფორმალურ, არამედ ნამდვილ ცოდნას, როდესაც უკვე გააზრებულის მტკიცედ შენახვას ემსახურება. ფსიქიკური შინაარსების შენახვა, განწყობის ფსიქოლოგიის თანახმად, განწყობის ფიქსირების კანონზომიერებებთან არის დაკავშირებული. ცხადია ეს საკითხიც საგანგებოდ დეტალურ დამუშავებას მოითხოვს.

რა თქმა უნდა, განათლების ფსიქოლოგიის კიდევ უამრავი საკითხის განწყობის თეორიის თვალსაზრისით კარგად გააზრებაა აუცილებელი. მხოლოდ ამ პირობით გახდება შესაძლებელი, რომ განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო კურსი, ჩვენს უნივერსიტეტებში, განწყობის ფსიქოლოგიას დაეფუძნოს, ხოლო უცხოური, თავისთავად საინტერესო და მრავლისმომცემი თეორიული მიდგომები მის შუქზე და მისგან გამომდინარე შეფასება-ინტერპრეტაციებით განიხილებოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იმედაძე ირაკლი (2003), ქცევის პოლიმოტივაციის საკითხისათვის // ჟურნ. „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე“ N1, გვ. 52-60.
2. მალრაძე მერაბი (2021), სწავლის მოტივაციის საკითხი განწყობის ფსიქოლოგიაში // თსსუ ფსიქოლოგიური განწყობის კვლევის და კორექციის ცენტრის შრომები, ტომი III, გვ.34-52.
3. უზნაძე დიმიტრი (1977), განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები // დ. უზნაძე, შრომები, ტ. VI. თბ. გამ. „მეცნიერება“.
4. უზნაძე დიმიტრი (2005), ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი // დ. უზნაძე, პრედაგოგიური თხზულებანი, თბ., გამომცემლობა „კოლორი“.
5. უზნაძე დიმიტრი (2005), სწავლა - სასკოლო ასაკის ბავშვის ქცევის ძირითადი ფორმა // დ. უზნაძე, პედაგოგიური თხზულებანი, თბ., გამომცემლობა „კოლორი“.
6. ჩხარტიშვილი შალვა (1975), სწავლის მოტივაციური ფორმები // ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, N12.

რეზიუმე

სტატიაში ნაცადია იმის დასაბუთება, რომ განათლების ფსიქოლოგიის სწავლება ქართულ უნივერსიტეტებში უმჯობესია განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაზე იყოს დაფუძნებული. რა თქმა უნდა, მომავალ მასწავლებლებს, რომელთა პროფესიულ მომზადებასაც ამ კურსის სწავლება ემსახურება, მოსწავლის განვითარებასა და სწავლასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი თეორია უნდა მივანოდოთ, მაგრამ ყოველი მათგანი შეფასებული და ინტერპრეტირებული უნდა იყოს განწყობის თეორიის შუქზე. ჩვენი აზრით, არაა მართებული ის პრაქტიკა, როდესაც განათლების ფსიქოლოგიის ძირითადი საკითხები თითქმის ყველა არსებული თეორიული მიდგომის მიხედვით განიხილება, ყოველგვარი კრიტიკული შეფასების გარეშე, ხოლო ამ მიმართულებით ქართულ ფსიქოლოგიაში განეული მრავალწლოვანი შრომა უსამართლოდაა მივიწყებული. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა სირთულებები ჩნდება კონკრეტული საკითხების ნაირგვარი თეორიული მიდგომების მიხედვით ეკლექტიკური დახასიათების პირობებში და რა უპირატესობა აქვს ყველა არსებული მიდგომის განწყობისეულ ინტერპრეტაციას, სტატიაში განხილულია სწავლის ფსიქოლოგიურ დახასიათებასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი.

საკვანძო სიტყვები: სწავლა, განწყობა, დასწავლა, სწავლის თეორიები, ბიჰევიორიზმი, კოგნიტივიზმი.

Merab Maghradze
Doctor of Psychology,
Associated professor of Akaki Tsereteli State University,
Direction of Psychology
Georgia, Kutaisi

FOR THE ISSUE OF BASING LEARNING COURSE OF EDUCATION PSYCHOLOGY ON THE THEORY OF SET

Summary

The article makes attempt to prove that in Georgian Universities it is better to base study of education psychology on the theory of psychology of set. Of course, we have to provide future teachers with all important theories related to education and learning of pupils, but all of them should be assessed and interpreted in the light of theory of set. We think that it is not proper that main issues of education psychology are discussed considering almost all existing theories, without any critical assessment and years long works conducted in Georgian psychology are neglected. For illustration of problems caused in the condition of eclectic discussions of specific issues according to different theoretical approaches, and what advantages has set interpretation of these approaches, the article gives several aspects related to description of education psychology.

Keywords: Learning, Set, Study, Learning Theories, Behaviorism, Cognitivism.

ნინო ყანჩელი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მონვეული სპეციალისტი
განათლების აკადემიური დოქტორი

ნინო ჭოხონელიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტი-პროფესორი

სწავლებისა და სწავლის პროცესის გაუმჯობესების თანამედროვე ფაქტორები

21-ე საუკუნეში უმაღლესმა განათლებამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხარისხობრივად ახალი მნიშვნელობა შეიძინა. ამ ეპოქის მონაპოვრად მიიჩნევა შესაძლებლობა იმისა, რომ სტუდენტმა მოახდინოს საკუთარი ცოდნის და გამოცდილების მიზანმიმართული ტრანსფერი და სამომავლოდ გლობალური გამოყენება[1]. თანამედროვე საზოგადოების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად შემოთავაზებულია ტრანსვერსალური ნიჭის აუცილებლობის იდეა. ამ მიდგომის დეფინიცია გულისხმობს პედაგოგიკის, ტექნოლოგიის და კრეატიულობის პროცესის ცვლილებას. ეს ყველაფერი სიღრმისეული ცოდნის მიღების საშუალებას იძლევა თანამედროვე პედაგოგიკის დახმარებით და ხელს უწყობს სტუდენტის მასშტაბური ცნობიერების ამაღლებას აუდიტორიაში ICT-ს (საინფორმაციო კომუნიკაციური ტექნოლოგია) პოტენციალის გამოყენებით. ექვსი აუცილებელი კომპონენტი, როგორცაა „განათლება“, „მოქალაქეობა“, „კომუნიკაცია“, „კრიტიკული აზროვნება“, „თანამშრომლობა“ და „კრეატიულობა“ მიიჩნევა ეფექტური სწავლა/სწავლების პროცესის ძირითად ხელშემწყობ კომპონენტებად. სიღრმისეული ინსტრუქციის მიცემა საშუალებას აძლევს სტუდენტს აღნიშნული კომპონენტები გამოიყენოს ყოველდღიურ ცხოვრებაში[2,3]. საუნივერსიტეტო სისტემამ საკუთარ თავზე აიღო ინსტიტუციონალური საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესების პროცესი. COVID-19 - ის პირობებში მოხდა საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციონირების მზაობის გამოცდა. უმაღლესი განათლების პროფესიონალები დღესდღეობით ყველაზე დიდი გამოწვევის წინაშე დგას ICT პოტენციალის გამოყენების თვალსაზრისით [3].

იმისათვის რომ მოხდეს უნივერსიტეტებში სწავლებისა და სწავლის პროცესის გაუმჯობესება, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, სამი ძირითადი ფაქტორია გასათვალისწინებელი:

1. საბასიზო ცოდნა, რომელიც არის ძირითადი საწყისი გაუმჯობესებული სწავლა/სწავლებისა. ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა დისციპლინების ინტეგრირება ფუნდამენტური ცოდნის ჩამოყალიბების პროცესში.

2. საგანმანათლებლო ინსტიტუციები უნდა დაეხმაროს სტუდენტს კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და კოლაბორაციის უნარის განვითარებაში. მეტა-უნარების განვითარება შეუძლებელია საბაზისო ცოდნისა და სამიზნე პროგრამების გააზრების გარეშე.

3. ბოლო საფეხური ეთმობა ჰუმანური უნარების ჩამოყალიბებას. ის მოიცავს ურთიერთობებს, ეთიკურ პასუხისმგებლობას და კულტურულ ფასეულობებს. ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი უნარების განვითარება ჩვენს ირგვლივ არსებულ მრავალფეროვან სამყაროში.

უნივერსიტეტი დღესდღეობით დიდი გამოწვევების წინაშე დგას მომავლის ტექნოლოგიების თვალსაზრისით, რათა გააუმჯობესოს საგანმანათლებლო პროცესები, განსაკუთრებით ახალ ტექნო-

ლოგიკითან მიმართებაში [6]. არსებობს სამი ძირითადი სფერო რომელიც გვეხმარება სწავლა/სწავლების ასპექტების განვითარებაში:

1. ფუნდამენტური ცოდნის მიღება. ის გვევლინება გაუმჯობესებული სწავლების ძირითად სფეროდ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აუცილებელია სხვადასხვა დისციპლინებთან კოორდინირებით ცოდნის ელემენტების ინტეგრირება, რადგანაც დღევანდელ დინამიურ სამყაროში, მხოლოდ ერთ სფეროში შეძენილი ცოდნა არ არის საკმარისი სტუდენტების სამომავლო კონკურენტუნარიან სუბიექტებად ჩამოყალიბებისათვის. ის საკითხი, რომ ტექნოლოგიები დღეს დიდ როლს თამაშობს სწავლებისა და სწავლის მიდგომების გაუმჯობესებაში, ნათლად არის გაშუქებული თანამედროვე კვლევაზე დაფუძნებულ პედაგოგიკაში. შეიქმნა სტრატეგიები, რომლებიც ძირეულად შეცვლის ტრადიციული განათლების მეთოდებს და ტექნოლოგიების საშუალებით ადამიანისთვის სწავლა უფრო მარტივად ათვისებადი და შედეგზე ორიენტირებული გახდება. კვლევის უპირველესი მიზანია გავიაზროთ თუ როგორაა შესაძლებელი მზარდი ტექნოლოგიური სამყაროს მორგება სწავლების მეთოდებზე სხვადასხვა სიტუაციაში. კონკრეტულად, რა გავლენა აქვს ტექნოლოგიურ სამყაროს წიგნიერებაზე [4].

2. მეორე მიზანი გახლავთ გავანალიზოთ თუ როგორ აჩქარებს ტექნოლოგიები სხვადასხვა ახალი უნარების და კომპეტენციების შეძენის პროცესს [5].

3. ხოლო მესამეა, ტექნოლოგიების მიერ შემოთავაზებული ასპექტები, რომელიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო სივრცის გაუმჯობესებას. [6].

პანდემიის შემდეგ უნივერსიტეტები აღმოჩნდა უამრავი პრობლემის წინაშე, რათა დაეკმაყოფილებინა 21-ე საუკუნის გამოწვევები. შესაბამისად, კონკრეტულად საჭირო გახდა ყველა ამგვარი გამოწვევის კვლევა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. გამოიკვეთა უნივერსიტეტებისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ძირითადი პრობლემები, მათ შორის, ისეთები როგორიცაა:

- მდგრადი განვითარება-მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად აუცილებელია, განათლებას ცენტრალური ადგილი ეკავოთ სახელმწიფოს სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონალური და გლობალური მასშტაბით. ხარისხიანი განათლება არის მდგრადი განვითარების აუცილებელი წინაპირობა. ასეთმა განათლებამ, საშუალება უნდა მისცეს სტუდენტს აიმაღლოს ცნობიერება და გაუმკლავდეს მდგრადი განვითარების გამოწვევებს.
- ტექნო ადიქცია – დღესდღეობით მწვავედ დგას ტექნო ადიქციის საკითხი. ჯიმი მაიტუს (Jamie Mitus) ჰოფსტრა უნივერსიტეტის მენტალური ჯანმრთელობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მიიჩნევს რომ ტექნოლოგიურმა ობსესიამ შესაძლოა შედეგად გამოიღოს ფსიქოლოგიური, ფიზიკური და სოციალური აშლილობა, რომელსაც ემატება დეპრესია, შფოთვა, მოძრაობის დარღვევა, უძილობა და ა.შ. სმარტფონების ხანგრძლივი გამოყენება იწვევს ციფრული სამყაროთი გატაცებას. ჭკვიანი ტელეფონების მომხმარებელი ძირითადად არიან საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები. შესაბამისად დიდი ალბათობაა იმისა, რომ ამის გამო მათ ჰქონდეთ სერიოზული პრობლემები აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით [10].
- კურიკულუმის ცვლილებები - კურიკულუმთან დაკავშირებული ოთხი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემიდან არის ცოდნის როლის შეცვლა, კონცეპტუალური აზროვნების განვითარება, 21-ე საუკუნის სწავლების მიდგომების ეფექტური გამოყენება და შეფასების სისტემის გაუმჯობესებული ტექნიკის დანერგვა. ამ ასპექტების სინთეზი დიდი სარგებლობის მომტანი იქნება სტუდენტებისთვის.

კურიკულუმის ცვლილება გახლავთ 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი საგანმანათლებლო გამოწვევებიდან, რადგანაც ფაკულტეტები და სტუდენტები ხშირად წინააღმდეგი არიან კურსებთან დაკავშირებით გაატარონ მნიშვნელოვანი ცვლილებები [8]. მაშინ როცა 21-ე საუკუნე საჭიროებს თანამედროვე უნარების განვითარებას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის

სტუდენტებში. შესაბამისად, აუცილებელია კურიკულუმის მოქნილობა და დინამიურობა. უნდა შეიქმნას ისეთი კურიკულუმები, რომელიც მორგებული იქნება კონკრეტულ სტუდენტთა ჯგუფების ინტერესებსა და საჭიროებებზე.

ჩვენი აზრით, აუცილებელია სასწავლო პროცესის მუდმივი და უწყვეტი მონიტორინგი. ეს საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ პროცესის ეფექტურობა. ამით სტუდენტებს წარმოდგენა შეეძლება თავიანთ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, განუვითარებთ მათ დამოუკიდებლობის და პასუხისმგებლობის გრძნობას. 21-ე საუკუნეში აუცილებელია შეფასების სისტემის სწორი და მოქნილი მოდიფიცირება, რომელიც იქნება შედეგზე ორიენტირებული, კონსტრუქციული, ადვილად აღსაქმელი. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მუდმივად დაბალ შეფასებას იღებს, მასწავლებელმა უნდა შეცვალოს შეფასების კრიტერიუმები, მოახდინოს სწავლების დიფერენცირება, მასალის მოდიფიცირება, რათა მიღწეულ იქნეს სასწავლო კურიკულუმით გათვალისწინებული მიზანი.

ამრიგად, უმაღლესი სასწავლებლები ახალი გამოწვევების წინაშეა. უნივერსიტეტებს უნევთ გაუმკლავდნენ სხვადასხვა სირთულეებს. ადამიანური კაპიტალის განვითარება ნიშნავს ახალგაზრდის მომზადებას საზოგადოებაში სრულფასოვანი ცხოვრებისთვის. ამისათვის საჭიროა სტუდენტის მრავალფეროვანი ნიჭის მიზანმიმართული განვითარება, პირობების შექმნა მომავალი პროფესიული თვითრეალიზაციისთვის თავად არჩეულ საქმიანობაში. ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტების სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება. სწორედ ახალგაზრდების შესაძლებლობების ამგვარი რეალიზება საშუალებას მისცემს ქვეყანას მიაღწიოს წარმატებას სხვადასხვა სფეროში და უზრუნველყოს ღირსეული შესვლა გლობალურ პროცესებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ananiadou, K.; Claro, M. 21st Century Skills and Competences for New Millennium Learners in OECD Countries. OECD Educ. Work. Pap. 2009, 41, 33. Available online: [http://puck.sourceoecd.org/vl=2997116/cl=46/nw=1/rpsv/workingpapers/19939019 .htm](http://puck.sourceoecd.org/vl=2997116/cl=46/nw=1/rpsv/workingpapers/19939019.htm) (accessed on 1 October 2022).
2. Germaine, R.; Richards, J.; Koeller, M.; Schubert-Irastorza, C. Purposeful Use of 21st Century Skills in Higher Education. J. Res. Innov. Teach. 2016, 9, 19–29.
3. Liesa-Orús, M.; Latorre-Coscolluela, C.; Toledo, S.V.; Sierra-Sánchez, V. The Technological Challenge Facing Higher Education Professors: Perceptions of ICT Tools for Developing 21st Century Skills. Sustainability 2020, 12, 5339.
4. Leu, D.J.; Kinzer, C.K.; Coiro, J.; Castek, J.; Henry, L.A. New literacies and the new literacies of online reading comprehension: A dual level theory. In Theoretical Models and Process of Reading; Reading Association: Newark, DE, USA, 2013; pp. 1150–1181
5. Rutten, N.; van Joolingen, W.R.; van der Veen, J.T. The learning effects of computer simulations in science education. Comput. Educ. 2012, 58, 136–153.
6. Bahou, L. Rethinking The Challenges and Possibilities of Student Voice and Agency. 2011. Available online: <http://www.educatejournal.org/> (accessed on 16 October 2022).
7. Kogan, V.; Lavertu, S. How the COVID-19 Pandemic Affected Student Learning in Ohio: Analysis of Spring 2021 Ohio State Tests. 2022, pp. 1–35. Available online: https://glenn.osu.edu/sites/default/files/2021-10/210828_KL_OST_Final_0.pdf (accessed on 16 October 2022)

8. Mello, U. Centralized Admissions, Affirmative Action, and Access of Low-Income Students to Higher Education. *Am. Econ. J. Econ. Policy* 2022, 14, 166–197. [CrossRef] 30. Whatley, M.; Castiello-Gutiérrez, S. Balancing finances, politics, and public health: International student enrollment and reopening plans at US higher education institutions amid the COVID-19 pandemic. *High. Educ.* 2021, 84, 299–320. [CrossRef]
9. Whatley, M.; Castiello-Gutiérrez, S. Balancing finances, politics, and public health: International student enrollment and reopening plans at US higher education institutions amid the COVID-19 pandemic. *High. Educ.* 2021, 84, 299–320.
10. Fook, C.Y.; Narasuman, S.; Aziz, N.A.; Mustafa, S.M.S.; Han, C.T. Smart Phone Use among University Students. *Asian J. Univ. Educ.* 2021, 17, 282–291.

რეზიუმე

21-ე საუკუნეში უმაღლესმა განათლებამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხარისხობრივად ახალი მნიშვნელობა შეიძინა. ის დგას ახალი გამოწვევების წინაშე. უნივერსიტეტებს უნევთ გაუმკლავდნენ სხვადასხვა სირთულეს. ადამიანური კაპიტალის განვითარება ნიშნავს ახალგაზრდის მომზადებას საზოგადოებაში სრულფასოვანი ცხოვრებისთვის. ამისათვის საჭიროა სტუდენტის მრავალფეროვანი ნიჭის განვითარება, პირობების შექმნას მომავალი პროფესიული თვითრეალიზაციისთვის თავად არჩეულ საქმიანობაში. ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტის სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება. სწორედ ახალგაზრდების შესაძლებლობების ამგვარი რეალიზება საშუალებას მისცემს ქვეყანას მიაღწიოს წარმატებას სხვადასხვა სფეროში და უზრუნველყოს ღირსეული შესვლა გლობალურ პროცესებში.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლება, 21-ე საუკუნე, სწავლება, სწავლა, კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, მდგრადი განვითარება, კურიკულუმი.

Nino Kancheli

Akaki Tsereteli State University, Invited Specialist, Academic Doctor of Education

Nino Chokhnelidze

Akaki Tsereteli State University, Assistant Professor

CONTEMPORARY FACTORS OF ENHANCING TEACHING AND LEARNING PROCESS

Summary

Higher education has acquired a whole new importance in the 21st century. It faces a number of challenges. Currently university has to deal with various difficulties. Development of a human capital means preparing an adolescent for a full value existence in society. All this requires to develop students' versatile talent to its full potential and to create adequate environment for the future professional realisation in their chosen jobs. Furthermore, raising students' civil awareness is of utmost importance. Actually, such skill- realization of adolescents is sure to enable the country's success in diverse fields and insure getting honorable hang of global processes.

Key Words: Higher Education, 21st century, teaching, learning, critical thinking, sustainable development, curriculum.

მერაბ ბერიძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
საქართველო, ახალციხე

მაკა ბერიძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
საქართველო, ახალციხე

ღირებულებების გააზრება უნივერსიტეტის მისიის კონტექსტში

საქართველოს განვითარების სამომავლო ეროვნული ხედვა ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული და არც სათანადოდ არ არის გაზიარებული საზოგადოების მიერ. ვიდრე ვიყავით საბჭოთა კავშირში, არავინ გვეკითხებოდა საკუთარი ეროვნული ხედვის შექმნას, პირიქით, ასეთი რამე საბჭოთა სახელმწიფოს სპეციალურ კონტროლზე აჰყავდა და შესაბამისი რეაგირება ჰქონდა. ნებისმიერი გეგმა ინერებოდა მოსკოვში და შემდეგ ის ნაწილდებოდა მეტნაკლები სხვაობით რესპუბლიკებში. ეს გეგმები ძირითადად ეკონომიური ხასიათისა იყო და მასში ითვალისწინებდნენ შემსრულებელი ქვეყნის საჭირო რესურსებს.

საბჭოთა სისტემა ცდილობდა და ახერხებდა, რომ საქართველოს ეროვნული განვითარების და კომუნისტური ცხოვრების გეგმები დამთხვეოდა ერთმანეთს. ეს ხედვა იყო პირველ რიგში იდეური ხასიათისა და გათვლილი იყო საყოველთაო მორჩილებასა და სიმშვიდის შენარჩუნებაზე. პოსტსაბჭოთა პერიოდი ამ მხრივ არის უმძიმესი ჩვენი ქვეყნისათვის. როგორც ჩანს, უკვე საბჭოთა პერიოდში საჭირო იყო ამ ტიპის სამომავლო გეგმებზე მუშაობა, რაც არ შესრულდა, არ აღმოგვანდა შესაბამისი მზაობა. „ქართული სახელმწიფო სამი ათეული წელია, მოძრაობს ისეთ წრეზე (კალაპოტში), რომელიც აცდენილია და არ შეესაბამება ქვეყნის განვითარების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ, კულტურულ-ცივილიზაციურ, გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ინტერესებს“ [7, 3].

სახელმწიფოს ეროვნული განვითარების გეგმის შემუშავებაში დიდი როლი ეკუთვნის საგანმანათლებლო სისტემას, განსაკუთრებით კი უმაღლეს, საუნივერსიტეტო განათლებას. განათლება არის ის ძალა, რომელიც მისცემს ქვეყანას ერთ წრეზე სიარულის ნაცვლად განვითარების სწორ მიმართულებას. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დროს, კონიუნქტურას, კერძოდ, არის თუ არა შესაბამის დონეზე, რომ ეს მისია შეასრულოს უნივერსიტეტმა და არის თუ არა მზად ქვეყანა, საზოგადოება, რომ მიიღოს შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული შეთავაზება, მითუმეტეს, რომ კომუნისტური რეჟიმის პერიოდში ყველაფერი კეთდებოდა სანინააღმდეგოდ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მე-20 საუკუნის 90-იან წლებიდან, ე.ი. ამ სამი ათეული წლის განმავლობაში საქართველოში შეიქმნა დიდი რაოდენობა უნივერსიტეტებისა. თუ მანამდე საქართველოში იყო ერთი უნივერსიტეტი, რის უფლებასაც საბჭოთა სისტემა იძლეოდა, ხოლო დანარჩენი საგანმანათლებლო კერები ინსტიტუტების დონეზე ფუნქციონირებდა, შეიცვალა ყველა სახელმწიფო ინსტიტუტმა სახელი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გვერდით ჩამოყალიბდა სახელმწიფოს გარდა მრავალი კერძო უნივერსიტეტი. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო საუნივერსიტეტო „ბუმი“ არა მარტო საქართველოში, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეში. მთავარია, რომ არსებობდა შესაბამისი რაოდენობის კონტინგენტი, ახალგაზრდობის ის რაოდენობა, რომელიც კონკურსებს ქმნიდა შესაბამის ადგილებზე. სამწუხაროდ, ეს არ იყო საუნივერსიტეტო ცხოვრების თვისობრივი განვითარება.

ზოგ შემთხვევაში გვექონდა საქმე გარკვეულ კუროზებთანაც კი. შედეგად მივიღეთ განსაკუთრებით 90-იანი წლების შემდეგ საუნივერსიტეტო ცხოვრების, განათლების ერთგვარი დევალაცია, ამიტომაც სწორედ მაშინ გაჩნდა უმთავრესი კითხვა: რატომ ხდება, რომ საუნივერსიტეტო ცხოვრების სიჭარბის მიუხედავად შედეგი ნაკლებია? ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქვეყნის განვითარების ეროვნული გეგმა, როგორც ასეთი, საუნივერსიტეტო სივრცეში არ მუშავდებოდა და ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება თითოეული უნივერსიტეტის მისიას, ღირებულებებს და მიზანს - ემსახურება თუ არა უნივერსიტეტი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების საქმეს.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებში მაშინ, როდესაც საზოგადოებაში საუნივერსიტეტო განათლების მიზანი იყო „დიპლომის აღება“, ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა განათლების პროფესიულ ორიენტაციას, აცდენილი იყო განათლება და დასაქმება ერთმანეთს, როდესაც სახელმწიფო ნაკლებ ყურადღებას უთმობდა განათლების თანამედროვე პრობლემებს, განათლება და ქვეყნის განვითარება თავთავისი გზით მიდიოდა. უნდა ითქვას, რომ დიპლომის პრობლემა ჯერ კიდევ ინერციით გადმოდიოდა საბჭოთა სისტემიდან, როდესაც ერთპარტიული ცხოვრების პირობებში მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ რა სპეციალობაში იღებდა ახალგაზრდა დიპლომს, კვალიფიკაციას, რადგან ცხოვრების უკეთ მოწყობის მიზნით მთავარი გახლდათ არა პროფესიული, არამედ პარტიული მდგომარეობა ადამიანისა. თუ გადაინაცვლებდა კურსდამთავრებული კომკავშირიდან კომუნისტურ პარტიაში, კარიერა გარანტირებული ჰქონდა. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტებს ნაკლები ავტონომიურობა და თავისუფლება გააჩნდათ. თითოეული უნივერსიტეტი ჯერ კიდევ პროგრამულად იმეორებდა ერთმანეთს.

საბჭოთა სისტემიდან გამოსვლას პოსტსაბჭოთა პერიოდში თან მოჰყვა საბჭოური ცენტრალიზაციის და საბჭოთა ქვეყნების განათლებაში ფორმალური თავისუფლების საპირისპირო პროცესი - გლობალიზაცია. აუცილებელი გახდა გლობალიზაციასთან ერთად თანაცხოვრება, რაც დიდ პრობლემებთან აღმოჩნდა დაკავშირებული. გლობალიზაციისგან არც მანამდე ვიყავით თავისუფალი, თვითონ იმპერიის ენა იყო აუცილებელი, გლობალური, რასთანაც თითოეულ საბჭოთა ქვეყანას გარკვეული თანაცხოვრების პირობები გააჩნდა. ერთი მხრივ, ნებისმიერი კარიერის შესაქმნელად უნდა სცოდნოდა ადამიანს რუსული ენა და მეორე მხრივ, შეენაჩუნებინა თავისი ქვეყნის ენა, ზოგ შემთხვევაში ეს ენა სახელმწიფო ენადაც იყო ფორმალურად მიჩნეული. ამგვარად, ჩვენს ქვეყანას გააჩნდა ტრადიციულისა და გლობალურის თანაცხოვრების ეს მაგალითი. დამოუკიდებლობის გზაზე თავიდანვე ტრადიციული და გლობალური პროცესების პარალელურად იქმნება უნივერსიტეტის ახალი მისია, რომელიც განსაზღვრულია სახელმწიფოს დამოუკიდებელი შემდგომი პერიოდით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის განვითარების თანამედროვე დონე ბევრად არის დამოკიდებული უნივერსიტეტზე, საუნივერსიტეტო განათლებაზე, ხოლო თითოეული უნივერსიტეტის მომავალი განსაზღვრულია მისი რეალური მიზნით და იმ ღირებულებებით, რომელიც აირჩია საგანმანათლებლო დაწესებულებამ. როდესაც ვსაუბრობთ რეალურ მისიაზე, მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ზოგმა უნივერსიტეტმა მისიაც და ღირებულებებიც შეიძლება ფორმალურად „აირჩიოს“ ან გადმოიღოს საიდანმე. მისიისა და, შესაბამისად, ღირებულებების სწორ არჩევანს განსაზღვრავს პროფესორთა (საგანმანათლებლო პროცესების მესვეურთა) მიზნებთან, შეხედულებებთან, საჭირო დონესთან ერთად, საზოგადოებრივ-გეოგრაფიული გარემო, ქვეყნის პოლიტიკური მიმართულება, რაშიც ცალკე გამოსაყოფია რეგიონისა და რეგიონული უნივერსიტეტის ურთიერთობის, მათი ურთიერთგანსაზღვრისა და ნდობის ხარისხი.

თანამედროვე უნივერსიტეტის ფორმირების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის განვლილ გზას, თუნდაც ბოლო 30 წლის განმავლობაში. ერთი შეხედვით, თითქოს უნივერსიტეტი თავისუფალი იყო თეორიული და ბიუროკრატიული ზენოლებისაგან, მაგრამ ის გეოგრაფიული გარემო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფა, რომელშიც უხდება ცხოვრება საუნივერსიტეტო ინსტიტუციას, ქმნის ახალი მისიისა და შესაბამისად ღირებულებების საფუძველს.

ვფიქრობთ, რეგიონული განათლება სერიოზული პრობლემების წინაშე თანამედროვე გლობალური პროცესების ფონზე. მთავარია, განისაზღვროს საუნივერსიტეტო (საგანმანათლებლო) ინდუსტრია, როგორც გლობალური პროცესი. გლობალური ეკონომიკის ფონზე, გლობალური ქალაქებისა და ქვეყნების ფონზე დგება გლობალური ინგლისურის საკითხი. ინგლისური ჩვენს ცხოვრებაში, როგორც გლობალური ენა, შემოსულია და გავლენას ახდენს თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბებაზე, მის მომავალზე, კარიერაზე. ამ შემთხვევაში დგება სახელმწიფო ენის და ინგლისური ენის თანაარსებობის სწორი საზოგადოებრივი კოორდინაციის საკითხი, რომ არ დაგვემართოს რეგიონში ისეთივე რამ, რაც რუსული ენის, მისი როგორც გლობალური ენის არსებობის პირობებში ხდებოდა. კოორდინაციაში ჩვენ ვგულისხმობთ სახელმწიფო ენის და ინგლისური ენის თანაარსებობას სწორი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე და არა რუსულის ინგლისურით ჩანაცვლებას ან კიდევ უარესი, ინგლისურისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭებას ქართული ენის პარალელურად.

ბევრ უნივერსიტეტში გამიჯნული არ არის მისია და ღირებულებანი. ჩვენ გავმიჯნეთ, რადგან ვთვლით, რომ ღირებულებები განსაზღვრავს მისიის შინაარსს. ბერგენის უნივერსიტეტის პროფესორის ჯენ პიტერ მიკლბასტის აზრით, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა გარემოებებმა შეიძლება გამოიწვიოს ზენოლა აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის ფუნდამენტური ღირებულებების კომპრომეტირების თვალსაზრისით, რაც არ იქნება კარგი უნივერსიტეტების გრძელვადიანი განვითარებისთვის და არც საზოგადოებას მოუტანს გრძელვადიან შედეგს. ცვლილებების გაზრდილი ტემპი და არაპროგნოზირებადობა ზრდის ღირებულებების მნიშვნელობას უნივერსიტეტებისთვის [4, 3-4].

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებული პირველი ღირებულება არის **თავისუფლება**. დისკუსია აკადემიური თავისუფლებისა და უნივერსიტეტის ავტონომიის შესახებ გაღრმავდა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში. სწორედ მაშინ, როდესაც იწყება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (სჯსუ-ის) ისტორია. ცნობილია, რომ საზოგადოების ყველა ინსტიტუტი, განსაკუთრებით კი უნივერსიტეტები, გავლენას ახდენს მათ გარშემო არსებულ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღმავლობაზე. უნივერსიტეტს აქვს უნიკალური შესაძლებლობა და ვალდებულება, წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში და შეასრულოს აქტიური როლი იმ საზოგადოების ჩამოყალიბებაში, რომელსაც ემსახურება. სხვადასხვა უნივერსიტეტის ისტორიამ აჩვენა, რომ აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს ინტელექტუალური რეგრესია, სოციალურ გაუცხოება და ეკონომიკური სტაგნაცია. თანამედროვე ღრმა სოციალური ცვლილებებისა და უნივერსიტეტებისადმი წამოყენებული ახალი მოთხოვნების ფონზე, საჭიროა უნივერსიტეტებსა და საზოგადოებას შორის ახლებური ურთიერთობების ჩამოყალიბება. დღეისათვის უნივერსიტეტები პირველად არ დგანან სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გარდაქმნების გამოწვევების წინაშე.

21-ე საუკუნეში უნივერსიტეტების უნარი, შეინარჩუნონ როგორც ტრადიციული ფორმა, ასევე გაითვალისწინონ თანამედროვეობის გამოწვევები, მოითხოვს ცვლილებებს. უნივერსიტეტების ცოდნა და ნოუ-ჰაუ გადამწყვეტი იქნება საზოგადოების წინაშე მდგარი მრავალი პრობლემის გადასაჭრელად, როგორცაა კულტურული და ეროვნული სეპარატიზმი, გარემოს დაცვა, ადამიანური პოტენციალის განვითარება და ა. შ.

აკადემიური თავისუფლების ღირებულების დადასტურებისას, თავად უნივერსიტეტებს აქვთ პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყონ აკადემიური თავისუფლების დამკვიდრებას საზოგადოებაში. ანალოგიურად, მთავრობებმა და საზოგადოებამ პატივი უნდა სცეს უნივერსიტეტების უფლებებს, რომ იყვნენ სრულიად თავისუფალი კვლევისა და სოციალური კრიტიკის ცენტრები.

აკადემიური თავისუფლებისა და უნივერსიტეტის ავტონომიის ცნებების აღიარება, როგორც უნივერსიტეტის მისიის შესრულების აუცილებელი ელემენტებისა, ხაზს უსვამს უნივერსიტეტების ანგარიშვალდებულებისა და სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას და ეხმიანება იუნესკოს

ეგიდით ჯერ კიდევ 1992 წელს საგანგებოდ უნივერსიტეტის ავტონომიისა და აკადემიური თავისუფლების შესახებ გამართულ საერთაშორისო კონფერენციის მთავარ დებულებებს, სხვადასხვა დეკლარაციას (ევროპის უნივერსიტეტების მაგნა ჩარტი (ბოლონია, 1988), ლიმას (1988), კამპალას (1988) და დარ-ეს-სალამის (1990) დეკლარაციები) [1].

საქართველო იმ ქვეყნების რიგს მიეკუთვნება, სადაც აკადემიური თავისუფლება და უნივერსიტეტის ავტონომიურობა კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტით არის გარანტირებული: „აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია უზრუნველყოფილია“.

ათწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა კონცეფციები აკადემიური თავისუფლების შესახებ. იმიჯნებოდა თავისუფლება ზოგადად, აკადემიური თავისუფლების ჩარჩოები, მისი რეალური და მცდარი გაგება. საბოლოო ჯამში თუ გავანალიზებთ ამერიკელი მეცნიერის, ილინოისის უნივერსიტეტის პროფესორის ქერი ნელსონის [5] თვალსაზრისს აკადემიური თავისუფლების არსის შესახებ და მივუსადაგებთ სჯსუ-ის რეალობას, ბევრი საერთო აღმოჩნდება საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის რეგულაციების თანახმად, აკადემიური თავისუფლება ნიშნავს:

- როგორც პროფესორ-მასწავლებლების, ასევე სტუდენტების შესაძლებლობას ინტელექტუალურ დებატებში ჩაერთონ ცენზურის გარეშე.
- ფაკულტეტის წევრის უფლებას, დარჩეს თავისი პედაგოგიური შეხედულებების და ინტელექტუალური ვალდებულებების ერთგული. შეინარჩუნოს საგანმანათლებლო სისტემის ინტელექტუალურ მთლიანობა.
- სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების უფლებას, გამოხატონ თავიანთი შეხედულებები - ზეპირად, წერილობით და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ, თუ გამოხატვის წესი არსებითად არ ლახავს სხვათა უფლებებს.
- სტუდენტების და პროფესორების უფლებას, ისწავლონ და იკვლიონ მათ მიერ არჩეული თემები და მიიღონ სათანადო დასკვნები, თუმცა ეს არ გამორიცხავს სხვებისგან კრიტიკულ დამოკიდებულებას მათი ნაშრომის მიმართ.
- საზოგადოების წევრების პოლიტიკური, რელიგიური ან ფილოსოფიური მრწამსი არ შეიძლება თავს მოეხვიოს სტუდენტებს ან პროფესორ-მასწავლებლებს.
- პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების შესაძლებლობას, მოითხოვონ სათანადო სამართლიანი რეაგირება, თუ მიაჩნიათ, რომ მათი უფლებები დაირღვა.
- პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების დაცვას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან ადმინისტრაციულ პოლიტიკასთან ან ინიციატივებთან შეუთანხმებლობის გამო.
- პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების უფლებას, გააპროტესტონ ერთმანეთის შეხედულებები, მაგრამ არ დაისაჯონ მათი არსებობისთვის.
- როგორც ინდივიდუალურ, ისე ინსტიტუციურ უფლებას, შეინარჩუნოს აკადემიური სტანდარტები.
- პროფესორ-მასწავლებლების არსებით თავისუფლებას, გადანყვიტონ, როგორ ასწავლონ ის კურსები, რომლებზეც არიან პასუხისმგებელნი.
- იმის გარანტიას, რომ ფაკულტეტის წევრის წინააღმდეგ სერიოზული ბრალდებები განიხილება ფაკულტეტის საბჭოს წინაშე. ფაკულტეტს უფლება აქვს, წარმოადგინოს საწინააღმდეგო მტკიცებულება და დაუპირისპირდეს ბრალდებებს.

ღირებულებათა შორის გამოვყავით **ეროვნულობა**, რომელიც წამოვწიეთ იმიტომ, რომ გაგვეხაზა ის უმთავრესი რამ, რისთვისაც არის უნივერსიტეტი თავისი დანიშნულებით. ეროვნულობა ყოველთვის იყო უნივერსიტეტის არსებობის ერთ-ერთი ნიშანი. რაც იმასაც უსვამს ხაზს, რომ არსებობს

არაეროვნული უნივერსიტეტიც. აკად.როინ მეტრეველი ივანე ჯავახიშვილის შესახებ წერდა: „ბედნიერება შეიძლება მრავალგვარი იყოს: ერის ისტორიაშიც სხვადასხვა გზით შეიძლება მოიპოვოს ადამიანმა სასუფეველი, მაგრამ სხვაა, ატარებდე **ეროვნული უნივერსიტეტის** დამაარსებლის სახელს. ეს უდიდესი ბედნიერებაა“ [3, 81].

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით **ეროვნული** არის: „ერისა, ერთან დაკავშირებული, ერის დამახასიათებელი, ერის ხასიათის გამომხატველი, ერისათვის განკუთვნილი (სინონ. „ნაციონალური“) [6, 1426].

რადგან ეროვნულობა ერისათვის აუცილებელს, საჭიროს ნიშნავს, ერთი შეხედვით, ნებისმიერი შედეგი, რომელზეც გადის საუნივერსიტეტო განათლება, საეროა, ქვეყნისთვის საჭიროა, მაგრამ ეროვნულობა მხოლოდ ამას არ გულისხმობს. ეროვნულობა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს განათლებას ეროვნულ ენაზე. თითქოს არც ეს უნდა იყოს სპეციალურად გასახაზი, რადგან ასეა უმთავრესად ჩვენს უნივერსიტეტებში, მაგრამ, როდესაც საქმე ეხება მულტიეთნიკურ რეგიონს, სადაც მრავალეროვნებაც პირობითია და მხოლოდ ძირითადად ორი ერი ცხოვრობს, ქართველები და სომხები, ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს და ეს არ ხდება რომელიმე სხვა ენის უარყოფის ხარჯზე, პირიქით, ეს არის სახელმწიფოს ფარგლებში სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისათვის, ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაციის პროცესისათვის ხელის შეწყობა. ერთ უნივერსიტეტში ორენოვნება, განათლება ორ ენაზე, როდესაც ერთი ენა მაინც არ არის გლობალური ენა, ინგლისური, ნიშნავს კონფლიქტური სიტუაციისათვის ხელშეწყობას.

ჩვენთვის ეროვნული ღირებულება ნიშნავს აგრეთვე ახალი, საბაზრო მოთხოვნილებათა საფუძველზე შექმნილ სპეციალურ მიმართულებათა და სპეციალობების გვერდით ტრადიციული საუნივერსიტეტო დარგების შენარჩუნებასა და განვითარებას.

დღეისათვის ერთგვარად შემცირებულია მოთხოვნილება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საუნივერსიტეტო სივრცის გარეთ უნდა დარჩეს ჰუმანიტარია. ეს არ არის მხოლოდ დარგის (დარგების) გადარჩენა-კონსერვაცია. იყო დრო, როდესაც ყველაზე დიდი კონკურსები სწორედ ამ მიმართულებებზე გვექონდა. პირიქით, საუნივერსიტეტო განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს დარგების განვითარებას, სახელმწიფოს მიერ შესაბამისი სამუშაო ადგილების შექმნას, რომ გამყარდეს სახელმწიფო ენის ფუნქცია.

ასევე ეროვნულია საისტორიო არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული დარგების მიმართ საუნივერსიტეტო ზრუნვა და მათი განვითარება.

ეროვნულ მიმართულებად მიგვაჩნია იმ ეროვნული და ინტელექტუალური ტრადიციების შენარჩუნება, რითაც მდიდარია რეგიონი. ამ მხრივ ძველი ლიტერატურული სკოლებისა და ცენტრებისათვის განსაკუთრებული ყურადღება გვაძლევს საშუალებას, რომ საქართველოს ისტორიული და დღევანდელი მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ძეგლები ვიკვლიოთ და შევინარჩუნოთ ინტელექტუალური კავშირი წარსულთან.

ეროვნულია საუნივერსიტეტო განათლების მჭიდრო კავშირი ჩვენს დედა ეკლესიასთან, რომელიც თავისი არსით, ისტორიით ყოველთვის ხელს უწყობდა საგანმანათლებლო ცხოვრებას. სამონასტრო, საეკლესიო ყოფა ქმნიდა პირველხარისხოვან სამნიგნობრო გარემოს უნივერსიტეტი და ეპარქია ახორციელებენ ერთობლივ პროექტებს, რაც გამოიხატება საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობით, სარესტავრაციო საქმიანობით და სხვა.

ტოლერანტობა. ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, სადაც ქართველი ერის გარდა ბევრი ერი ცხოვრობს, მხოლოდ ეროვნულობა, მხოლოდ ქართული ინტერესების გატარება, შეიძლება ცალმხრივი, გარკვეული ინტერესების გატარებაში გადაიზარდოს და არასწორი მიმართულება მიიღოს. საქართველო ყოველთვის იყო შემწყნარებელი სხვა ერის ხალხთან მიმართ. ბევრი ქვეყნის და ერის წარმომადგენელს უნახავს თავშესაფარი ჩვენს ქვეყანაში. დამკვიდრებულა საქართველოში მოსული ხალხი და თავის სამშობლოდ უქცევია იგი.

ტოლერანტობა, ისეთი რეგიონის უნივერსიტეტს, როგორც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეროვნულობის გვერდით აუცილებელ ღირებულებად მიაჩნია. ამ შემთხვევაში საუნივერსიტეტო ცხოვრების ეს აუცილებელი მახასიათებელი იქცევა საუნივერსიტეტო დიპლომატიის გარკვეულ ფორმადაც, რადგან ტოლერანტობა საუნივერსიტეტო ცხოვრებიდან გადამდებია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ ტიპის დიპლომატია განსაკუთრებული წარმატებით ვრცელდება გვერდიგვერდ მცხოვრებ ერებს შორის დღეს, მაშინ, როდესაც „უფროსი ძმა“ არ გირჩევს კარგსა და ცუდს, ურთიერთობის ფორმებს.

საუნივერსიტეტო დიპლომატია სამცხე-ჯავახეთში სჭირდება ტოლერანტობის ხაზით ორ ერს, სომხებსა და ქართველებს. სომხები, რომლებიც მიგრანტთა სახით ჩამოსახლდნენ სამცხე-ჯავახეთში ოსმალეთის პროვინციებიდან მე-19 საუკუნის 25-30-იან წლებში, დამკვიდრდნენ და ცხოვრობენ დღევანდლამდე [2]. მათ დაიკავეს მუსლიმი ქართველების ადგილი, მოტანილთან ერთად ქართულ კულტურასთან ზიარების შემდეგ შექმნეს ახალი ცხოვრება, სამეურნეო, საყოფაცხოვრებო ტრადიცია და, რაც მთავარია, აქვთ განათლებისადმი განსაკუთრებული ჯანსაღი დამოკიდებულება.

როდესაც ვსაუბრობთ ტოლერანტობაზე, არ შეიძლება, არ გავიხსენოთ დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდი, როდესაც ევროპული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები დიდი ენთუზიზმით ეცადნენ ადამიანთა შორის დამოკიდებულების ამ ფორმის დანერგვას. ჩვენ მიჩვეული ვიყავით საბჭოთა „თანასწორ უფლებიანობას“, რაც გამოიხატებოდა „უფროსი ძმის“ ნება-სურვილის მიხედვით, თუ რა დონეზე შეიძლებოდა მეგობრობა. ეს მეგობრობა იყო მოჩვენებითი, რადგან საუბარი იყო მესამე ენაზე, რომელიც „მეგობრობის“ უფლებას მხოლოდ გარკვეულ დონემდე იძლეოდა, ვიდრე არ დასჭირდებოდა საბჭოთა იმპერიას ანკლავის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენება. ტოლერანტობა ანესრიგებს ურთიერთობას ერთი სახელმწიფოს შიგნით, გათვლილია საბაზრო ურთიერთობაზე და პირად ინიციატივაზე, ლიდერობაზე.

ტოლერანტობა განათლებაში ნიშნავს არაქართულ სკოლადამთავრებულთათვის განათლების თანაბარ დონეზე მიღებას, პირველ რიგში, შემდგომ შესაბამის დასაქმებას და სახელმწიფო ინტეგრაციას სახელმწიფო ენის ცოდნისა და სპეციალობის მიღების საფუძველზე.

ვიდრე შედეგები დადგებოდა და კურსდამთავრებული მიიღებდა სამსახურებრივ უზრუნველყოფას, რთული გასაგები იყო არაქართული მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით მშობლებისათვის, ტოლერანტული დამოკიდებულება სახელმწიფოს, კერძოდ, უნივერსიტეტის მხრიდან, რადგან მათთვის რეალურ სახელმწიფოდ აღიქმებოდა საბჭოთა კავშირი და ნებისმიერი დამოკიდებულება თანამედროვე საქართველოს მხრიდან იზომებოდა საბჭოთა საზომებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში კონფესიური ტოლერანტობა ეროვნული ტოლერანტობის გვერდით. ამ მხრივ მნიშვნელობა აქვს თვით მართლმადიდებლობის პოზიციას. უნივერსიტეტში გვერდიგვერდ სხედან მართლმადიდებლები, ქართველი კათოლიკენი და ქართველი მუსლიმები, სომეხი კათოლიკეები, გრიგორიანი სომხები. ტოლერანტულმა დამოკიდებულებამ კონფესიათა სიმრავლე აქცია სიმდიდრედ, განსაკუთრებით, როდესაც საუბარი შეეხება რელიგიებს, რელიგიათა საერთო საფუძველებს და სხვა.

მიუხედავად საქართველოს რეგიონების მასშტაბების (რეგიონის, როგორც ტერმინის მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში შემოფარგლულია საქართველოს დედაქალაქის მიმართებით ქვეყნის კუთხებთან) გარკვეული სიმცირისა, თითოეულ რეგიონს აქვს მკვეთრად გამოხატული თავისებურება, რაც დიდ წილად განაპირობებს რეგიონული უნივერსიტეტის სახეს. ამ თავისებურებებს ემატება საგანმანათლებლო სისტემის საერთო პრობლემები, რომელთა შორის გამოსაყოფია ინტერნაციონალიზაცია და ინტეგრაცია ევროპულ საგანმანათლებლო სისტემებთან. სწორედ ამ ყველაფრის საფუძველზე იქმნება რეგიონული უნივერსიტეტის მისია და ღირებულებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკადემიური თავისუფლება და უნივერსიტეტის ავტონომია, 1992 – Academic Freedom and University Autonomy, Proceedings of the International Conference 5-7 May 1992, Sinaia, Romania Bucharest, ნანახია 2023 წლის 18 თებერვალს, [h](#).
2. ლომსაძე შოთა, 1975, სამცხე-ჯავახეთი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი.
3. მეტრეველი როინ, 1993, ტაძარი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
4. მიკლბასტი ჯენ პიტერი, 2019 - I, 2019, Why paying attention to your university's values matters, university world news, [h](#)
5. ნელსონი ქერი, 2010 - Cary Nelson, 2010, Defining Academic Freedom, ნანახია 2023 წლის 18 თებერვალს, <https://www.insidehighered.com/views/2010/12/21>
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1953, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი.
7. ხონელიძე ზურაბ, 2021, მშვიდობის ქართული პარადიგმა, თბილისი.

რეზიუმე

სახელმწიფო ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში დიდი როლი ეკუთვნის საგანმანათლებლო სისტემას, განსაკუთრებით კი უმაღლეს განათლებას. დამოუკიდებლობის გზაზე თავიდანვე ტრადიციული და გლობალური პროცესების პარალელურად იქმნება უნივერსიტეტის ახალი მისია, რომელიც განსაზღვრულია სახელმწიფოს დამოუკიდებლობით. ახალი დროის პროდუქტია რეგიონული საუნივერსიტეტო ცხოვრება. ის გეოგრაფიული გარემო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფა, რომელშიც უხდება ფუნქციონირება საუნივერსიტეტო ინსტიტუციას, ქმნის ახალი მისიისა და, შესაბამისად, ღირებულებების საფუძველს. საქართველოს თითოეულ რეგიონს აქვს მკვეთრად გამოხატული თავისებურება, რაც დიდ წილად განაპირობებს რეგიონული უნივერსიტეტის სახეს. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღირებულებებია: თავისუფლება, ეროვნულობა, ტოლერანტობა. თითოეული მათგანი პასუხობს საერთო ქართულ და რეგიონული საგანმანათლებლო სივრცის მოთხოვნებს, ქმნის უნივერსიტეტის მისიის აღსრულების რეალურ საფუძველსა და შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, უნივერსიტეტის მისია, ეროვნულობა, აკადემიური თავისუფლება, ტოლერანტობა, სამცხე-ჯავახეთი

Merab Beridze

Professor of Samtskhe-Javakheti State University
Georgia, Akhaltsikhe

Maka Beridze

Professor of Samtskhe-Javakheti State University
Georgia, Akhaltsikhe

UNDERSTANDING VALUES IN THE CONTEXT OF THE UNIVERSITY'S MISSION

Summary

The educational system, especially higher education, plays a major role in the development of the state's national policy. Along with the traditional and global processes, a new mission of the university, defined by the independence of the state, is created from the beginning on the path to independence. Regional university life is a product of new times. The geographical environment and socio-political existence in which the university institution has to operate creates the basis of the new mission and, accordingly, the values. Each region of Georgia has a distinct peculiarity, which largely determines the appearance of the regional university. The values of Samtskhe-Javakheti State University are freedom, nationalism, tolerance. Each of them responds to the requirements of the common Georgian and regional educational systems, creates a real basis and opportunity for the fulfillment of the university's mission.

Key words: globalization, university mission, nationality, academic freedom, tolerance, Samtskhe-Javakheti.

საუნივერსიტეტო განათლების ზოგიერთი ასპექტი უმაღლესი სკოლის მისიის ისტორიისა და გლობალიზაციის ეპოქაში

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბაზრის, სახელმწიფოს და უნივერსიტეტების ურთიერთმიმართებათა გარდაქმნებთან დაკავშირებით მსოფლიოს უმაღლესი განათლება კარდინალურად იცვლება, რასაც არა მხოლოდ უნივერსიტეტის არსის, სტრუქტურისა და მართვის, არამედ ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე მისი მნიშვნელობისა და როლის გადახედვამდე, თვით განათლების ცნების ახლებურ გააზრებამდე მივყავართ. ამ ცვლილებათა უმეტესობა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაწყებულ „თანამედროვე“ გლობალიზაციასთან არის დაკავშირებული, რადგან ყველა უნივერსიტეტი, ასე თუ ისე, გლობალიზაციის პროცესშია ჩართული.

ალბათ, შეცდომა იქნებოდა იმის გაფიქრებაც კი, რომ რომელიმე ქვეყანას შეუძლია, გლობალიზაციის გამოწვევები უგულვებლყოს ან ის დასავლეთის ინტრიგებად მიიჩნიოს, რადგან ეს არის ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების ზეგავლენით ეკონომიკისა და კულტურების ურთიერთშეღწევა-დობის ობიექტური პროცესი, რომელიც მსოფლიოს ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ზრდას, სხვადასხვა სფეროში (მათ შორის - ცოდნის) ერთიანი ბაზრის შექმნას გულისხმობს.

საინფორმაციო ტექნოლოგიების დაჩქარებული განვითარების პირობებში საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების განვითარების ახალი პარადიგმაში ჩამოყალიბდა, რომლებიც დასავლურ ქვეყნებს შრომისა და მომსახურების სფეროს ბაზარზე კონკურენციისა და ეკონომიკის ყველა სექტორის კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფის საშუალებას აძლევს.

თანამედროვე პირობებში უმაღლესი სასწავლებლის როლის უკეთ გასააზრებლად, ალბათ, თვალი უნდა გადავავლოთ უნივერსიტეტის იდეის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზას, რადგან უნივერსიტეტის იდეაშია ჩადებული მისი მისია, ანუ მიზანი, მოწოდება, დანიშნულება. თანაც განათლება ყოველთვის არის დაკავშირებული წარსულის გამოცდილებასთან, ორიენტირებულია ანმყოფი მოთხოვნილებებზე და მომავლის პერსპექტივებითაა კონსტრუირებული. როგორც ამბობენ, წარსული ყოველთვის არის მომავალი ცხოვრების პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მუდმივად ჩასაჭიდი ტრადიცია არ არსებობს, ამიტომ ჩვენი დროის გამოწვევების მისაღებად საჭიროა ახალი ცნებები და მიდგომები, მიზნების ახლებურად განსაზღვრა.

ცნობილია, რომ უნივერსიტეტების აღმავლობა მე-11 საუკუნიდან იწყება. შუა საუკუნეების ქალაქები, ცივილიზებული სამყაროს ცენტრები, გამოცდილი სპეციალისტების ნაკლებობას განიცდიდნენ, განსაკუთრებით მედიცინისა და სამართლის სფეროში, ამიტომაც პირველი უმაღლესი სასწავლებლები დაარსდა 1088 წელს ბოლონიაში, 1150 წელს - პარიზში, 1167 წელს - ოქსფორდში, 1209 წელს - კემბრიჯში. ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგად დასავლეთმა აღმოსავლეთის ინტელექტუალური სიმდიდრეც აღმოაჩინა და შეისისხლხორცა.

მოგვიანებით უნივერსიტეტის კონცეფცია, რომელიც შუასაუკუნებრივი უმაღლესი სასწავლებლის მოდელიდან კლასიკური უნივერსიტეტისკენ გარდამავალ მოვლენად იქცა, დიდმა ჩეხმა პედაგოგმა, ჰუმანისტმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, კლასიკური პედაგოგიკის ფუძემდებელმა იან ამოს კომენსკიმ (1592-1670) შექმნა. მისი აზრით, უნივერსიტეტი, უპირველესად, თვითმმართველი

კორპორაცია, რომელიც საზოგადოების სამსახურში დგას, სადაც საზოგადოების წარმომადგენელია სახელმწიფო.

მეცნიერთა მართებული მტკიცებით, უნივერსიტეტების მისიის განსაზღვრისას, უპირველესად, მათი ჩამოყალიბების ისტორიული პირობები, ფუძემდებელი ღირებულებები უნდა გავითვალისწინოთ, ანუ რად სჭირდება ის საზოგადოებას, სახელმწიფოს, ადამიანებს.

ამ მიზნებიდან გამომდინარე, მე-19 საუკუნის დასაწყისში უნივერსიტეტის რეფორმა გერმანელი ფილოსოფოსის, ენათმეცნიერის, მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწე ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის (1767-1835) სახელს უკავშირდება. მისი აქტიური მონაწილეობით 1810 წელს ბერლინის უნივერსიტეტის დაარსებამ წარმოშვა „კლასიკური უნივერსიტეტის იდეა“: კვლევების, სწავლებისა და აღზრდის სინთეზი, რაც ჰუმბოლდტის კრიტიკიზმებად იქცა. ევროპული და ამერიკული უნივერსიტეტების შემდგომი ევოლუციაც მათი მიხედვით განიხილებოდა [1].

ლიბერალური უნივერსიტეტის მოდელის შემქმნელი ბრიტანელი თეოლოგი, მასწავლებელი და მოაზროვნე ჯონ ჰენრი ნიუმენი (1801-1890), უნივერსიტეტის იდეისა და მისიის ფილოსოფიურად გააზრებას ცდილობდა. საყოველთაოდ ცნობილმა მისმა ნაშრომმა - „უნივერსიტეტის იდეამ“ (1852-1859), რომელიც „საზოგადოებაში უნივერსიტეტების როლზე შეხედულებათა სისტემის, პრაქტიკულად, პირველი სპეციალიზებული გადმოცემა“ [3], ბიძგი მისცა უნივერსიტეტის მისიის შესახებ დისკუსიების წამოწყებას.

ჯონ ნიუმენის შეხედულებით, უნივერსიტეტი, ერთი მხრივ, უნივერსალური ცოდნის სწავლების ადგილია, და, მეორე მხრივ, ეს არის „არა საჩამომსხმელო საამქრო, ზარაფხანა ან დამშტამპავი სახელოსნო, არამედ - ალმა მატერი, რომელიც თითოეულ ბავშვს ინდივიდუალურად იცნობს“ [4, გვ. 130].

მეცნიერთა აზრით, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის კვლევითი და ნიუმენის ინტელექტუალური უნივერსიტეტების იდეები გახდა პირველი ცდა უნივერსიტეტის იდეების გასააზრებლად და თანამედროვე სამყაროში მათი მისიის განსაზღვრავად.

უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ის მოსაზრებები, რომლებიც ხაზგასმულია ესპანელი ფილოსოფოსისა და სოციოლოგ ხოსე ორტეგა ი გასეტის ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში შექმნილ ნაშრომში - „უნივერსიტეტის მისია“ (1930). ავტორი განათლების მისიას „ადამიანის მიერ სხვა ადამიანის (მასწავლებლის) დახმარებით საკუთარი ცხოვრების პროგრამის შექმნაში“ ხედავდა [5].

ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე ნათლად იკვეთება ქართული უნივერსიტეტის კონცეფცია და მისი სამომავლო მიზნები. როგორც პროფესორი ზურაბ ხონელიძე შენიშნავს, „დღეს, ქართული უნივერსიტეტის დაარსებიდან 103 წლის შემდეგ, შეიძლება ვისაუბროთ იმის შესახებ, თუ რას დაეფუძნა ჩვენი საუნივერსიტეტო პარადიგმა? თუ ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში ეს განსაზღვრა ფილოსოფოსმა ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტმა და ინგლისში ლიტერატორმა მეთიუ არნოლდმა, ნაციონალური ქართული უნივერსიტეტის კონცეფციას საფუძველი ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა ჩაუყარა... რამ განაპირობა ეს ფაქტი. ჩვენი აზრით, პასუხი ერთია: რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ“ [2, 59].

როგორც ზემოთ აღინიშნა, XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე უნივერსიტეტი გლობალურ დანესებულებად იქცა. მისი მისიის შესახებ მსჯელობისას ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ცოდნის მნიშვნელობისა და როლის ზრდა ეკონომიკაში. ასეთ ვითარებაში პროფესიული განათლება, რა თქმა უნდა, ბიზნესსა და წარმოებასთან მჭიდრო კავშირებსა და პარტნიორობაზეა მაქსიმალურად ორიენტირებული, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ეფექტიან თანამშრომლობას და ინტელექტუალური, ტექნიკური და სამეცნიერო რესურსების წარმატებულ გამოყენებას ეკონომიკის ხარისხიანი სამუშაო ძალით უზრუნველსაყოფად.

ამ ამოცანების შესასრულებლად XX საუკუნის მიწურულს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლონიის დეკლარაციას, რომელმაც ევროპაში უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემების ინტეგრაციის პროცესს ჩაუყარა საფუძველი, ანუ ქვეყნები შეთანხმდნენ საყოველთაო ორსაფეხურიანი განათლების სისტემის დაცვაზე, რათა ევროპაში საგანმანათლებლო სივრცის მეტ-ნაკლებად ერთიანი სტილი შეე-

ნარჩუნებინათ. აქედან გამომდინარე, ბაკალავრიატის წარმატებით დამთავრების შემდეგ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, შეძენილი სპეციალობით იმუშაოს არა მხოლოდ მშობლიურ ქალაქსა თუ ქვეყანაში, არამედ - საზღვარგარეთაც, რადგან ბაკალავრობა არის საერთაშორისო საგანმანათლებლო ხარისხი, რომელიც აღიარებულია უცხოელი დამსაქმებლების მიერ.

ცხადია, ამგვარ სიტუაციაში საქართველო არ და ვერ იქნებოდა „ჩაკეტილი ავტონომიური სისტემა“ [2, 5]. ჩვენი განათლების სფეროც შეუერთდა ბოლონის პროცესს, რამაც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა უნივერსიტეტები, განსაკუთრებით ბოლო წლებში, როცა ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს გარკვეული სირთულეები ექმნებათ სამუშაოს ძიებისას - ძველი საბჭოთა სკოლის ბევრი დამსაქმებელი (და არა მარტო ისინი) ჯერ კიდევ მიიჩნევს, რომ ბაკალავრის ხარისხი არ არის უმაღლესი განათლება და ასეთ სპეციალისტს სათანადო დონეზე არ განიხილავს. შრომის ბაზარზე მაგისტრის ხარისხის მფლობელი უფრო მოთხოვნადია, ვინაიდან მისი სწავლის პერიოდი, სწავლების საათები, დისციპლინების რაოდენობა და ხარისხი გაცილებით მაღალია. დამსაქმებლებს ურჩევნიათ დაიქირაონ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები 5-6-წლიანი განათლებით.

იმის გამო, რომ განათლება სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს - აუცილებელია წინსვლის, შემოსავლის ზრდისა და საზოგადოებაში პრესტიჟის ასამაღლებლად, მისი სოციალური როლი ხარისხობრივად იცვლება. თანდათან აშკარა ხდება, რომ მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიებში ბაკალავრებზე მოთხოვნა ნაკლები იქნება. ამიტომ უნივერსიტეტებს მოუწევთ, უპირველესად, მხედველობაში მიიღონ სავარაუდო დამსაქმებელთა თავისებურებები.

რამდენადაც სამწუხარო უნდა იყოს, ანალიზი აჩვენებს, რომ უნივერსიტეტებში ბოლო 20 წლის განმავლობაში, სააუდიტორიო დატვირთვების შეზღუდვით, სწავლების ფაქტობრივი დრო მნიშვნელოვნად შემცირდა; სამაგიეროდ, საგრძნობლად გაიზარდა ზაფხულისა და ზამთრის არდადეგებისთვის, ასევე, სწავლის პერიოდში დღესასწაულებთან დაკავშირებული ოფიციალური დასვენებისთვის განკუთვნილი დღეების რაოდენობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბაკალავრიატის სტუდენტს, სპეციალობასთან დაკავშირებული საგნების გარდა, უფლება აქვს აირჩიოს მისთვის საინტერესო საგნებიც, ამასთანავე, მომიჯნავე სპეციალობაზე კურსის დაუკარგავად გადავიდეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ოთხწლიანი ბაკალავრიატის პირობებში სწავლა-სწავლებისთვის დრო საკმარისი არ არის.

თავს იჩენს არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვა პრობლემაც: უნინ სტუდენტისთვის დამოუკიდებელი მუშაობის საათები დანიშნულებისამებრ - საკურსო პროექტების, გამიზნული დავალებების ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის გამოიყენებოდა, დღეს სტუდენტთა დიდი უმრავლესობისთვის ეს და ლექცია-სემინარებისთვის განკუთვნილი საათების უმეტესობაც პირადი ბიუჯეტის შევსებას ეწირება და სემესტრის განმავლობაში შესასწავლი მასალის სათანადო დონეზე ათვისება ვერ ესწრება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ წლიდან წლამდე დაბლდება სკოლების კურსდამთავრებულთა მომზადების ხარისხი. ეს ნათლად ჩანს ეროვნული და საკურსო გამოცდების შედეგებიდან. სტუდენტთა სემესტრული შეფასებების უმეტესობა 51-დან 65 ქულამდე მერყეობს, რაც საშუალო ცოდნის მაჩვენებელია, შესაბამისად, ვიღებთ საშუალო დონის სპეციალისტს - ზერელებდ ნასწავლ ბაკალავრს, რომელიც კონკურენციისთვის მზად ვერ იქნება. არადა, გლობალურ საზოგადოებაში უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება ქვეყნის ადამიანური კაპიტალის შექმნითა და გაზრდით არის შესაძლებელი.

ექსპერტების აზრით, პრესტიჟული სამუშაოს მიძებნელი დამწყები სპეციალისტებისთვის განათლების დონე კონკურენტულ უპირატესობას შეიძენს, რომელიც, შესაძლოა, სამაგისტრო განათლების მქონე კანდიდატს მიენიჭოს. ფაქტობრივად, ბაკალავრის ხარისხი გახდება განათლების გარკვეული საბაზისო დონე, რომლითაც შესაძლებელი იქნება სპეციალობის დაუფლება შემდგომ ეტაპზე მაგისტრის კვალიფიკაციის მისაღებად.

ამგვარ პირობებში ფრიად დამაფიქრებელია ერთი გარემოება: შეძენილი პროფესიებით კურსდამთავრებულთა გარანტირებული დასაქმების სისტემის არარსებობისას, უმაღლესი სკოლა უმუშევარ

ბაკალავრთა გამომშვევებ სანარმოდ შეიძლება იქცეს. ბუნებრივია, ეს უმაღლესი განათლების ამ კატეგორიის კურსდამთავრებულთა განათლებაში ჩადებული სახელმწიფო ინვესტიციების ეფექტიანობის შემცირებას გამოიწვევს.

სად უნდა ვეძიოთ გამოსავალი? ალბათ, ეს უმაღლესი სასწავლებლებისა და დამსაქმებლების ერთობლივი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს, რადგან ამ პროცესებით ორივე მხარეა დაინტერესებული.

მდგომარეობის გათვალისწინებით, ურიგო არ იქნებოდა უცხოური გამოცდილების გაზიარება. მაგალითად, გერმანიაში უმაღლესი განათლების სისტემის სტრუქტურა და საფუძველი, უმთავრესად, ბოლონიურია. საბაკალავრო პროგრამები გათვლილია 3-4 წელზე. მართალია, უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით Fachhochschule-ში პროგრამა გათვლილია 4 წელზე, მაგრამ სტუდენტებმა დამატებით 2-სემესტრიანი სტაჟირებაც უნდა გაიარონ. სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების შემდეგ ენიჭებათ ბაკალავრის ხარისხი, ამიტომაცაა, რომ გერმანული განათლების მქონე ბაკალავრებს დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში განსაკუთრებით აფასებენ.

ბაკალავრის პროფესიულად უკეთ მომზადების მიზნით ჩვენთანაც, ალბათ, ორი სემესტრის დამატება გახდება საჭირო. ეს დრო პროფილური საგნების უკეთ ათვისებას, სპეციალობაში სადიპლომონაშრომის მომზადებასა და დამსაქმებლებთან ექვსთვიან სტაჟირებას დაეთმობა, რაც უმუშევრობის პრობლემის ნაწილობრივ მოგვარებასაც შეუწყობს ხელს. გასაგებია, რომ სწავლების ორი სემესტრით გახანგრძლივება დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამ შემთხვევაში ბაკალავრის დიპლომი ხუთწლიანი სწავლების სპეციალისტის ხარისხს გაუთანაბრდება და სამუშაოზე ვაკანტური ადგილების დასაკავებლად მაგისტრებთან კონკურენციის მეტი შანსი ექნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უნივერსიტეტის მისია, <http://www.petritsiportal.ge/ka/print/61>
2. ხონელიძე ზურაბ, მშვიდობის ქართული პარადიგმა, თბილისი, 2021, 362 გვ.;
3. (14). Захаров И. В., Ляхович Е. С. Джон Ньюмен и его модель идеального университета // *Alma mater*. - 1993.N1. - С. 36-45., с. 41.
4. Ньюмен Дж. Г. Идея университета. - Минск: БГУ, 2006. - 208 с.
5. Ортега-и-Гассет Х. Миссия университета. - Минск: БГУ, 2005 - 104 с.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე უნივერსიტეტს თუ რა მისია ეკისრებოდა და დღეს - გლობალიზაციის პირობებში უმაღლესი სკოლა რა გამოწვევების წინაშე დგას. ავტორის აზრით, ბაზრის, სახელმწიფოსა და უნივერსიტეტების ურთიერთმიმართებათა გარდაქმნებს უნივერსიტეტის არსის, სტრუქტურისა და მართვის, ასევე, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე მისი მნიშვნელობისა და როლის გადახედვამდე, თვით განათლების ცნების ახლებურ გააზრებამდე მიყვავართ.

ავტორს მიაჩნია, რომ ძველი საბჭოთა სკოლის ბევრი დამსაქმებელი (და არა მარტო ისინი) ბაკალავრის ხარისხს უმაღლეს განათლებად არ განიხილავს და შრომის ბაზარზე მაგისტრის ხარისხის მფლობელი უფრო მოთხოვნადია. პრობლემის დროულად მოსაგვარებლად აუცილებელი იქნება საყოველთაოდ მიღებული ოთხწლიანი სწავლებისთვის ორი სემესტრის დამატება პროფილური საგნების უკეთ ასათვისებლად და დამსაქმებლებთან ექვსთვიანი სტაჟირების გასავლელად. ამ შემთხვევაში ბაკალავრის დიპლომი ხუთწლიანი სწავლების სპეციალისტის ხარისხს გაუთანაბრდება და სამუშაოზე ვაკანტური ადგილების დასაკავებლად მაგისტრებთან კონკურენციის მეტი შანსი ექნება.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, უნივერსიტეტის მისია, პარადიგმა, უმაღლესი სკოლა, კონცეფცია, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დასაქმება.

Vaja Danelia
Doctor of Social Sciences,
Academician of the Academy of Educational Sciences of Georgia
Georgia, Tbilisi

SOME ASPECTS OF UNIVERSITY EDUCATION IN THE ERA HIGH SCHOOL MISSION OF HISTORY AND GLOBALIZATION

Summary

The work discusses what mission the university had at different stages of development and what challenges the higher school is facing today under the conditions of globalization. According to the author, the transformations of the relationship between the market, the state and the universities lead to a rethinking of the essence, structure and management of the university, as well as its importance and role at the national or international level, to a new understanding of the concept of education itself.

The author believes that many employers of the old Soviet school (and not only them) do not consider a bachelor's degree as a higher education, and the holder of a master's degree is more in demand in the labor market. In order to solve the problem in time, it will be necessary to add two semesters to the generally accepted four-year education in order to better master specialized subjects and to undergo a six-month internship with employers. In this case, a bachelor's degree will be equivalent to a five-year specialist degree and will have a better chance of competing with a master's degree for job vacancies.

Key words: globalization, university mission, paradigm, higher school, concept, bachelor's, master's, employment.

კახა კვაშილავა,
ისტორიის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ქართულენოვანი განათლების პრობლემა ოკუპირებულ გალის რაიონში¹

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით და 30 სექტემბერს კი მდინარე ენგურზე, ადმინისტრაციულ საზღვარზე გასვლით, აფხაზეთში საომარი მოქმედებები დასრულდა. „დამოუკიდებელ“ აფხაზეთში ამ მოვლენებს „ისტორიულ გამარჯვებად“ აფასებენ, რომელიც ე.წ. „აფხაზეთის ხალხის სამამულო ომში“ მოიპოვეს. ამდენად, რუსეთის პირდაპირი მხარდაჭერით განხორციელდა საქართველოს ისტორიული ნაწილიდან – აფხაზეთიდან – ქართული მოსახლეობის, ფაქტობრივად, სრული გამოდევნა, გენოციდი და ეთნონმენდა. აი, ამ ფონზე დაიწყო „ფუნქციონირება“ „დამოუკიდებელმა“ აფხაზეთმა „სახელმწიფოებრიობამ“, რომელშიც იმთავითვე აფხაზეთი ეთნოკრატია დამკვიდრდა, რაც, უნდა აღინიშნოს, მათივე პატრონში – რუსეთის ფედერაციის – აღშფოთებას იწვევს (კვაშილავა, 2023(ა): 100-101).

აფხაზეთში დარჩენილი ქართული მოსახლეობა მძიმე ტერორის ქვეშ აღმოჩნდა. სისტემატურად უხეშად ილაზებოდა ადამიანის ძირითადი უფლებები მათ მიმართ, არ იყო დაცული ელემენტარული უსაფრთხოება. ომის შემდგომ პერიოდში ქართველობა ძირითადად გალის რაიონში დარჩა, რომელსაც უკიდურესად მძიმე პირობებში უხდებოდა არსებობა (კვაშილავა, 2023(ა): 108-109).

2008 წელს რუსეთის აგრესიისა და მის მიერვე აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარების შემდეგ, გალის რაიონში ქართველთა ცხოვრება კიდევ უფრო გართულდა. ადგილობრივმა რეჟიმმა მიიღო გადაწყვეტილება, ადგილობრივ ქართველთა დეეთნიზაციის პროცესი, რომელიც 1994 წელს დაიწყო, კიდევ უფრო გააქტიუროს და სამურზაყანოელებს დაუბრუნოს „ჭეშმარიტი ეროვნება“ – აფსუობა.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებამდე გალის რაიონში, სადაც დიდი ნაწილი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობაა, ფუნქციონირებდა: 58 სკოლა (13 180 მოსწავლით და 1 638 მასწავლებლით), 76 სკოლამდელი დაწესებულება (1 125 აღსაზრდელითა და 300-მდე აღმზრდელით), პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, ჰუმანიტარული ინსტიტუტი, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, სამუსიკო და სამხატვრო სკოლები. ადგილობრივი საშუალო სკოლები და რუსული იყო 2 (ქ. გალის #3 და სოფ. გინძე ენერის სკოლა), ქართულ-რუსული – 3 (აჩიგვარის #2, კოხორის, საბერიოს #2 საშუალო სკოლები) და 1 – ქართულ-რუსულ-აფხაზეთი სოფ. ჩხორთოლის საშუალო სკოლა) (ინფორმაცია მოგვანოდა გალის რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ნონა შონიამ).

ომის დასრულების შემდეგ, სეპარატისტებმა სკოლების ნაწილი დაწვეს. თითქოს გაუგებარია, რატომ უნდა გაანადგურო შენობა საომარი მოქმედებების არარსებობის პირობებში, როცა შეიძლება ის მისი ძირითადი თუ სხვა ფუნქციით გამოიყენო. მაგრამ ისინი სავსებით მიზანმიმართულად იქცეოდნენ, რათა ხელი შეეშალათ ქართული მოსახლეობის უკან დაბრუნებისა და ცხოვრების გაგრძელებისათვის.

ომის შემდგომ სასწავლო პროცესის აღდგენა მხოლოდ 33 სკოლაში მოხერხდა (ომბუდსმენი, 2015: 4). 1994-2006 წწ. ოკუპირებული გალის რაიონის „განათლების განყოფილების გამგედ“ დაინიშნა ომში მონაწილე, სნაიპერი აზა აგუმაა, რომელმაც იმთავითვე კურსი აიღო საგანმანათლებლოს პროცესის

1. წინამდებარე სტატიაში გალის რაიონი მოიაზრება იმ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ საზღვრებში, რომელიც არსებობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დროისათვის.

რუსიფიკაციისაკენ (ინფორმაცია მოგვანოდა გალის რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ნონა შონიამ). ა. აგუმაას არაერთხელ დაურღვევია მასწავლებელთა და მოსწავლეთა ადამიანური უფლებები: გაუფრთხილებლად შედიოდა გაკვეთილებზე, ჩხრეკდა ჩანთებს, სცემდა ბავშვებს, აგდებდა სკოლიდან, ათავისუფლებდა მასწავლებლებს (ინფორმაცია მოგვანოდა გალის რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ნონა შონიამ).

2010 წლისათვის გალში 31 საშუალო სკოლა მოქმედებდა: მცირე კონტინგეტის გამო, 2005 წელს დაიხურა შეშელეთის საშუალო სკოლა და 2009 წელს დიხაზურგის დაწყებითი სკოლა (ინფორმაცია მოგვანოდა გალის რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ნონა შონიამ). 2015 წლისათვის მათი რაოდენობა თითქმის განახევრდა და 19 შეადგინა, საიდანაც 2 იყო დაწყებითი, 11 კი – ქართული (Conciliation Resources, 2015: 11).

1995 წელს სეპარატისტულმა რეჟიმმა ადმინისტრაციული რეფორმა განახორციელა და გალის რაიონი, რომელიც უდიდეს წილად მხოლოდ ქართველებით იყო დასახლებული, დაანანევრა (Conciliation Resources, 2015: 4): რამდენიმე სოფელი ოჩამჩირის (სოფლები: აჩიგვარა, შეშელეთი, გუდავა) და მათ მიერ 1995 წელსვე შექმნილ ტყვარჩელის რაიონებს მიაკუთვნა (სოფლები: ბედია, ჩხორთოლი, ოქუმი, პირველი გალი, მუხური, ნარჩე, ლუმურიში, რეჩხი). საკუთრივ დარჩენილი გალის რაიონი, რომელსაც ამ „რეფორმის“ შედეგად ძველი ფართობის (1003 კმ² – მგელაძე, ლაშხია, 1977: 641) მხოლოდ ნახევარი-ლა შერჩა (502 კმ² – Абхазия в цифрах, 2020: 5). მას ქალაქი გალი და შემდეგი სოფლები დაუტოვეს: ლეკუხონა (Алакумхара), ზემო ბარლები (Афадатәы Баргиац), ქვემო ბარლები (Аладатәы Баргяп), გაგიდა (Гагида), განახლება (Марчхапон), დიხაზურგა (Абаакыт), მახუნჯია (Махунджра), ნაბაკევი (Набакиа), საბერიო (Папынрхуа), ჭუბურხინჯი (Хяцха), პირველი ოტობაია (Отобая I), მეორე ოტობაია (Отобая II), ფიჩორი (Бчара), მეორე გუდავა (პრიმორსკი, Гудаахуч), რეფო-ენერი (Рьап), სიდა (Сида), თაგილონი (Таглан), შიშიკვარა (Шьашыкәара).

შეკვეცილი გალის რაიონი „ზედა“ და „ქვედა“ ზონებად დაყო. „ზედა ზონაში“ აღმოჩნდა 9, ხოლო „ქვედაში“ – 11 (ზურაბაშვილი, 2016: 6).

1995 წლიდან აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ შეიმუშავა განათლების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა აღნიშნულ სკოლებში განათლების რუსულენაზე გადასვლას. ეს პროცესი ეტაპობრივად მოხდა: ტყვარჩელს და ოჩამჩირეს მიაკუთვნებულ სკოლებში თერთმეტივე კლასი ერთდროულად გადავიდა რუსულენაზე; გალის „ზედა ზონებში“ შემოღებულ იქნა რუსული სწავლება „პირველი კლასის პრინციპით“, რაც ნიშნავდა, რომ ყოველი პირველი კლასი რუსულ ენაზე დაიწყებდა სასწავლო პროცესს. შესაბამისად, 2005 წლიდან დღემდე გალის „ზედა ზონის“ ყველა კლასში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობს.

გალის რაიონის „ქვედა ზონის“ სოფლებში კი, თუ აქამდე ისინი ინარჩუნებდნენ ქართულ ენაზე სწავლებას, 2015-2016 სასწავლო წლიდან შემოღებულ იქნა რუსულ ენაზე სწავლება პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით და ყოველი მომავალი პირველი კლასი ასევე რუსულ ენაზე იწყებდა სწავლას.

შესაბამისად, ამ გასულ 6 წელიწადში სასწავლო პროცესიდან სრულიად განიდევნა ქართული ენა და 2021-2022 სასწავლო წლიდან სასკოლო განათლება რუსულ ენაზე გადავიდა.

თავიდან ოკუპირებული გალის სკოლებში ქართული ენა კვირაში 3 საათს ისწავლებოდა და მან უცხო ენის სტატუსი შეიძინა. ამჟამად მას მხოლოდ 1 საათი ეთმობა (პირანიშვილი, 2022: 28).

ეს ფაქტი ქართული მოსახლეობის აშკარა უფლების დარღვევაა, რადგან მას მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა არ ეძლევა. ეს კი იმ პირობებში, როცა რუსული და სომხური ეთნიკური უმცირესობა მშობლიურ ენაზე სწავლობს სკოლაში (პირანიშვილი, 2022: 27).

რა თქმა უნდა, იმ მოსახლეობისათვის, რომლისთვისაც კი, ამ საოკუპაციო 30 წლის მანძილზე, რუსული ენის ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელიც კი არ არის, ბუნებრივია, ეს პროცესი ხელს უშლის როგორც ხარისხიანი განათლების მიღებას. თუმცა, რა თქმა უნდა, არ არის მთავარი პრობლემა. მიზანი უფრო შორს მიმავალია: ეს არის გალის რაიონის ქართული მოსახლეობის სრული დეეთნიზაცია მათი გარუსების მიმართულებით (კვაშილავა, 2023 (ბ): 9).

თუმცა, სავსებით ნათელია, რომ ამ გეგმას უნდა მოჰყვეს ადგილობრივ ქართველთა ჩამოშორება ქართულ კულტურულ-პოლიტიკური სივრციდან მათი სრული დეეთნიზაციის მიზნით. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ 2013 წელს ოკუპირებული აფხაზეთის „განათლების სამინისტრომ“ შეიმუშავა და 500 ეგზემპლარის ოდენობით გამოსცა მეგრულენოვანი „დედაენა“ გალის მოსახლეობისათვის „ჩქვინინა“ (ჩვენი ენა), რომლის ავტორია ვინმე ნარგიზა ბასარია, რომელმაც 1976 წელს დაასრულა გალის რუსული საშუალო სკოლა, 1983 წელს კი ლენინგრადში (ამჟამად სანქტ-პეტერბურგი, რუსეთი) დაუფლა რკინიგზის ინჟინრის პროფესიას, 1994-1999 სწავლობდა ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობაზე თბილისის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში (ბასარია, 2013). თუმცა, ამ „სახელმძღვანელოს“ მომხმარებელი არ გამოუჩნდა არც მასწავლებლებში, არც – მოსწავლეებში. ამიტომ ადგილობრივი რეჟიმი მალევე იძულებული გახდა მასზე უარი ეთქვა (კვაშილავა, 2023 (ბ): 9).

აღსანიშნავია, რომ გალის რაიონის მოსახლეობის, მათ შორის სკოლის მოსწავლეების დიდი უმრავლესობა თვითიდენტიფიცირებას ახდენს როგორც ეროვნებით ქართველი, ეს ეროვნება აქვთ ასევე მითითებული ე.წ. აფხაზურ „პასპორტებშიც“. ის ფაქტი, რომ ბავშვებს ეზღუდებათ მშობლიურ ენაზე სასკოლო განათლების მიღების უფლება ქმნის ხარისხიანი განათლების მიღებისა და განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემას.

საოკუპაციო რეჟიმი მუდმივი ტერორის ქვეშ ამყოფებს გალის რაიონის ქართველ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. სამურზაყანოს პირველ ქართულ სკოლაში, სოფელ ოქუმში, აიკრძალა სასკოლო ოთახებში ქართული ანბანის გამოფენა. ის სკოლაში არსებული მუზეუმიდანაც კი ამოიღეს. „უშიშროების“ წარმომადგენლები რეიდებს აწყობენ სასწავლო დაწესებულებებში და ჩხრეკენ როგორც შენობას, ასევე – პედაგოგებს. 2005-2006 წწ. ნარინჯოვანის სკოლაში ნაპოვნი ქართული სახელმძღვანელოების გამო თანამდებობიდან გაათავისუფლეს სკოლის დირექტორი თამაზ ბიბლაია. ქართულ საგანმანათლებლო სივრცესთან ურთიერთობაც „ანტიკონსტიტუციურ“ ქმედებად ფასდება და დასჯადია (Conciliation Resources, 2015: 12).

ადგილობრივი რეჟიმი, რომელიც ცდილობს სკოლებში დირექტორებად უშუალოდ მათი მომხრეები დანიშნოს, მხარს უჭერს სკოლის ხელმძღვანელობის მხრიდან ქართველი მოსწავლეების ტერორს. მაგალითად, გალის #2 სკოლის დირექტორად 2010 წელს დაინიშნა ვინმე აპრა კვეკვესქირი, რომელმაც სასწავლებელში ეთნიკური აფხაზები მოიყვანა. ისინი აშინებდნენ მოსწავლეებს, რომლებიც ქართულ თვითიდენტიფიკაციას იცავდნენ. მას არაერთხელ უთქვამს, რომ სძულს ქართველი და ყველაფერი ქართული (პირანიშვილი, 2022: 29).

ამჟამად უკვე მოსწავლეები და მასწავლებლები, ძირითადად, ცდილობენ დაემორჩილონ რაიონის და სასკოლო ადმინისტრაციების მოთხოვნას ისწავლონ და ისაუბრონ რუსულად სკოლაში (პირანიშვილი, 2022: 29).

ადმინისტრაციულ საზღვართან ახლო სოფლებში მცხოვრები ბავშვები სამეგრელოს სკოლებში გადმოდიოდნენ სასწავლებლად. 2016 წლიდან ეს შესაძლებლობაც შეეზღუდათ (პირანიშვილი, 2022: 30).

საოკუპაციო ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ გალის რაიონის ქართული მოსახლეობის კონტაქტი ენგურსგამოდმა საქართველოსთან შეწყდეს და აბიტურიენტებმა განათლება მიიღონ აფხაზეთისა და რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში (ინფორმაცია მოგვანოდა გალის რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ნონა შონიამ). საამისოდ, დე-ფაქტო ხელისუფლებამ 2002 წლიდან გალელ ქართველებს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში რიცხავს გასაუბრების საფუძველზე, 2014 წლიდან კი სტუდენტთათვის დანიშნა უფასო მარშრუტით ავტობუსი გალი-სოხუმი-გალი (Conciliation Resources, 2015: 12).

სოხუმში უმაღლესი განათლების მისაღებად უფრო გალის ზედა ზონის, სადაც საოკუპაციო რეჟიმი მეტ-ნაკლებად წარმატებით ახორციელებს ადგილობრივთა რუსულად ამეტყველებას, აბიტურიენტები ჩადიან. ქვედა ზონელებს, სადაც ჯერ კიდევ სუსტია რუსული ენის გავლენა, და აქვთ შიში, რომ ქართულად ამეტყველება პრობლემა იქნება სოხუმში, ცდილობენ სასწავლებლად ენგურსგალ-

მა გადმოვიდნენ (პირანიშვილი, 2022: 33). საქართველოს ხელისუფლებმა 2019 წლის 3 ოქტომბერს ცვლილება შეიტანა კანონში უმაღლესი განათლების შესახებ და აბიტურიენტებს, რომლებიც ბოლო ორი წელი ცხოვრობენ ოკუპირებულ ზონაში, უფასოდ და უგამოცდოდ (ისინი არ აბარებენ ეროვნულ გამოცდებსა და სამაგისტრო გამოცდებს) ირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში. საოკუპაციო ხელისუფლება ცდილობს შეაჩეროს გალის რაიონის ქართველ აბიტურიენტთა გადმოსვლა ენგურსგამოდმა საქართველოში და საამისოდ ცდილობენ მათ ტერორიზებას იმით, რომ გაუუქმებენ იურიდიულ მისამართზე ჩანერას (პირანიშვილი, 2022: 33).

საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე განათლებამიღებულთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე პრობლემა ექნებათ დიპლომების აღიარებასთან დაკავშირებით. ამით ისინი ცდილობენ, გალელი აბიტურიენტები მათ უნივერსიტეტებში მიიზიდონ ან ხელი შეუშალონ დასაქმებაში.

ამის მისაღწევად სეპარატისტებმა და ოკუპანტებმა გალის რაიონში განათლების ენად ქართველთათვის რუსული დაადგინეს; აქტიურად მუშაობს პროპაგანდისტული მანქანა – ტელევიზია და ბექედური პრესა, რომლის ოფიციალური სამუშაო ენებია აფხაზური, რუსული და მეგრული. თუმცა ძირითადად ისინი მხოლოდ რუსულ ენაზე ფუნქციონირებენ. ამასთან ერთად, შექმნილია სპეციალური ბარიერები ქართველებისთვის ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისთვის. ხაზგასასმელია, რომ აფხაზ სეპარატისტებს (მათ სურთ გალელ ქართველთა აფხაზიზაცია) და რუსი ოკუპანტებს (ისინი გალის რაიონის ქართველთა რუსიფიკაციას ესწრაფვიან) განსხვავებული შეხედულება აქვთ ქართველების დეეთნიზაციასთან დაკავშირებით. ორივე მხარე მათ მხოლოდ საკუთარ ბანაკში მოიაზრებს, რის გამოც ოკუპანტებსა და სეპარატისტებს შორის ერთგვარი დაპირისპირების საფუძველი იქმნება (კვაშილავა, 2021: 241).

2022 წლის გაზაფხულზე რუსეთის განათლების სამინისტრომ აფხაზეთში კონკურსი ჩაატარა, რომლის გამარჯვებულს უმაღლესი განათლების მიღება (სრული დაფინანსებით) რუსეთში შეეძლო. საინტერესოა, რომ გამარჯვებული გახდა გალის რაიონის ქართველი აბიტურიენტი გოგონა, რომელსაც მიეცა საშუალება

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასარია, 2013 _ ბასარია ნ. ჩქვნი ნინა. გალ, 2013;
2. ზურაბაშვილი, 2016 _ ზურაბაშვილი თ. მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში (პოლიტიკის დოკუმენტი). „საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)“. თბ., 2016.
3. კვაშილავა, 2021 _ კვაშილავა კ. გალის რაიონში ქართველთა დეეთნიზაციის პრობლემისათვის (2008-2018წწ.), _ „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“. #6, 2021 (<http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/187/157>).
4. კვაშილავა, 2023(ა) _ კვაშილავა კ. ოკუპირებულ აფხაზეთში პოლიტიკური პროცესების განვითარების საკითხისათვის (1994-2007 წწ.), _ „გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული“. #22, გორი, 2023.
5. კვაშილავა, 2023(ბ) _ გაბრიჭიძე მ. ჩუმი ტრაგედია გალში (ინტერვიუ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ კახა კვაშილავასთან), _ გაზ.: „კვირის პალიტრა“. #5 (1488), 30 იანვარი - 5 თებერვალი, 2023.
6. მგელაძე, ლაშხია, 1977 _ მგელაძე კ., ლაშხია შ. გალის რაიონი, _ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2. თბ., 1977, გვ. 1-703.
7. ომბუდსმენი, 2015_საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევ პრობლემები“. თბ., 2015, გვ.1-43. (<https://www.ombudsman.ge/res/docs/2019041311454240454.pdf>)

8. **Абхазия в цифрах, 2020**_Абхазский статистический ежегодник _ 2020. Официальное издание. Управление государственной статистики Республики Абхазия. Сухум, 2021, გვ. 4-148.
9. **Абхазия в цифрах, 2020**_Абхазский статистический ежегодник _ 2020. Официальное издание. Управление государственной статистики Республики Абхазия. Сухум, 2021, გვ. 4-148.
10. **Пирианишвили, 2022**_ Т. Пирианишвили. Места двусторонних упущений _ правовые и социальные вызовы в Гали и Ахалгори, _ «*Центр социальной справедливости*». Тб., 2022, გვ. 3-77.
11. **Conciliation Resources, 2015** – *В пределах возможного*. Поиск путей для позитивных изменений в грузино-абхазском контексте: Жители Гальского района, _ «*Материалы для обсуждения*». Conciliation Resources. London, 2015.

რეზიუმე

აფხაზმა სეპარატისტებმა და რუსმა ოკუპანტებმა შექმნეს აპარტიდული რეჟიმი აფხაზეთში, სადაც ადგილობრივი ქართველების ადამიანის ფუნდამენტური უფლებები უხეშად ირღვევა. ამ სიტუაციაში გალის რეგიონში ქართველთა აქტიური დეეთნიზაცია მიმდინარეობს, რომლის მიზანია ადგილობრივი ქართველების აღმოფხვრა საერთო ქართული პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური სივრციდან. საქართველოს ხელისუფლებამ აქტიურად უნდა გააგრძელოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილი ქართველების უფლებების დაცვაზე ზრუნვა. ეს მოვალეობები საერთაშორისო ინსტიტუციებმა უნდა იკისრონ. ოფიციალური თბილისის მიერ მოქმედი ინიციატივა – ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩამოსული აბიტიურიენტების უგამოცდოდ ჩარიცხვის შესახებ – ნამდვილად ეროვნული საქმეა, თუმცა, თუკი მათი ბინით უზრუნველყოფაც მოხდება, რადგან გალში მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობაა, ეს ბევრად გაადვილებს ამ ახალგაზრდათა ყოფაცხოვრებას სწავლების პერიოდში.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, გალის რაიონი, განათლება, ადამიანის უფლებები, აპარტიდი, ოკუპაცია.

KAKHA KVASHILAVA,
PhD in History,
Associate Professor of
Sokhumi State University.
Georgia, Tbilisi

THE PROBLEM OF GEORGIAN LANGUAGE EDUCATION IN THE OCCUPIED GALI REGION

Summary

Abkhaz separatists and Russian occupiers have created an apartheid regime in Abkhazia, where the basic human rights of local Georgians are grossly violated. In this situation, an active de-ethnization of Georgians is taking place in the Gali region, the purpose of which is to eliminate local Georgians from the all-Georgian political, cultural, economic and social space. The Georgian authorities must continue to actively protect the rights of Georgians who remain in the occupied territories. International institutions should assume these responsibilities. The initiative being implemented by official Tbilisi to enroll applicants from the occupied territories without exams is indeed a national matter, but if they are provided with an apartment, since the financial and economic situation in Gali is difficult, this will greatly facilitate the life of these young people during their studies.

Key Words: Abkhazia, Gali district, Education, Human Rights, Apartheid, Occupation.

ლალი ბოჭორიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
საქართველო, თბილისი

მანანა თოფურია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტი პროფესორი
საქართველო, თბილისი

კონსტანტინე თელია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტი
საქართველო, თბილისი

საუნივერსიტეტო სწავლების მომავალი, სურვილები და შესაძლებლობები

რით არის გამორჩეული და რა ელოდება ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემას უახლოეს მომავალში, რითია განპირობებული და იქნება, თუ არა, ჩვენი მომავალი თაობის განათლება საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მეცნიერებისა და პროფესიული სწავლების სფეროში, გარკვეული გარდაქმნების საფუძველზე, მოღწეულ იქნას სასურველი წარმატებები. ეს და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები უნდა იყოს პრიორიტეტული ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში და მეცნიერების დღევანდელ მოღვაწეობაში.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის ქვეყნის განათლების სისტემა ვერ პასუხობს კონკრეტულ კითხვას - რა არის საუნივერსიტეტო სფეროში რეფორმებისა და გარდაქმნების საბოლოო მიზანი. შეიძლება ითქვას, რომ საუნივერსიტეტო სწავლების ტრანსფორმაცია დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ გარდაქმნებთან და ცვლილებებთან. აქედან გამომდინარე, საუნივერსიტეტო სწავლება სულ უფრო და უფრო უნდა ითვალისწინებდეს გამოყენებითი სპეციალობების, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ მოთხოვნებს.

საქართველოში არსებული უნივერსიტეტების რაოდენობა, გამოქვეყნებული კატალოგის მიხედვით, აღწევს ორმოცდათხუთმეტს, როლებიც გარკვეული წარმატებებით მოღვაწეობენ საგანმანათლებლო სფეროში. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტებში ტრადიციულად სწავლობდა როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთიდან ჩამოსული მოქალაქეები. დღეისათვის, თანამედროვე უნივერსიტეტებში სტუდენტთა ნაციონალური შემადგენლობა საკმაოდ სწრაფად იზრდება, რაც გამობატულია უცხოელი - სხვა ქვეყნებიდან სწავლის მსურველთა ჩამოდინებით. შედეგად, აუდიტორიის შემადგენლობა სწრაფად იცვლება. ეს თავისთავად მოითხოვს სწავლებას შესაბამისად, სხვადასხვა ენებზე. სტუდენტთა შემადგენლობიდან გამომდინარე, პედაგოგების მიმართ იცვლება მოთხოვნები. საჭიროა პედაგოგების გადამზადება, ან ახლების მოწვევა.

მაგრამ, მართო ეს არ არის უმაღლესი სკოლის ყველა ცვლილება. გავიხსენოთ დისტანციური სწავლების ფორმა განათლებაში, რომელიც წარმოიშვა საყოველთაო პანდემია - „კოვიდ 19“-თან დაკავშირებით. უმაღლესი განათლების მიღების ეს ფორმა გულისხმობდა დისტანციურ ურთიერთობებს სტუდენტებსა და უნივერსიტეტების პედაგოგებს შორის. ზოგიერთი სასწავლო დაწესებულება ძნელად შეეგუა სწავლების ამ ფორმას - ასაბუთებდა იმას, რომ ონლაინ კონტაქტით სწავლება არაეფექტურია. ამ ფორმამ, მიუხედავად მთელი რიგი უარყოფითი სტერეოტიპებისა, შეიძინა გარკვეული მომხრეები. უმაღლესი სასწავლებლების უმეტესი ნაწილი საკმაოდ ადვილად ჩაერთო სწავლების ამ ფორმატის გამოყენებაში და მიაღწია გარკვეულ შედეგს.

სწავლების ყველა სფეროში და საფეხურზე შემოვიდა ქსელური და ელექტრონული სწავლება, რასაც უდავოდ, ხელი შეუწყო ქვეყანაში გასული წლების სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, და რის გამოც, სტუდენტთა სწავლის დონე, ჩვენი აზრით, ასე თუ ისე ჩამორჩა. სტუდენტთა და მოსწავლეთა უმრავლესობამ ამ შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ აუწყო ფეხი სწავლების ამ ფორმატს [1,2].

პანდემიის დასრულებასთან დაკავშირებით სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში დაუბრუნდა ჩვეულ რეჟიმს.

გავლილი პანდემიის გამოცდილებამ, არსებულმა რეალობამ, ქვეყანაში ეკონომიკურმა გარდაქმნებმა დააყენა საუნივერსიტეტო სწავლებაში ახალი ორგანიზაციულ-სოციალური მიდგომის საჭიროება. აქედან გამომდინარე, შევხებით სამომავლოთ სწავლების ზოგიერთ მეთოდს, რომელთა არჩევის საშუალება უნდა მიეცეთ სტუდენტებსა და პედაგოგებს, ურთიერთშეთანხმებულად. მათ შორის არის სწავლების როგორც დისტანციური, ასევე ელექტრონული მეთოდიც. ეს მეთოდები უნდა იყოს დაფუძნებული შემდეგზე:

- დასწრებული სწავლება უნდა მოიცავდეს სწავლების პროცესს, რომელიც აუცილებელია მიმდინარეობდეს პროფესორსა და სტუდენტს შორის გარკვეული საკონტაქტო საათების ფარგლებში, ამასთან სასწავლო მასალის გადაცემა შეიძლება მოხდეს ელექტრონული კურსის საშუალებით;

-დასწრებულ-დისტანციური სწავლება, რომელიც გულისხმობს სწავლების ძირითადი ნაწილის მიმდინარეობას დისტანციურად, ხოლო დანარჩენი ნაწილის სწავლება უნდა მოხდეს საკონტაქტო საათების ფარგლებში;

-სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე უნდა ჩატარდეს დისტანციურად, ელექტრონული ფორმატით, პრეზენტაციების საშუალებით.

ცხადია, სწავლების პროცესში შეიძლება გამოვიყენოთ, არა მარტო, შემოთავანხილული მეთოდები, არამედ უნდა განვიხილოდეს სხვა მეთოდებთან შერწყმის საშუალებაც. მაგალითად, ეს გულისხმობს: სწავლების სინქრონულ მეთოდს, ლექტორსა და სტუდენტს შორის ინტერნატიულ ჩართვას, დამატებით კონტაქტებს, იდეების გაცვლას და სხვ. აგრეთვე, კრიტიკული აძროვნების მეთოდს, დავალებების რეგულარულად შესრულებას, პრობლემების გადაწყვეტის მეთოდის გამოყენებას, როცა სტუდენტს ეძლევა საშუალება დისკუსიის დროს ისარგებლოს სხვადასხვა დროს მიღებული ცოდნით, მოქნილ სწავლებას, როცა სტუდენტი თავად ირჩევს სწავლის დროს, თემებს და სხვ.

რაც შეეხება ბიზნესისა და სწავლების ურთიერთკავშირს. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები გარკვეული პერიოდულობით ექვემდებარება გადახედვას, მაინც სრულად ვერ აკმაყოფილებენ ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნებს. ეს განპირობებულია, იმით, რომ სასწავლო პროგრამები თანხვედრაშია სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებთან, რომელთა შინაარსი და სტრუქტურა მოითხოვს გადახედვას, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. დღესდღეობით, ბიზნესი, ჩვენი აზრით, აქტიურად არ არის ჩართული სასწავლო დანერგვების სამეცნიერო საქმიანობაში. ცხადია, თავად უმაღლესი სასწავლებლისათვის რთულია მოამზადოს სპეციალისტები, განსაკუთრებით, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ დისციპლინებში, თუ იგი მონაწილეობას არ იღებს ეკონომიკისათვის საჭირო სამეცნიერო კვლევებში. ამავდროულად, დღეისათვის ბიზნესის უმრავლეს წარმომადგენლებს არა აქვთ ფორმირებული კონკრეტული პარამეტრები, რომლის მიხედვითაც უნდა დასაქმდეს კურსდამთავრებული. ამის მიზეზად მოიაზრება პროფესიული სტანდარტების უკმარისობა. აქედან, საჭიროა მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმოს სახელმწიფო სტანდარტების მოდერნიზებას. ე.ი. საჭიროა ბიზნესისა და განათლების ურთიერთქმედების სფეროს გაფართოება, რათა ბიზნეს-მწარმოებლებმა წამოაყენონ შესაბამისი მოთხოვნა სასწავლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, საჭირო კონკურენტუნარიანი კადრების უზრუნველყოფისათვის, წარმოადგინონ ბიზნეს სტრატეგიის გრძელვადიანი დაგეგმარება.

პრობლემად რჩება საგანმანათლებლო პროგრამების მოდულური აგების საკითხები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა და პედაგოგთა მობილობას, მოთხოვნად საგანმანათლებლო პროგრამების დაენერგვას, არა მარტო ერთ რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში, არამედ ბევრ სხვაშიც.

უნდა შეიცვალოს სასწავლო დაწესებულებების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, და გაიზარდოს მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ამით თავად უმაღლესი სასწავლებლები უნდა იყვნენ დაინტერესებულნი. ეს კი შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც ადგილიდან დაიძვრება საკითხი რესურსული კაპიტალის ფონდის შექმნის თაობაზე, როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო პირთა დაფინანსების ხარჯზე. კერძო პირად ამ შემთხვევაში მოიზრება ბიზნეს სუბიექტები. არ იქნება ზედმეტი დავაკონკრეტოთ, რომ ბიზნესის წარმომადგენელი თავად უნდა იყოს დაინტერესებული სასწავლებლის მიერ მომზადებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, მათთვის სასურველ სფეროში (დარგში). ბიზნესმენი შესაძლოა ერთჯერადად დაეხმაროს სასწავლებელს, მაგრამ ეს არ იქნება მყარი ურთიერთობა სუბიექტებს შორის. რეალურ ინვესტიციებს ბიზნესმენი ჩადებს დაინტერესების შემთხვევაში.

ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი უცხოელი პროფესორ-მასწავლებლის შეხედულებები უნივერსიტეტებისა და სასწავლო დაწესებულებების შემდგომ განვითარებაზე. მაგალიათად, ოცდამეერთე საუკუნეში შენარჩუნდება ტენდენცია უმაღლესი სწავლების მასიური გავრცელების შესახებ, რომ უნივერსიტეტები საზოგადოებას მოუტანს დადებით შედეგს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავიდან იქნება მიმართული სწავლების შედეგზე, მიეცემათ სტუდენტებს საკუთარი ინტერესების რეალიზაციის საშუალება, თუ ექნებათ საშუალება ჩაერთონ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღების საკითხებში, მიიღონ მონაწილეობა უნივერსიტეტის განვითარებაში და სხვ. დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პროფესორებისა და სტუდენტების ურთიერთობას. ამ ურთიერთობაში გასათვალისწინებელია ის, რომ სტუდენტი უკვე ზრდასრული, პესუხისმგებელი პირია თავის ქმედებებზე, სრულად აგებს პასუხს თავის მოქმედებაზე, მასწავლებელი ასევე პროვინებაა, გააჩნია თავისი გარკვეული შეხედულებები, და, რა თქმა უნდა, აქვს სურვილი გააკეთოს ყველაფერი სტუდენტის სასიკეთოდ, რაც მასზეა დამოკიდებული, ხელი შეუწყოს სტუდენტს სწავლაში და განვითარებაში. წარმოიდგინეთ, ერთი წუთით, რომ ურთიერთობა ამ ორ სუბიექტს შორის არის შერყეული, ან სულაც არ არსებობს. ზედმეტად მიგვაჩნია იმის დაზუსტება, თუ რა შეიძლება მოხდეს ამ შემთხვევაში.

სწავლების პროცესი აუცილებელია მიმართული იყოს, არა მარტო, სტუდენტის ფორმალურად სწრაფვას დიპლომისაკენ, არამედ იმისაკენ, რომ ყოველი ლექცია თუ სემინარი გახდეს ნამდვილი შეხვედრა პედაგოგსა და სტუდენტს შორის, დასახონ თავიანთი სამომავლო მიზნები და ამოცანები, გააღვივონ აზროვნების უნარ-ჩვევები. პროფესორები უნდა მივიდნენ უნივერსიტეტებში არა სტუდენტებისათვის და ასევე სტუდენტები პროფესორებისათვის, არამედ ორივეს უნდა ამოძრავებდეს სიმართლესთან და ცოდნასთან თანაარსებობა, რაც უნდა იყოს დაკავშირებული ახალი სასწავლო პროგრამების წვდომასთან და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვასთან.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სპეციალისტები უმაღლესი და სპეციალური განათლების სფეროში, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, იყენებენ სწავლების მოდელირებულ მეთოდებს, ინოვაციური ფორმით სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს. ინოვაციაზე ორიენტირებულ მიდგომების გამოყენება სტუდენტებს უყალიბებს უმაღლეს მოტივიზაციას, პროფესიონალურ ცოდნას, მოითხოვს სხვადასხვა ინოვაციური ამოცანების ურთიერთკავშირის გათვალისწინებას ეკონომიკური კურსის თემებთან მიმართებაში. მართლაც უდაოა, რომ საუნივერსიტეტო სწავლების ძირითად მიზანს წარმოადგენს ინჟინერ-ნოვატორის აღზრდა, რისთვისაც საჭიროა ეკონომიკური მომზადების მთელი სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება პრობლემებზე ორიენტირებულ სწავლებაზე, ინოვაციური თავისებურებების გათვალისწინებით [3].

ინოვაციური ფორმით სწავლების მეთოდოლოგიის განხილვის აუცილებლობა განპირობებულია პირველ რიგში, საზოგადოების მოთხოვნით - განათლება აუცილებელია მოვიდეს ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებასთან შესაბამისობაში. მეორე მხრივ, საჭიროა, ამ ცნების განზოგა-

დება და მიდგომების კლასიფიკაცია იმისთვის, რომ დამუშავებული იქნას სამეცნიერო-კვლევითი რკომენდაციები ინოვაციური ფორმით სწავლების სფეროში.

განათლებაში ინოვაცია განიხილება, როგორც სამეცნიერო იდეებისა და მათი რეალიზაციის ფორმები. ინოვაციური მოღვაწეობა გამოირჩევა კვლევების, ახალი იდეების გაფორმების, გამომგონებლობის ხასიათით, პრობლემების დასახვით, ექსპერიმენტების ჩატარებით და სხვ. ასეთი მიდგომის ობიექტებად წარმოჩინდება პედაგოგები და სტუდენტები. შესაბამისად, პედაგოგიური სიახლეების დანერგვით ვითარდება ინოვაციური სწავლებისა და აღზრდის თეორია და პრაქტიკა [1,2].

ინოვაციური სწავლების განხილვისას უნდა იყოს გათვალისწინებული სტუდენტის ასაკი და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, მისი შემეცნებითი უნარი და შესაძლებლობა. საჭიროა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, პედაგოგების, სპეციალისტების კადრების გადამზადება. გარდა ამისა, ინოვაციური პედაგოგიური პროცესები, რომლებიც საშუალებას იძლევა ეფექტურად იქნას გად-ანყვეტილი ესა თუ ის დასახული ამოცანა, გამყარებული უნდა იყოს საზოგადოების პროგრესული ზრდის ტენდენციებით. ურთიერთობა პედაგოგსა და სტუდენტს შორის უნდა იყოს დამყარებული ურთიერთნდობაზე და პასუხისმგებლობაზე.

საგანმანათლებლო ინოვაციები მოითხოვს განათლების სისტემის სრულყოფის სხვადასხვა ას-პექტების განხილვას, როგორიცაა:

- სასწავლო დაწესებულებების თვითგანვითარების საკითხების შესწავლა;
- სწავლების შინაარსის განახლება;
- პედაგოგიური სწავლების ტექნოლოგიების შემუშავება;
- ახალი მეთოდური მიდგომების წარმოჩინება;
- აღზრდა;
- პიროვნებისა და კოლექტივის განვითარება;
- სასწავლო დაწესებულების მართვის შეცვლა და სხვ.

განვიხილოთ საგანმანათლებლო ინოვაციის სამი ძირითადი მხარე:

ა) სწავლის პროცესში ინოვაციური გამოკვლევა გულისხმობს აბსოლუტური სიახლეების წინ წამოწევის;

ბ) გამოკვლეული უნდა იყოს ადაპტირებული და გაფართოებული პედაგოგიური იდეები და ქმედებები, რომლებიც იძენენ აქტუალობას გარკვეულ გარემოში, გარკვეულ დროს;

გ) აუცილებელია განხილულ იქნას პედაგოგიური სიახლეები ახალ, განსხვავებულ სიტუაციაში, რაც მოგვცემს ამ სიახლეების წარმატების გარანტიას.

საბოლოო ჯამში, სასწავლო დაწესებულებებში ინოვაციური ფორმით სწავლების რეალიზაცია გამოიწვევს განათლების პროცესში მონაწილე სუბიექტების მოღვაწეობის შედეგების ძირეულ შეცვლას, ორგანიზაციულ ცვლილებებს სწავლებლებში მათ შორის, სასწავლო, საორგანიზაციო, ფინანსურ, სამეცნიერო და სხვა სფეროში.

როგორ წარმოუდგენიათ თანამედროვე სტუდენტებს უნივერსიტეტის მომავალი? როგორც აღ-მოჩნდა, სტუდენტებს აქვთ გარკვეული დადებითი სიახლეების იმედი, მოლოდინი. მეორე მხრივ მოსალოდნელი ცვლილებების, ინიციატივების მიმართ ებადებათ უნდობლობა, ეჭვები.

ამასთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ რამდენი ყურადღება ეთმობა მთელ მსოფლიოში საგანმანათლებლო სისტემას. 2020-2021 წლებში „იუნესკო“-ს ეგიდით, ერთ-ერთი პრიორიტეტ-ული მიმართულების - საგანმანათლებლო სისტემის ჩარჩოში, ჩატარებული იყო კონფერენცია. მონვეული იყვნენ რესპოდენტები - სტუდენტები და პედაგოგები, მონაწილეობდა 100 მეტი ქვეყნის და 1200-ამდე წარმომადგენელი, შექმნილი იყო 55-ამდე ჯგუფი. აღსანიშნავია, რომ რესპოდენ-ტები შეირჩა, როგორც აკადემიური სფეროდან, ასევე არაკომერციული ორგანიზაციებიდან და სახელმწიფო სტრუქტურებიდან. განხილული იყო უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში მომავა-ლი სწავლების საკითხები, პერსპექტიული განვითარების ყველა შესაძლო სცენარი. დამსწრენი

დადებითად აფასებენ ტექნოლოგიების ზრდის როლს უმაღლესი განათლების სფეროში, იღებენ მხედველობაში, რომ XXI საუკუნეში, საგანმანათლებლო სფერო წარსდგება შრომის ბაზრებთან სულ უფრო და უფრო ახალი და მჭიდრო ურთიერთობებით.

რესპოდენტები აცნობიერებენ თავიანთ როლს უმაღლესი განათლების სისტემაში. სურვილი აქვთ უკეთესად ისწავლონ და მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები ციფრულ ურთიერთობებში. მონაწილეები აღნიშნავენ იმას, რომ „მობილობას შეცვლის ციფრული ურთიერთდამოკიდებულება და რომ მომავალში გაუადვილებათ ურთიერთობა თავიანთ მენტორებთან, მსოფლიოს რომელ კუთხეშიც არ უნდა მოღვაწეობდნენ ისინი.

განათლების სფეროს სტუდენტები და პედაგოგები ემხრობიან იმას, რომ საუნივერსიტეტო ხარისხის რესტრუქტურის სისტემა მოითხოვს სასწავლო გეგმების, პროგრამების გადახედვას, რეორგანიზაციას. რაც ნიშნავს არსებული პარადიგმის გადახედვას, სრულყოფას, დაზუსტებას. [4,5].

ამრიგად, როგორ წარმოგვიდგენია ჩვენი უნივერსიტეტების მომავალი. გვინდა, რომ იგი იყოს ფართო, წარმატებული, შესანიშნავი. უნივერსიტეტების მომავალი დამოკიდებულია თითოეულ პედაგოგზე, საზოგადო მოღვაწეზე, თავად სტუდენტზე. ამისათვის საჭიროა შრომა და სტუდენტის თავდადება, რამეთუ თითოეული მათგანი უნდა ილწოდეს ცოდნის მისაღებად, დასახული მიზნის მისაღწევად, სასურველი განათლებისა და პროფესიის დასაუფლებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოჭორიშვილი ლ., მთოფურია მ., ჯიშკარიანი მ., საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია, 26,12,2020, კონფერენციის კრებული, საქართველო, თბილისი.
2. ბოჭორიშვილი ლ., თოფურია მ., „უმაღლესი სასწავლებლებში ონლაინ სწავლების თავისებურებანი, თეორია და პრაქტიკა“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ონლაინ სწავლება კოვიდ-19 -ის პირობებში და განათლების სისტემა“, 29 ნოემბერი. 2021, კონფერენციის კრებული, საქართველო, თბილისი“
3. Н.Т.Журавская, кан.пед.наук. „Методические подходы к исследованию инновационных форм образования „ ж.Мир наука ,культуры, образования №6 (25) 2016
4. Кузьминов Я.И. Бендукидзе К.А.. Юдкевич М.М. Курс институциональной экономики, институты, трансакционные издержки, контракты. 2005. М. ГУ – ВШЭ .
5. Дана Аврашева, Диана Моралис, Глазами нынешних студентов, Международный институт ЮНЕСКО по вышему образованию в Латинской Америке и Карибскойм бассейне (ИЕСАЛК).

რეზიუმე

სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემის მომავალი ითვალისწინებს სწავლების მეთოდებს, რომელთა არჩევის საშუალება უნდა მიეცეთ სტუდენტებსა და პედაგოგებს ურთიერთშეთანხმების შესაბამისად. სტატიაში განიხილება ინოვაციური ფორმით სწავლების მეთოდოლოგიური მიდგომები. ინოვაციაზე, ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სწავლება სტუდენტს ჩამოუყალიბებს უმაღლეს მოტივაციას, პროფესიულ ცოდნას. გაანალიზებულია სწავლების დასწრებული, დასწრებულ-დის-

ტანციური და დისტანციური ფორმები. პრიორიტეტი ენიჭება სწავლების სინქრონულ მეთოდს, რაც გულისხმობს ლექტორსა და სრუდენტს შორის დამატებით კონტაქტებს, იდეების გაცვლას, ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბებას. სამომავლო სწავლება უნდა ითვალისწინებდეს მოქნილი სწავლების გრაფიკს, როდესაც სტუდენტი თავად ირჩევს სწავლის დროსა და თემებს.

სტატიაში ხაზგასმულია ურთიერთკავშირის დამყარება ბიზნესის წარმომადგენელსა და სასწავლო დაწესებულებებს შორის სტუდენტთა დასაქების მოთხოვნით. გადახედვას და შეცვლას ექვემდებარება საგანმანათლებლო პროგრამები, საჭიროა გადაიხედოს ეკონომიკური მომზადების მთელი სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებაზე ინოვაციური თავისებურებების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: საუნივერსიტეტო სწავლება, ინოვაცია, სინქრონი, მოდული, მოდელირება, ელექტრონული ფორმა, პარადიგმა.

Lali Bochorishvili

Professor of Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

Manana Topuria

Assistant Professor of Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

Konstantin Telia

Assistant of Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

THE FUTURE, DESIRES, AND POSSIBILITIES OF UNIVERSITY TEACHING

Summary

The future of the educational system envisages teaching methods that students and teachers should be allowed to choose in accordance with their mutual agreements. In the article, we discuss methodological approaches to teaching in an innovative way. Teaching focused on innovation and new technologies will increase students' motivation to study, will improve academic outcomes and deepen their professional knowledge. In this article it is analyzed face-to-face, hybrid and online (distance) forms of teaching, and priority is given to the synchronous method of teaching. This implies additional contacts between students and lecturers, exchange of ideas and development of students' critical thinking skills. Future teaching should consider a flexible learning schedule, when the students choose the study time and topics.

In the article, special importance is given to establishing a relationship between educational institutions and business representatives in order to take into account their requirements for their future personnel. This will increase the competitiveness of students and promote their employment according to their specialty.

Key words: university teaching, innovation, synchrony, module, modeling, electronic form, and paradigm.

ლელა თავდგირიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესორი
საქართველო, ბათუმი

ნატო შეროზია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
საქართველო, ბათუმი

დალი დობორჯგინიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი
საქართველო, ბათუმი

**მასწავლებლის მომზადების პროგრამები და უნივერსიტეტის მისია
(ბსუ-ს მაგალითზე)**

„დღეს, თუ ვასწავლით ისე, როგორც ვსწავლობდით გუშინ, ჩვენს შვილებს ვართმევთ მომავალს“
- ჯონ დიუი.

განათლების სფერო და მასთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური იყო კაცობრიობისთვის, რადგან ეს ის სფეროა, რასაც ეფუძნება ნებისმიერი დარგისა და საზოგადოების უწყვეტი განვითარება. განათლება არის წინაპირობა ღირსეული ცხოვრებისა თუ სოციალური მდგრადობის უზრუნველყოფისთვის. ერთია განათლების მიცემა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რამდენად ხარისხიან განათლებას ვაძლევთ და შესაბამისად რა შედეგს ვღებულობთ.

ტექნოლოგიების განვითარებამ, გლობალიზაციამ და სწრაფად ცვლადმა გარემომ შექმნა მოთხოვნილება განათლების სისტემები და მიზნები შესაბამისობაში მოდიოდეს თანამედროვე გამოწვევებთან. ამდენად, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება-განხორციელება, რომელიც დაეხმარება მომავალ თაობას იყოს კონკურენტუნარიანი, გააჩნდეს სათანადო ცოდნა, უნარ-ჩვევები, მსოფლმხედველობა და მზაობა დამოუკიდებლად უზრუნველყოს ღირსეული ცხოვრებისეული პირობების შექმნა, ამავედროულად იყოს პიროვნულად ჩამოყალიბებული. ყოველივე აღნიშნულის წინაპირობას კი, წარმოადგენს მასწავლებელი თავისი კომპეტენციებითა და შესაძლებლობებით. სწორედ მასწავლებელი არის საგანმანათლებლო სისტემის ამოსავალი წერტილი, ხარისხიანი განათლების გარანტი.

საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის პრიორიტეტული მიმართულებაა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლის მომზადება და უწყვეტი პროფესიული განვითარება. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად აუცილებელია ამაღლდეს სწავლების ხარისხი, რაც მასწავლებლისაგან მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას, შემოქმედებით უნარს, სწავლებისა და სწავლის თანამედროვე თეორიების ცოდნას. სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, მოაზროვნე, ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების უნარ-ჩვევების მქონე პიროვნების აღზრდა. ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების მქონე მასწავლებლის მომზადება და მისი უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

დიდია უნივერსიტეტის როლი ქვეყნისა და ერის წინსვლაში. უნივერსიტეტის მიზნები, ამოცანები, ღირებულებები, მისი დანიშნულება/მისია საზოგადოების მოთხოვნების და ეპოქის შესაბამისად იცვლება. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, უნივერსიტეტი ჩამოყალიბდეს ძლიერ საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრად და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში [ბსუ-ს მისია <https://bsu.edu.ge/main/page/2-416/index.html>]]. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში (2018-2024) აღნიშნულია, რომ „უნივერსიტეტში მიღებული განათლება უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტების, მაღალი აკადემიური ხარისხის და დასაქმებაზე ორიენტირებული“ [https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_7813_2.pdf]].

განათლება ის სფეროა, რომელიც მუდმივად უნდა იყოს მზად თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ. 2005 წლიდან დაიწყო განათლების დარგის რეფორმები. თითქმის ყველა მიმართულებით გატარდა ცვლილებები, დაინერგა ახალი მიდგომები, პროგრამები, მოხდა სისტემის ნაწილობრივი დეცენტრალიზაცია, მიღებულ იქნა კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც არეგულირებს ქვეყნის მასშტაბით სკოლების საქმიანობას განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე. მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა. შემოღებულ იქნა მასწავლებელთა კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდები, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ პროგრამები, ამოქმედდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა. მიუხედავად გატარებული რეფორმებისა და გარკვეული სახის პროგრესისა, მთავარი საკითხი „განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და კომპეტენტური მასწავლებელი“ კვლავ პრობლემატურია. ეს გამოწვეულია იმით, რომ საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლები 2010 წლიდან მზადდება მხოლოდ MINOR პროგრამებით, 2016 წლიდან კი – მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით (60 კრედიტი), რაც ვერ უზრუნველყოფს საქართველოს საჯარო თუ კერძო სკოლების მოთხოვნებს VII-XII კლასების საგნის ან საგნობრივი ჯგუფის კვალიფიციური პედაგოგებით.

ქვეყანაში განსაზღვრული განათლების ეროვნული მიზნების მიუხედავად, პრობლემად რჩება საზოგადოების მოთხოვნა ხარისხიანი განათლების არსისა და მაღალკვალიფიციური მასწავლებლის შესახებ. საქართველოში განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მდგომარეობა საკმაოდ პრობლემატურია. აქტუალობას არ კარგავს კითხვები: აძლევს თუ არა დღეს ქართული სკოლა მოსწავლეს შესაბამის განათლებას, რა როლი უჭირავს აღნიშნულ საკითხში პედაგოგს, უქმნის თუ არა სახელმწიფო და სკოლა მასწავლებელს პირობებს იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს შესაბამისი უნარ-ჩვევები და შეიძინოს გამოცდილება, გააჩნდეს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება, გააზრებული ჰქონდეს საკუთარი როლი და უფლება-მოვალეობები სკოლის, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე, მუდმივად იზრუნოს საკუთარ წინსვლასა და პროფესიულ განვითარებაზე. 2019 წლიდან ბსუ-ში ხორციელდება დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ძირითადი მიზანია მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულებების პრინციპების მატარებელი მკვლევარი-მასწავლებლის მომზადება, რომელიც შეძლებს მოსწავლეთათვის არა მარტო მაღალი ხარისხის ცოდნის გადაცემას, არამედ ცვალებადი პროფესიული გარემოს გაცნობიერებას და თავის პროფესიულ საქმიანობაში გათვალისწინებას, რომელსაც ექნება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული კომპეტენციები - თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ღირებულებები, უფროსი მასწავლებლის ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულების საშუალება, შეძლებს შესაბამისი მეთოდების

გამოყენებით პედაგოგიური სიტუაციის/ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზს, პრობლემის მიზეზების, შედეგების, ურთიერთკავშირის გაცნობიერებასა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღებას. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაში მოვიდა უნივერსიტეტის მისიასთან.

„გაკვეთილების ჩვეული სქემები, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის მიღებული ურთიერთობები, მოსწავლეთა წარმატების შეფასების დამკვიდრებული პრაქტიკა და ა.შ. არ იძლევა სასურველ შედეგს. ჩვენი სასკოლო განათლება არაადეკვატურად რეაგირებს თანამედროვეობის გამოწვევებზე და კარგავს თავის პოტენციალს, როგორც სოციალიზაციის უმთავრესი ინსტიტუტი. სკოლაში წარსული გარდაქმნების დაუსრულებლობა წარმოადგენს წინააღმდეგობას ხარისხის გაუმჯობესებისათვის. სრულიად ნათელია, რომ საჭიროა სწავლების პროცესის სხვაგვარი ორგანიზება და სხვაგვარი მიდგომა მოსწავლეთა სწავლება/სწავლისადმი, რაშიც წამყვანი როლი მასწავლებელს და მის პროფესიონალიზმს ენიჭება. მასწავლებელს შეუძლია სწავლების სხვადასხვა მეთოდისა და სტრატეგიის გამოყენება თითოეული მოსწავლის ეფექტიანი სწავლისა და წინსვლისათვის“ [1,6].

სწორედ ამიტომ, ხშირად უპირისპირებენ ერთმანეთს ტრადიციულ და თანამედროვე პედაგოგიკას. ამ შემთხვევაში ლაპარაკია სასწავლო პროცესის და მისი მონაწილეების ფუნქციათა განსხვავებაზე. დღეს შეიცვალა სკოლის მიზანი-ცოდნის მზა სახით მიწოდებაზე უფრო მნიშვნელოვანია ინფორმაციის ნაკადში მოსწავლის დამოუკიდებლად ორიენტირების და შემოქმედებითი უნარის განვითარება, ხოლო შემოქმედებითი უნარის განვითარებისათვის აუცილებელია მოსწავლეს აინტერესებდეს სწავლის პროცესი, იყოს აქტიური და თავისუფალი. ამიტომ, თანამედროვე პედაგოგიკაში დიდი ადგილი უჭირავს მომავალზე ორიენტირებული ინტერაქტიული სწავლების პრინციპებს, ანუ იმ სწავლებისა, რომლის დროსაც მოსწავლე და მასწავლებელი თანამშრომლობს ერთმანეთთან.

Social responsibility of a higher education institution should be understood as a specific strategy for managing it, according to which the institution voluntarily takes into account social interests, environmental aspects or relationships with various stakeholder groups, particularly with employees (both academic teachers and administrative staff), students and learners. Being socially responsible means investing in human resources, environmental protection, relationships with the university environment and informing about these activities, which contributes to increasing the recognition and importance of university's role in the local environment, as well as shaping conditions for sustainable social development. Social responsibility of higher education institutions covers such areas as: activities for the benefit of the local community, pro-ecological activities, social campaigns, social reports, programmes for employees, employee volunteering, management systems and labelling of 'products' (all work forms produced by the school community which 'leave' it and create the corporate image of the university will be treated as products).

Examples of socially responsible activities carried out by the academic community (including universities) may be, for example:

- Activities for the benefit of the local community – projects for the benefit of the environment in which the university operates. They take the form of: activities consisting in supporting local institutions and people (e.g. organization of competitions, tournaments, organization of charity actions – e.g. collecti-

³⁷ J. Didier, *Słownik filozofii*, wyd. „Książnica”, Katowice, 2006, s. 243–244.

³⁸ R. Wojciechowska, *Zachowania etyczne a problem efektywności w ekonomii*, <http://www.ue.katowice.pl/fileadmin/_migrated/content_uploads/22_R.Wojciechowska_Zachowania_etyczne....pdf> (dostęp: 04.02.2023).

ons for social welfare homes or animal shelters). An example of social activity for the benefit of the local environment, conducted by the higher education institution – University of Economy in Bydgoszcz are nurseries and kindergartens operating on the campus of the university in Bydgoszcz, where children of students, university employees, but above all, the local residents find care. These facilities are illustrated in the pictures below.

Another example of university's activity for the benefit of the local community are the Day Care Homes run by the higher education institution – the University of Economy in Bydgoszcz, day care facilities for the elderly, the dependent and the disabled. These facilities include daily care, providing therapeutic and rehabilitation classes, psychological and medical care and full board for people from the immediate vicinity of the university, as well as relatives of students and university employees. Illustrative photos of the facilities are given below.

- Pro-ecological activities – activities aimed at environmental protection, investments minimizing the impact on the environment. These include such initiatives as: the implementation of environmental policy, sustainable management of raw materials, waste segregation as well as environmental education at school. The activities of the university concerning this area include: collection of caps, collection of used medicine or used batteries, promotion of waste segregation on the university campus through the use of various types of waste containers, but also the use of ecological promotional gadgets of the university, such as eco-notebooks, eco-paper, eco-pens, etc., promotion of drinking mineral water, minimizing the use of plastic cups or PET bottles in the school or institution, as well as the common concern for saving electricity in the school by turning off the light when it is not needed, optimal management of heating energy. Recently, the use of photovoltaic panels on the roofs of schools has become more common. An example of pro-ecological activities carried out by a university is the municipal beekeeping, conducted on the roof of the sports hall on the campus of the University of Economy in Bydgoszcz (photo below).

- Social campaigns – enable universities to influence the attitudes of society through local media and social media. Such campaigns are aimed at helping those in need (e.g. organizing collections for social purposes, participation of the school community in social campaigns, e.g. 'Do not waste food', 'Do not harm animals', etc.) or increasing public awareness regarding a specific topic. Ideally, if the school can fit into an action thematically related to the fields of studies (e.g. a university educating in the fields of law implements a social campaign in this field of knowledge – popularization and compliance with the law, a university educating IT specialists engages itself in a security campaign on the Internet, universities educating in the field of zootechnics or veterinary medicine join the social campaign to help and protect animals, medical universities, on the other hand, join the campaign promoting a healthy lifestyle or preventive medical examinations). An interesting and original idea for a social campaign is, for example, the active involvement of the university educating in the field of dietetics or sociology in the food sharing campaign³⁹. Such a university could successfully organize and run a simple canteen for the local community on its grounds (campus). Such a solution was used by the University of Economy in Bydgoszcz in 2017. Naturally, the canteen could be run by any other university that would only wish to do it.

Another example of a social campaign conducted by a university may be the promotion of motherhood or other activities for the promotion of parenthood. Universities that have created so-called rooms for mothers with children on their campuses can boast about this. The photograph below shows a bench for a nursing mother, located on the campus of the University of Economy in Bydgoszcz.

- Programs for employees – investments in employee development through programmes improving employee qualifications (courses, trainings, studies, doctoral studies, MBA studies). They have always taken place at universities – academic teachers are one of the best qualified professional groups that con-

³⁹ Foodsharing jest ideą dzielenia się jedzeniem, która w Polsce funkcjonuje od 2016 roku.

stantly improve their qualifications and competences. In addition, a university as a socially responsible employer can and should introduce programmes for its employees, including the ones in the field of integration programmes, social programmes (often providing loans), recently increasingly popular programmes of the so-called health packages, internal training programs for employees (one academic teacher teaches other teachers, e.g. English, computer classes) or general development activities for employees (e.g. sports and movement classes: yoga, zumba, fitness for school employees or institutions run by physical education teachers-trainers). All of them are aimed at raising the self-esteem of employees and building their relationships with the employer – the university. An example of activities for university employees is a gym and places for physical activity and individual and family recreation organized on the campus of the university in Bydgoszcz, which is illustrated in the photographs below.

- Social reports – each university, implementing numerous research projects and conducting scientific research, creates a lot of reporting documents, illustrating the state of various areas of social life in its various contexts. Most of them have an incredible scientific and cognitive value. Therefore, it is worth publishing these studies on university's website. If the local community gets used to the fact that interesting and valuable studies are successively published on university's websites, they will certainly visit the websites more often, get acquainted with the daily activities of the university, becoming its 'ambassadors' in the region. The university itself will thus accomplish one of the missions for which it was established, that is popularization of science and sharing of knowledge.
- Management systems – university authorities should look for opportunities to implement proven, transparent and effective management systems, e.g. already discussed ISO systems or Social Accountability SA 8000 (social responsibility management system).
- Employee volunteering – consists in voluntary work (e.g. performing specific jobs, allocating a certain number of working hours) of university or institution employees for pro-social initiatives (institutions, organizations, actions), e.g. university employees joining such actions as 'Noble Box', 'Great Orchestra of Christmas Charity' or 'Grosz Mountain', etc. Another good example are the activities carried out socially by university employees for the benefit of the elderly, e.g. within the structures of the University of the Third Age⁴⁰. This way, academic staff carry out the mission of sharing knowledge as part of the so-called dissemination of science. An example of employee volunteering at a university is the activity of employees of the University of Economy in Bydgoszcz, who have been organizing a Christmas Eve meeting for poor and lonely residents living in the vicinity of the university campus in Bydgoszcz for several years, which is illustrated in the photo below.
- Labelling 'products' – consists in informing stakeholders about your activities. Product labelling distinguishes them from those available on the market and allows customers to make conscious choices. How to apply this mechanism in the context of universities? Everything that 'leaves' the university and goes outside should be equally marked and signed with information about the institution from which it comes – whether it is a Christmas greeting card, a student award, a letter to another institution, or advertising and promotional materials. Any person who comes into contact with this product, should immediately associate it with this institution, and these associations are to be as positive as possible (examples below).

The implementation of activities related to social responsibility of higher education institutions has many goals. They are both connected with the university image itself and related to building its position and brand awareness in the local community, as well as didactic and educational goals, understood in

⁴⁰ Ziółkowski P., *Student 50+*, wyd. WSG, Bydgoszcz 2013.

this case as shaping students' appropriate attitudes and beliefs and providing training concerning various social issues.

Benefits of introducing a system of social responsibility at a higher education institution include:

- increase in the level of culture and safety at work;
- reducing the negative impact of institutions on the environment;
- implementation of social goals that cannot be achieved without business support;
- involvement of partners and stakeholders in the environmental responsibility chain and initiating joint pro-social activities;
- promoting pro-social ideas;
- high culture of institutions;
- easier penetration in the mass media;
- building the image of a friendly, necessary, twenty-first century institution;
- sensitising internal and external stakeholders to social issues;
- enabling students to gain new experiences;
- shaping the right educational attitudes by deeds, not by words.

Research by the Institute for Research on Democracy and Private Enterprise shows that institutions applying CSR principles benefit economically compared to other enterprises, mainly because they have higher current liquidity; make better use of fixed assets and human capital; have higher return on sales; invest more if counted per an employee. Therefore, it can be confidently stated that a university that implements mechanisms of social responsibility of the organization will also benefit measurably.

It is also worth noting here that the institutions described and illustrated above, run by and located on the campus of the University of Economy in Bydgoszcz, such as: nurseries, kindergartens, Day Care Homes, are also a place of practice and implementation of practical activities for students, a place where academic staff can conduct scientific research, or finally a place where, under professional care, university employees can leave their relatives (children, seniors) during their professional work or students participating in their classes.

In CSR, social and economic considerations must be balanced, even if this does not bring short-term benefits. It is especially important as the reputation of institutions very often depends on a wise CSR policy. Just calling yourself a CSR company will not make it as such and it will not automatically bring a lot of benefits. It can be even worse when an institution is 'caught' on discrepancies between declarations and deeds – lost reputation can cost the institution a lot, so it is worth taking it into account. Unfortunately, this often happens in case of universities, which indicate pro-ecological activities in their missions and in practice do not segregate rubbish, radiators in the rooms remain turned up to maximum settings when the windows are open on warm spring days or the light is left on in the lecture hall during breaks. It may be similar in a situation where the university publicizes its pro-health activities, and at each break several dozen students go out to smoke. 'Reputation is a resource that can generate future profits because it is an assessment of the value of an institution made by the external environment. It is therefore an important factor in strengthening or weakening the effectiveness of institutions. Basically, we can distinguish two dimensions concerning reputation:

- recognition, i.e. the degree of identification of the institution's activity with itself;
- credibility, that is, the quality of opinions about the institution among those who know it.⁴¹

The main objective of implementing university's social strategy is to improve the institution's management system by combining activities related to the economic, social, ethical and environmental dimen-

⁴¹ A. Paliwoda-Matiolańska, *Odpowiedzialność społeczna w procesie zarządzania przedsiębiorstwem*, wyd. C.H. Beck, Warszawa 2009, s. 179.

sions of this system and the relationships with the institution's environment. Such a view on efficiency imposes working on building coherence between managing the internal and external environment of the university. In practice, this means creating a policy of social responsibility, not only for the needs of the external environment of the organization, but also for its internal structures. Therefore, it must be assumed that the social responsibility of the school begins inside it.⁴²

Summary

The authors of the above publication take up the significantly important up-to-date issue of social responsibility and engagement of the higher education institution. Social responsibility declaration, signed in 2019 by many universities in Poland and initiated numerous EU programmes concerning implementation and promotion of the idea of the so called 'third mission of the university', including its social engagement, became an inspiration and the course of action for the academic environment in Poland.

Social responsibility of a higher education institution means that a university, even at the stage of constructing its mission and strategy, voluntarily takes into account social interests, environmental protection and relationships with a vast social forum. The university is to help identify opportunities and possibilities, support the dialogue and engage various groups of stakeholders, increase efficiency and effectiveness of the carried out activities concerning education and research by performing the so-called 'third mission of the university'. Not only do social responsibility programmes at the university aim at propagating and disseminating knowledge and scientific research but also at developing the cognitive curiosity and integrating local community with academic centres. They are to provide equal educational opportunities and reach these parts of the country where academic and research activity has not existed before.

The notions of function and mission of the university, local community, engagement and social responsibility were defined in the text basing on the examples of activities performed by one of the biggest Polish non-public universities – the University of Economy in Bydgoszcz. This university has been consistently performing tasks and mission related to social and responsible engagement for the sake of local community, which was presented in this article.

Key words: higher education institution, university, social responsibility, entrepreneurial and engaged university

⁴² R.N. Knowles, *Self Organising Leadership: Transparency and Trust*, [w] *Managements models for Corporate Social Responsibility*, (red.) J. Jonker, M. Witte, Berlin-Heidelberg 2006.

ფილიპ სიკორა
ასისტენტ-პროფესორი

პრემისლავ ზიოლკოვსკი
ასისტენტ-პროფესორი
ბიდგოშის ეკონომიკის უნივერსიტეტი

უმაღლესი განათლების ინსტიტუტების (უნივერსიტეტი) შეცნობა (აღქმა) როგორც სოციალური პასუხისმგებლობა და დაქირავებული ორგანიზაციები

რეზიუმე

პუბლიკაციის ავტორები ეხებიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სოციალური პასუხისმგებლობისა და ჩართულობის მნიშვნელოვან თანამედროვე საკითხს. სოციალური პასუხისმგებლობის დეკლარაცია, რომელსაც ხელი მოაწერა 2019 წელს პოლონეთის ბევრმა უნივერსიტეტმა და წამოიწყო ევროკავშირის მრავალი პროგრამა ე.წ. „უნივერსიტეტის მესამე მისიის“ იდეის განხორციელებასა და პოპულარიზაციაზე, მათ შორის მის სოციალურ ჩართულობაზე, გახდა შთაგონება და მოქმედების კურსი აკადემიური გარემოსთვის პოლონეთში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სოციალური პასუხისმგებლობა ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი, მისი მისიისა და სტრატეგიის აგების ეტაპზეც კი, ნებაყოფლობით ითვალისწინებს სოციალურ ინტერესებს, გარემოს დაცვას და ურთიერთობებს ფართო სოციალურ ფორუმთან. უნივერსიტეტი უნდა დაეხმაროს შესაძლებლობებისა და საშუალებების იდენტიფიცირებას, დიალოგის მხარდაჭერას და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფების ჩართვას, განათლებისა და კვლევის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების ეფექტურობისა და ეფექტურობის გაზრდას ე.წ. „უნივერსიტეტის მესამე მისიის“ შესრულებით. უნივერსიტეტში სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამები არა მხოლოდ მიზნად ისახავს ცოდნისა და სამეცნიერო კვლევების გავრცელებას, არამედ კოგნიტური ცნობისმოყვარეობის განვითარებას და ადგილობრივი საზოგადოების აკადემიურ ცენტრებთან ინტეგრირებას. მათ უნდა უზრუნველყონ თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობები და მიაღწიონ ქვეყნის იმ ნაწილებში, სადაც აკადემიური და კვლევითი საქმიანობა აქამდე არ არსებობდა.

უნივერსიტეტის ფუნქციისა და მისიის, ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობისა და სოციალური პასუხისმგებლობის ცნებები ტექსტში განისაზღვრა ერთ-ერთი უდიდესი პოლონური არასაჯარო უნივერსიტეტის - ბიდგოშის ეკონომიკის უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მაგალითებზე დაყრდნობით. ეს უნივერსიტეტი თანმიმდევრულად ასრულებდა დავალებებს და მისიას, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ და პასუხისმგებლობით ჩართულობასთან ადგილობრივი საზოგადოებისთვის, რაც წარმოდგენილი იყო ამ სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, უნივერსიტეტი, სოციალური პასუხისმგებლობა, სამეწარმეო და ჩართული უნივერსიტეტი

Bibliography Books:

- Augustyniak J., Oczekiwania młodzieży wobec współczesnej szkoły, [w] „Szkoła – Zawód – Praca” 2017, nr 14.
- Błahut G., Szkoła jako „miejsce” w przestrzeni społeczności lokalnej w wzajemne oczekiwania – perspektywa antropologiczna, T. 64 (2014).
- Butarewicz-Głowacka A., Walewska M., Współpraca białostockich podmiotów środowiska lokalnego z placówkami edukacyjnymi, [w] A. Harbatska, E. Krysztofik-Gogol (red.), Edukacja w perspektywie wyzwan współczesności, wyd. Adam Marszałek, Torun 2016.
- Brzezińska A., Szkoła twórcza – autorskie klasy, programy, nauczyciele, [w] „Kwartalnik Pedagogiczny”, 1995, nr 5.
- Dejnarrowicz W., Sytuacje i procesy wychowawcze w klasie szkolnej, Warszawa 1994.
- Didier J., Słownik filozofii, wyd. „Książnica”, Katowice, 2006.
- Gerc K., Rola nauczyciela w odkrywaniu świata wartości i kształtowaniu postaw uczniów, „Hejnał Oświatowy” 2017, nr 4.
- Goźlińska E., Szlosek F., Podręczny słownik nauczyciela kształcenia zawodowego, wyd. Instytutu Technologii Eksploatacji, Radom 1997.
- Hernik K., Malinowska K., Jak skutecznie współpracować i komunikować się z rodzicami i społecznością lokalną, Warszawa 2015.
- Jakóbowski J., Stan założony i rzeczywisty przemian w pracy nauczyciela i szkoły, wyd. Wyższej Szkoły Pedagogicznej, Bydgoszcz 1999.
- Jas K., Środowisko lokalne jako czynnik kształtowania się tożsamości osób w wieku późnej dorosłości na przykładzie Śląska Cieszyńskiego, [w] „Edukacja Międzykulturowa” 2018, nr 2.
- Juszcak J., Środowisko lokalne miejscem wsparcia i rozwoju osób z niepełnosprawnością intelektualną oraz ludzi starszych, [w] M. Halicka, J. Halicki, K. Czykier (red.), Niepełnosprawność: poznać, przeżyć, zrozumieć, wyd. Uniwersytetu Białostockiego, Białystok 2016.
- Karkowska M., Socjologia wychowania: mechanizmy socjalizacji i edukacja szkolna, wyd. Wyższej szkoły Humanistyczno-Ekonomicznej, Łódź 2007.
- Kawula S., Pedagogika społeczna. Dzisiaj i jutro, wyd. Akapit, Torun 2012.
- Knowles R.N., Self Organising Leadership: Transparency and Trust, [w:] Managements models for Corporate Social Responsibility, (red.) J. Jonker, M. Witte, Berlin-Heidelberg 2006.
- Konarzewski K., Szkoła nauczania – Szkoła, wyd. PWN, Warszawa 1995.
- Kożuch B., Kooperatywne zachowania organizacji publicznych, [w] P. Plawgo W. Zaremba (red.), Partnerskie współdziałanie w sektorze publicznym i prywatnym, Wydawnictwo Fundacji „Współczesne Zarządzanie”, Białystok 2005.
- Lewenstein B., Nowy paradygmat rozwoju układów lokalnych – w stronę obywatelskiej wizji społeczności lokalnych, wyd. Instytutu Filozofii i Socjologii Polskiej Akademii Nauk, Warszawa 2006.
- Łobocki M., W trosce o wychowanie w szkole, wyd. Impuls, Kraków 2007.

- Matyjas B., Lokalna i globalna przestrzeń życia dzieci i młodzieży w środowisku wiejskim, [w] „Kultura – Historia – Globalizacja” 2020, nr 13.
- Nowosad I., Kopaczyńska I., Funkcje szkoły w kalejdoskopie dyskursu prasowego, [w] M.J. Szyman-ski, B. Walasek-Jarosz, Z. Zbróg (red.), Zrozumieć szkole. Konteksty zmian, wyd. Akademii Pedago-giki Specjalnej, Warszawa 2016.
- Okoń W., Wszystko o wychowaniu, wyd. Zak, Warszawa 1999.
- Osak K., Ziółkowski P., Regionalna Sieć Uniwersytetów Trzeciego Wieku Wyższej Szkoły Gospo-darki 2007-2017, wyd. WSG, Bydgoszcz 2017.
- Paliwoda-Matiolańska A., Odpowiedzialność społeczna w procesie zarządzania przedsiębiorstwem, Wydawnictwo C.H. Beck, Warszawa 2009.
- Pawelska-Skrzypek G., Partnerstwo w realizowaniu projektów, [w] G. Pawelska-Skrzypek (red.), Rozwój przez partnerstwo, wyd. Uniwersytetu Jagiellońskiego, Kraków 2002.
- Parzęcki R., Nauczyciel w procesie zmian w edukacji, [w] R. Parzęcki (red.), Dyskusja o nauczyci-elu, Włocławek 2003.
- Pilch T., Środowisko lokalne – struktura, funkcje, przemiany, [w] T. Pilch, I. Lepalczyk (red.), Ped-agogika społeczna, Wydawnictwo Zak, Warszawa 1993.
- Przeclawska A., Przestrzeń życia człowieka – między perspektywą mikro a makro, [w] A. Przeclawska, W. Theiss (red.), Pedagogika społeczna. Pytania o XXI wiek, wyd. Zak, Warszawa 1999.
- Schulz R., Szkoła – instytucja, system, rozwój, Wydawnictwo Edytor, Łódź 1992.
- Starosta P., Poza metropolia. Wiejskie i malomiasteczkowe zbiorowości lokalne a wzory porządku makrospołecznego, wyd. Uniwersytetu Łódzkiego, Łódź 1995.
- Szempruch J., Współpraca nauczyciela z rodzicami i środowiskiem lokalnym w zakresie profilaktyki uzależnień, [w] O. Zamecka-Zalas, I. Kiełtyk-Zaborowska (red.), Obraz rodziny i szkoły w ujęciu interdyscyplinarnym, wyd. Uniwersytet Jana Kochanowskiego, Kielce 2016.
- Theiss W., Mała ojczyzna: perspektywa edukacyjna – użyteczna, [w] W. Theiss (red.), Mała ojczyz-na. Kultura. Edukacja. Rozwój lokalny, wyd. Zak, Warszawa 2001.
- Winiarski M., Przemiany lokalnego środowiska życia jako wyzwanie dla pedagogów społecznych, [w:] B. Kromolicka (red.), Pedagog społeczny w meandrach środowiska lokalnego, wyd. Uniwer-sytetu Szczecińskiego, Szczecin 2008.
- Ziółkowski P., Pedeutologia – zarys problematyki, wyd. WSG, Bydgoszcz 2016.
- Ziółkowski P., Uniwersytet dla dzieci. Uniwersytet Dziecięcy WSG jako przykład innowacji peda-gogicznej na rzecz rozwoju twórczości i kreatywności dziecięcej, wyd. WSG, Bydgoszcz 2016.
- Ziółkowski P., Student 50+, wyd. WSG, Bydgoszcz 2013.
- Ziółkowski P., Szkoła jako instytucja ucząca się, społecznie odpowiedzialna i zaangażowana, działa-jaca w modelu Lokalnego Ośrodka Wiedzy i Edukacji, wyd. WSG, Bydgoszcz 2022.

Internet sources:

- Jak uczyć o społecznej odpowiedzialności i zrównoważonym rozwoju – przewodnik dla nauczycieli, Forum Odpowiedzialnego Biznesu, Warszawa 2011, www.mg.gov.pl/files/upload10899/podrecznik_educacja.pdf
- Wpływ społecznej odpowiedzialności biznesu i etyki biznesu na zarządzanie przedsiębiorstwami, IBnDiPP, EQUAL, 2007, praca zbiorowa pod red. P. Kulawczyka i A. Poszewskiego, dostępna http://www.iped.pl/publikacje/podrecznik_zfp_2007.pdf
- Wojciechowska R., Zachowania etyczne a problem efektywności w ekonomii, <http://www.ue.katowice.pl/fileadmin/_migrated/content_uploads/22_R.Wojciechowska_Zachowania_etyczne....pdf>
- www.mg.gov.pl/node/10892

საუნივერსიტეტო განათლება თანამედროვე გამოწვევების პირისპირ

თანამედროვე სამყარომ მყარად აიღო გეზი ცოდნის საზოგადოების მშენებლობისკენ, რაც ცოდნის ეკონომიკის საფუძვლად უნდა იქცეს. ამ სტრატეგიაში გადამწყვეტი სიტყვა უმაღლეს განათლებას და მეცნიერებას ეკუთვნის. სწორედ ამას ემსახურება ბოლონის პროცესის ფარგლებში მიმდინარე რეფორმებიც.

მართალია ჩვენი ქვეყანა, კვლავაც განვითარებად სახელმწიფოთა რიგშია, მაგრამ უმაღლეს განათლებაში რეფორმების დაწყებიდან საკმაოდ დრო გავიდა იმისთვის, რომ უფრო მაღალი შედეგებისთვის მიგვეღწია და ნაკლები პრობლემები გვექონოდა, რაც აფერხებს არა მხოლოდ უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებას, არამედ უარყოფითად აისახება ქვეყნის წინსვლაზეც. უმაღლეს განათლებაში არსებული დილემები ეხება, როგორც პედაგოგიურ პროცესს, ისე განათლების მენეჯმენტს.

მსოფლიოში მიმდინარე გამოწვევების შესაბამისად, საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ ჩამოყალიბებულია უმაღლესი განათლების მისია და მიზან-ამოცანები, რაც ცალკეული უნივერსიტეტების სტრატეგიულ ამოცანებში არის ასახული. იმის მიუხედავად, რომ უმაღლესი განათლების წინაშე არსებული ამოცანები მრავალმხრივია, შესაძლებელია ისინი სამ სტრატეგიულ მიმართულებად წარმოვიდგინოთ, ესენია: **ღირებულებებზე ზრუნვა, სწავლება-სწავლა და კვლევა**. ამჯერად ჩვენი დაკვირვების საგანი სწავლება-სწავლაა. ანუ თუ რამდენად ასრულებს ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემა პიროვნული პოტენციალის რეალიზებას, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადებას, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას (1, მუხლი 3).

თანამედროვე უნივერსიტეტები სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის დიდაქტიკური კონცეფციის საფუძვლად სწავლების პარადიგმის ცვლილებას მიიჩნევენ, რაც სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას გულისხმობს. ახალი პარადიგმის ფარგლებში სტუდენტი სწავლის ობიექტიდან სწავლის სუბიექტად იქცევა. იგი გადაცემული ცოდნის მხოლოდ მიმღები არ არის, არამედ ცოდნის მომპოვებელიცაა, რასაც ლექტორთან თანამშრომლობის გზით აღწევს. ეს ძალიან კარგია და უფრო მეტიც, ზოგიერთი ქართული უნივერსიტეტი უფრო შორს წავიდა და სტუდენტთა საჭიროებებსაც მოერგო. მაგალითად, საქართველოს ეროვნულმა უნივერსიტეტმა (სეუ) სტუდენტებს მისცა შესაძლებლობა თავად აირჩიონ ლექცია-სემინარების, შუალედური და დასკვნითი გამოცდების დღეები და საათები. ამასთან ერთად, რაიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებს შეუძლიათ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე სხვა უნივერსიტეტების საგამოცდო ცენტრებში ჩააბარონ შუალედური და დასკვნითი გამოცდები. სწორედ ასეთი მიდგომა უნდა იქცეს სასწავლო მენეჯმენტის ინოვაციურ გამოვლინებად, რაც სტუდენტის საჭიროებებზე ზრუნვაში გამოიხატება.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე პარადიგმა განაპირობებს სტუდენტთა მაღალ ჩართულობას სწავლება-სწავლის პროცესში. თუმცა, იმის აღიარება, რომ მხოლოდ სტუდენტზე უნდა იყოს ორიენტირებული სწავლება, ყველა პრობლემას ვერ გადაწყვეტს. აქ გასათვალისწინებელია თანამედროვე მეცნიერებისთვის დამახასიათებელი განვითარების მაღალი ტემპი, რაც შესაბამისად აისახება საგანმანათლებლო სტანდარტებში და განსაზღვრავს სწავლება/სწავლის პროცესს. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის სტრატეგიულ ამოცანად უნდა იქცეს არა მარტო სტუდენტზე ორიენტირებულობა, არამედ საზოგადოებრივ პროგრესზე ორიენტირებულობა, რაც არა თუ ენი-

ნააღმდეგება ერთმანეთს, არამედ ავსებს კიდევ ურთიერთს. ამიტომ სწავლების შინაარსი- საგანმანათლებლო პროგრამა იმგვარად უნდა აიგოს, რომ მან სათანადოდ უზასუხოს, როგორც სტუდენტის ინტერესებს, ისე საზოგადოებრივ პროგრესს და ზოგადად განვითარებას. ამოცანა მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიჭრება, როცა სწავლების შინაარსის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი საზოგადოებრივი პროგრესი იქნება, ხოლო სასწავლო პროცესი, სტუდენტის უნარებზე და ცოდნაზე იქნება ორიენტირებული. საგანმანათლებლო სტრატეგიის მთავარი ვექტორი საზოგადოებრივი პროგრესის შესატყვისი ცოდნის საფუძველზე სპეციალისტთა მომზადებაა, რაც პიროვნული და საზოგადოებრივი ცხოვრების თანამდევ პრობლემების გადაჭრასაც გულისხმობს. ამდენად, სწავლების (შინაარსის ფორმირება, სასწავლო პროცესი) სტრატეგია მაშინ შეასრულებს მთავარ ამოცანას, როცა იგი ორიენტირებული იქნება, როგორც სტუდენტზე, ისე საზოგადოებრივ პროგრესზე.

სასწავლო მენეჯმენტის განხორციელების ქმედითი საშუალება სასწავლო კურსის სილაბუსია, რომლის შემოღება ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში წინგადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ იმასაც ვერ ავუვლით გვერდს, რომ სილაბუსის შედგენის სტანდარტები ხშირად არ შეესაბამება რეალობას. მხედველობაში გვაქვს ჩვენი სილაბუსების მეტისმეტი ფორმალისება. ამის საილუსტრაციოდ იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ სააკრედიტაციო სტრუქტურები სასწავლო კურსის სწავლების შედეგების ჩამოსაყალიბებლად გამოსაყენებელ ზმნებსაც კი გვთავაზობენ. ჩვენ, ლექტორებს იმის უფლება არ გვაქვს, შემოთავაზებული ზმნა ანმყოფად მომავალ დროში გადავიყვანოთ. სილაბუსზე მუშაობა რაღაც საკრალურ ტექსტთან მიეახლებას დაემსგავსა, რაც სასწავლო პროცესის არც ერთი მხარისთვის არ არის სარგებლობის მომტანი.

სილაბუსის შედგენის მეტისმეტი ფორმალისება გარკვეულწილად ზღუდავს აკადემიური პერსონალის შემოქმედებით თავისუფლებას. სასურველ შედეგებს ვერ მივალწევთ მათი ერთ ყალიბში მოქცევით. რასაკვირველია, საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსის სილაბუსები ზოგადი სტანდარტის ფარგლებში უნდა იყოს მოქცეული, სწორედ ამისთვის არსებობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოც, რათა შეფასდეს მათი აკარგიანობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სილაბუსები ტყუპის ცალივით გავდეს ერთმანეთს. ხშირად ისეთი შთაბეჭდილებაც რჩება, თითქოს ყველა სილაბუსი ერთი ადამიანის შედგენილი იყოს. ამ მიმართებით სასურველია მეტი თავისუფლება მიენიჭოს პროფესორებს. მართალია, სილაბუსი უნიფიცირებულ ნორმებს უნდა პასუხობდეს, მაგრამ მასში ლექტორის ინდივიდუალური სახეც უნდა ჩანდეს, რათა სტუდენტმა მოახერხოს მათი მუშაობის განმასხვავებელი შტრიხების აღმოჩენა და ამის საფუძველზე გადანყვიტოს რომელ პროფესორთან ისწავლოს ესა თუ ის საგანი. სწორედ ასეთი მიდგომა შეესაბამება უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების სულისკვეთებას.

სასწავლო კურსის სილაბუსთან დაკავშირებული საკითხების გადანყვეტა არ არის რთული, მაგრამ მდგომარეობა არ იცვლება. აქედან გამომდინარე, ნებსით თუ უნებლიეთ, ნაწილობრივ იზღუდება უნივერსიტეტების დიდი ქარტიის ფუძემდებლური პრინციპები - აკადემიური თავისუფლება და არჩევანის თავისუფლება. თუ უფრო შორს წავალთ, იმის თქმაც შეიძლება, რომ უმაღლეს სასწავლებლებს არც არჩევანის თავისუფლება აქვს აბიტურიენტების შერჩევის პროცესში და არც აკადემიური თავისუფლება მისაღები გამოცდების ფორმისა და შინაარსის განსაზღვრაში. ამ ფუნქციებს გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი ასრულებს, რომელიც ხელმძღვანელობს საერთო ეროვნულ გამოცდებს. თუმცა, ჩვენის აზრით, მან უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები. აღნიშნულის შემოღება განსაზღვრულ ეტაპზე სჭირო იყო და პოზიტიური როლიც შეასრულა მთელი რიგი მიმართულებით, მაგრამ დღეს საჭიროა უფრო მოქნილ სისტემაზე გადავიდეთ.

როცა სწავლის ხარისხზე ვსაუბრობთ, ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ კიდევ ერთ მანკიერებას, რომელმაც ჩვენს უნივერსიტეტში მოიკიდა ფეხი. ეს ეხება სასწავლო მენეჯმენტს, კერძოდ, სწავლის დაწყებას - პირველკურსელთა პირველ დღეს უნივერსიტეტში. ყველას კარგად მოეხსენება, რომ კარგი სტარტი წარმატების წინაპირობაა. ამ მხრივ ყველაფერი კარგად კეთდება? ვეჭვობ რომ არა.

დღეს სტუდენტის ინფორმირება სრულად მინდობილი აქვს უნივერსიტეტის ვებ-გვერდებს და სხვა საინფორმაციო პლატფორმებს. ცხადია, ამას ბევრი დადებითი მხარე აქვს, მაგრამ პირველკურსელისთვის სწავლის დაწყების პირველ დღეს მაინც სხვა დატვირთვა აქვს. ადამიანურ ურთიერთობას ვერანაირი საინფორმაციო ტექნოლოგია ვერ შეცვლის. სტუდენტობის პირველი დღე ნებისმიერი ახალგაზრდისთვის დაუფინყარი უნდა იყოს. საიტზე გამოქვეყნებული მეცადინეობის ცხრილით კი არ უნდა იკვლევდეს გზას პირველკურსელი სტუდენტური ცხოვრების დიდ გზაზე, არამედ მისი პირველი მეგზური უნდა იყოს ფაკულტეტის ხელძღვანელები, და რაც მთავარია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელძღვანელი, რომელიც უნდა აკვალიანებდეს პირველკურსელს უნივერსიტეტის მისიის, მოცემული პროგრამის თავისებურებებზე, სასწავლო რესურსებზე, პროფესიულ კარიერაზე და საუნივერსიტეტო ცხოვრების სხვადასხვა მიმართულებაზე. თუმცა, ამის ნაცვალად, უმრავლეს უნივერსიტეტში, სასწავლო წლის პირველი დღე იწყება მილოცვით, რაც ძალიან კარგია, მაგრამ სწავლის მოტივაციისთვის არ არის საკმარისი. შემდეგ ამას მოსდევს დადგენილი სასწავლო ცხრილის მიხედვით ლექცია-სემინარები, რაც სტუდენტთა არც თუ მცირე ნაწილისთვის, სულ მალე, პირდაპირ რუტინად იქცევა. სწორედ ასეთი დამოკიდებულება განაპირობებს სტუდენტის გულაცრუებას სწავლისადმი. გამართული სასწავლო მენეჯმენტის პირობებში, უსდ-ში არამოტივირებული სტუდენტების დაინტერესებაც არის შესაძლებელი და სამწუხაროდ, პირიქით, ახალბედა სტუდენტისთვის მოლოდინის გაცრუებაც, რასაც სწავლის მიმართ ინტერესის დაკარგვა მოსდევს.

სწავლების ცხოვრებასთან კავშირი რომ უალტერნატივოა, ამის თაობაზე დიდი ხანია მოგვიწოდებენ დიდაქტიკის კლასიკოსები. მაგრამ საგანმანათლებლო პროგრამების შედგენისას ამას ყოველთვის არ ვითვალისწინებთ. სწორედ ამასვე ადასტურებს ჩვენი ბიზნესსექტორის წარმომადგენელთა გამოკითხვა, რამაც ცხადყო, რომ მათი მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების ფორმირებაში მინიმალურია (10 %). გამოკითხული დამსაქმებლები უჩივიან კურსდამთავრებულთა მომზადების დონესაც. მათი აზრით, სასწავლო პროგრამები ზედმეტად თეორეტიზირებულია და ხელს არ უწყობს საკვალიფიკაციო უნარების განვითარებას.

სწავლების ხარისხთან დაკავშირებით ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში კიდევ ერთმა მანკიერებამ მოიკიდა ფეხი. დაფინანსების არსებული წესის თანახმად, სწავლის გადასახადი, რომელსაც სტუდენტი იხდის, უნივერსიტეტის ფინანსირების მთავარი წყაროა. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტიც და პროფესორიც ფინანსურად სტუდენტზეა დამოკიდებული. სწავლისადმი არამოტივირებული სტუდენტი, ასეთი კი სამწუხაროდ ბევრია, არსებულ მდგომარეობას გაუცნობიერებლად „იყენებს“ და ზარმაცობს, მას სჯერა, რომ ფულის შემომტან სტუდენტს სტატუსს არ შეუჩიერებენ და დადებით ნიშანს როგორღაც დაუნერენ.

დაფინანსებასთანაც დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ არსებული საგრანტო სისტემა რომ სრულყოფილი არაა. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასური 2250 ლარია, ხოლო კერძო სასწავლებლებში ძირითადად ფასი მერყეობს 3000-დან 5000 ლარამდე. მძიმე სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ბოლო წლებში კერძო სასწავლებლებიც ამცირებენ სწავლის გადასახადს. ზოგმა კერძო უნივერსიტეტმა კონკურენციის გამო, გადასახადი სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში დადგენილ გადასახადს მაქსიმალურად მიუახლოვა. ერთი შეხედვით ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ თუ იმას გავიაზრებთ, რომ ერთი კრედიტის საფასური სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში 30-35 ლარია, ხოლო ზოგიერთ კერძო სასწავლებელში 70 ლარსაც აღწევს. ფაქტიურად სახეზე გვაქვს მინიმალურ და მაქსიმალურ ტარიფებს შორის უზარმაზარი გრადაცია, რაც დაუსაბუთებელია. ხოლო ამის ახსნა საბაზრო პირობებით საერთოდ წარმოუდგენელია.

აბიტურიენტთა მოსაზიდად კონკურენტულ ბრძოლაში ჩვენი უნივერსიტეტები სწავლების ხარისხის საზიანო ნაბიჯებზეც არ იხვევენ უკან. მხედველობაში გვაქვს ეროვნული გამოცდების შედეგად დასაძლევნი ერთობ დაბალი ზღვარი, რომლის საფუძველზეც აბიტურიენტი ირიცხება კონკრეტულ უსდ-ში.

ქართული უმაღლესი სასწავლებლები სათანადოდ არ იკვლევენ შრომის ბაზარს, რაც საგანმანათლებლო პროგრამების ფორმირების საფუძველი უნდა იყოს. გამოკვეთილი ტენდენციის თანახმად, უსდ-ებისთვის შრომის ბაზრის ყოველწლიური კვლევა ხშირად უფრო ფასადური ხასიათისაა, ვიდრე შინაარსობრივი დატვირთვის, ვინაიდან ეს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. როცა უნივერსიტეტს სრულყოფილად არ აქვს შესწავლილი შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა, რასაკვირველია, ასეთ უსდ-ს პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროდუქტის მარკეტინგზე. სამწუხაროდ, გამოკითხულ დამსაქმებელთა 80 % კი ასეთი კვლევების ჩატარებას აუცილებლად მიიჩნევს. ამიტომ, აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი დასკვნა მარტივია: უმაღლესი სასწავლებლები მხოლოდ ნაწილობრივ ფლობენ შრომის ბაზარზე მიმდინარე პროცესებს, სათანადოდ არ უწევენ ანგარიშს უმაღლესი განათლების მქონე კადრებზე რეალურ საჭიროებებს, რაც უარყოფითად აისახება ქვეყანაში უმუშევრობაზე და უმაღლესი სასწავლებლების კონკურენტუნარიანობაზე.

კვლევის შედეგად დასტურდება, რომ გამოკითხული რესპოდენტების 56.9%-ის მოსაზრებით უსდ-ს მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამები სრულად არ შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც საბოლოო ჯამში მათ პროფესიულ დაუსაქმებლობას განაპირობებს. ამასთან ერთად, დასაქმებულ პირთა შორის დაახლოებით 55% არ მუშაობს მიღებული განათლების შესაბამისად. დასაქმებულებს შორის, სპეციალობით დასაქმებულთა წილი მნიშვნელოვნად განსხვავდება პროფესიული მიმართულებების მიხედვით. ყველაზე დაბალი წილი მოდის ჰუმანიტარულ, სოციალურ და საინჟინრო მეცნიერებებზე. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, დასაქმებულთა მხოლოდ 13% მუშაობს საკუთარი სპეციალობით, მკვლევართა შეფასებით, განათლებასა და სამუშაო ადგილს შორის შესაბამისობა შედარებით მაღალია ჯანდაცვის, ხელოვნებისა და განათლების სპეციალისტებისთვის. ამასთან, შეუსაბამობა ჩანს ყველა სხვა სპეციალობაში, მათ შორის ბიზნესის, სამართლის, ინჟინერიისა და მეცნიერების დარგის პროფესიონალებისთვის (2,47.)

დღეს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მესვეურები ერთხმად აღიარებენ საგანმანათლებლო ბაზარზე მაღალი კონკურენციის არსებობას. ამასვე ადასტურებს უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლების გამოკითხვის შედეგები. კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 70 % მიიჩნევს, რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე არსებული უნივერსიტეტების მხოლოდ 40-50 %-ია კონკურენტუნარიანი. 30 %-ის აზრით კი კონკურენტუნარიანია მხოლოდ 20-30 %. აქედან გამომდინარე, „გამოდის, რომ ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარს, საკმაოდ მნიშვნელოვანი წილით, წარმოადგენენ კონკურენტუნარო უმაღლესი სასწავლებლები, სახეზეა კონკურენცია სწორედ მათ შორის" (3, 115).

როცა კონკურენტუნარიანობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მსოფლიოში არსებული შეფასების თანამედროვე მოდელები (ISO 9001, ISO 9004, MAB, SWOT ანალიზი და ა.შ). საქართველოში ცოტა თუ იყენებს აღნიშნულ მოდელებს. ჩვენთან კვლავინდებურად სტუდენტთა რაოდენობა (50 %) მთავარი ინდიკატორი უსდ-ს კონკურენტუნარიანობის განსაზღვრაში. 30 % დასაქმებას ანიჭებს უპირატესობას, 10 % სასწავლო-მატერიალურ ბაზას, ხოლო 10 %-ის აზრით, უმაღლესი სასწავლებლის კონკურენტუნარიანობას აკადემიური პერსონალი განაპირობებს.

უმუშევრობის მაღალი დონე სამწუხარო მოცემულობაა, მაგრამ აქ კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა იკვეთება, რასაც ჩვენს უსდ-ში სწავლების ხარისხთან მივყავართ. კერძოდ, დამსაქმებლების 80% მიუთითებს, რომ სამუშაო ბაზარზე არის კვალიფიციურ სპეციალისტთა სერიოზული დეფიციტი, თუმცა მისი შევსება კურსდამთავრებულებით ვერ ხერხდება, სწორედ კურსდამთავრებულთა არასაკმარისი კომპეტენციების გამო. დამსაქმებლები მიუთითებენ რამდენიმე ხარვეზის შესახებ, რომლის გამოსწორებაც მათ მიაჩნიათ სწორედ უსდ-ს სწავლის პროცესში, ესენია: ანალიტიკური აზროვნება, ინგლისური ენის ცოდნა, სხვა უცხო ენის ცოდნა, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და დროის მენეჯმენტი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანამედროვე შრომის ბაზარი ერთდროულად ითხოვს ცოდნასაც და გამოცდილებასაც. ორივე ამოცანის ერთდროულად შესრულება არ არის მარტივი, მაგრამ არც შეუძლებელია. ამისათვის ორი გზა არსებობს: პრაქტიკული სასწავლო კომპონენტის გაძლიერება და სრულფასოვანი სტაჟირება-პრაქტიკა.

დამკვიდრებული სტანდარტის შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დროს სტუდენტებისთვის სტაჟირება არ არის სავალდებულო კომპონენტი, პრაქტიკა კი ყველა პროგრამის ნაწილია. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, უსდ-ები ერთხმად თანხმდებიან პროფესიული პრაქტიკის მნიშვნელობაზე და გვიზიარებენ მათ თანამშრომლობით გამოცდილებას საჯარო თუ კერძო სექტორთან მიმართებაში, თუმცა ჩვენს მიერ გამოკითხული კურსდამთავრებულების 53%-ს არ გაუვლია პროფესიული პრაქტიკა, ან გავლილი პრაქტიკა-სტაჟირება არ პასუხობდა პროფესიულ სფეროს. ასევე, კრიტიკას ვერ უძლებს სტუდენტთა მხრიდან შეფასებული პრაქტიკის კომპონენტი, ვინაიდან, მათი აზრით, არ მიმდინარეობს პრაქტიკის კომპონენტის ხარისხობრივი კონტროლი (4, 36). ეს გარემოება აშკარად ცხადყოფს უსდ-ის დამსაქმებლებთან სუსტ და ხშირად ფორმალური კავშირს, რომელიც, სამწუხაროდ, დამსაქმებელ კომპანიებთან მხოლოდ მემორანდუმების საზეიმო გაფორმებით ამოიწურება.

აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია დამსაქმებლებთან პოზიცია (95%), რომ კურსდამთავრებულებს სჭირდებათ დამატებითი მომზადება. ამიტომ სწორედ მათ, დამსაქმებელს უწევს კურსდამთავრებულების პრაქტიკული და ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნვა. და რაც მთავარია, იგი მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს და დროს, რაც უსდ-ს კურსდამთავრებულების დასაქმების მოტივაციას უკარგავს კომპანიებს.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სტიმულირების თვალსაზრისით ბოლო წლებში დადებითი ტენდენციებიც გამოიკვეთა. უსდ-ების ვებ-გვერდების, სტრუქტურის და მისიის შესწავლით დასტურდება, რომ უნივერსიტეტების უმეტესობას, რომელთაც სტრუქტურულად არ ქონდათ კარიერული მომსახურების ოფისები, ბოლო 5 წლის განმავლობაში მათმა 90%-მა გახსნეს ასეთი ცენტრები, რაც წინსვლად უნდა იქნეს მიჩნეული.

დღეს საუნივერსიტეტო განათლება ისეთი გამოწვევების პირისპირ დგას, როცა ეკონომიკის მთავარი მახასიათებელი მისი ინოვაციურობაა, ხოლო ინოვაციური ტექნოლოგიების საკადრო ამოცანები ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემაში წყდება, რაც სწავლება-სწავლის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვითა და ბიზნესსექტორთან თანამშრომლობითაა შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი 2004: საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, თბილისი.
2. ბოჭორიშვილი 2020: ბოჭორიშვილი ე., განათლების სექტორი საქართველოში, განათლება, სექტორის მიმოხილვა, თბილისი.
3. ტაბატაძე 2016: ტაბატაძე ლ., საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები, სადოქტორო დისერტაცია, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი.
4. ფოლადაშვილი 2022: თამარ ფოლადაშვილი, უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე და მისი ამაღლების გზები, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, ბათუმი.

რეზიუმე

უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, სტატიაში გაანალიზებულია საუნივერსიტეტო განათლებაში არსებული პრობლემები. კერძოდ: განხილულია სწავლება-სწავლის პარადიგმა, საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო კურსის სილაბუსების შემუშავების პრაქტიკული საკითხები, სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების გზები, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ასპექტები და მათი დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებები.

საკვანძო სიტყვები: სწავლება-სწავლის პარადიგმა, საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსის სილაბუსი, მოტივაცია, კონკურენტუნარიანობა, შრომის ბაზარი, დასაქმება.

Avtandil Asatiani

Professor of Technical University of Georgia
Georgia, Tbilisi

University education in the face of modern challenges

Summary

Based on the mission of the university, the article analyzes the problems in university education. In particular: the teaching-learning paradigm, practical issues of developing educational programs and the syllabus, ways of increasing student motivation, aspects of graduates' competitiveness and directions for promoting their employment are discussed.

Key words: teaching-learning paradigm, educational program, training course syllabus, motivation, competitiveness, labor market, employment.